საქართველოს
განათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო

სკოლამდელი
განათლება

unicef
unite for children

# ნენე, დუდუ და წიკო

ქართული ენა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი
სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის

**აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო**

2013

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი ინიციატივა – საგრანტო პროგრამა „ხელმისაწვდომობის, ხარისხის და თანასწორობის უზრუნველყოფა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში“.

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური მხარდაჭერით საგრანტო პროექტების: „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა“ და „სკოლამდელი განათლების პოლიტიკის გატარება საქართველოში ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებისთვის“ ფარგლებში.

პუბლიკაციაში გამოხატული მასაზრებები, შესაძლებელია, არ ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

**ავტორები:** **თამარ ბაქრაძე**

**თინათინ კილურაძე**

**ივლიტა ლობჯანიძე**

**ეკატერინე ქუთათელაძე**

**ანა ჯანელიძე** – პროექტის „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა“ მენეჯერი.

**ეკა წირღვავა** – ქვეპროგრამის „სკოლამდელი განათლების პოლიტიკის გატარება საქართველოში ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებისთვის“ კოორდინატორი.

**მხატვარ-ილუსტრატორი:** **ანა ბაქრაძე**

**რედაქტორი:** **ქეთი ჩხობაძე**

**ყდის დიზაინი და დაკაბადონება:** **ია ნინოშვილი**

**აუდიო რესურის მომზადება:** **საავტორო სტუდია კავშირი „აბლი-ბაბლი“**
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკალური ცენტრი**

**ISBN** 978-9941-0-5298-9

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## სარჩევი


მასალაზე მუშაობის ზოგადი ინსტრუქციები .... 5

თემა 1: გაცნობა .....14

თემა 2: ბოსტანში ..... 28

თემა 3: თამაში ..... 40

თემა 4: ხაჭაპური ..... 52

თემა 5: წიკოს დაბადების დღე ..... 61

თემა 6: ცეკვა-თამაში ..... 71

თემა 7: დამალობანა ..... 80

თემა 8: აბაზანაში ..... 88

თემა 9: სტუმრად ბებიასთან .....98

თემა 10: ვითომ-ვითომ .....107

თემა 11: ცაში ფრენა .....115

თემა 12: ლომის ბოკვერი .....126

თემა 13: თამაში ბოკვერთან .....135

თემა 14: მოგზაურობა მფრინავი თეფშით .....146

თემა 15: მთაწმინდის პარკში .....155

თემა 16: ექიმთან – „წიკოს მუცელი სტკივა“ ....163

დანართი .....172

# მასალაზე მუშაობის ზოგადი ინსტრუქციები

## წიგნთან მუშაობისას გთავაზობთ ზოგად რეკომენდაციებსა და ინსტრუქციებს

მოცემული სახელმძღვანელო შედგება 16 თემისგან ანუ თავისგან. თითოეულ თემაში მოცემულია რვა ძირითადი და ერთი (მე-9) დამატებითი, შემაჯამებელი აქტივობა, რომელსაც შეიძლება მიეცეს პროექტის სახე. აქტივობები და დავალებები დალაგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, აღმზრდელმა ჯერ უნდა ჩაატაროს პირველი აქტივობა, შემდეგ მეორე და ა. შ. (გამონაკლისია პირველი თემის პირველი და მეორე აქტივობები). თითოეულ თემას საშუალოდ ეთმობა 2 კვირა. აღმზრდელმა ყოველდღე თანმიმდევრობით (აქტივობები 1-8 ჩათვლით) უნდა ჩაატაროს მოცემული აქტივობები, რომლებიც გათვლილია დღეში 3 საათზე (10სთ-დან 13სთ-მდე). გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ აქტივობაში (მაგალითად, მეორე აქტივობა) მოცემული ქვეაქტივობები არ არის გადანაწილებული დღეების მიხედვით. აღმზრდელს შეუძლია ჯგუფის დონისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად გაანაწილოს ქვეაქტივობები.

თითოეული აქტივობისთვის წიგნში მოცემულია მიზანი, რესურსი/რესურსები და დრო. თითოეულ თემას საშუალოდ შეიძლება დაეთმოს 2 კვირა, თუმცა, ჯგუფის წინარე ცოდნისა და ათვისების უნარიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს აღმზრდელის შეხედულებისამებრ.

### 0.1. შესავალი: მოწესრიგება და სიმღერა (დილის მიღება)

შესავალი აქტივობის მიზანია, აღსაზრდელი ჩაერთოს სკოლამდელი დაწესებულების ცხოვრების რიტმში დილიდანვე და მოემზადოს დღის აქტივობებისთვის. მოწესრიგების შემდეგ (მისალმება, პირადი ნივთების დაბინავება) აღსაზრდელები რიტმული სიმღერით იწყებენ დღეს. ერთი და იგივე სიმღერა მეორდება რამდენიმე კვირის მანძილზე და მას ერთგარი ჰიმნის ან რიტუალის სახე აქვს.

**მიზანი:** 1. მოწესრიგება და მომზადება დღის აქტივობებისათვის.
2. შემოქმედებითი თვითგამოხატვის უნარის გამოვლენა და ესთეტიკური სიამოვნების მიღება.

**რესურსი:** 1. სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერების აუდიო/ვიდეო ჩანაწერები (მაგ.,სიმღერა „თუ-თუ-თუ“)..
2. ლექსი თანდართული აუდიოდისკიდან.

**დრო:** 20 წთ.

აღმზრდელი აღსაზრდელებს ასმენინებს სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერების აუდიო/ვიდეო ჩანაწერებს (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“[1], „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და მისთ.),

1. მუსიკის ავტორი: ვ. დურგლიშვილი, ტექსტი: ი. სიხარულიძე და ვ. დურგლიშვილი

აღსაზრდელები ცდილობენ რიტმული მოძრაობით აყვნენ მელოდიას, შეასრულონ ცეკვის მარტივი მოძრაობები აღმზრდელის დახმარებით, ხოლო სიმღერის რამდენჯერმე მოსმენის შემდეგ თვითონაც იმღერონ.

ალტერნატიული ვარიანტია თანდართული აუდიოდისკიდან რომელიმე რიტმული ლექსის თქმა ერთად, რომლის დროსაც აღსაზრდელები ვარჯიშის მოძრაობებს აკეთებენ, მაგ.:

*** * * (აუდიოდისკი, ჩანაწერი 49)**

დამიკარი თავი,
თავი, თავი, თავი
ჩამიკარი თვალი
თვალი, თვალი, თვალი
დამიქნიე ხელი
ხელი, ხელი, ხელი
ააყოლე ტანი
ტანი, ტანი, ტანი
ტაში, ტაში, ტაში

ან

**სიმღერა „მაჩვენე ხელები“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 50)**

მაჩვენე ხელები,
მაჩვენე ხელები,
ტაში, ტაში, ტაში,
დავმალოთ ხელები,
ვაბაკუნოთ ფეხები,
ვაბაკუნოთ ფეხები,
ტაში ტაში ტაში,
დავმალოთ ფეხები.

**შენიშვნა:** აღმზრდელის მხრიდან არ არის აუცილებელი აღსაზრდელებს დააზეპირებინოს მოცემული ლექსები თუ სიმღერები და არც ყველა სიტყვის მნიშვნელობის სწავლება არ არის საჭირო. მთავარია, ბავშვები გახალისდნენ, ყური მიაჩვიონ ქართული ბგერების და სიტყვების ჟღერადობას და თამაშ-თამაშით აყვნენ მელოდიას, რამდენადაც შეძლებენ, ძალდატანების გარეშე.

### 0.2. ძირითადი თემა

თითოეული თემა საშუალოდ 2 კვირის განმავლობაში უნდა იყოს ათვისებული, თუმცა, ჯგუფის სიძლიერიდან გამომდინარე, ცალკეულ თემებს აღმზრდელმა შეიძლება მოანდომოს უფრო მოკლე ან უფრო ხანგრძლივი დრო.

თითოეული თემა დაყოფილია სამ ქვეთემად და შესაბამისად, მოიცავს 3 ილუსტრაციას. თითოეული ქვეთემის ანუ ილუსტრაციის მასალის ათვისება საშუალოდ 3 დღეზე არის გათვლილი (დღეები შეიძლება შეიცვალოს ჯგუფის წინარე ცოდნიდან და ათვისების უნარიდან გამომდინარე); აქედან, ყოველი ქვეთემის პირველი ეტაპი (1 ან 2 დღე) ეთმობა ლექსიკის გაცნობას, ილუსტრაციიდან და კონტექსტიდან გამომდინარე სიტყვათა მნიშვნელობების გაცნობიერებას: აღსაზრდელები ჯერ ეცნობიან ახალ ლექსიკურ მარაგს პასიურ (მნიშვნელობის გაგების) დონეზე, ხოლო მეორე კვირაში უკვე აქტიურ (გამოყენების) დონეზე ითვისებენ და იყენებენ აქტიური ლექსიკური მარაგის სიტყვებს და ფრაზებს. მნიშვნელოვანია, აღმზრდელმა მიუთითოს და წაიკითხოს ილუსტრაციების წარწერები, რათა აღსაზრდელები ნელ-ნელა მიხვდნენ, თუ რა არის წარწერა და შეეჩვიონ ფოტოგრაფიულ კითხვას. არ არის აუცილებელი ასოების გარჩევა და კითხვა ისწავლონ. მთავარია, გაარჩიონ ერთმანეთისგან ნახატი და წარწერა და დააკავშირონ ერთმანეთთან ნაწერი და აღმზრდელის მიერ წარმოთქმული ფრაზა.

**მიზანი:** ყოველი თემის მეორე აქტივობის (ძირითადი თემის) მთავარ მიზანს ძირითადად წარმოადგენს:

- ახალი ლექსიკის მნიშვნელობის გაგება, ათვისება და ადეკვატურად, კონტექსტის მიხედვით გამოყენება.

**ლექსიკა:** ამ აქტივობაში დამუშავდება თემის საკვანძო ლექსიკა.

**რესურსი:** ამ აქტივობის შესასრულებლად აუცილებელი წინაპირობაა შესაბამისი ილუსტრაციის და თანდართული აუდიოდისკის ერთდროულად გამოყენება. შესაძლებელია, დამატებით გამოვიყენოთ სხვადასხვა რესურსი, თემატიკის შესაბამისი ნივთები, სათამაშოები, ხილი, ბოსტნეული და სხვ.

**დრო:** 20 წთ.

## 0.3. ლოგიკური დავალებები

ლოგიკური დავალებების შესრულებისას ხდება ახალი ენობრივი მასალის ათვისება განსხვავებული რაკურსით.

**მიზანი:**

- ლოგიკური აზროვნების განვითარება;
- სახალისო აქტივობების დახმარებით ენობრივი მასალის ათვისება;
- მოტორიკის განვითარება.

**ლექსიკა:** ლოგიკური დავალებები ძირითადად აგებულია თემის ლექსიკიდან გამომდინარე.

**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, სამაგიდო თამაშები – ორობანა, ლოტო, ფაზლი და ა. შ.

**დრო:** 20 წთ.

აღმზრდელის მეთოდურ სახელმძღვანელოში აქტივობები დანომრილია, როგორც წესი, სამნიშნა რიცხვით (უფრო იშვიათად ოთხნიშნა რიცხვით). ორნიშნა რიცხვით აღნიშნული აქტივობების თანმიმდევრობის დაცვა აუცილებელია დღის რეჟიმის თანმიმდევრულად წარმართვისთვის (1.1., 1.2., 1.3. და ა.შ.), ხოლო მესამე რიცხვი არ განსაზღვრავს მკაცრ თანმიმდევრობას, მაგ., 1.3.2. და 1.3.3. თანმიმდევრობა აღმზრდელს შეუძლია აირჩიოს თავისი შეხედულებისამებრ, ანუ, აქტივობა 1.3.3. შეიძლება შესრულდეს 1.3.2.-მდე, ასევე აქტივობა 2.3.8. შეიძლება უსწრებდეს 2.3.4. და ა.შ. ეს აქტივობები შეიძლება გამეორდეს რამდენჯერმე. ამ შემთხვევაში ნუმერაციის მიზანია, გააადვილოს კოორდინაცია აღმზრდელის მეთოდურ სახელმძღვანელოსა და სამუშაო რვეულს შორის (შესაბამისი დავალებების ნომრები მითითებული სამუშაო რვეულშიც).

**გთავაზობთ სამაგიდო თამაშების დეტალურ აღწერას:**

**„ორობანა“**

**შენიშვნა:** თავდაპირველად აღმზრდელი მხოლოდ სამი წყვილი ბარათით იწყებს თამაშს აღსაზრდელებთან, მაგრამ ნელ-ნელა ართულებს და უმატებს თითო წყვილს ისე, რომ ორი კვირის შემდეგ აღსაზრდელებს თავისუფლად შეეძლოთ ითამაშონ ეს თამაში ექვსივე წყვილი ბარათით აღმზრდელისგან დამოუკიდებლადაც.

ორობანას თამაშისათვის შემდგომ ეტაპზე საჭიროა სულ 6 წყვილი (ანუ თორმეტი) ბარათი: მაგალითად, ნენე, დუდუ, წიკო, თოჯინა, მანქანა, ბურთი. წყვილის ერთ ბარათზე იქნება მხოლოდ ნახატი, ხოლო მეორეზე ნახატის ქვეშ წარწერა.

ორობანას სათამაშოდ აღმზრდელი აღსაზრდელებს სვამს მაგიდის ირგვლივ. პირველ ეტაპზე თამაში მიმდინარეობს სამი წყვილი ბარათით. აღმზრდელი იღებს სამ წყვილ ბარათს (ნენე, დუდუ, წიკო), ამოატრიალებს ბარათებს უკუღმა და დადებს მაგიდაზე ისე, რომ ნახატები არ ჩანდეს. შემდეგ აურევს ბარათებს ისე, რომ თანმიმდევრობა დაირღვეს და ამოატრიალებს ერთ ბარათს. ამის შემდეგ სთხოვს რომელიმე აღსაზრდელს, გაიმეოროს იგივე და ამოატრიალოს რომელიმე ბარათი. თუ ეს ბარათი დაემთხვა პირველს (მაგ., ორი ბარათი დუდუს გამოსახულებით), მაშინ აღსაზრდელმა უნდა დაასახელოს ეს ბარათი – დუდუ და წყვილი თავისთვის აიღოს. თუ ის ამოატრიალებს სხვა წყვილის ბარათს (მაგ., წიკო), მაშინ მან უნდა თქვას ვინ/რა არის გამოსახული ბარათზე, მაგრამ ამოატრიალოს ისევ უკუღმა და დადოს თავის ადგილზე. სხვები უნდა ეცადონ, დაიმახსოვრონ, რა ბარათი დევს ამ ადგილზე, რომ საჭიროების შემთხვევაში გაიხსენონ. შემდეგ ის აღსაზრდელი, რომელიც წრეში გვერდზე უზის (საათის ისრის მიმართულებით) იმ აღსაზრდელს, რომელმაც ბოლოს ამოატრიალა ბარათი, აგრძელებს თამაშს. თუ ამოატრიალებს წყვილს, მაშინ უნდა დაასახელოს ჯერ რაც არის ბარათზე გამოსახული და აიღოს თავისთვის ეს წყვილი, შემდეგ კი შემდეგი ბარათი ამოატრიალოს. თუ ვერ ამოატრიალებს წყვილს, მაშინ მაინც ასახელებს, მაგრამ უკან დებს ბარათს და მის გვერდზე მჯდომი აგრძელებს თამაშს.

**შენიშვნა:** თავდაპირველად (ათვისების ფაზაში) უმჯობესია ორობანა გათამაშდეს მთლიან ჯგუფში, ხოლო შემდეგ მცირე ჯგუფებში აღმზრდელისგან დამოუკიდებლად, თუმცა აღმზრდელმა მაინც უნდა აკონტროლოს თამაში მცირე ჯგუფებშიც.

### ლოტო

აღმზრდელი ურიგებს აღსაზრდელებს დიდ ბარათებს, რომლებზეც ხატია სამი მცირე გამოსახულება. პატარა ბარათები აღმზრდელს თვითონ უჭირავს და რიგრიგობით აცხადებს თითოეულს. მაგ., აჩვენებს აღსაზრდელებს პატარა ბარათს, რომელზეც ნენეა გამოსახული. ის, ვისაც აქვს დიდ ბარათზე ნენეს სურათი, ამბობს: „ეს ნენეა“, აღმზრდელი აძლევს მას ამ ბარათს და ის თავის დიდ ბარათზე შესაბამის ადგილზე დებს პატარა ბარათს. ვინც არ იტყვის, ის რჩება ბარათის გარეშე. გამარჯვებული არის ის, ვინც შეავსებს დიდ ბარათებს.

**შენიშვნა:** საწყის ეტაპზე აღმზრდელი ყველას ერთნაირ დიდ ბარათს ურიგებს. როცა აღსაზრდელები აითვისებენ თამაშს, მერე ართულებს და სხვადასხვა დიდ ბარათს ურიგებს აღსაზრდელებს.

შემდგომი გართულება: თითოეული ბავშვისთვის რამდენიმე დიდი ბარათის დარიგება.

### ფაზლი

აღსაზრდელებს არეულად ეძლევათ რომელიმე გამოსახულების ნაწილები და მათ უნდა დაალაგონ ეს ნაწილები ისე, რომ გამოვიდეს ერთიანი სურათი. ფაზლი თავდაპირველად 2 ან 4-ნაწილიანი იქნება, ხოლო მას შემდეგ, რაც აღსაზრდელები აითვისებენ მას, 6 ან 8-ნაწილიანი ფაზლი შემოგვაქვს. სამუშაო რვეულში შემოთავაზებული რამდენიმე ფაზლიდან საკმარისია აღსაზრდელმა ერთ-ერთი ფაზლი დაამზადოს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბავშვები გამზადე-

ბულ (ნაყიდ) ფაზლებს უკეთ აწყობენ, ვიდრე თვითნაკეთ ფაზლებს. ასე რომ, სამუშაო რვეულში მოცემული, აღსაზრდელის მიერ დასამზადებელი ფაზლის ძირითადი ფუნქცია მაინც მოტორიკის და კოორდინაციის განვითარებაა, ხოლო ასაწყობად მრავალჯერადი გამოყენებისთვის უპირატესობა ენიჭება ნაყიდ, გამზადებულ ფაზლებს.

### 0.4. მუშაობა მცირე ჯგუფებში

**მიზანი:** ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება, ახალი და ნასწავლი ენობრივი მასალის განმტკიცება-გავარჯიშება.

**რესურსი:** სათამაშოები, ლოტოს და „ორობანას“ ბარათები, სახატავი ატრიბუტები, კუბურები.

**დრო:** 30 წთ.

მცირე ჯგუფებში მუშაობის დროს აღსაზრდელები თავად ირჩევენ, თუ რომელ „წრეში“ სურთ ამ დღეს ყოფნა. სულ არის 4 ასეთი თემატური წრე:

0.4.1. დრამატული წრე;

0.4.2. სამაგიდო თამაშების წრე;

0.4.3. ხელოვნების წრე;

0.4.4. კუბურების წრე.

აღსაზრდელები ნაკლები კონტროლის ქვეშ არიან და მეტ-ნაკლებად „თავის ნებაზე“ თამაშობენ. თუმცა, აღმზრდელი ყველა ჯგუფთან მიდის და ურთავს თამაშში გათვალისწინებულ ენობრივ მასალას.

### 0.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** განტვირთვა, ენობრივი მასალის თამაშით განმტკიცება-გამოყენება.

**რესურსი:** ბურთი, ეზო/სპორტული მოედანი, დამატებითი რესურსები კონკრეტული თამაშიდან გამომდინარე.

**დრო:** 30 წთ.

ფიზიკური აქტივობები აუცილებელია განტვირთვისთვის. აღსაზრდელებს ყურადღება გადაავქვთ თამაშზე, თუმცა შიგადაშიგ თამაშიც დროსაც იყენებენ ნასწავლ ან ახალი თემის ლექსიკას და თამაშით სწავლობენ.

### 0.6. ლექსი, სიმღერა, ენის გასატეხი

**მიზანი:** ვარჯიში ფონეტიკაზე, მეხსიერების გავარჯიშება, ცალკეული სიტყვების/ფრაზების განმტკიცება-გავარჯიშება.

**რესურსი:** აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო/თანდართული აუდიოდისკი და სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები.

**დრო:** 20 წთ.

ამ აქტივობის მიზანია სახალისო სიტუაციის შექმნა და ამავდროულად აღსაზრდელებში ფონემატური სმენის განვითარება, ასევე, ქართული ენისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ბგერების სწორად წარმოთქმაზე ვარჯიში. არ არის აუცილებელი აღმზრდელმა დააზეპირებინოს ბავშვებს ესა თუ ის ლექსი, სიმღერა და ენის გასატეხი. ეს აქტივობა თამაშით სრულდება: მაგალითად, გასათვლელის მსგავსად, აღმზრდელი წარმოთქვამს ერთ ფრაზას და თითოეულ მარცვალზე თითოეულ ბავშვზე მიუთითებს. რომელ ბავშვზეც დამთავრდება ბოლო მარცვალი, ის ბავშვი გავარდება თამაშიდან. ბავშვები, შეძლებისდაგვარად, იმეორებენ ფრაზას აღმზრდელთან ერთად. როცა ფრაზას მეტ-ნაკლებად აითვისებენ, დამოუკიდებლადაც უნდა შეძლონ გათვლა. რომელი ბავშვიც „გავარდება", მან უნდა „გაითვალოს" ანუ დამარცვლით წარმოთქვას მოცემული ფრაზა. თანდათან აღმზრდელი მეორე და შემდგომ ფრაზას ამატებს და ამგვარად, ბავშვებს შეიძლება „შემოესწავლოთ" ესა თუ ის ლექსი და ენის გასათვლელი. შესაძლებელია სხვა ალტერნატიული თამაშის მოფიქრება.

ტექსტის დაზეპირება არც სიმღერის შემთხვევაშია აუცილებელი, ბავშვები ნებაყოფლობით (ცეკვითაც) შეიძლება აყვნენ მელოდიას.

**შენიშვნა:** შესაძლებელია, აქტივობა შესრულდეს ეზოში.

### 0.7. მუსიკა/მანდალა[1]/თავისუფალი ხატვა, მულტფილმი/ზღაპარი

**მიზანი:** განტვირთვა, პასიური მარაგისთვის ლექსიკის მიწოდება, ქართული ბგერების ჟღერადობისთვის/წინადადების ინტონაციისთვის ყურის მიჩვევა და ათვისება ქვეცნობიერ დონეზე.

**რესურსი:** სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი გასაფერადებელი მანდალები; აუდიოდისკი ქართული საბავშვო სიმღერებით; აუდიოდისკი ზღაპრების ჩანაწერებით, აუდიოდისკი მშვიდი მუსიკით (მანდალების ან თავისუფალი ხატვის დროს ჩასართველად), დიდი ფორმატის ილუსტრირებული ზღაპრების კრებულები.

**დრო:** 20 წთ.

აქტივობათა ამ ჯგუფში შემოთავაზებულია შემდეგი ვარიანტები:

ა. მანდალას გაფერადება (მუსიკის ან აუდიოზღაპრის ფონზე);
ბ. თავისუფალი ხატვა (სურვილისამებრ, მუსიკის ან აუდიოზღაპრის თანხლებით);
გ. მულტფილმის ყურება ქართულ ენაზე (ქართული ან ქართულ ენაზე კარგი ხარისხით ნათარგმნი მულტფილმები);
დ. ზღაპრების „კითხვა" ილუსტრაციებზე დაყრდნობით.

ამ აქტივობების მიზანია სულიერი განტვირთვა. ცნობილია, რომ მანდალას გაფერადების დროს ბავშვებს უვითარდებათ კონცენტრაციის უნარი და ისინი სულიერადაც მშვიდდებიან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰიპერაქტიური ბავშვებისთვის. ზღაპრის მოსმენა ხატ-

1. აქ, წრიული ფორმისდეკორატიული გრაფიკული გამოსახულება. სახელმძღვანელოს დანართში გამოყენებულია მანდალები წიგნიდან: Lieblings-mandalas für die Vorschule (2007), Bindlach: Loewe Verlag GmbH, ილუსტრატორი: Andreas Cziepluch.

ვის დროს ასევე სასიამოვნო პროცესია პატარებისთვის და ისინი ამ დროს მოსმენილს უკეთ ითვისებენ. მთავარია, ისინი ზღაპრის მოსმენის დროს ხატავდნენ ან რაიმე აქტივობით იყვნენ დაკავებულები და ზღაპარი მელოდიასავით ჰქონდეთ ჩართული ფონად. თუ აღმზრდელი თვითონ წაუკითხავს ბავშვებს ზღაპარს, აუცილებლად უნდა უჩვენოს წიგნიდან ილუსტრაციები. ამისთვის, შესაძლებელია, აღმზრდელი დაჯდეს ხალიჩაზე და ბავშვები ირგვლივ მოისვას ისე, რომ ყველას შეეძლოს ილუსტრაციების დანახვა. უმჯობესია, აღმზრდელი ძირითადად ილუსტრაციებს ეყრდნობოდეს და ზღაპრის კითხვა თავიდან ილუსტრაციების აღწერით დაიწყოს, ხოლო როცა ბავშვები გაეცნობიან მოქმედ პერსონაჟებს, შემდეგ ნელ-ნელა მოუყვეს სიუჟეტი, შეძლებისდაგვარად, ილუსტრაციებზე დაყრდნობით, ჯერ მარტივად და ნაბიჯ-ნაბიჯ გაართულოს სიუჟეტი რამდენჯერმე ზღაპრის „წაკითხვის“ შემდეგ. არაეფექტურია ბავშვების დასმა იმ მიზნით, რომ მათ უსმინონ მხოლოდ ზღაპარს და არ უყურონ ილუსტრაციებს ან არ ხატონ. გასათვალისწინებელია, რომ ზღაპრის წაკითხვა ილუსტრაციების დახმარებით და ხატვა ზღაპრის მოსმენის ფონზე ორი განსხვავებული აქტივობაა. პირველის მიზანია შინაარსობრივად ზღაპრის გმირების და ზღაპრის სიუჟეტის გაცნობა ნაბიჯ-ნაბიჯ, ხოლო მეორე აქტივობის მიზანს ფონემატური სმენის განვითარება ანუ ქართული ბგერების ჟღერადობის და ქართული წინადადების ინტონაციისთვის ყურის შეჩვევა და ქვეცნობიერად შეთვისება წარმოადგენს.

მულტფილმები კი, როგორც აუდიო/ვიზუალური მედიის ნაზავი, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ენის ათვისების პროცესში.

### 0.8. ხელგარჯილობა

**მიზანი:** მოტორიკის და ფანტაზიის განვითარება, ნასწავლი ენობრივი მასალის გამოყენება.
**რესურსი:** სხვადასხვა (კონკრეტული აქტივობიდან გამომდინარე).
**დრო:** 30 წთ.

ამ აქტივობის მიზანია, აღსაზრდელს განუვითარდეს მოტორიკა, კერძოდ, შეძლოს სხეულის წვრილი კუნთების კონტროლი და კოორდინირებული მოქმედება; განავითაროს ფანტაზიის უნარი და ამავდროულად გამოიყენოს თემის საკვანძო ლექსიკა.

### 0.9. შემაჯამებელი აქტივობები

**მიზანი:** მიღწეული შედეგების პრეზენტაცია ნასწავლი ენობრივი მასალის გამოყენებით.
**რესურსი:** გამომდინარეობს კონკრეტული აქტივობიდან.
**დრო:** საავარაუდოდ 3 საათი (მთელი თემის ანუ 2 კვირის მანძილზე, მე-10 დღის ჩათვლით).

სასურველია, ყოველი თემის ბოლოს აღმზრდელმა ჩაატაროს თემის შემაჯამებელი აქტივობები, რომლებიც დასრულდება პატარა გამოფენით ან პრეზენტაციით მშობლებისთვის. ამგვარად, ორ კვირაში ერთხელ, აღსაზრდელები, მშობლები და თავად აღმზრდელიც თვალსაჩინოდ დაინახავენ სწავლის შედეგებს. კარგია ამ დროის გამოყენება განვლილი თემების გამეო-

რებისთვისაც. შესაძლებელია, აღმზრდელის შეხედულებისამებრ, ბავშვების წაყვანა ექსკურსიაზე თბილისში (მაგ., ბოლო თემებიდან გამომდინარე, მთაწმინდის პარკში წაყვანა, ზოოპარკისა და თვითმფრინავების დათვალიერება თბილისის აეროპორტში და სხვ.).

გასამეორებლად სასურველია თვეში ერთხელ (ან ყოველი ლუწი თავის შემდეგ) გამოიყოს რამდენიმე დღე განვლილი თავებიდან დავალებების განმეორებით შესასრულებლად და განსამტკიცებლად. მე-8 და მე-16 თავის შემდეგ სასურველია ყველა გავლილი თავის საფუძვლიანი გამეორება და შეჯამება, რისთვისაც შეიძლება გამოიყოს 1 ან 2 კვირა.

**მოსამზადებელი სამუშაოები:**

სასწავლო წლის დაწყებისას აუცილებელია მშობლებთან ახსნა-განმარტებითი შეხვედრა და იმის ახსნა მათთვის, თუ რა არის გათვალისწინებული ამ პროგრამით, რა აქტივობებს მოიცავს პროგრამა (მაკრატლის, საღებავების გამოყენება და სხვ.) და რატომ არის საჭირო ეს აქტივობები ბავშვის განვითარებისთვის, კერძოდ, მოტორიკის, ლოგიკური აზროვნების უნარის გასავითარებლად და ა. შ. ასეთი პრევენციული ღონისძიება საშუალებას მისცემს აღმზრდელს უფრო ეფექტურად განახორციელოს პროგრამა და მშობლის მხრიდან წინააღმდეგობის ნაცვლად (მაგ., მაკრატლის ან გუაშის საღებავების გამოყენების აკრძალვა), პირიქით, მშობლის მხარდაჭერა მოიპოვოს.

# პირველი ნაწილი

# თემა 1 გაცნობა

**(კვირა 1/2)**

**შენიშვნა:** პირველი თემის პირველ დღეს აქტივობა 1.1. (მისალმება და სიმღერა) ჩვეულებრივ რეჟიმში არ სრულდება. მის მაგივრად პირველ დღეს (ჯგუფის სიძლიერიდან გამომდინარე, შესაძლოა მეორე და მესამე დღესაც) სრულდება აქტივობა 1.2.1., რომელიც 10 წუთის მაგივრად 20 წუთი გრძელდება.

## 1.1. მოწესრიგება და სიმღერა

**მიზანი:** 1. მოწესრიგება და მომზადება დღის აქტივობებისათვის;
2. შემოქმედებითი უნარის გამოვლენა.

**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“, „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგი-მარჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და სხვ.), ლექსების ტექსტები თანდართული აუდიოდისკიდან (მაგ. „დამიკარი თავი“).

**დრო:** 20 წთ.

აღმზრდელი ესალმება აღსაზრდელებს, მოაწესრიგებს ჯგუფს და ასმენინებს აუდიოდისკზე ან ვიდეოდისკზე ჩაწერილ რომელიმე სიმღერას, აღსაზრდელები ცდილობენ, რიტმული მოძრაობით აყვნენ მელოდიას, შეასრულონ ცეკვის მარტივი მოძრაობები აღმზრდელის დახმარებით, ხოლო სიმღერის რამდენჯერმე მოსმენის შემდეგ თვითონაც იმღერონ.

ალტერნატიული ვარიანტია თანდართული აუდიოდისკიდან რომელიმე რიტმული ლექსის თქმა ერთად, რომლის დროსაც აღსაზრდელები ვარჯიშის მოძრაობებს აკეთებენ.

## 1.2. ძირითადი თემა: გაცნობა

**მიზანი:** ახალი ლექსიკის მნიშვნელობის გაგება, ათვისება და ადეკვატურად, კონტექსტის მიხედვით გამოყენება.

**ლექსიკა:** ამ აქტივობაში დამუშავდება თემის საკვანძო ლექსიკა.

**თემაში ასათვისებელი ლექსიკა:**

მე ვარ

შენ?

საკუთარი სახელები: ნენე, დუდუ, წიკო,

გოგო, ბიჭი, და, ძმა,
შეკითხვები: ეს ვინ არის? ეს დუდუა? ეს ნენეა? ეს წიკოა?
კი/არა
მანქანა, დათუნია, თოჯინა, კუბურები, ბურთი
მომე
მინდა
ჩემი
ჩემია
აჰა (1.4.)
არ მინდა
ვაი, ვაიმე
**პასიური ლექსკა[1]:** მაგიდა, ხალიჩა, წითელი წიწაკა, შენ ხარ, ის არის, მაგიდის ქვეშ, გამარჯობა.
**დრო:** 20 წთ.

## 1.2.1. ძირითადი თემის პირველი მონაკვეთი: ერთმანეთის გაცნობა

**მიზანი:** ახალი ლექსიკური მასალის ათვისება
**ლექსიკა:**
მე ვარ, ეს ...-ა
შენ?
საკუთარი სახელები
**პასიური ლექსიკა:** შენ ხარ? კი/არა, შენ ნენე ხარ?
**რესურსი:** ილუსტრაციები, თანდართული აუდიოდისკი.
**დრო:** 20 წთ. (მეორე და შემდგომ დღეებში შეიძლება დაეთმოს 5-7 წთ).

**პირველი დღე:**

აღმზრდელი ესალმება აღსაზრდელებს:
გამარჯობა! (შემდეგ აღმზრდელი აღსაზრდელების მშობლიურ ენაზე ესალმება).
აღმზრდელი აცნობს აღსაზრდელებს თავს, თან იყენებს ჟესტებს, მიუთითებს თავის თავზე.
მაგ.: მე ვარ ნანი. შემდეგ მიდის რომელიმე აღსაზრდელთან, მიუთითებს მასზე და აღმზრდელის დახმარებით ეკითხება შენ რა გქვია? შემდეგ მასთან ერთად ხმამაღლა იმეორებს მის სახელს, საჭიროების შემთხვევაში, სახელობითი ბრუნვის ნიშნის (-ი, მაგ.: ილჩინ-ი) დაბოლოებით. აღმზრდელი ყველა აღსაზრდელს გამოჰკითხავს თავის სახელს.

1. აქტიური ლექსიკა, ეს არის სიტყვათა მარაგი, რომელთა გამოყენება უნდა შეძლოს შემსწავლელმა, ხოლო პასიურია სიტყვათა მარაგი, რომელიც გაგების დონეზე შეიძლება იცოდეს შემსწავლელმა, მაგრამ აქტიურად ვერ გამოიყენოს სამეტყველო ქმედების დროს. პასიური ლექსიკური მარაგი დროთა განმავლობაში შეიძლება გადავიდეს აქტიურ ლექსიკურ მარაგში.

**მეორე და შემდეგი დღეები:**

ენობრივი მასალის გართულება შემდეგ დღეებში:
მაგ.: აღმზრდელი ეკითხება აღსაზრდელს:
შენ?
შენ ლალი ხარ? კი? არა?
თან ეხმარება პასუხის გაცემაში, რომ აღსაზრდელები მიხვდნენ, რას ეკითხებიან და როგორ უნდა უპასუხონ.
მაგ.: შენ სურენი ხარ? შენ გალინა ხარ?
რამდენჯერმე უჩვენებს თავის თავზე და იმეორებს: მე ნანი ვარ.

აღსაზრდელი თავს აქნევს შესაბამისი მიმართულებით (არა – ჰორიზონტალურად, კი – ვერტიკალურად).
შემდეგ ეტაპზე აღსაზრდელები იწყებენ სრული ფრაზის წარმოთქმას: მე ვარ . . .
მომდევნო ეტაპზე აღმზრდელი იმეორებს ფრაზებს: მე ვარ, შენ ხარ და ამატებს ფრაზას: მე ვარ ბიჭი, მე ვარ გოგო; ნენე ჩემი დაა, დუდუ ჩემი ძმაა.
მომდევნო გართულება: ეს ნენეა, ეს დუდუა, ეს ილჩინია და ა. შ. (თან ჯგუფის წევრებზე მიუთითებს).
ჯგუფის სიძლიერიდან გამომდინარე, აღმზრდელი თვითონ წყვეტს, როდის ასწავლოს ბავშვებს პასუხი კითხვაზე: „რა გვარი ხარ?“

## 1.2.2. ძირითადი თემის მეორე მონაკვეთი: ილუსტრაციების პერსონაჟების გაცნობა

**მიზანი:** ახალი ლექსიკური მასალის (პერსონაჟების სახელების) ათვისება.
**ლექსიკა:** სახელები (ნენე, დუდუ, წიკო)
კი/არა
მანქანა, თოჯინა, ბურთი
მინდა
**პასიური ლექსიკა:** კუბურები, მაგიდა, წითელი წიწაკა, წიგნი, რვეული, ფანქარი, ხალიჩა, ნენე და დუდუ მაგიდის ქვეშ არიან.[1]
**რესურსი:** ილუსტრაციები, თანდართული აუდიოდისკი.
**დრო:** 20 წთ. (მე-2 და შემდგომ დღეებში 12-15 წთ.)

თემის თითოეულ ილუსტრაციას საშუალოდ ეთმობა 3 დღე (3 X 3 = 9 დღე, მე-10 დღე განმტკიცება-გამეორება ან პროექტისთვის მზადება). ილუსტრაციების გაცნობა ხდება ეტაპობრივად, აღმზრდელი თავიდან მხოლოდ ერთ ფრაზას ასმენინებს ბავშვებს და შემდეგ დღეებში ამატებს სხვა ფრაზებს. იხ. ქვემოთ.

1. ამ ფრაზას ბავშვები თანდართული აუდიოდისკითაც ისმენენ, თუმცა აუცილებელია აღმზრდელმა თავადაც წაიკითხოს და ამავდროულად ილუსტრაციაზე ხელი მიაყოლოს წარწერას იმისათვის, რომ ბავშვებმა დაიწყონ იმის გაცნობიერება, რომ იქ რაღაც ფრაზა წერია, რომელსაც აღმზრდელი კითხულობს და რომ ეს წარწერა არ წარმოადგენს ნახატის შემადგენელ დეტალებს და ორნამენტებს, არამედ შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას.

**1.2.2.1.**

**ილუსტრაცია 1.1.**

**ლექსიკის ათვისების ფაზები:**
პირველი დღე: ნენე, დუდუ.
მეორე დღე: ბიჭი, გოგო, მე ვარ ბიჭი, მე ვარ გოგო.
მესამე დღე: მანქანა, თოჯინა, ბურთი.
**პასიური ლექსიკა:** ჩემი დაა, ჩემი ძმაა; ნენე და დუდუ მაგიდის ქვეშ არიან.

**წარწერა:** ნენე და დუდუ მაგიდის ქვეშ არიან.
**აღწერა:** ნენე და დუდუ მაგიდის ქვეშ ხალიჩაზე სხედან და თამაშობენ. ნენეს თოჯინა უჭირავს ხელში, დუდუს – სატვირთო მანქანა. ხალიჩაზე აწყვია წიგნები, რვეულები, ფანქარი. ილუსტრაციაზე ჩანს სხვა სათამაშოებიც: დათუნია, კუბურები. მაგიდაზე ჭურჭელი აწყვია, ოჯახმა უკვე ისადილა. ჭურჭლის უკან წითელი წიწაკა წიკო იმალება, რომელიც ნენეს და დუდუს უყურებს.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 01):**

> პირველ დღეს აღმზრდელი პირველი მოსასმენიდან მხოლოდ შემდეგ ორ ფრაზას ასმენინებს ბავშვებს:
>
> (პირველი დღე):
> ნენე: მე ვარ ნენე!
> დუდუ: მე ვარ დუდუ!
>
> მეორე დღეს პირველ ორ ფრაზას ემატება კიდევ ორი ფრაზა თანდართული აუდიოდისკიდან:
> (მეორე დღე):
> ნენე: მე ვარ გოგო!
> დუდუ: მე ვარ ბიჭი!
> (მესამე დღე):
> ნენე: დუდუ ჩემი ძმაა.
> დუდუ: ნენე ჩემი დაა.
> ....
> წამყვანის ხმა: ნენე და დუდუ მაგიდის ქვეშ არიან.

პირველი მოსასმენის მელოდიური ფრაზის მოსმენა მთლიანად არის შესაძლებელი პირველივე დღიდან. შემდეგ ეტაპზე ბავშვები თვითონაც აჰყვებიან მელოდიას და შესაძლებელია ვარიაციები თავიანთი სახელებითაც:

> (პირველი დღე):
> ნენე: მე ვარ ნენე!
> მე ვარ ნენე!
> მე ვარ ნენე! (2–ჯერ)
>
> მე ვარ დუდუ!
> მე ვარ დუდუ!
> მე ვარ დუდუ! (2-ჯერ)

პირველ ეტაპზე აღმზრდელი აჩვენებს აღსაზრდელებს ცალ-ცალკე ნენეს და დუდუს სურათებს და ასმენინებს პირველ ორ ფრაზას:

ნენე: მე ვარ ნენე!
დუდუ: მე ვარ დუდუ!

შემდეგ წიგნში პირველ ილუსტრაციაზე (1.1.) მიუთითებს შესაბამის პერსონაჟზე და ასახელებს მას: ნენე, დუდუ. შემდეგ, პერსონაჟებზე მითითებით, კითხვითი ინტონაციით ჩამოთვლის ორივე სახელს: ნენე? დუდუ? პერსონაჟების სახელებს ცალკე გაიმეორებს კიდევ ერთხელ.

აღმზრდელი შემდეგ ეტაპზე თანდათან ართულებს ენობრივ მასალას: თავიდან აღსაზრდელები აღმზრდელთან ერთად ასახელებენ პერსონაჟებს, შემდეგ კი ამას დამოუკიდებლად აკეთებენ. ამასთანავე მათ, სურვილისამებრ, შეუძლიათ გაიმეორონ რეჩიტატიული და მელოდიური ფრაზები თანდართული აუდიოდისკიდან.

შემდეგ ეტაპზე აღმზრდელი იწყებს შეკითხვის დასმას: მიუთითებს ილუსტრაციების პერსონაჟებზე და ეკითხება აღსაზრდელებს: მაგ., ეს დუდუა? თავიდან თვითონვე პასუხობს: კი, ეს დუდუა (თავის დაქნევით მიახვედრებს აღსაზრდელებს, რომ კი თანხმობას ნიშნავს). შემდეგ დღეებში აღსაზრდელები დამოუკიდებლად პასუხობენ აღმზრდელის შეკითხვებზე (კი/არა).

ამის შემდეგ აღმზრდელი არასწორად მიუთითებს პერსონაჟზე, მაგ., ეს დუდუა? და პასუხობს: არა, ეს ნენეა (თან თავის გაქნევით მიახვედრებს აღსაზრდელებს, რომ არა უარყოფას ნიშნავს). შემდეგ დღეებში აღსაზრდელები დამოუკიდებლად პასუხობენ აღმზრდელის შეკითხვებზე (კი/არა).

1.2.2.2. მე-4 დღიდან მეორე ილუსტრაციის ათვისება მიმდინარეობს იმავე პრინციპით, როგორც პირველი ილუსტრაციის შემთხვევაში.

**ილუსტრაცია 1.2.**

**წარწერა:** მომე! მინდა![1]
**აღწერა:** ნენე და დუდუ მაგიდის ქვეშ არიან და კინკლაობენ: ორივეს ბურთი უნდა. ბურთი დუდუს უჭირავს ხელში და დათმობა არ უნდა. დუდუ ნენეს თოჯინას აწვდის, მაგრამ ნენეს თოჯინა არ უნდა, მასაც ბურთით თამაში უნდა.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 02):**

მეოთხე დღე:
ნენე: დუდუ, მომე ბურთი, რა!
დუდუ: არა, ბურთი მე მინდა. აჰა, შენ თოჯინა!

მეხუთე დღე:
ნენე: არა, არ მინდა თოჯინა! ბურთი მინდა!

1. აუცილებელია, თანდართულ აუდიოდისკზე მოსმენის გარდა, აღმზრდელმაც წაუკითხოს წარწერა ბავშვებს და თან ხელი გააყოლოს წარწერას (იხ. კომენტარი ქვეაქტივობისთვის 1.2.2.1.).

მეექვსე დღე:
დუდუ: ოჰ, ბურთი მე მინდა! ჩემია!

ძირითადი ასათვისებელი ფრაზები/ლექსიკა დღეების მიხედვით:
მე-4 დღე: მომე ბურთი/მანქანა/თოჯინა/; აჰა, ბურთი/მანქანა/თოჯინა;
მე-5 დღე: (ბურთი/მანქანა/თოჯინა) მინდა; არა, ბურთი/მანქანა/თოჯინა არ მინდა.
მე-6 დღე: (ბურთი/მანქანა/თოჯინა) ჩემია.
**პასიური ლექსიკა:** ხალიჩა, მაგიდა, კუბურები, წიგნი, რვეული, კალამი, ფანქარი (ჯგუფის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ამ სიტყვების აქტიურად ათვისებაც).

**შემზადების ფაზა:** ყოველდღიურად, სანამ უშუალოდ ილუსტრაციის შინაარსზე და მოსასმენ ტექსტზე დაიწყება მუშაობა, აუცილებელია აღმზრდელმა გაახსენოს ბავშვებს წინა დღეებში ათვისებული მასალა, ანუ ე.წ. „შემზადების ფაზას“ დაუთმოს გარკვეული დრო შემდეგი სახით:

**ა.** აღმზრდელი მიუთითებს ილუსტრაციებზე ცალკეულ საგნებზე და ამბობს: ეს მანქანაა/თოჯინაა /ბურთია.

შემდეგ ეტაპზე აღმზრდელი მხოლოდ მიუთითებს საგანზე, ხოლო აღსაზრდელები ასახელებენ მას.

**გართულებული ვარიაცია 1:**

აღმზრდელი არასწორად მიუთითებს ილუსტრაციაზე ცალკეულ საგნებზე და ამბობს: ეს მანქანაა/თოჯინაა/ბურთია. აღსაზრდელებმა პირველ დღეებში თავის გაქნევით უნდა შეუსწორონ აღმზრდელს, ხოლო შემდეგ დღეებში შესაბამისი ფრაზებიც წარმოთქვან: მოკლე ვარიანტი: არა ან სრული ვარიანტი: არა, ეს თოჯინაა ა.შ.

**გართულებული ვარიაცია 2:**

აღმზრდელი ხან სწორად და ხან არასწორად მიუთითებს ილუსტრაციების ცალკეულ საგნებზე და ამბობს: ეს მანქანაა/თოჯინაა/ბურთია/ნენეა/დუდუა? (ჯგუფის ათვისების დონიდან გამომდინარე, შესაძლებელია, დაამატოს ხალიჩა, მაგიდა, კუბურები, თუმცა ეს სიტყვები საკმარისია პასიურ ანუ გაგების დონეზე იყოს მიწოდებული). აღსაზრდელები პასუხობენ თავიდან არასრული პასუხით (კი/არა), შემდგომ ეტაპზე კი სრული ვარიანტით: კი, ეს ნენეა, მანქანაა/არა, ეს ნენეა, წიკოა და ა.შ.

**ბ.** აღმზრდელი ასმენინებს აღსაზრდელებს აუდიოჩანაწერს და პარალელურად მიუთითებს შესაბამის ნახატზე (იხ. ილუსტრაცია 1.2., მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 02):

ნენე: დუდუ, მომე ბურთი, რა!
დუდუ: არა, ბურთი მე მინდა. აჰა, შენ თოჯინა!
ნენე: არა, არ მინდა თოჯინა, ბურთი მინდა!
დუდუ: ოჰ, ბურთი მე მინდა! ჩემია!
....
წამყვანის ხმა: ნენე და დუდუ მაგიდის ქვეშ თამაშობენ.

**გ.** აღმზრდელი ეთამაშება აღსაზრდელებს მარტივ სცენას: „მომე/მინდა“ (ილუსტრაციის სიუჟეტიდან გამომდინარე) ჯერ აუდიოჩანაწერში ნახსენები საგნებით (ბურთი, თოჯინა), ხოლო შემდეგ სხვადასხვა ვარიაციებით (ემატება სიტყვა „მანქანა“ და ცალკეულ შემთხვევებში სიტყვები პასიური ლექსიკიდან: კუბურები, წიგნი, რვეული, ფანქარი).

**1.2.2.3.** მე-7 დღიდან მესამე ილუსტრაციის ათვისება იწყება ზემოთ აღწერილი პრინციპით.

### ილუსტრაცია 1.3.

**წარწერა:** ვაი! ვაიმე!
**აღწერა:** ნენეს და დუდუს კინკლაობის შემყურე, ცნობისმოყვარე წითელი წიწაკა წიკო მაგიდიდან ჩამოვარდა და იატაკზე დაეცა. ნენე და დუდუ გაოგნებულები უყურებენ წითელ წიწაკას, რომელმაც დაცემისას იყვირა: ვაი! შეშინებული ნენე დუდუს უკან იმალება. ბოლოს ბავშვები და წიკო ერთმანეთს გაიცნობენ.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 03):**

> წიკო: ვაი!
> ნენე: ვაიმე!
> დუდუ: ეს ვინ არის?
> წიკო: მე წიკო ვარ! შენ?
> დუდუ: მე დუდუ მქვია.
> წიკო: და შენ?
> ნენე: მე ნენე მქვია.
> წამყვანის ხმა: წითელი წიწაკა წიკო მაგიდიდან ჩამოვარდა.

ძირითადი ასათვისებელი ფრაზები/ლექსიკა დღეების მიხედვით:
მე-7 დღე: ეს ვინ არის? მე წიკო/ ...ვარ.
მე-8 დღე: მე წიკო ვარ, შენ?
მე-9 დღე: მე დუდუ/ნენე/რამილი მქვია.

ამ ფრაზების ათვისებისთვის აუცილებელია ანალოგიური სცენების გათამაშება ჯგუფში აღსაზრდელების რეალური სახელების გამოყენებით.

ლექსიკის ათვისების ფაზები ანალოგიურია, როგორც 1.2.2.1. და 1.2.2.2.-ში.

## 1.3. ლოგიკური დავალებები

**მიზანი:** პერსონაჟების გაცნობა და სახელების დამახსოვრება; ახალი ლექსიკის განმტკიცება, მოტორიკის განვითარება, ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება.
**ლექსიკა:** ნენე, დუდუ, წიკო, ბურთი, მანქანა, თოჯინა.
**რესურსი:** თამაში ორობანა, ბარათები.
**დრო:** 20 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**1.3.1.** მემო (შემდგომში „ორობანა“)

პირველი და მეორე დღე არის მოსამზადებელი დღეები ლოგიკური დავალებისთვის. ამ დღეებში აღსაზრდელები აკეთებენ გასაფერადებელ და გამოსაჭრელ დავალებას ბავშვის სამუშაო რვეულიდან და ამზადებენ ბარათებს, რომლებითაც თამაშს იწყებენ ბარათების დამზადების შემდეგ (რასაც ლოგიკური დავალებებისთვის განკუთვნილ 20 წუთში ვერ მოასწრებენ, აგრძელებენ მე-8 აქტივობის/ხელგარჯილობის დროს). გვექნება სულ 6 წყვილი (ანუ თორმეტი) ბარათი: ნენე, დუდუ, წიკო, ბურთი, მანქანა, თოჯინა. წყვილის ერთ ბარათზე იქნება მხოლოდ ნახატი, ხოლო მეორეზე – ნახატი ქვეშ წარწერით (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 1.3.1., შესაბამისად, აქტივობა 1.8.1.( ა.ბ.).

აღმზრდელი უხსნის აღსაზრდელებს „ორობანას“ თამაშის წესებს. ის სვამს აღსაზრდელებს მაგიდის ირგვლივ. პირველ ეტაპზე ის იღებს სამ წყვილ ბარათს (ნენე, დუდუ, წიკო), ამოატრიალებს ბარათებს უკუღმა და დადებს მაგიდაზე ისე, რომ ნახატები არ ჩანდეს. შემდეგ აურევს ბარათებს ისე, რომ თანმიმდევრობა დაირღვეს და ამოატრიალებს ერთ ბარათს. ამის შემდეგ სთხოვს რომელიმე აღსაზრდელს, გაიმეოროს იგივე და ამოატრიალოს რომელიმე ბარათი. თუ ეს ბარათი დაემთხვა პირველს (მაგ.: ორი ბარათი დუდუს გამოსახულებით, მაშინ აღსაზრდელმა უნდა დაასახელოს ეს ბარათი – დუდუ) და წყვილი თავისთვის აიღოს. თუ ის ამოატრიალებს სხვა წყვილის ბარათს (მაგ.: ნენე), მაშინ მან უნდა თქვას ვინ/რა არის გამოსახული ბარათზე, მაგრამ ამოატრიალოს ისევ უკუღმა და დადოს თავის ადგილზე. სხვები უნდა ეცადონ, დაიმახსოვრონ, რა ბარათი დევს ამ ადგილზე, რომ, საჭიროების შემთხვევაში, გაიხსენონ. შემდეგ, ის აღსაზრდელი, რომელიც წრეში გვერდზე უზის (საათის ისრის მიმართულებით) იმ აღსაზრდელს, რომელმაც ბოლოს ამოატრიალა ბარათი, აგრძელებს თამაშს. თუ ამოატრიალებს წყვილს, მაშინ უნდა დაასახელოს ჯერ ის, რაც არის ბარათზე გამოსახული და აიღოს თავისთვის ეს წყვილი, შემდეგ კი შემდეგი ბარათი ამოატრიალოს. თუ ვერ ამოატრიალებს წყვილს, მაშინ მაინც ასახელებს, მაგრამ უკან დებს ბარათს და მის გვერდზე მჯდომი აგრძელებს თამაშს.

თავდაპირველად აღმზრდელი მხოლოდ სამი წყვილი ბარათით იწყებს თამაშს აღსაზრდელებთან, მაგრამ ნელ-ნელა ართულებს და უმატებს თითო წყვილს, ისე, რომ ორი კვირის შემდეგ აღსაზრდელებს თავისუფლად შეეძლოთ ეს თამაში ექვსივე წყვილი ბარათით (აღმზრდელისგან დამოუკიდებლადაც).

**შენიშვნა:** თავდაპირველად (ათვისების ფაზაში) უმჯობესია გათამაშდეს მთლიან ჯგუფში, ხოლო შემდეგ მცირე ჯგუფებში აღმზრდელისგან დამოუკიდებლად, თუმცა აღმზრდელმა მაინც უნდა აკონტროლოს თამაში მცირე ჯგუფებშიც.

**1.3.2.** (1.8.2.) ლოტოს ბარათების დამზადება:

ა. ნენე, დუდუ, წიკო;
ბ. ბურთი, თოჯინა, მანქანა.

თამაში ლოტოს ბარათებით („ორობანას“ თამაშიდან შეგვიძლია გამოვიყენოთ პატარა უწარწერო ბარათები).

**1.3.3.** დასაკავშირებელი დავალება ბავშვის სამუშაო რვეულიდან. აღსაზრდელებმა უნდა დაუკავშირონ ერთმანეთს ხაზებით პერსონაჟები და საგნები, ხოლო შემდეგ სწორად დაასახელონ ისინი (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული აქტივობა 1.3.3.). ნენე – თოჯინა, დუდუ – ბურთი, წიკო – მაგიდა.

**1.3.4.** დავალება ბავშვის სამუშაო რვეულიდან. აღსაზრდელებმა სწორად უნდა დაასახელონ ნახატზე გამოსახული საგნები.

ა. ნენე – თოჯინა, დუდუ – ბურთი;
ბ. გართულებული ვარიანტი: ნენე – თოჯინა, დუდუ – ბურთი, წიკო – მაგიდა.

## 1.4. მუშაობა მცირე ჯგუფებში

**მიზანი:** ახალი ლექსიკური მასალის ათვისება თამაშით, შემოქმედებითი უნარების განვითარება.
**ლექსიკა:** მომე, მინდა, არ მინდა, მანქანა/ ... მინდა
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, სათამაშოები.
**დრო:** 30 წთ.

**შენიშვნა:** აღმზრდელს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ გაანაწილოს შემოთავაზებული აქტივობების თანმიმდევრობა და სიხშირე.

**1.4.1.** დრამატული წრის აქტივობები არ ჩატარდება პირველ დღეებში, დაიწყება მე-4 დღეს, თემის მეორე ილუსტრაციის დამუშავებიდან).

**ა.** „მომე-მინდა“ – სცენის გათამაშება სიუჟეტის მიხედვით:
აღმზრდელი იმეორებს სიუჟეტურ ნახატებს და აქცენტს აკეთებს ფრაზებზე:
მომე, მინდა, არ მინდა; აჰა, შენ; ჩემია.
აღმზრდელი ჯგუფებად (სამ-სამი ბავშვი) ათამაშებს ამ სცენას და ეხმარება მათ. აღსაზრდელები თვითონ ირჩევენ სათამაშოებს: თოჯინა, მანქანა და სხვ.

**ბ.** აღსაზრდელები ირჩევენ სათამაშოებს/თოჯინებს და ათამაშებენ მოცემულ დიალოგს თოჯინებით.

**1.4.2.** სამაგიდო თამაშების წრე:
**ფაზლი:** ნენეს, დუდუს, ბურთის, მანქანის ან თოჯინის გამოსახულების აწყობა (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, შესაბამისი აქტივობა). თითოეული ბავშვი ირჩევს ამ სამიდან ერთ-ერთს,

შემდეგ ამოჭრის და შესაბამისი ზომის მუყაოს კვადრატებზე დააწებებს და აფერადებს, მას შემდეგ, რაც აღსაზრდელი ააწყობს ფაზლს, უნდა დაასახელოს კიდევაც, რა ააწყო (აღმზრდელი ყველა წრესთან მიდის რიგრიგობით და „ამოწმებს“ ამგვარად მათ ნამუშევრებს). ნენეს და დუდუს გამოსახულება ორნაწილიანია და უფრო მარტივი ასაწყობი იქნება აღსაზრდელებისთვის. ჯგუფის სიძლიერის გათვალისწინებით, აღმზრდელი სთავაზობს აღსაზრდელებს მანქანის, თოჯინის და ბურთის ოთხნაწილიან ფაზლებს.

**1.4.3.** ხელოვნების წრე:

**ა.** ბურთი: შეაერთე წყვეტილი ხაზები (დავალება ბავშვის სამუშაო რვეულიდან).

**ბ.** დავხატოთ საყვარელი სათამაშო ან სიუჟეტში მითითებული სათამაშო (აღსაზრდელებმა სწორად უნდა დაასახელონ ის საგანი, რომელსაც დახატავენ).

**გ.** დახატე საკუთარი თავი.

**1.4.4.** კუბურების წრე: „მშენებლობა“ თავისუფალ თემაზე.

## 1.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** ფიზიკური განტვირთვა, თამაშით სწავლა – ფიზიკური აქტივობების დროს ცალკეული სიტყვების, ფრაზების გავარჯიშება, ერთმანეთის უკეთ გაცნობა და სახელების დამახსოვრება.
**ლექსიკა:** საკუთარი სახელები, მე ვარ, და შენ? მინდა/არ მინდა.
**რესურსი:** ბურთი (სტიკერი).
**დრო:** 20 წთ.

**1.5.1.** ერთმანეთის სახელების დამახსოვრება:
აღსაზრდელები დგებიან წრეში. ერთ-ერთს ხელში უჭირავს ბურთი, ამბობს თავის სახელს: მაგ., ლეილა, თამაზიდა ა. შ. და ესვრის სხვას. ვინც დაიჭერს ბურთს, მან თავისი სახელი უნდა თქვას და გადაუგდოს ბურთი სხვას. ვინც ვერ იტყვის თავის სახელს, ის ტოვებს თამაშს. გამარჯვებული რჩება ის, ვინც შეცდომას არ დაუშვებს. სასურველია, აღმზრდელმა გამარჯვებულს რაიმე წამახალისებელი პრიზი გადასცეს (მაგ.: სტიკერი).

**1.5.2.** იგივე თამაში, ოღონდ აღსაზრდელები უკვე მთელ ფრაზას წარმოთქვამენ: „მე ვარ . . .“

**1.5.3.** პირველ ფრაზას („მე ვარ . . . “) ემატება მეორე ფრაზა: „და შენ?“

**1.5.4.** ვარიაცია: მე მქვია ....

**1.5.5.** გავრცობა: მე მქვია ... და შენ?

**1.5.6. – 1.5.8.** ვარიაცია: ვინც დაიჭერს ბურთს, ის ამბობს იმ ჯგუფელის სახელს, რომელმაც გადაუგდო მას ეს ბურთი. წარმოსათქმელი ფრაზები გრადაციულად რთულდება (ა. მხოლოდ სახელი, ბ. ეს ლეილაა).

**1.5.9.** ჯგუფის ათვისების პროგრესიიდან გამომდინარე, აღმზრდელს შეუძლია შემდეგი ფრაზაც შეიტანოს ერთ-ერთ ვარიაციად: „(შენ) რა გვარი ხარ?“

**1.5.10.** თამაში „მინდა/არ მინდა“:

ბავშვები იყოფიან ორ ჯგუფად, დგებიან ერთმანეთის პირისპირ. ერთი ჯგუფი ერთხმად იძახის რომელიმე ბავშვის სახელს თავისივე ჯგუფიდან. მეორე ჯგუფი ამბობს: „მინდა/არ მინდა“. უარყოფის შემთხვევაში მეორე ჯგუფი თავად ასახელებს პირველი ჯგუფიდან რომელიმე ბავშვის სახელს. არჩეული ბავშვი გამორბის და უნდა გაწყვიტოს ხელჩაკიდებული ბავშვების ჯაჭვი. თუ ვერ გაწყვეტს ჯაჭვს, რჩება იმ გუნდში, თუ წყვეტს, მიჰყავს ერთ-ერთი მოთამაშე თავის გუნდში.

**1.5.11.** თამაში „უფრთხილდი ბურთს“:

აღსაზრდელები დგებიან წრეში, თითოეული აღსაზრდელი თანმიმდევრობით ხმამაღლა ამბობს თავის სახელს. ერთ-ერთი აღსაზრდელი (წამყვანი) ბურთით ხელში დგას წრის ცენტრში. თამაშს იწყებს წრიდან ერთი მოთამაშე, რომელიც ასახელებს ერთ-ერთი სხვა მოთამაშის სახელს. ამ დროს წამყვანმა უნდა მოძებნოს დასახელებული მოთამაშე და ესროლოს მას ბურთი. დასახელებულმა მოთამაშემ სწრაფად უნდა დაიძახოს სხვა მოთამაშის სახელი, რომ არ მოხვდეს ბურთი. თუ მოასწრო დასახელება, წამყვანი რჩება ცენტრში, ხოლო თუ ვერა, მაშინ ის ხდება წამყვანი.

## 1.6. აქტივობა: ლექსი/სიმღერა/ენის გასატეხი

**მიზანი:** ქართული ბგერების წარმოთქმის დახვეწა.
**ლექსიკა:** აქცენტი კეთდება ბგერებზე: |კ|, |პ|, |ტ|, |წ| და |ყ|.
**რესურსი:** თანდართული აუდიოდისკი, ვაშლი/სხვა ხილი ან ბურთი/სხვა სათამაშო.
**დრო:** 20 წთ.

### 1.6.1. ლექსი: „კოპი“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 51)

კოპი, კოპი, ტელესკოპი,
რატომ აზით ბელებს კოპი?
წაიჩხუბნენ სულელები,
ვაშლი ჰქონდათ ერთადერთი:
არა მეო, არა – მეო,
გაულახავთ ერთმანეთი.

მაგას ჰქვია დათვობა,
არ იციან დათმობა!

(ავტორი: მ. მრევლიშვილი)

აღმზრდელს ნაწილ-ნაწილ შემოაქვს ფრაზები ლექსიდან (ყოველდღე თითო ფრაზის დამატებით). აქცენტი კეთდება თამაშზე და ბგერების ჟღერადობაზე და არა შინაარსზე. როცა

ფრაზას აითვისებენ ბავშვები, შესაძლებელია არა მხოლოდ არასწორი სიტყვა, არამედ არასწორი გამოთქმაც გახდეს თამაშიდან გავარდნის მიზეზი და ამგვარად გავარჯიშდეს წარმოთქმა.

**აქტივობის მსვლელობა:**

აღმზრდელი წრეში აყენებს აღსაზრდელებს, იღებს ხელში ვაშლს (შესაძლოა ვარიაცია სხვა ხილით ან სათამაშოთი) და იწყებს ბავშვებთან ერთად გათვლას პირველი ფრაზით – კოპი, კოპი ტელესკოპი, – რასაც თან ახლავს ჟესტიკულაცია ვაშლით (ისე, როგორც ეს არის გასათვლელ თამაშში): თითოეულ მარცვალზე მიუთითებს სხვადასხვა აღსაზრდელზე ვაშლით ხელში) – ის ბავშვი, რომელიც გავარდება წრიდან, იღებს ვაშლს აღმზრდელისგან და თვითონ ამბობს გასათვლელ ფრაზას სხვა აღსაზრდელებთან ერთად. თუ ფრაზას ვერ გაიმეორებს ან არასწორად გაიმეორებს, თვითონაც გავარდება თამაშიდან და გვერდით მდგომს გადასცემს ვაშლს. ვინც ბოლო აღმოჩნდება და გავარდება, ის მიიღებს ვაშლს თავისი წინამორბედისგან და თავიდან იწყებს გათვლას წრეში. ვინც ბოლოს დარჩება, ის არის გამარჯვებული და მას დარჩება ვაშლი, რომელსაც აღმზრდელი გათლის ან გარეცხავს და პატარა ნაჭრებად დაყოფილს გაუნაწილებს ყველას (მორალი: სიყვარულის და სითბოს გაყოფის პრინციპი).

მეორე ან მესამე დღეს (აღსაზრდელების ათვისების უნარის გათვალისწინებით) ფრაზა რთულდება, მას ემატება ლექსის მეორე სტრიქონიც: კოპი, კოპი ტელესკოპი, რატომ აზით ბელებს კოპი? გათამაშების პრინციპი იგივეა. ასე გრძელდება შემდეგ დღეებშიც ორი კვირის მანძილზე. ენის გასატეხს თითო დღეს ემატება თითო სტრიქონი, თუმცა ზოგიერთ დღეს შეიძლება არ დავუმატოთ ფრაზა და მხოლოდ გავიმეოროთ/განვამტკიცოთ ნასწავლი. ორი კვირის ბოლოს თითოეულ აღსაზრდელს ათვისებული უნდა ჰქონდეს ეს ენის გასატეხი.

> **შენიშვნა:** აღმზრდელმა ყურადღება უნდა მიაქციოს თითოეული აღსაზრდელის წარმოთქმას და შიგადაშიგ შეუსწოროს ხოლმე.

**1.6.2. ლექსი: „ბურთი“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 52)**

(აქტივობის მსვლელობა იგივეა, რაც 1.6.1.-ში)

ჩემი ბურთი წითელი,
წითელი, წითელი,
დედიკომ რომ მიყიდა,
მიყიდა, მიყიდა.
როგორ მეთამაშება,
როგორ მეთამაშება,
ახტება და დახტება,
ახტება, დახტება.

(ავტორი: ს. ბაქრაძე)

**1.6.3.** აღმზრდელი ასმენინებს აღსაზრდელებს სიმღერას მულტფილმიდან „თოვლის გუნდა“. აღმზრდელი ამ დროს ცეკვავს აღსაზრდელებთან ერთად.

შემდეგ დღეებში აღსაზრდელები ცეკვის დროს აღმზრდელთან ერთად ნელ-ნელა იწყებენ სიმღერას (თავიანთი სურვილისამებრ) მუსიკალური ჩანაწერის თანხლებით.

## 1.7. მუსიკა/მანდალა, მულტფილმი/ზღაპარი

**მიზანი:** აღსაზრდელები ყურს აჩვევენ ქართულ ბგერებს, მათ გამოთქმას და ასევე ინტონაციას/მელოდიას.
**ლექსიკა:** პასიური ლექსიკური მარაგი.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მულტფილმები, მშვიდი მელოდიები, ქართული სიმღერები ან აუდიო-ზღაპრები.
**დრო:** 20 წთ.

**1.7.1.** ბავშვები მშვიდი მელოდიის, ქართული სიმღერის ან აუდიოზღაპრის ფონზე აფერადებენ მანდალას ან ხატავენ. ზღაპრის ახსნა-გაგება არ არის საჭირო, ამ აქტივობის დროს ზღაპარს მელოდიის ფუნქცია აქვს, რათა ბავშვებმა ქვეცნობიერად შეაჩვიონ ყური ქართული ბგერების ჟღერადობას და ინტონაციას.

**1.7.2.** აღმზრდელი აჩვენებს აღსაზრდელებს რომელიმე ქართულ ან ქართულ ენაზე კარგად თარგმნილ მულტფილმს შემდეგი ჩამონათვალიდან: „გოგონა და შადრევანი“, „ბომბორა 1“, „ბომბორა 2“, „სოფლის მაშენებლები“.

**შენიშვნა:** აღმზრდელს შეუძლია ესა თუ ის მულტფილმი გამეორებით აჩვენოს რამდენიმე დღის განმავლობაში.

**1.7.3.** აღმზრდელი ათვალიერებინებს აღსაზრდელებს რომელიმე ილუსტრირებული ზღაპრების წიგნს და ჯერ აცნობს პერსონაჟებს, ხოლო შემდეგ მარტივად უყვება ზღაპარს (აქტივობის მსვლელობის აღწერა დაწვრილებით იხილეთ 0.7.-ში).

**შენიშვნა:** აღმზრდელი ანაწილებს ამ აქტივობებს ორი კვირის მანძილზე თავისი შეხედულებისამებრ ჯგუფის დონისა და ინტერესების გათვალისწინებით. დასაშვებია, ერთი და იგივე აქტივობის რამდენჯერმე გამეორება.

## 1.8. ხელგარჯილობა

**მიზანი:** აღსაზრდელის სხეულის წვრილი კუნთების კონტროლი და კოორდინირებული მოქმედება, ფანტაზიის უნარის განვითარება, ახალი ლექსიკის ათვისება ვიზუალური ხატის მეშვეობით.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, მაკრატელი, ფურცლები, ფანქრები, მუყაო, გუაში, ფუნჯები, მაკრატელი, მუყაოს ყუთი, მავთული, ღია ფერის ფერადი ქაღალდი.
**დრო:** 30 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**1.8.1.** ა და ბ „ორობანას“ (იგივე „მემოს“) თამაშისთვის ბარათების მომზადება (იხ. აქტივობა 1.3.1. სამუშაო რვეულში).

**1.8.2.** ა და ბ ლოტოს ბარათების დამზადება (1.3.2.).

**1.8.3.** აღმზრდელი უწერს აღსაზრდელებს ბარათებზე თავიანთ სახელებს, ხოლო აღსაზრდელები აწებებენ ამ ბარათებზე თავიანთ ფოტოსურათებს. ეს ბარათები დაეკრობა მათ სამუშაო ადგილებზე ან ქურთუკების საკიდების/უჯრის თავზე, რათა აღსაზრდელებმა ფოტოგრაფიული კითხვის მეთოდით ისწავლონ თავიანთი სახელების წერა.

**1.8.4.** აღმზრდელი ურიგებს ბავშვებს ცარიელ ფურცლებს. მათ უნდა ჩააკრან საკუთარი ფოტო. თან თქვან: მე ვარ...

**1.8.5.** აღსაზრდელებმა უნდა დახატონ საკუთარი თავი. თან თქვან: მე ვარ...

**1.8.6.** მანქანის დამზადება მუყაოსგან (აღმზრდელის ინტენსიური დახმარებით):

**ა.** ავიღოთ მუყაოს ფეხსაცმელების ყუთი (ან ნებისმიერი პატარა ზომის ყუთი) და გვერდებზე დავახატოთ ფანჯრები. შემდეგ გამოვჭრათ ეს ფანჯრები. ფანჯრებს შიგნიდან ავაკრათ ღია ფერის ფერადი ქაღალდი. ყუთის ღია ნაწილთან ერთმანეთის მოშორებით გავატაროთ ორი მავთული და მათზე დავამაგროთ მუყაოსგან გამოჭრილი წრეები.

**ბ.** მეორე დღეს შევღებოთ მუყაოს მანქანა გუაშის საღებავებით.

## 1.9. შემაჯამებელი აქტივობა

ჯგუფის სიძლიერიდან გამომდინარე, თუ დარჩა დრო, შეიძლება ქაღალდის ნავის გაკეთების სწავლა (იხ. დანართი). სასურველია ნასწავლის შეჯამება-გამეორებაც.

# თემა 2 ბოსტანში

**(კვირა 3/4)**

## 2.1. შესავალი: მოწესრიგება და სიმღერა

**მიზანი:** მოწესრიგება და დღის აქტივობებისათვის მომზადება.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“, „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და მისთ.), ლექსების ტექსტები თანდართული აუდიოდისკიდან (მაგ. „დამიკარი თავი“).
**დრო:** 20 წთ.

## 2.2. ძირითადი თემა:

**მიზანი:** 1. ნაცნობი სიტყვების აქტივაცია.
2. ახალი ლექსიკის „დაშენება“.
**აქტიური ლექსიკა:**კიტრი, პამიდორი, სტაფილო, ლობიო, კომბოსტო, კარტოფილი, ბადრიჯანი
მწვანე, წითელი, სტაფილოსფერი, შავი
კიტრიც, პამიდორიც, ძმაც
ბატონო, ქალბატონო
ეს ....აა.
თმა, წყალი
აგერ
აი, უჰ
ეს კომბოსტოა, ეს ბადრიჯანია....
დიდი, პატარა

## ილუსტრაცია 2.1.

**აღწერა:** წიკო ნენეს და დუდუს ბოსტანში წაიყვანს, სადაც ბოსტნეულების „სოფელია“ გაშენებული. ილუსტრაციაზე ჩანს კიტრის, პამიდვრის, სტაფილოს, მწვანე ლობიოს, კომბოსტოს, კარტოფილის, ბადრიჯნის სახლები. ყველა ბოსტნეული თავისი სახლის წინ საქმიანობს ან ისვენებს. ბოსტნეულის სახლები მათივე მცენარეების ქვეშაა მოწყობილი და სახურავებად მათივე ფოთლები აქვს. პამიდვრის სახლის წინ ზის პატარა მწვანე პამიდორი და ცხარე ცრემლებით ტირის. შეწუხებული დედა – პამიდორი სარეცხს რეცხავს.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 04):**

> მწვანე პამიდორი: დედა, დედა, მე პამიდორი ვარ?
> დედა – პამიდორი: კი, პამიდორი ხარ.

მწვანე პამიდორი: პამიდორი წითელია. მე მწვანე ვარ!
ნენე: მწვანე პამიდორი!
მწვანე პამიდორი: (ტირილი)... დედა, აი, წიკოც წითელია!
წიკო: მერე რა! აგერ, ჩემი ძმაც მწვანეა და კიტრიც მწვანეა!
წამყვანი:
წიკო წითელია. ... დიდი პამიდორიც წითელია.
....
პატარა პამიდორი მწვანეა. ...კიტრიც მწვანეა.

**აქტიური ლექსიკა:**
დედა, ძმა
პამიდორი, კიტრი
წითელი, მწვანე
-ც
ხარ
აგერ
**ნაცნობი ლექსიკა:** მე ვარ, შენ, (ხარ), კი, ჩემი.
**პასიური ლექსიკა:** მერე რა.

**შენიშნვა:** აღმზრდელს შეუძლია თავად დაადგინოს 2.2.1. – 2.2.8. აქტივობების თანმიმდევრობა, რა თქმა უნდა, ლოგიკური ჯაჭვის გათვალისწინებით.

**2.2.1.** აღმზრდელი უთითებს მეორე თემის პირველ ილუსტრაციაზე და გაახსენებს აღსაზრდელებს პერსონაჟებს.

**2.2.2.** აღმზრდელი ილუსტრაციების გამოყენებით აღსაზრდელებს აცნობს ახალ ლექსიკურ ერთეულებს:

**ა.** აღმზრდელი რამდენჯერმე მიუთითებს პირველ ილუსტრაციაზე, მაგ.: პამიდორზე/კიტრზე და ა. შ და თან ასახელებს.

**ბ.** აღმზრდელი მიუთითებს და ასახელებს ხან სწორად, ხან – შეცდომით, თუ აღმზრდელმა სწორად დაასახელა, აღსაზრდელები ამბობენ „კი“-ს (ან ჯგუფის დონის გათვალისწინებით „დიახ-ს“), თუ არასწორად – „არა“-ს.

**გ.** აღმზრდელი ასახელებს საგნებს და აღსაზრდელები მიუთითებენ სურათზე შესაბამის საგანზე.

**დ.** აღმზრდელი უთითებს საგნებს სურათზე, აღსაზრდელებმა უნდა დაასახელონ.

ამ პრინციპით დამუშავდება თემის ძირითადი ლექსიკა.

**2.2.3.** ახალი ლექსიკის ათვისების შემდეგ აღმზრდელი აღსაზრდელებს ამუშავებს ტექსტის გაგებაზე მარტივი წინადადებების სახით. კერძოდ, ასმენინებს მოცემული ილუსტრაციისთვის გათვალისწინებულ აუდიოტექსტს და მიუთითებს შესაბამის პერსონაჟზე.

**ილუსტრაცია 2.1.**

მწვანე პამიდორი: დედა, დედა, მე პამიდორი ვარ?
დედა – პამიდორი: კი, პამიდორი ხარ.
მწვანე პამიდორი: პამიდორი წითელია. მე მწვანე ვარ!
ნენე: მწვანე პამიდორი!
მწვანე პამიდორი: (ტირილი)... დედა, აი, წიკოც წითელია!
წიკო: მერე რა! აგერ, ჩემი ძმაც მწვანეა და კიტრიც მწვანეა!

ცალკეული წინადადებების გაგების შემდეგ აღმზრდელი კიდევ ერთხელ უბრუნდება მთლიან ილუსტრაციას და ასმენინებს წამყვანის ტექსტს:
წამყვანი:
წიკო წითელია. ... დიდი პამიდორიც წითელია.
....
პატარა პამიდორი მწვანეა ....კიტრიც მწვანეა.

აღსაზრდელები მიუთითებენ შესაბამის ილუსტრაციებს.

ილუსტრაციების შინაარსის უკეთ გასაგებად აღმზრდელი არეულად ამბობს წინადადებებს, ხოლო აღსაზრდელები აჩვენებენ შესაბამის ილუსტრაციებს.

2.2. და 2.3. ილუსტრაციების ათვისება ხდება პირველი ილუსტრაციის მსგავსად.

**ილუსტრაცია 2.2.**

**წარწერა:** გამარჯობა, ბატონო სტაფილო! გამარჯობა, ქალბატონო ლობიო!
**აღწერა:** წიკო, ნენე და დუდუ ისევ ბოსტან-სოფელში არიან. კუთხეში ჩანს: მწვანე პამიდორი წიკოს მწვანე ძმას და პატარა კიტრს ეთამაშება. ცენტრალურ ნაწილში ჩანს: სტაფილო (პარიკმახერი) ჭრის თმას შავთმიან კარტოფილს. ხელში უჭირავს მაკრატელი, კარტოფილი ზის სკამზე. იქვე დგას და ელოდება ბადრიჯანი, რომელიც სარკეში იხედება და თმას ისწორებს. თავის რიგს ელოდება პრანჭია მწვანე ლობიოც.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 05):**

დუდუ: ჰი-ჰი-ჰი... სტაფილოსფერი სტაფილო, ჰი-ჰი-ჰი...
წიკო: გამარჯობა, ბატონო სტაფილო.
ნენე: დუდუ, ნახე, კარტოფილი! (ნენეს და დუდუს უკვირთ, რომ კარტოფილს შავი თმა აქვს.)
დუდუ: ჰი-ჰი-ჰი... შავი თმა.

ნენე (ექაჩება დუდუს სახელოზე): დუდუ, დუდუ, ნახე, ბადრიჯანი!
წიკო: ჩუ, ჩუ, ჩუ!
ბადრიჯანი: გამარჯობა, წიკო.
ნენე და დუდუ: ჰა-ჰა-ჰა...
წიკო: ჩუ! გამარჯობა, ქალბატონო ლობიო.
ლობიო: გამარჯობა, წიკო.
ნენე: ჰი-ჰი-ჰი... ქალბატონო ლობიო!
წიკო: ჩუ!
...
ბადრიჯანი, ლობიო და კარტოფილი,
კიტრი და პამიდორი, სტაფილო,
მიდიოდნენ ერთად ბოსტანშიო,
ბოსტანშიო, ბოსტანში. (2-ჯერ)

**ილუსტრაცია 2.3.**

**წარწერა:** წყალი მინდა!
**აღწერა: ბ**ოსტან-სოფელში კომბოსტო ჭკნება უწყლოდ. იქვე არის პატარა წყარო. დუდუ სარწყავით მოუტანს წყალს და დაალევინებს. ნენე და წიკო უყურებენ, როგორ რწყავს დუდუ კომბოსტოს. პამიდორს და ბადრიჯანს ვედროთი მოაქვს წყალი. სტაფილო და კიტრი წყაროსთან დგანან და ვედროებს ავსებენ.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 06):**

კომბოსტო: წყალი მინდა, წყალი!
ნენე: ჩქარა, დუდუ, წყალი!
დუდუ: აი, წყალი!
კომბოსტო: უჰ, წყალი...
...
წამყვანი: საწყალი კომბოსტო! წყალი, წყალი, ჩქარა!

**2.2.4.** აღმზრდელი აღსაზრდელებს აცნობს და აგებინებს ძირითად ფერებს: წითელს (წიკო, პამიდორი), მწვანეს (პატარა პამიდორი, კიტრი, წიკოს ძმა), შავს (კარტოფილის თმა) და სტაფილოსფერს (სტაფილო).

**შენიშვნა:** უმჯობესია, აღსაზრდელებმა ფერები აითვისონ გარკვეულ კონტექსტში ფრაზების სახით, მაგალითად, წითელი პამიდორი, მწვანე კიტრი ა. შ. რადგანაც ფერი აბსტრაქტული ცნებაა და ბავშვს მისი გაცნობიერება/დამახსოვრება კონკრეტულ საგანთან კავშირში უფრო უადვილდება, ვიდრე იზოლირებულად. როცა აღსაზრდელები მეტ-ნაკლებად გაეცნობიან ფერებს, მერე შეიძლება ფერების აბსტრაგირება და სხვადასხვა კონტექსტში გადატანა.

**2.2.5.** ა. დამატებითი აქტივობა (აღმზრდელის შეხედულებისამებრ).
ფერების გაგება შემდეგნაირად მოხდება:

- აღმზრდელი ხატავს ფურცელზე ყვითელ მზეს და მწვანე ბალახს, ლურჯ ცას (წითელ წიწაკას ან პამიდორს) და ამბობს:
  აი, მწვანე ბალახი.
  აი, ლურჯი ცა.
  აი, ყვითელი მზე.
  აი, წითელი წიწაკა/პამიდორი.

- აღმზრდელი თავის ნახატებს უთითებს და ასახელებს ხან სწორად, ხან – არასწორად. თუ აღმზრდელმა სწორად დაასახელა, აღსაზრდელები ამბობენ „კი“-ს, თუ არასწორად – „არა“-ს.

- შემდეგ აღმზრდელი სთხოვს აღსაზრდელებს ჯერ დახატონ მწვანე ბალახი, შემდეგ ყვითელი მზე.

- აღსაზრდელები ხატვის პროცესში ასახელებენ, თუ რას ხატავენ: (აი,) მწვანე ბალახი, ლურჯი ცა, წითელი პამიდორი, მწვანე კიტრი და ა.შ.

**2.2.5.** ბ. დამატებითი აქტივობები ფერებთან დაკავშირებით:

- აღმზრდელი უჩვენებს სხვადასხვა ფერის ფურცლებს, აღსაზრდელები ასახელებენ.

- აღმზრდელი ჯგუფს დაჰყოფს 4 ნაწილად. თითოეულ ჯგუფს დაურიგებს თითო ფერის ფურცელს ან ფანქარს, შემდეგ დაასახელებს ფერს. ის ჯგუფი, რომელსაც იმ ფერის ფურცელი ან ფანქარი აქვს, მას მაღლა წევს.

- აღმზრდელი ყველა აღსაზრდელს მისცემს პატარა ნაწილებად დაჭრილ ყველა ფერის ფურცელს. შემდეგ დაასახელებს ფერს. აღსაზრდელებმა უნდა მოძებნონ შესაბამისი ფერის ფურცელი და აჩვენონ აღმზრდელს.

- აღმზრდელი მიუთითებს სხვადასხვა საგანზე, აღსაზრდელებმა უნდა თქვან, რა ფერისაა (აღმზრდელი ყურადღებას ამახვილებს იმ ფერებზე, რომლებზეც იმუშავეს).

- აღმზრდელი მიუთითებს ამა თუ იმ საგანზე და აღსაზრდელები ჯგუფურად ან ინდივიდუალურად პასუხობენ, რა ფერია.

**2.2.6.** აღმზრდელი აღსაზრდელებს შემდეგნაირად აგებინებს სიტყვების „დიდის“ და „პატარას“ მნიშვნელობებს;

- აღმზრდელი უთითებს ნაცნობ საგნებსა და ნივთებზე, რომლებიც მოცემულ ოთახში მოეპოვებათ (როგორც დიდი, ასევე პატარა ზომის) და ამბობს. მაგ.; დიდი მანქანა, შემდეგ უთითებს პატარა მანქანაზე და ამბობს: პატარა მანქანა. ანალოგიურად გააკეთებს შემდეგ სხვა საგნებზეც.

- აღმზრდელი სთხოვს აღსაზრდელებს აჩვენონ დიდი თოჯინა, დიდი სკამი, პატარა თოჯინა, პატარა სკამი და ა. შ.
- შემდეგ აღსაზრდელები ასახელებენ: ეს დიდი მანქანაა, ეს პატარა მანქანაა და ა. შ.

**2.2.7.** ინსტრუქციის მისაცემად საჭირო ზოგიერთი სიტყვების/ფრაზების დასამახსოვრებლად და ასათვისებლად აღმზრდელი თითქმის ყველა გაკვეთილზე იძლევა მითითებებს: მომიტანე..., წაიღე..., დახურე..., გააღე..., გადაშალე..., მიეცი..., გააფერადე..., გამოჭერი... და სხვ.

## 2.3. ლოგიკური დავალებები

**მიზანი:** ახალი მასალის ათვისება-გავარჯიშება და ძველის გამეორება-განმტკიცება თამაშით; ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება.

**ლექსიკა:**

ძველი: მანქანა, ბურთი, თოჯინა.

ახალი: კიტრი, პამიდორი, სტაფილო, ლობიო, კომბოსტო, კარტოფილი, ბადრიჯანი, მწვანე, წითელი, დიდი, პატარა.

**რესურსი:** თამაშები.

**დრო:** 20 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**მითითება აღმზრდელისთვის:** მოცემული აქტივობების თანმიმდევრობა აღმზრდელის შეხედულებისამებრ შეიძლება იყოს შერჩეული. ზოგიერთი აქტივობა გამეორდება (აქტივობები გათვლილია ორ კვირაზე ანუ 10 სასწავლო დღეზე, თუმცა ჯგუფის სიძლიერიდან გამომდინარე, შესაძლებელია დროითი ბადის შეცვლაც).

**2.3.1.** ლაბირინთი: მიიყვანე პატარა პამიდორი დედა პამიდორთან (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 2.3.1.).

**2.3.2.** რომელია ზედმეტი: ნენე, დუდუ, წიკო, კუბურები (აღსაზრდელები ასახელებენ ზედმეტ საგანს, გადახაზავენ მას და შემდეგ აფერადებენ დანარჩენს (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**2.3.3.** რომელია ზედმეტი: ბურთი, კუბურები, თოჯინა, ნენე (აღსაზრდელები ასახელებენ ზედმეტ საგანს, გადახაზავენ მას და შემდეგ აფერადებენ დანარჩენს. (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**2.3.4.** რომელია ზედმეტი: კიტრი, პამიდორი, სტაფილო, ბურთი (აღსაზრდელები ასახელებენ ზედმეტ საგანს, გადახაზავენ მას და შემდეგ აფერადებენ დანარჩენს. (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**2.3.5.** „ორობანა“ (დამატებითი ბარათები მზადდება აქტივობა 2.8.1.-ის დროს): ძველი ბარათები: ნენე, დუდუ, წიკო, მანქანა, თოჯინა, ბურთი. ახალი ბარათები: პამიდორი, კიტრი, ბადრიჯანი, სტაფილო, კარტოფილი, კომბოსტო, ლობიო, წიწაკა. (დასაშვებია ვარიაციები ბარათების სხვადასხვა რაოდენობით).

**2.3.6.** ლოტო: (ბოსტნეულის ლოტოს დიდი ბარათები მზადდება აქტივობა 2.8.2.-ის დროს, ხოლო პატარა ბარათებად შეიძლება „ორობანას“ ბარათების გამოყენება, რომლებიც მზადდება აქტივობა 2.8.1.-ის დროს). ძველ ბარათებს პირველი თემიდან ემატება ახალი ბარათები ბოსტნეულის თემაზე.

აღმზრდელი ურიგებს აღსაზრდელებს დიდ ბარათებს, რომლებზეც ხატია 6 მცირე გამოსახულება: პამიდორი, კიტრი, ბადრიჯანი, სტაფილო, კარტოფილი, ლობიო. აღმზრდელს თვითონ უჭირავს პატარა ბარათები და რიგრიგობით ასახელებს თითოეულს. მაგ.: აჩვენებს აღსაზრდელებს პატარა ბარათს, რომელზეც კიტრია გამოსახული. ის, ვისაც დიდ ბარათზე კიტრის სურათი აქვს, ამბობს: „ეს კიტრია“, აღმზრდელი აძლევს მას ამ ბარათს და ის თავის დიდ ბარათზე შესაბამის ადგილზე დებს პატარა ბარათს. ვინც არ დაასახელებს, ის რჩება ბარათის გარეშე. გამარჯვებული არის ის, ვინც სრულად შეავსებს დიდ ბარათებს.

**2.3.7.** დასახატი დავალება: „დაუხატე სტაფილოს ფოთლები“ (აღსაზრდელები შეაერთებენ წერტილებს და დახატავენ ფოთლების კონტურებს, იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**2.3.8.** გასაფერადებელი დავალება: „კიტრი“ (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**2.3.9. ა.** გააგრძელე კანონზომიერება (დიდი და პატარა პამიდორი). ნახატზე გამოსახულია ერთი დიდი და ერთი პატარა ზომის ბოსტნეული, ბავშვმა უნდა განაგრძოს ხატვა იგივე თანმიმდევრობით. (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**ბ.** გააგრძელე კანონზომიერება: დიდი და პატარა პამიდორი და დიდი და პატარა სტაფილოს კონტური, დიდი კიტრის კონტური (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**2.3.10.** ბოსტნეულის დახარისხება (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

აღსაზრდელები ახარისხებენ სხვადასხვა ბოსტნეულის ნახატს (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული) ან თვითონ ბოსტნეულს სხვადასხვა ჯამში აღმზრდელის მიერ მითითებული ნიშნის მიხედვით:

**ა.** გააფერადე და შემოხაზე ერთი ფერის ბოსტნეული: (მწვანე ბოსტნეული, წითელი და ა. შ.);

**ბ.** გამოჭერი და ერთად დააჯგუფე ერთი სახეობის ბოსტნეული (ანუ კარტოფილი ერთად, ჭარხალი ერთად და ა.შ);

**2.3.11.** ორ ნახატს შორის იპოვე და შემოხაზე 3 განსხვავება (სურვილის შემთხვევაში, გაფერადებაც შეიძლება). (იხ. შესაბამისი დავალება სამუშაო რვეულში).

**2.3.12.** თემის მეორე ილუსტრაცია პერსონაჟების თავების გარეშე, აღსაზრდელებმა თვითონ უნდა ააწყონ ნახატი (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

## 2.4. მუშაობა მცირე ჯგუფებში

**მიზანი:** ახალი მასალის ათვისება-გავარჯიშება თამაშით.
**ლექსიკა:** კიტრი, პამიდორი, სტაფილო, ბადრიჯანი, კარტოფილი, ლობიო, წიწაკა, კომბოსტო.
**რესურსი:** ილუსტრაციები, სათამაშოები.
**დრო:** 30 წთ.

**2.4.1.** დრამატული წრე.
დრამატული კუთხის ნაწილი მოწყობილია ბოსტანივით, გაფანტულია პლასტმასის ბოსტნეული, ნაწილი არის ბოსტნეულის მაღაზია დახლით, ნაწილი კი სამზარეულოა. შესაძლოა, ნამდვილი ბოსტნეულის გამოყენებაც. აღმზრდელები გაანაწილებენ როლებს ბავშვების სურვილის მიხედვით და წაახალისებენ მათ, აიღონ მოსავალი, შეაგროვონ კალათებში ან ყუთებში, გაყიდონ და იყიდონ მაღაზიაში, დაამზადონ ბოსტნეულის საჭმელები.

**2.4.2.** სამაგიდო თამაშების წრე.

**ა.** ლოტო ბოსტნეულზე.

**ბ.** ფაზლი ბოსტნეულზე (იხ. სამუშაო რვეულში ორი ფაზლი: 2.4.2. კიტრი, პამიდორი).

**გ.** ნებისმიერი მზა ფაზლის აწყობა (მაგ., ფაზლი წიგნებიდან).

**2.4.3.** ხელოვნების წრე.
ბოსტნეულის გამოძერწვა:
ყავისფერი ფერის პლასტილინის პატარა ნაწილს ვამრგვალებთ, ვაძლევთ კარტოფილის ფორმას, მწვანე ფერის პლასტილინს ვაძლევთ მოგრძო, კიტრის ფორმას და ა. შ.

**2.4.5.** კუბურების წრე: ვაშენებთ ბოსტანს.
ბავშვები კუბურების მეშვეობით აწყობენ სახლებს პლასტმასის ბოსტნეულისთვის.

## 2.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** ფიზიკური განტვირთვა, თამაშით სწავლა – ფიზიკური აქტივობების დროს ცალკეული სიტყვების, ფრაზების გავარჯიშება, უკეთ დამახსოვრება.
**ლექსიკა:** საკუთარი სახელები, მე ვარ, და შენ? მინდა/არ მინდა.
**რესურსი:** ბურთი (სტიკერი), ბოსტნეული.
**დრო:** 20 წთ.

**2.5.1.** მოძრავი თამაში „მიგორავს პამიდორი“.
აღმზრდელის მოწოდებაზე აღსაზრდელები იწყებენ კოტრიალს ხალიჩაზე.

**2.5.2. ა.** ესტაფეტა „გადაეცი კარტოფილი/სტაფილო“ (დასაშვებია ბოსტნეულის სხვა სახეობებიც).

მოთამაშეები იყოფიან ორ გუნდად: „კარტოფილებად და სტაფილოებად“. ეს გუნდები ეჯიბრებიან ერთმანეთს სირბილში, კერძოდ, მირბიან ბოსტნეულით ხელში გარკვეულ ადგილამდე, მორბიან უკან და აწვდიან თანაგუნდელს ამ ხილს. გამარჯვებულია ის გუნდი, რომლის ბოლო მოთამაშეც პირველი მივა ფინიშთან.

**ბ.** ესტაფეტა „გაავსე ტომარა/კალათი კარტოფილით/სტაფილოთი“ (დასაშვებია ბოსტნეულის სხვა სახეობებიც).

მოთამაშეები იყოფიან ორ ჯგუფად. ჯერ ერთი ჯგუფი თამაშობს, შემდეგ – მეორე. აღმზრდელი კი დროს ინიშნავს (მაგ.: 5 წუთი). გარბენის დროს გუნდის წევრები ერთი ადგილიდან აიღებენ ბოსტნეულს და ჩააგდებენ მეორე მხარეს მდგარ კალათში/ტომარაში. მოთამაშემ სწორად უნდა დაასახელოს ის ხილი, რომელსაც აგდებს კალათში/ტომარაში. თუ ის არასწორად იტყვის სიტყვას, მას ქულა არ ეთვლება და აღმზრდელი ამოიღებს ხილს კალათიდან/ტომრიდან. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც უფრო მეტს შეაგროვებს კალათაში/ტომარაში.

**2.5.3.** თამაში „გამოიცანი, რას ჭამ?“
თვალახვეულ აღსაზრდელს ასინჯებენ ნაჭრებად დაჭრილ ბოსტნეულს (კარტოფილი, სტაფილო, კომბოსტო, კიტრი, პომიდორი). აღსაზრდელმა სწორად უნდა დაასახელოს, რაც ჭამა.

**შენიშვნა:** იმისთვის, რომ კარტოფილის გამოყენება შევძლოთ ამ თამაშში, აუცილებელია მოხარშული კარტოფილის მომარაგება.

**2.5.4.** ბოსტნეულის შეგროვება.
ჯგუფში დევს სხვადასხვა სახის ბოსტნეული (ან ბარათები მათი გამოსახულებით). ბავშვები აგროვებენ ამ ბოსტნეულს. აღმზრდელის ნიშანზე წყვეტენ შეგროვებას და ჩამოთვლიან, ვინ რა შეაგროვა. მოგებულია ის, ვისაც მეტი ბოსტნეული აქვს და სწორად ჩამოთვლის ყველას.

**2.5.5.** დაასახელე ბოსტნეული.
აღსაზრდელები დგებიან წრეში, ერთ-ერთი აღსაზრდელი ბურთით ხელში დგას წრის ცენტრში. თამაშს იწყებს წრიდან ერთი მოთამაშე, რომელიც ასახელებს ერთ-ერთი ბოსტნეულის სახელს და ესვრის ბურთს სხვა მოთამაშეს. მოთამაშემ სწრაფად უნდა დაიძახოს სხვა ბოსტნეულის სახელი, თუ მოასწრო დასახელება, წამყვანი რჩება წრეში, ხოლო თუ ვერ მოასწრო, გადის.

**მიზანი:** ფონემატური სმენის განვითარება, სპეციფიკური ბგერების გამოთქმაზე ვარჯიში.
**ლექსიკა:** ლექსი, გამოცანის ან ენის გასატეხის საკვანძო **ლექსიკა:** დათვი, თაფლი
**რესურსი:** აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო/თანდართული აუდიოდისკი და სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მულტფილმები, მშვიდი მელოდიები, ქართული სიმღერები ან აუდიოზღაპრები, ზღაპრების წიგნი, მანდალები.
**დრო:** 20 წთ.

**2.6.1.** (იხ. აქტივობა 0.6. და 1.6.1.-ის აღწერა).

**ა. გამოცანა (აუდიოდისკი, ჩანაწერი 53)**

ძილი უყვარს ძალიან,
უფრო მეტად – თაფლი,
ბაჯბაჯა და მსუქანა,
რა იქნება? – (დათვი!)

(ავტორი: ნ ჯანაშია)

**ბ. ენის გასატეხი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 54)**

დიდი დათვი დრუნჩიანი,
დუდღუნა და დანდალაო,
დილით ადრე წამომდგარა
თაფლის ჭამით დამთვრალაო.
დამთვრალა და, და, და, და!
რა დიდგულა გამხდარაო!

(ავტორი: გ. ჭიჭინაძე)

**2.6.2.** „კიკლი-კიკლი“.

აღმზრდელი თანდართული აუდიოდისკის თანხლებით აცნობს აღსაზრდელებს ამ ლექსს. აქტივობა გრძელდება რამდენიმე დღის განმავლობაში და აღსაზრდელები ნელ-ნელა აყვებიან აღმზრდელს/აუდიოდისკს.

ვარიაცია: იხ. აქტივობა 1.6.1.

**ლექსი: „კიკლი-კიკლი“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 55)**

კიკლი –
კიკლი,
კიბესა,
ყურცქვიტების ციხესა
ბაჭიები სკუპიან,
მელა კბილებს ილესავს:
– სტაფილო მაქვს ჩანთითო,

აქეთ, ჩამობრძანდითო!
– არ ჩამოვალთ, არაო,
მელა მატყუარაო!

(ავტორი: მ. მრევლიშვილი)

**2.6.3.** აღმზრდელი აღსაზრდელებს ასმენინებს სიმღერას „თოვლის გუნდა“, ბავშვები მღერიან გუნდურად.

## 2.7 მუსიკა/მანდალა/თავისუფალი ხატვა, მულტფილმი/ზღაპარი

**მიზანი:** ფონემატური სმენის განვითარება.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მულტფილმები, მშვიდი მელოდიები, ქართული სიმღერები ან აუდიო-ზღაპრები.
**დრო:** 20 წთ.

**2.7.1.** მშვიდი მელოდია/სიმღერა მანდალას გაფერადების თანხლებით.

**2.7.2.** თავისუფალი ხატვა, რომლის დროსაც აღმზრდელი ავარჯიშებს აღსაზრდელებს ფერების გამოყენებაზე. მაგ.: თუ აღსაზრდელი ხატავს მზეს, ამბობს: ყვითელი მზე, თუ ხატავს ბალახს – მწვანე ბალახი (წითელი ბურთი, ლურჯი ცა).

**2.7.3.** აღსაზრდელები უყურებენ მულტფილმს „თოვლის გუნდა“ და ვიზუალურად ადევნებენ თვალს უკვე ნაცნობ სიმღერას ამ მულტფილმიდან.

**2.7.4.** აღმზრდელი აჩვენებს აღსაზრდელებს რომელიმე ქართულ მულტფილმს.

> **შენიშვნა:** აღმზრდელს შეუძლია ესა თუ ის მულტფილმი განმეორებით აჩვენოს რამდენიმე დღის განმავლობაში.

**2.7.5.** ილუსტრაციების მიხედვით ზღაპრის კითხვა (აქტივობის მიზანი და აღწერილობა იხ. 0.7.-ში).

## 2.8. ხელგარჯილობა

**მიზანი:** ა. ფანტაზიის, მოტორიკის, კონცენტრაციის უნარის განვითარება.
ბ. ახალი ენობრივი მასალის გავარჯიშება-გამოყენება.
**ლექსიკა:** კარტოფილი, ბადრიჯანი, ლობიო, კიტრი, პამიდორი, წიწაკა, სტაფილო, კომბოსტო, წითელი, მწვანე, ყვითელი, ლურჯი, შავი, სტაფილოსფერი.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული: ამოსაჭრელი კვადრატები და დასაწებებელი ბარათები; მაკრატელი, წებო, მუყაო.
**დრო:** 30 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**2.8.1.** ა და ბ ბოსტნეულის ბარათების დამზადება „ორობანასთვის“ (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული 2.3.5.).

**2.8.2.** ბოსტნეულის ბარათების დამზადება ლოტოსთვის (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული 2.3.6.).

**2.8.3.** ბოსტნეულის ფაზლის დამზადება: კიტრი და პამიდორი (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 2.4.2.ბ).

**2.8.4.** ხატვა გუაშის საღებავების ძირითადი ფერების გამოყენებით: წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი (სურვილისამებრ, სტაფილოსფერი და შავი) ნივთების ხატვა.

**2.8.5.** ბოსტნეულის გამოძერწვა.

ყავისფერი ფერის პლასტილინის პატარა ნაწილს ვამრგვალებთ, ვაძლევთ ოვალურ, კარტოფილის ფორმას. აგურისფერი პლასტილინს ვაძლევთ მოგრძო, სტაფილოს ფორმას და ა. შ.

**2.8.6.** ბოსტნეულის ხატვა შერეული ტექნიკით.

ფურცელზე პასტელით ან სანთლით ვაკეთებთ ბოსტნეულის კონტურებს და რამდენიმე სასურველ დეტალს. შემდეგ გადავუსვამთ აკვარელს ან გუაშის წყალგარეულ საღებავს და გავაშრობთ. გაშრობის შემდეგ კონტურები ფერს შეიცვლის.

## 2.9. შემაჯამებელი აქტივობები

ეს აქტივობები გრძელდება ერთი კვირის მანძილზე. ისინი შეიძლება შესრულდეს აქტივობის 2.8. ან სხვა დროს, აღმზრდელის შეხედულებისამებრ.

**2.9.1.** „ბოსტნეულის წიგნის“ დამზადება.

თითოეული ბავშვი აკეთებს თითო ბოსტნეულის აპლიკაციას ფერადი ფურცლებით. კვირის ბოლოს ამ ნამუშევრებს აკინძავენ სტეპლერით ან ძაფით და გაუკეთებენ ყდას მუყაოსგან. წიგნში შესაძლებელია, ასევე, ბოსტნეულის ნახატების ჩართვაც. შესაძლოა, აღმზრდელმა გაუკეთოს ნახატებს ის წარწერები, რომლებსაც ბავშვი უკარნახებს.

**2.9.2.** ბოსტნეულის სალათის დამზადება.

სხვადასხვა ბოსტნეულს (მოხარშული კარტოფილი, კიტრი, პამიდორი, სტაფილო, კომბოსტო) თუ საჭიროა გავთლით, დავჭრით, ერთმანეთში ავურევთ და მოვაყრით მარილს.

**2.9.3.** წინდებისგან ხელის გასაყრელი თოჯინა – ბოსტნეულის დამზადება.

შესაბამისი ფერის წინდას ვაწებებთ თვალების ადგილას ღილებს და პირის ადგილას – საქსოვ ძაფებს. წინდას შეგვიძლია მივცეთ სასურველი ფორმა, თუ შესაბამისი რაოდენობის ბამბით გამოვტენით ისე, რომ დარჩეს ადგილი ხელის შესაყოფად, მაგ.: წითელი მრგვალი პამიდორი, წაგრძელებული წიწაკა, სტაფილოსფერი წაგრძელებული სტაფილო.

ბავშვები გააცოცხლებენ თოჯინებს და გამოიყენებენ სათამაშოდ.

## თემა 3 თამაში

**(კვირა 5/6)**

### 3.1. შესავალი: მოწესრიგება და სიმღერა

**მიზანი:** მოწესრიგება და მომზადება დღის აქტივობებისათვის.

**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“, „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და მისთ.), ლექსების ტექსტები თანდართული აუდიოდისკიდან (მაგ. „დამიკარი თავი“).

**დრო:** 20 წთ.

### 3.2. ძირითადი თემა:

**მიზანი:** 1. ნაცნობი სიტყვების აქტივაცია
2. ახალი ლექსიკის ზედდაშენება.

**ახალი ლექსიკა:** თეფში, დანა, ჩანგალი, კოვზი, ჭიქა

**შენიშვნა:** ჭურჭლის ლექსიკა უპირატესად ილუსტრაციებიდან დასახელებით და ორობანას, ლოტოს თამაშით ისწავლება და მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები არ არის აუდიოჩანაწერში, აქტიურ ლექსიკურ მარაგში უნდა შევიდეს, ანუ ბავშვმა უნდა შეძლოს მათი აქტიურად გამოყენება ბაღის ყოველდღიურ ცხოვრებაში ჭამის და თამაშის დროს.

ვინ არის?
რა არის?
ჩემი მეგობარია
ჩემი მეგობარი
აქ ვართ!
მოდი, ვითამაშოთ!
მოდი, სახლი ავაშენოთ

ამწე, ვედრო, ნიჩაბი, ტრაქტორი, ერთი, ორი
სახლი, ლოტო, ორობანა
მოდი, ნახე
ვერ გავიგე
**გამეორება:**
კიტრი, პამიდორი, ბოსტანი, ბოსტნეული, მანქანა, ბურთი
მინდა/არ მინდა
**პასიური ლექსიკა:**
ყველა
ესენი ვინ არიან?
გვინდა
თამაში
ქვიშა(ში)
კაი, რა
**რესურსი:** ილუსტრაციები, თანდართული აუდიოდისკი, აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო.
**დრო:** 20 წთ.

## ილუსტრაცია 3.1.

**წარწერა:** პოპო ჩემი მეგობარია.
**აღწერა:** წიკო, ნენე და დუდუ საბავშვო ბაღის სათამაშო მოედანზე მიდიან. წიკო ეძახის თავის მეგობრებს – პოპოს (პამიდორი) და კიკოს (კიტრი). ილუსტრაციაზე ჩანს სათამაშო მოედანი და საბავშვო ბაღის შენობა. საბავშვო მოედანზე პოპო და კიკო თამაშობენ ჭურჭლით (თეფში, კოვზი, დანა, ჩანგალი, ჭიქა), ხოლო პატარა ბადრიჯანი და კარტოფილი – სასრიალოზე ერთობიან.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 07):**

წიკო: – პოპო! კიკო!
ნენე: პოპო ვინ არის?
წიკო: პოპო პამიდორია, პოპო ჩემი მეგობარია.
წიკო: – პოპო! კიკო!
დუდუ: კიკო ვინ არის?
წიკო: კიკო კიტრია, ჩემი მეგობარი.
წიკო: – პოპო! კიკო!
პოპო: – წიკო, აქ ვართ! მოდი, ვითამაშოთ!
....
წიკო:
პოპო ჩემი მეგობარია.
კიკო ჩემი მეგობარია.
ნენე ჩემი მეგობარია.
დუდუ ჩემი მეგობარია.
ყველა ჩემი მეგობარია.

## ილუსტრაცია 3.2.

**აღწერა:** ილუსტრაციაზე ჩანს ქვიშის სათამაშო მოედანი. ნენე, დუდუ, წიკო, პოპო და კიკო თამაშობენ ქვიშაში და სახლს აშენებენ. იქვე თამაშობენ პატარა ბადრიჯანი და კარტოფილი. ქვიშაში ყრია სხვადასხვა სათამაშო: ამწე, ორი ტრაქტორი, ვედრო, სარწყავი, ნიჩაბი, სატვირთო მანქანები, ბურთი.
**წარწერა:** მოდი, ვითამაშოთ.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 08):**

კიკო: – მოდი, წიკო, ვითამაშოთ! ესენი ვინ არიან?
წიკო: – ეს ნენეა. ეს დუდუა. ეს ჩემი მეგობარი კიკოა. ეს ჩემი მეგობარი პოპოა.
კიკო: – მოდი, სახლი ავაშენოთ. აჰა, შენ ნიჩაბი. აჰა, შენ ამწე. წიკო, შენ – ვედრო.
დუდუ: – ნიჩაბი არ მინდა, ტრაქტორი მინდა!
წიკო: – კაი, ერთი ტრაქტორი – შენ, ერთი ტრაქტორი – მე.
პოპო: აი, ორი მანქანა: კიკო, ერთი მანქანა – შენ, ერთი მანქანა – მე.
....
წამყვანი:
მოდი, ვითამაშოთ. მოდი, ვითამაშოთ.
მოდი, სახლი ავაშენოთ. მოდი, სახლი ავაშენოთ (2-ჯერ).

## ილუსტრაცია 3.3.

**აღწერა:** წიკო, ნენე და დუდუ ბოსტნეულის საბავშვო ბაღში არიან. ზოგი ბოტნეული სამაგიდო თამაშებით ერთობა, ზოგი – წიგნებს ათვალიერებს, ზოგიც – ხატავს და აფერადებს... კიკო, პოპო და დუდუ სხედან ხალიჩაზე სამაგიდო თამაშების კუთხეში და შაშს თამაშობენ. წიკოს „ორობანას“ ყუთი უჭირავს ხელში. ნენე, პატარა კარტოფილი და პატარა ბადრიჯანი ლოტოს თამაშობენ. იქვე მაგიდაზე დევს ჭადრაკის დაფა და ფიგურები.
**წარწერა:** მოდი, ვითამაშოთ ორობანა.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 09):**

ნენე: ვაა, ლოტო! მინდაააა!!!
დუდუ: მეც მინდა! პოპო, კიკო, მოდი, ლოტო ვითამაშოთ, რა!
წიკო: კაი, რა, არ გვინდა ლოტო. მოდი, ორობანა ვითამაშოთ.
ნენე: ვერ გავიგე. ორობანა რა არის?
წიკო: ორობანა თამაშია. მოდი ნახე.
....
წამყვანი:
მოდი, ვითამაშოთ ორობანა.
მოდი, ვითამაშოთ ორობანა.
მოდი, ვითამაშოთ ორობანა.
მოდი, ვითამაშოთ ორობანა.

**შენიშვნა:** 3.2.1. – 3.2.8. აქტივობების თანმიმდევრობის და მათი გამეორების სიხშირის დადგენა აღმზრდელს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ, რა თქმა უნდა, ლოგიკური ჯაჭვის გათვალისწინებით.

**3.2.1.** ნაცნობი პერსონაჟების გახსენება ახალ ილუსტრაციებზე.

**ა.** აღმზრდელი მიუთითებს სურათზე (ნაცნობ პერსონაჟებზე) და ეკითხება აღსაზრდელებს: ეს ნენეა? ეს დუდუა? და ა.შ. აღმზრდელი ამ პერსონაჟებზე ხან სწორად და ხან არასწორად მიუთითებს, რაზეც აღსაზრდელებმა უნდა უპასუხონ: „კი/დიახ/არა“.

**ბ.** აღმზრდელი ასახელებს საგნებს/პერსონაჟებს და აღსაზრდელები მიუთითებენ სურათზე შესაბამის საგანზე ან პერსონაჟზე.

**გ.** აღმზრდელი უთითებს საგანს სურათზე და სვამს შეკითხვას: „ეს რა/ვინ არის?“. აღსაზრდელებმა უნდა დაასახელონ ის.

**შენიშვნა:** ჯგუფის სიძლიერიდან გამომდინარე, შესაძლებელია, აღმზრდელმა გამოიყენოს შეკითხვის შემოკლებული ფორმაც: ეს რაა?/ვინაა?

**3.2.2.** ახალი პერსონაჟების/ საგნების გაცნობა.

**ა.** აღმზრდელი მიუთითებს ილუსტრაციაზე შესაბამის პერსონაჟზე/საგანზე და ასახელებს მას.

**ბ.** აღმზრდელი მიუთითებს ილუსტრაციაზე (უკვე ნაცნობ საგანზე ან პერსონაჟებზე) და ეკითხება აღსაზრდელებს: ეს პოპოა? ეს თეფშია? და ა.შ. აღმზრდელი ამ პერსონაჟებზე ხან სწორად და ხან არასწორად მიუთითებს, რაზეც აღსაზრდელებმა უნდა უპასუხონ „კი/დიახ/არა“.

**გ.** აღმზრდელი ასახელებს საგნებს/პერსონაჟებს და აღსაზრდელები მიუთითებენ სურათზე შესაბამის საგანზე ან პერსონაჟზე.

**დ.** აღმზრდელი უთითებს საგანს სურათზე და სვამს შეკითხვას: „ეს რა/ვინ არის?“ აღსაზრდელებმა უნდა დაასახელონ ის.

**შენიშვნა:** ჯგუფის სიძლიერიდან გამომდინარე, შესაძლებელია, აღმზრდელმა გამოიყენოს შეკითხვის შემოკლებული ფორმაც: ეს რაა?/ვინაა?

**3.2.3.** მოსასმენი ტექსტი (ახალი ფრაზების ათვისება):

**ა.** აღმზრდელი რამდენჯერმე ნაწილ-ნაწილ ასმენინებს აღსაზრდელებს პირველ დიალოგს: ის მიუთითებს ილუსტრაციაზე შესაბამის პერსონაჟებზე (როგორც ძველ, ისევე ახალზე: მაგ., ნენე, დუდუ, წიკო და პოპო) და ასმენინებს შესაბამის ფრაზას დიალოგიდან.

**ბ.** შემდეგ ეტაპზე ერთიანად ასმენინებს დიალოგს ილუსტრაციაზე მითითების გარეშე. აღსაზრდელებს, სურვილისამებრ, შეუძლიათ აყვნენ დიალოგს მესამე-მეოთხე მოსმენაზე აღმზრდელთან ერთად.

**გ.** აღმზრდელი გაათამაშებინებს აღსაზრდელებს მოსასმენ დიალოგს რიგრიგობით: ის ირჩევს პირველ ოთხ ბავშვს, რომელსაც გაუნაწილებს დიალოგის მონაწილე პერსონაჟების როლებს (ნენე, დუდუ, წიკო და პოპო), განალაგებს პატარა მსახიობებს ზუსტად ისე, როგორც ილუსტრაციაზე არის გამოსახული და ისევ ნაწილ-ნაწილ, ცალკეული ფრაზებით ასმენინებს დიალოგებს და შესაბამის „მსახიობთან“ ერთად იმეორებს ამ ფრაზებს. „მაყურებლები“ (გარდა შერჩეული „მსახიობებისა“), სურვილისამებრ, აყვებიან მსახიობს და იმეორებენ მოცემულ ფრაზას. მას შემდეგ, რაც პირველი ოთხეული დაასრულებს დიალოგის გათამაშებას, ირჩევა შემდეგი ოთხეული და ა. შ.

**დ.** აღმზრდელი ასმენინებს 3.1. დიალოგის სიმღერას („ჩემი მეგობარია“) და შემდეგ თვითონაც ასრულებს ამ სიმღერას აღსაზრდელების დახმარებით.

**ე.** აღმზრდელი კითხულობს ან ასმენინებს ილუსტრაციის წარწერას და თან ხელს აყოლებს ნაწერს.

**ვ.** აღმზრდელი გაათამაშებინებს აღსაზრდელებს სცენას „ჩემი მეგობარია“ უკვე ჯგუფის წევრების რეალური სახელების გამოყენებით: მაგ., ლელა ვინ არის? ლელა ჩემი მეგობარია. გია ვინ არის? გია ჩემი მეგობარია. ეს სცენები გათამაშდება ჯგუფის ყველა წევრის სახელის გამოყენებით.

**ზ.** მოცემულ სიმღერას აღმზრდელი ცვლის აღსაზრდელების სახელების გამოყენებით: მაგ., ლელა ჩემი მეგობარია, გია ჩემი მეგობარია და ა.შ. აღსაზრდელებიც მასთან ერთად მღერიან.

შემდეგი ილუსტრაციების დამუშავება ხდება მსგავსი პრინციპით (3.2.1. – 3.2.3.)

**3.2.4.** ინსტრუქციის მისაცემად საჭირო ზოგიერთი სიტყვის/ფრაზის დასამახსოვრებლად და ასათვისებლად აღმზრდელი თითქმის ყველა გაკვეთილზე იძლევა მითითებებს: მომიტანე..., წაიღე..., დახურე..., გააღე..., გადაშალე..., მიეცი..., გააფერადე..., გამოჭერი... და სხვ.

## 3.3. ლოგიკური დავალებები

**მიზანი:** ახალი მასალის ათვისება-გავარჯიშება და ძველის გამეორება-განმტკიცება თამაშით; ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება.

**ლექსიკა:**

ძველი – ნენე, დუდუ, მანქანა, ბურთი, თოჯინა, კუბურები, პამიდორი, წიწაკა, სტაფილო.

ახალი – სახლი, თეფში, ჭიქა, კოვზი, ტრაქტორი, ამწე, ვედრო, ნიჩაბი, პოპო, კიკო.
**რესურსი:** თამაშები
**დრო:** 20 წთ.

**შენიშვნა 1:** მოცემული აქტივობების თანმიმდევრობა აღმზრდელის შეხედულებისამებრ შეიძლება იყოს შერჩეული.

**შენიშვნა 2:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**3.3.1.** ლაბირინთი: მიიყვანე მანქანა სახლში (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 3.3.1.).

**3.3.2.** რომელია ზედმეტი: თეფში, ჭიქა, კოვზი, ტრაქტორი (აღსაზრდელები ასახელებენ ზედმეტ საგანს, გადახაზავენ მას და შემდეგ აფერადებენ დანარჩენს (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 3.3.2.).

**3.3.3.** „ორობანას“ თამაში (დამატებითი ბარათები მზადდება აქტივობა 3.8.1.-ის დროს): ძველი ბარათები – ნენე, დუდუ, წიკო, მანქანა, თოჯინა, ბურთი. ახალი ბარათები – ვედრო, ნიჩაბი, ტრაქტორი (დასაშვებია ვარიაციები ბარათების სხვადასხვა რაოდენობით).

**3.3.4.** ფაზლის აწყობა: თეფში, ჭიქა, კოვზი. ფაზლები მზადდება აქტივობა 3.8.4.-ის დროს. საკმარისია, თითოეულმა აღსაზრდელმა ერთი ფაზლი აირჩიოს და ააწყოს. აუცილებელია, ამავდროულად დაასახელოს, რა საგანი ააწყო.

**3.3.5.** რომელია ზედმეტი: ტრაქტორი, ამწე, მანქანა, კოვზი (აღსაზრდელები ასახელებენ ზედმეტ საგანს, გადახაზავენ მას და შემდეგ აფერადებენ დანარჩენს (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 3.3.5.).

**3.3.6.** რომელია ზედმეტი: პოპო, კიკო, წიკო, კუბურები (აღსაზრდელები ასახელებენ ზედმეტ ნახატს, გადახაზავენ მას და შემდეგ აფერადებენ დანარჩენს). (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**3.3.7.** რომელია ზედმეტი: ბურთი, კუბურები, თოჯინა, ნენე (აღსაზრდელები ასახელებენ ზედმეტ ნახატს, გადახაზავენ მას და შემდეგ აფერადებენ დანარჩენს (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**3.3.8.** ლოტო: (მზადდება აქტივობა 2.8.2.-ის დროს) ძველ ბარათებს პირველი და მეორე თემიდან ემატება ახალი ბარათები მესამე თემიდან. ძველი ბარათები: მანქანა, ბურთი, კუბურები, თოჯინა, პამიდორი, წინაკა, სტაფილო; ახალი ბარათები – თეფში, ჭიქა, კოვზი, ტრაქტორი, ამწე.

აღმზრდელი ურიგებს აღსაზრდელებს დიდ ბარათებს, რომლებზეც გამოსახულია სამი მცირე გამოსახულება:

- თეფში, ჭიქა, კოვზი;
- ტრაქტორი, ამწე, მანქანა;
- ბურთი, კუბურები, თოჯინა;
- პამიდორი, წიწაკა, სტაფილო.

აღმზრდელს უჭირავს ხელში პატარა ბარათები და რიგრიგობით აცხადებს თითოეულს. მაგ.: აჩვენებს აღსაზრდელებს პატარა ბარათს, რომელზეც ამწეა გამოსახული. ის, ვისაც აქვს დიდ ბარათზე ამწეს სურათი, ამბობს: „ეს ამწეა“, აღმზრდელი აძლევს მას ამ ბარათს და აღსაზრდელი თავის დიდ ბარათზე შესაბამის ადგილზე დებს პატარა ბარათს. ვინც არ დაასახელებს, ის რჩება ბარათის გარეშე. გამარჯვებული არის ის, ვინც შეავსებს დიდ ბარათებს.

**შენიშვნა:** საწყის ეტაპზე აღმზრდელი ყველას ერთნაირ დიდ ბარათს ურიგებს. როცა აღსაზრდელები აითვისებენ თამაშს, ართულებს და სხვადასხვა დიდ ბარათს ურიგებს აღსაზრდელებს.

შემდგომი გართულება: თითოეული მოთამაშისთვის რამდენიმე დიდი ბარათის დარიგება.

**3.3.9.** ლაბირინთი (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული):
მიიყვანე შესაბამის ადგილას:

**ა.** ტრაქტორი – კიკოსთან;

**ბ.** ამწე – სახლთან;

**გ.** ვედრო – ნიჩაბთან.

**3.3.10.** დაალაგე ერთი ფერის კუბურები ერთად: წითელი ფერის კუბურები შეაგროვე ერთ ადგილას, ყვითელი – მეორე ადგილას და ა.შ.
აღმზრდელი ეხმარება აღსაზრდელებს ამ დავალების შესრულებაში და წარმოთქვამს ფრაზებს:
წითელი კუბურები
ყვითელი კუბურები
მწვანე კუბურები
ლურჯი კუბურები.

**3.3.11.** აღმზრდელი აღსაზრდელებს ავარჯიშებს რაოდენობითი რიცხვითი სახელების (1 და 2) გაგებასა და დამახსოვრებაზე.

**ა.** აღმზრდელი ხელში აიღებს ერთნაირ ნივთებს მაგ.: ფანქრებს და დაიწყებს დათვლას: ერთი, ორი. რამდენჯერმე გაიმეორებს.

**ბ.** შემდეგ აღმზრდელთან ერთად აღსაზრდელებიც იმეორებენ: ერთი, ორი.

**გ.** ბოლოს აღსაზრდელები დამოუკიდებლად ითვლიან.

გთავაზობთ თვლასთან დაკავშირებულ რამდენიმე აქტივობას:

- აღმზრდელი მიუთითებს გარკვეულ (უკვე ნაცნობ) საგანზე, აღსაზრდელები ამბობენ, რამდენი საგანი ან ნივთია ოთახში (მაგ.: ბურთი? – ორი; მანქანა? – ერთი და ა. შ.)
- აღმზრდელი აღსაზრდელებს სთხოვს ოთახში შეაგროვონ ნივთები: მაგ.: ერთი ნიჩაბი, ორი ვედრო და ა. შ.

**შენიშვნა:** ფერების ათვისების შემდეგ აღმზრდელს შეუძლია გაართულოს ამოცანა, მაგალითად, აღსაზრდელებმა შეაგროვონ ერთი წითელი მანქანა, ორი მწვანე ვედრო და ა. შ.

**3.3.12.** ორ ნახატს შორის იპოვე და შემოხაზე 3 განსხვავება (სურვილის შემთხვევაში, გაფერადებაც შეიძლება). (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 3.3.12.).

## 3.4. მუშაობა მცირე ჯგუფებში

**მიზანი:** ახალი მასალის ათვისება-გავარჯიშება თამაშით.
**ლექსიკა:** თეფში, კოვზი, ჭიქა, დანა, ჩანგალი, ამწე, ტრაქტორი, სახლი.
**რესურსი:** ილუსტრაციები, სათამაშოები.
**დრო:** 30 წთ.

აღსაზრდელები იყოფიან მცირე ჯგუფებად და ერთმანეთში თამაშობენ:

**3.4.1.** დრამატული წრე.
აღსაზრდელები თამაშობენ „ოჯახობანას“ სათამაშო ჭურჭლით ან „მშენებლობას“ შესაბამისი სათამაშოებით. აღმზრდელი აკეთებინებს აქცენტს შესასწავლ ფრაზებზე: მოდი, სახლი ავაშენოთ, ასახელებს სათამაშოებს და ჭურჭლის სახეობებს და ა.შ. (იხ. ახალი ლექსიკა აქტივობაში 3.2.)
აღსაზრდელები თამაშობენ „ოჯახობანას“ სათამაშო ჭურჭლით: აწყობენ სუფრას და უმასპინძლდებიან ერთმანეთს ან თოჯინებს.

**3.4.2.** სამაგიდო თამაშების წრე.
მოზაიკა, ფაზლი, ლოტო ან ორობანა ბაღის სათამაშოების თემაზე.

**3.4.3.** ხელოვნების წრე.

**ა.** პაპიე მაშეს ჭურჭლის დამზადება (პაპიე მაშეს მომზადების ტექნოლოგია, იხ. აქტივობაში 6.8.3.).

**ბ.** აპლიკაცია მანქანები.

**გ.** თემის ილუსტრაციების შავ-თეთრი ვარიანტების გაფერადება (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**3.4.4.** კუბურების წრე.

პატარა სამშენებლო მანქანების და ადამიანების გამოყენებით მშენებლობის მოწყობა კუბურების ცენტრში. საბავშვო ბაღის აშენება.

აღმზრდელი მიდის რამდენიმე წუთით თითოეულ ჯგუფთან და ეთამაშება მათ. აღსაზრდელებთან თამაშისას ის აქტიურად იყენებს ახალ და ძველ ლექსიკას. ამ დროს მთავარია, აღსაზრდელებს ესმოდეთ სიტყვების მნიშვნელობა და ადეკვატური რეაქცია ჰქონდეთ აღმზრდელის ნათქვამზე. ახალი სიტყვების დაზეპირებას ამ თამაშის დროს აღსაზრდელებს არ ვავალდებულებთ.

## 3.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** ფიზიკური განტვირთვა და თამაშით სწავლა – ფიზიკური აქტივობების დროს ცალკეული სიტყვების, ფრაზების გავარჯიშება, უკეთ დამახსოვრება.

**ლექსიკა:**

ჭურჭელი: თეფში, კოვზი, ჭიქა, ჩანგალი, დანა;

მანქანები: ტრაქტორი, ამწე, მანქანა;

სათამაშოები: კუბურები, თოჯინა, ბურთი;

ბოსტნეული: კობოსტო, კიტრი, პამიდორი, კარტოფილი, სტაფილო, ბადრიჯანი, ლობიო, წიწაკა.

**რესურსი:** თვითნაკეთი მიკროფონი ან ძაფის გორგალი, სათამაშოები, ილუსტრაციები.

**დრო:** 20 წთ.

**შენიშვნა:** აღმზრდელს შეუძლია გაიმეოროს ზოგიერთი თამაში რამდენიმე დღის განმავლობაში.

**3.5.1.** თამაში დაჯგუფებაზე.

აღსაზრდელები ირჩევენ, რომელი თამაში სურთ, შემდეგ აღმზრდელი ურიგებს მათ შესაბამის ორობანას ბარათებს და უხსნის თამაშის წესებს. როდესაც აღმზრდელი დაიძახებს ჭურჭელი ერთად! – ჯგუფის წევრები ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად იპოვონ ერთმანეთი. იგივე ხდება შეძახილებზე: მანქანები ერთად! სათამაშოები ერთად! ბოსტნეული ერთად!

- ჭურჭელი ერთად: თეფში, კოვზი, ჭიქა, ჩანგალი, დანა;
- მანქანები ერთად: ტრაქტორი, ამწე, მანქანა;
- სათამაშოები ერთად: კუბურები, თოჯინა, ბურთი;
- ბოსტნეული ერთად: კომბოსტო, კიტრი, პამიდორი, კარტოფილი, სტაფილო, ბადრიჯანი, ლობიო, წიწაკა.

**შენიშვნა:** მოთამაშეთა რაოდენობა შეიძლება იცვლებოდეს აღსაზრდელთა რაოდენობიდან გამომდინარე.

**3.5.2.** აღსაზრდელები იყოფიან ორ ჯგუფად. აღმზრდელი ადგენს გარკვეულ დროის ლიმიტს (3 წთ. ან 5 წთ.). ფინიშთან აწყვია ბარათები (შეგვიძლია გამოვიყენოთ ორობანას და/ან ლოტოს ბარათები): მანქანა, თოჯინა, ბურთი, კუბურები, ტრაქ-ტორი, ამწე, მანქანა, თეფში, ჭიქა, კოვზი, ვედრო და ნიჩაბი. თამაშს იწყებს პირველი გუნდი, რომლის ყოველი მონაწილეც მირბის ფინიშთან, მოაქვს ბარათი, სწორად ასახელებს მას და აძლევს აღმზრდელს. თუ აღსაზრდელი არასწორად დაასახელებს აღნიშნულ საგანს, ბარათი ისევ უბრუნდება თავის ადგილს. დროის ლიმიტის გასვლის შემდეგ, მეორე გუნდი იწყებს თამაშს. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც დათქმულ დროში უფრო მეტ ბარათს დააგროვებს თავის მფლობელობაში.

## 3.6. ლექსი, სიმღერა, ენის გასატეხი

**მიზანი:** ფონემატური სმენის განვითარება, სპეციფიკური ბგერების გამოთქმაზე ვარჯიში.
**ლექსიკა:** ლექსის საკვანძო ლექსიკა – სათამაშო, ბაღი.
**რესურსი:** აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო. თანდართული აუდიოდის-კი და სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები.
**დრო:** 20 წთ.

(იხ. აქტივობა 0.6. და 1.6.1.-ის აღწერა).

**3.6.1. ლექსი: „ჩვენი გოგო“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 56):**

ჩვენი გოგო აი ასე
ზრუნავს თავის ბაიაზე,
ნანა ნანა პაწაწინა
უმღერა და დააძინა.

(ავტორი: მ. მრევლიშვილი)

**3.6.2. ლექსი: „ბაღი“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 57):**

მე ბაღი ბაღი მეგონა,
ყვავილებით და პეპლებით,
აქ კი რა დამხვდა?- მაგიდა,
წიგნი და მასწავლებელი.

(ავტორი: ნ. დუმბაძე)

## 3.7. მუსიკა/მანდალა, მულტფილმი/ზღაპარი, თავისუფალი ხატვა

**მიზანი:** პასიურ დონეზე ლექსიკის შემოტანა, რათა აღსაზრდელებმა ყური მიაჩვიონ ქართულ ბგერებს/სიტყვებს.
**ლექსიკა:** თამაში, ბაღი, სათამაშოები.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მულტფილმები, მშვიდი მელოდიები, ქართული სიმღერები ან აუდიოზღაპრები.
**დრო:** 20 წთ.

**3.7.1.** მანდალას გაფერადება ან თავისუფალი ხატვა მშვიდი მელოდიის, ქართული სიმღერის ან აუდიოზღაპრის ფონზე.

**3.7.2.** ნებისმიერი მულტფილმი აღსაზრდელების სურვილისამებრ.

**3.7.3.** ილუსტრაციების მიხედვით მოთხრობის „ტოპო-ტიპი ბაღში მიდის“ კითხვა (აქტივობის მიზანი და აღწერილობა იხ. 0.7.-ში).

## 3.8. ხელგარჯილობა

**მიზანი:** ა. ფანტაზიის, მოტორიკის, კონცენტრაციის უნარის განვითარება.
ბ. ახალი მასალის გავარჯიშება-გამოყენება.
**ლექსიკა:** ვედრო, ნიჩაბი, ქვიშა, თეფში, ჭიქა, კოვზი, ტრაქტორი, ამწე, მანქანა და ა.შ.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული – ამოსაჭრელი კვადრატები და დასაწებებელი ბარათები; მაკრატელი, წებო, მუყაო.
**დრო:** 30 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**3.8.1.** ა და ბ „ორობანასთვის“ ბარათების დამზადება: ვედრო, ნიჩაბი, ტრაქტორი (იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 3.8.1. ა და ბ).

**3.8.2.** აღსაზრდელების მიერ აღმზრდელის დახმარებით თვითნაკეთი ლოტოს ბარათების დამზადება, კერძოდ, ამოსაჭრელი კვადრატების და დასაწებებელი ბარათების დამზადება: პატარა ბარათების ნაწილს ვიყენებთ „ორობანადან“, ხოლო რაც აკლია, იმ ბარათებს აღსაზრდელები თავად ამზადებენ 3.8.2.ე აქტივობის დროს (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**ა.** თეფში, ჭიქა, კოვზი;

**ბ.** ტრაქტორი, ამწე, მანქანა;

**გ.** ბურთი, კუბურები, თოჯინა;

**დ.** პამიდორი, წიწაკა, სტაფილო.

(იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 3.8.2.ე)

**3.8.3.** ხატვა გუაშის საღებავების ძირითადი ფერების გამოყენებით: წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი ნივთების ხატვა.

**3.8.4.** ფაზლების დამზადება: თეფში, ჭიქა, კოვზი.

**3.8.5.** მუყაოს ჭურჭლის დამზადება (გამოჭრა და გაფერადება):

**ა.** პირველ დღეს აღსაზრდელები გამოჭრიან მუყაოსგან წრეებს (თეფშების ფორმა), კოვზის, ჩანგლის და დანის ფორმებს.

**ბ.** მეორე დღეს ეს ფორმები მოიხატება გუაშის საღებავებით.

## 3.9. შემაჯამებელი აქტივობები.

**3.9.1.** სასაცილო აპლიკაციები:

**ა.** თითოეულ აღსაზრდელი ხატავს და აფერადებს მისთვის ილუსტრაციებიდან უკვე ნაცნობ პერსონაჟებს და საგნებს.

**ბ.** შემდეგ აღსაზრდელები ამ პერსონაჟებს და საგნებს გამოჭრიან.

**გ.** აღმზრდელი ანაწილებს ბავშვებს მცირე ჯგუფებად და ურიგებს თითოეულ ჯგუფს ერთ დიდ ცარიელ ფურცელს, რომელზეც ჯგუფის წევრები აწებებენ თავიანთ მიერ გამოჭრილ და გაფერადებულ პერსონაჟებს და საგნებს.

**დ.** აღსაზრდელები აფერადებენ ფონს, რომელზეც დააწებეს თავიანთი ნახატები.ე. აღსაზრდელები პატარ-პატარა ჯგუფებად აღწერენ მათ მიერ გამზადებულ აპლიკაციას (აღწერენ, თუ რა ხდება მათ აპლიკაციაზე: მაგ., ნენე თამაშობს).

**ე.** აღსაზრდელები აღწერენ თავიან მიერ გამზადებულ აპლიკაციას (მაგ. აღწერენ, თუ რა ხდება მათ აპლიკაციაზე: მაგ. ნენე თამაშობს) .

## თემა 4 ხაჭაპური

**(კვირა 7/8)**

**მე-4 თემის ლექსიკა:** ხაჭაპური, ფქვილი, კვერცხი, პური, კარაქი, მაწონი, ყველი, ძეხვი, ჩაი
კიდევ რა გვინდა?
გვინდა
თეფშები, ჭიქები, კოვზები, ჩანგლები, დანები
მშია
არ შეიძლება!
ჯერ არა
რა კარგია!
რა გემრიელია!
სამი, ოთხი,
მამა, ბებია, ბაბუა
გამეორება:
ჭურჭელი, დედა
**პასიური ლექსიკა:** ახლა, რძე, შაქარი, მარილი, თაფლი, ჩაიდანი, ტაფა, ქვაბი.

### 4.1. შესავალი: მოწესრიგება და სიმღერა

**მიზანი:** მოწესრიგება და მომზადება დღის აქტივობებისათვის.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“, „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგიმარ-ჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და მისთ.), ლექსების ტექსტები თანდართული აუდიოდისკიდან (მაგ. „დამიკარი თავი“).
**დრო:** 20 წთ.

### 4.2. ძირითადი თემა

**მიზანი:** საჭმელების და პროდუქტების დასახელებების ათვისება.
**ლექსიკა** (4.1. ილუსტრაციის): მაწონი, კვერცხი, ფქვილი, კარაქი, ხაჭაპური,
თეფშები, ჭიქები,
სამი,
გვინდა.
გამეორება: თეფში, ჭიქა, კოვზი, დანა, ჩანგალი, დედა.
**პასიური ლექსიკა:** რა გვინდა, კიდევ, ახლა.
**რესურსი:** ილუსტრაციები, თანდართული აუდიოდისკი.
**დრო:** 20 წთ.

**შენიშნვა:** 4.2.1. – 4.2.3. აქტივობების თანმიმდევრობის დადგენა აღმზრდელს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ, რა თქმა უნდა, ლოგიკური ჯაჭვის გათვალისწინებით.

**ილუსტრაცია 4.1.**

**წარწერა:** მოდი, გამოვაცხოთ ხაჭაპური.
**აღწერა:** დედა აცხობს ხაჭაპურს. ნენე და დუდუ ეხმარებიან. ილუსტრაციაზე ჩანს სამზარეულო. დედა დგას მაგიდასთან, დუდუ თაროდან იღებს ფქვილს. ნენეს ხელში უჭირავს სამი კვერცხი. წიკოს მოაქვს მაწვნის ქილა. თაროებზე ჩანს თეფშები, ჭიქები, ტაფები, კოვზები, დანები. იქვე დგას ჩაიდანი.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 10):**

დედა: ახლა გვინდა მაწონი.
ნენე: დედა, კიდევ რა გვინდა?
დედა: ახლა გვინდა ყველი და 3 კვერცხი.
დუდუ: კიდევ რა გვინდა?
დედა: ახლა გვინდა კარაქი.
...
ახლა გვინდა გამოვაცხოთ ხაჭაპური.
ახლა გვინდა ფქვილი.
ახლა გვინდა ყველი.
ახლა გვინდა კვერცხი და მაწონი.
გამოგვივა დიდი ხაჭაპური.

**4.2.1**. ნაცნობი პერსონაჟების და საგნების გახსენება ახალ ილუსტრაციებზე.

**ა.** აღსაზრდელები ცდილობენ დაასახელონ ნაცნობი პერსონაჟები და საგნები ილუსტრაციაზე.

**ბ.** აღმზრდელი მიუთითებს სურათზე (ნაცნობ პერსონაჟებზე) და ეკითხება აღსაზრდელებს: ეს თეფშია? ეს კოვზია? და ა.შ. აღმზრდელი ამ პერსონაჟებზე ხან სწორად და ხან არასწორად მიუთითებს, რაზეც აღსაზრდელებმა უნდა უპასუხონ „კი/დიახ/არა“.

**გ.** აღმზრდელი ასახელებს საგნებს/პერსონაჟებს და აღსაზრდელები მიუთითებენ სურათზე შესაბამის საგანზე ან პერსონაჟზე.

**დ.** აღმზრდელი უთითებს საგანს სურათზე და სვამს შეკითხვას: „ეს რა/ვინ არის?“. აღსაზრდელებმა უნდა დაასახელონ საგანი.

**შენიშვნა:** ჯგუფის სიძლიერიდან გამომდინარე, შესაძლებელია, აღმზრდელმა გამოიყენოს შეკითხვის შემოკლებული ფორმაც: ეს რაა?/ვინაა?

**4.2.2.** ახალი პერსონაჟების/საგნების გაცნობა.

**ა.** აღმზრდელი მიუთითებს ილუსტრაციაზე შესაბამის პერსონაჟზე/საგანზე და ასახელებს მას (აქ: მაწონი, ყველი, კვერცხი, კარაქი, თეფშები, დანები, ჯგუფის სიძლიერიდან გამომდინარე, შესაძლებელია სხვა სიტყვების ათვისებაც: ტაფა, ჩაიდანი).

**ბ.** აღმზრდელი მიუთითებს ილუსტრაციაზე (უკვე ნაცნობ საგანზე ან პერსონაჟებზე) და ეკითხება აღსაზრდელებს: ეს მაწონია? ეს თეფშებია? და ა.შ. აღმზრდელი ამ პერსონაჟებზე ხან სწორად და ხან არასწორად მიუთითებს, რაზეც აღსაზრდელებმა უნდა უპასუხონ „კი/დიახ/არა“.

**გ.** აღმზრდელი ასახელებს საგნებს/პერსონაჟებს და აღსაზრდელები მიუთითებენ სურათზე შესაბამის საგანზე ან პერსონაჟზე.

**დ.** აღმზრდელი უთითებს საგანს სურათზე და სვამს შეკითხვას: „ეს რა/ვინ არის?“ ან „ეს რაა?/ვინაა?“. აღსაზრდელებმა უნდა დაასახელონ ის.

**4.2.3.** მოსასმენი ტექსტი (ახალი ფრაზების ათვისება):

**ა.** აღმზრდელი რამდენჯერმე ნაწილ-ნაწილ ასმენინებს აღსაზრდელებს პირველ დიალოგს: ის მიუთითებს ილუსტრაციაზე შესაბამის პერსონაჟებზე (როგორც ძველზე, ასევე ახალზე: მაგ., ნენე, დუდუ, დედა) და ასმენინებს შესაბამის ფრაზას დიალოგიდან.

**ბ.** აღმზრდელი უკითხავს აღსაზრდელებს ილუსტრაციის წარწერას და თან ხელს აყოლებს ფრაზას, მიმიკით და ჟესტიკულაციით ასახიერებს ამ ფრაზის შინაარსს.

**გ.** შემდეგ ეტაპზე ერთიანად ასმენინებს დიალოგს ილუსტრაციაზე მითითების გარეშე. აღსაზრდელებს, სურვილისამებრ, შეუძლიათ აღმზრდელთან ერთად აჰყვნენ დიალოგს მესამე-მეოთხე მოსმენაზე.

**დ.** აღმზრდელი გაათამაშებინებს აღსაზრდელებს მოსასმენ დიალოგს რიგრიგობით: ის ირჩევს პირველ სამ ბავშვს, რომელსაც გაუნაწილებს დიალოგის მონაწილე პერსონაჟების როლებს (ნენე, დუდუ და დედა), განალაგებს პატარა მსახიობებს ზუსტად ისე, როგორც ილუსტრაციაზე არის გამოსახული და ისევ ნაწილ-ნაწილ, ცალკეული ფრაზებით ასმენინებს დიალოგებს და შესაბამის „მსახიობთან“ ერთად იმეორებს ამ ფრაზებს. „მაყურებლები“ (გარდა შერჩეული „მსახიობებისა“) სურვილისამებრ აყვებიან მსახიობს და იმეორებენ მოცემულ ფრაზას. მას შემდეგ, რაც პირველი ოთხეული დაასრულებს დიალოგის გათამაშებას, ირჩევა შემდეგი ოთხეული და ა. შ.

**ე.** აღმზრდელი ასმენინებს 4.1. დიალოგის სიმღერას („ხაჭაპური“) და შემდეგ თვითონაც ასრულებს ამ სიმღერას აღსაზრდელების „დახმარებით“.

**3.** აღმზრდელი გაათამაშებინებს აღსაზრდელებს სცენას „მოდი, გამოვაცხოთ“ ნაცნობი პროდუქტების სახელწოდებების გამოყენებით, მაგრამ განსხვავებული საჭმლის მომზადებისას (მაგ., პური, ალადი და ა. შ.), აქტივობაში აღმზრდელი აქტიურად ეხმარება აღსაზრდელებს (ადგენს სხვადასხვა ვარიაციას).

**ზ.** მოცემულ სიმღერას აღმზრდელი ცვლის სხვა პროდუქტების დასახელებებით, მაგ.:

ახლა გვინდა გამოვაცხოთ დიდი პური,
ახლა გვინდა ფქვილი,
ახლა გვინდა წყალი,
ახლა გვინდა გამოვაცხოთ დიდი პური,
ახლა გვინდა ფქვილი,
ახლა გვინდა წყალი

მეორე და მესამე ილუსტრაციების ლექსიკის და ფრაზების ათვისება ხდება ამავე (4.2.1.-4.2.3.) პრინციპით.

## ილუსტრაცია 4.2.

**ლექსიკა:**
მშია, ჯერ არა,
შეიძლება/არ შეიძლება.
ქვაბი, ტაფა.

**წარწერა:** მშია! მშია! ხაჭაპური მინდა!
**აღწერა:** მაგიდაზე დევს ხაჭაპური, რომელსაც ფორმა აქვს უკვე მიცემული, მაგრამ გამომცხვარი არ არის. მის გარშემო (მაგიდაზე) ყრია კვერცხის ნაჭუჭები, ფქვილი... წიკოს უკვე შია და დუდუს და ნენეს ეხვეწება, მაჭამეთო. ბავშვები ჯერ არ აჭმევენ.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 11):**

წიკო: მშია, მშია! ყველი მინდა!
ნენე: ჯერ არა, წიკო.
დუდუ: ჯერ არ შეიძლება!
წიკო: მაშინ კვერცხი მინდა!
ნენე: ჯერ არა, წიკო, ჯერ არ შეიძლება!
წიკო (ბუზღუნებს გაბრაზებული): ჯერ არა, ჯერ არა. პური და კარაქიც არ შეიძლება?
დუდუ: არა, არ შეიძლება!
წიკო: მშია, მშია! ხაჭაპური მინდა!

### ილუსტრაცია 4.3.

**ლექსიკა:**
მამა, ბებია, ბაბუა,
ძეხვი, ყველი,
ჩანგლები, კოვზები, დანები (მრავლობითი რიცხვი)
ოთხი
რა კარგია
რა გემრიელია
**პასიური ლექსიკა:** მარილი, შაქარი, ჩაი, რძე.

**წარწერა:** რა კარგია! რა გემრიელია!
**აღწერა:** სასადილო ოთახში ოჯახი ვახშმობს. ბავშვები აჭმევენ წიკოს. ნენე და დუდუ მაგიდასთან სხედან ვახშამზე. მამა პურს ჭრის. მაგიდაზე დევს ყველი, კარაქი, ძეხვი, ხაჭაპური. შაქარი, რძე, ჩაი, თაფლი. მაგიდასთან სხედან დედა, ბებია, ბაბუა და ბავშვები. ბავშვები ვახშმობენ. წიკო დუდუსა და ნენეს სკამებს შორის ზის და კმაყოფილი სახით ილუკმება, მუცელი გამობერილი აქვს, წინ ოთხი თეფში უწყვია.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 12):**

> წიკო: დუდუ, მეც მინდა ხაჭაპური! ნენე, ნენე, ძეხვი მინდა! უჰ, ყველიც მინდა! რა კარგია, რა კარგია! უხ, რა გემრიელია!
> ნენე: წიკო, რა ამბავია: ერთი თეფში, ორი თეფში, სამი თეფში, ოთხი თეფში! ოთხი თეფში გაქვს, წიკო!
> წიკო: მნა-მნა-მნა! (ჭამის, ღეჭვის ხმაურის ფონზე) უხ, რა გემრიელია!

## 4.3. ლოგიკური დავალებები

**მიზანი:** ახალი მასალის ათვისება-გავარჯიშება და ძველის გამეორება-განმტკიცება თამაშით; ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება; მოტორიკის განვითარება.
**ლექსიკა:** ლოგიკური დავალებები ძირითადად აგებულია თემის ლექსიკიდან გამომდინარე.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, სამაგიდო თამაშები, ორობანა, ლოტო, ფაზლი და ა. შ.
**დრო:** 20 წთ.

> **შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**4.3.1.** აღმზრდელი ავარჯიშებს აღსაზრდელებს 1-დან 4-მდე რიცხვების გამოყენებაზე, როგორც ეს აღწერილია აქტივობაში 3.3.10.

**4.3.2.** „დაჭერი ხაჭაპური“. სამუშაო რვეულში ჩახატულია ხაჭაპური, რომელიც წყვეტილი ხაზით ოთხ ნაწილადაა გაყოფილი. აღმზრდელი თითოეულ ბავშვს ეტყვის სხვადასხვა რაოდენობას 1-დან 4-მდე. აღსაზრდელმა უნდა გამოჭრას ქაღალდის ხაჭაპურის იმდენივე ნაჭერი, რამდენსაც აღმზრდელი ეტყვის.

**4.3.3.** რა არის საჭირო ხაჭაპურის გასაკეთებლად? გააფერადე საჭირო პროდუქტები, გადახაზე ზედმეტი: კვერცხი, ძეხვი, ყველი, ფქვილი, სტაფილო, ტრაქტორი (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული);

**4.3.4.** თამაში: რომელია ფქვილი (აღმზრდელს პატარა ჭურჭლებში მზად აქვს სხვადასხვა ფაქტურის მქონე ფხვნილი, თვალახვეულმა ბავშვმა შეხებით უნდა გამოიცნოს, რომელია ფქვილი);

**4.3.5.**(ა, ბ) გააფერადე იმდენივე ჭიქა (ა) და კოვზი (ბ), რამდენი ბურთულაცაა (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული);

**4.3.6.** დაახარისხე დიდი და პატარა კვერცხები ცალ-ცალკე. გამოჭერი კვერცხები; დააწებე დიდი და პატარა კვერცხები ცალ-ცალკე (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული);

**4.3.7.** იპოვე და შემოხაზე ოთხი განსხვავება სურათებს შორის (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

ორობანა პროდუქტებზე: კვერცხი, პური, ძეხვი, მაწონი, ყველი, ფქვილი. (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, 4.8.1.);

**4.3.8.** ორობანას თამაში შემდეგი ახალი ბარათებით: კვერცხი, პური, ძეხვი, მაწონი, ყველი, ფქვილი. (მზადდება აქტივობა 4.8.1.-ის დროს, იხ. ბავშვის სამუშაო რვეული);

**4.3.9.** ლოტოს თამაში შემდეგი ახალი ბარათებით: დედა, მამა, ბებია, ბაბუა, და, ძმა (მზადდება აქტივობა 4.8.2.-ის დროს, იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, 4.8.2.).

## 4.4. მუშაობა მცირე ჯგუფებში

**მიზანი:** ახალი ლექსიკური მასალის ათვისება თამაშით, შემოქმედებითი უნარების განვითარება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, სათამაშოები.
**დრო:** 30 წთ.

**4.4.1.** დრამატული წრე: გარემო მოწყობილია, როგორც სამზარეულო. ბავშვები ამზადებენ ხაჭაპურს ან სხვა დასახელების კერძს.

**4.4.2.** სამაგიდო თამაშების წრე: სამუშაო ფურცლების გამოყენება, მოზაიკის, პროდუქტების თემაზე ლოტოს, ძველი თვითნაკეთი ან მზა ფაზლის გამოყენება.

**4.4.3.** ხელოვნების წრე:

**ა.** მუყაოს ხაჭაპურის დამზადება;

**ბ.** პლასტილინით ან მარილიანი ცომით ხაჭაპურების გამოძერწვა;

**გ.** ხატვა მუქი ფერის ქაღალდზე ღია ფერის საღებავით: „საყვარელი კერძი" – აპლიკაცია ერთჯერად თეფშებზე.

**4.4.4.** კუბურების წრე: ხაჭოსა და მაწვნის პლასტმასის ქილების ან რძის მუყაოს ყუთების გამოყენება „საშენ მასალად". სამზარეულოს აშენება.

## 4.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** ფიზიკური განტვირთვა და თამაშით სწავლა – ფიზიკური აქტივობების დროს ცალკეული სიტყვების, ფრაზების გავარჯიშება.
**რესურსი:** სათამაშოები, თვითნაკეთი მიკროფონი ან ძაფის გორგალი.
**დრო:** 20 წთ.

**4.5.1.** თამაში: ვინ უფრო ბევრ კვერცხს შეაგროვებს (მუყაოსგან გამოჭრილი კვერცხების შეგროვება მუსიკის ფონზე, მუსიკა წყდება და ბავშვები წყვეტენ შეგროვებას);

**4.5.2.** შეჯიბრება: მიიტანე ჭურჭელი მაგიდასთან. ლანგარზე აწყვია სათამაშო ჭურჭელი, ბავშვმა უნდა წაიღოს და შემოუაროს ლანგრით ხელში მაგიდას ისე, რომ არ დაეყაროს.

**4.5.3.** ცომის ზელვის და გაბრტყელების იმიტაცია პლასტილინით.

**4.5.4.** სურათებზე პერსონაჟების დასახელება: აღმზრდელი მიუთითებს სიუჟეტურ სურათზე ცალკეულ პერსონაჟზე და აღსაზრდელმა სწორად უნდა დაასახელოს იგი: ეს ბებიაა. ის აღსაზრდელი, რომელიც სწორად ვერ დაასახელებს ოჯახის წევრს, გავარდება თამაშიდან. აღსაზრდელთა თანმიმდევრობას აღმზრდელი ადგენს პატარა რბილი ბურთის სროლით. შესაძლებელია ვარიაცია მიკროფონით (თვითნაკეთი) ან ძაფის გორგლით.

**4.5.5.** ფოტოებზე ოჯახის წევრების დასახელება – ვარიანტი ა.
ამ თამაშისთვის აღმზრდელი წინასწარ ავალებს აღსაზრდელებს, მოიტანონ საკუთარი საოჯახო ფოტოები. აღმზრდელი იღებს რიგრიგობით ამ ფოტოებს და მიუთითებს რომელიმე წევრზე. აღსაზრდელი, რომლის რიგიც არის (ანუ რომელსაც ესროლა ბურთი ან მიაწოდა მიკროფონი/ძაფის გორგალი), ასახელებს აღმზრდელის მიერ მის ფოტოზე მითითებულ ადამიანს, მაგ., ეს დედაა. ის ბავშვი, რომელიც სწორად ვერ დაასახელებს ოჯახის წევრს, გავარდება თამაშიდან.

**4.5.6.** ფოტოებზე ოჯახის წევრების დასახელება – ვარიანტი ბ.
(4.5.4.-ის გართულებული ვარიანტი) აღმზრდელი ურევს ფოტოებს და ბურთით (ან მიკროფონით/ძაფის გორგლით) ამორჩეულ ბავშვებს ეკითხება, თუ ვინ არის გამოსახული მისი თანატოლის საოჯახო ფოტოზე. მაგ., სავარაუდო პასუხის ფორმა: ეს მამაა.

## 4.6. ლექსი, სიმღერა, ენის გასატეხი

**მიზანი:** ფონემატური სმენის განვითარება, სპეციფიკური ბგერების გამოთქმაზე ვარჯიში, მარტივი სიმღერის/ლექსის ძირითადი აზრის გაგება.
**ლექსის საკვანძო ლექსიკა:** მზე, მთვარე, ვარსკვლავები.
**რესურსი:** აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელოს დანართი/თანდართული აუდიოდისკი და სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები.
**დრო:** 20 წთ.

**4.6.1.** თამაში ლექსით.

აღმზრდელი თანდართული აუდიოდისკის თანხლებით აცნობს აღსაზრდელებს ლექსს (ჩანაწერი 58):

მზე დედაა ჩემი,
მთვარე – მამაჩემი,
ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

(ხალხური)

ლექსით თამაშის პრინციპის ვარიაცია: იხ. აქტივობა 1.6.1.

**4.6.2. ლექსი: „დედას რა გაუხარდაო“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 59)**

ირემს რა გაუხარდაო – ნეკერი ან პანტაო,
მინდორს რა გაუხარდაო – ცვარ-ნამი ამიყვავდაო,
ვენახს რა გაუხარდაო – მზემ ზეცა გაანათაო,
დედას რა გაუხარდაო – გოგონა გამეზარდაო.

## 4.7. მუსიკა/მანდალა, მულტფილმი/ზღაპარი

**მიზანი:** აღსაზრდელები ყურს აჩვევენ ქართულ ბგერებს, მათ გამოთქმას და ასევე, ინტონაციას/მელოდიას.
**ლექსიკა:** ოჯახის ლექსიკა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები.
პასიურ დონეზე ლექსიკის შემოტანა, რათა აღსაზრდელებმა ყური მიაჩვიონ ქართულ ბგერებს/სიტყვებს.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მულტფილმები, მშვიდი მელოდიები, ქართული სიმღერები ან აუდიოზღაპრები, მანდალები.
**დრო:** 20 წთ.

**4.7.1.** მულტფილმი: „ჯადოსნური კვერცხი“;

**4.7.2.** სიმღერა „მიყვარს სმა და მიყვარს ჭამა“ მულტფილმიდან „კომბლე“/ მულტფილმი „კომბლე“;

**4.7.3.** მანდალას გაფერადება ან თავისუფალი ხატვა მშვიდი მელოდიის ან ქართული საბავშვო სიმღერების თანხლებით;

**4.7.4.** მულტფილმი „მტრობა“ (დანაწევრდება 20-წუთიან მონაკვეთებად და მისი ჩვენება განაწილდება კვირის სხვადასხვა დღეებზე);

**4.7.5.** მულტფილმი „სიზმარა“ (ნასწავლი ლექსიკის გასახსენებლად: მზე, მთვარე, ვარსკვლავები).

## 4.8. ხელგარჯილობა

**მიზანი:** აღსაზრდელის სხეულის წვრილი კუნთების კონტროლი და კოორდინირებული მოქმედება, ფანტაზიის უნარის განვითარება, ახალი ლექსიკის ათვისება ვიზუალური ხატის მეშვეობით.
**დრო:** 30 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**4.8.1.** ა და ბ „ორობანას“ ბარათების დამზადება პროდუქტების თემაზე: კვერცხი, პური, ძეხვი, მაწონი, ყველი, ფქვილი, კარაქი.

**4.8.2.** ა და ბ ლოტოს ბარათების დამზადება ოჯახის თემაზე: დედა, მამა, ბებია, ბაბუა, და, ძმა.

**4.8.3.** იოგურტის ბოთლებით მუსიკალური საკრავების დამზადება;

**4.8.4.** მარილიან ცომს ურევენ საკვები საღებავის ფხვნილს და დიდხანს ზელენ. ბავშვები აკეთებენ სხვადასხვა ნამცხვარს და ტკბილეულს ფერადი ცომისგან;
პაპიე-მაშესგან კვერცხების დამზადება: აღსაზრდელები გუაშის საღებავით სხვადასხვა ფერებად ღებავენ პაპიე-მაშესგან დამზადებულ კვერცხებს; აღსაზრდელები ფერადი ფურცლების აპლიკაციით აფორმებენ პაპიე-მაშესგან დამზადებულ კვერცხებს. კვერცხის გრაფიკულ გამოსახულებას უსვამენ წებო-ემულსიას და აყრიან დატეხილი კვერცხის ნაჭუჭს;

**4.8.5.** აღსაზრდელებმა უნდა დახატონ საკუთარი ოჯახი და თქვან: ეს არის...
აღსაზრდელები ამზადებენ და აფორმებენ ოჯახური ნახატებისათვის ქაღალდის ჩარჩოებს: ქაღალდისაგან მზადდება პასპარტუები: სახატავი ფურცლის შუაში იხაზება იმ ნახატის კონტურები, რომლის ჩარჩოც უნდა დამზადდეს. ქაღალდი ამოიჭრება ამ ხაზის გასწვრივ, დაახლოებით ორი სანტიმეტრის დაშორებით (შიგნით) და შეიკეცება შიგნითვე ნახატის ხაზზე. ჩარჩო შეიძლება მოირთოს ორნამენტული ნახატებით, გაფერადდეს ერთ ფერში, შეიმკოს აპლიკაციით, ფერადი ქაღალდით, ქსოვილით ან სხვა მასალით.

**4.9.1.** პროექტი.

თემის დასრულების შემდეგ, შესაძლებელია აღსაზრდელების მიერ დახატული ოჯახის წევრების სურათების გამოფენის მოწყობა მშობლებისთვის.

**ა.** აღსაზრდელები ხატავენ თავიანთ ოჯახებს.

**ბ.** აღმზრდელი არეულად უდებს მათ ბარათებს თავიანთი სახელებით. აღსაზრდელებმა ფოტოგრაფიული კითხვის მეთოდით უნდა აირჩიონ თავისი „სახელი“ და დააკრან თავიანთ ნახატებს.

**გ.** გამოფენაზე აღსაზრდელები ქართულად აღწერენ თავიანთ ნახატებს (ამბობენ, თუ ვინ არის ნახატზე გამოსახული) უშუალო სიტუაციაში. მაგ., როცა მშობლები ათვალიერებენ შვილების ნახატებს, აღმზრდელი რიგრიგობით მიდის ყველასთან და აღსაზრდელი აღწერს ნახატს მშობელთან. თან აცნობს აღმზრდელს თავის მშობელს/მშობლებს, თუ აღმზრდელი რომელიმეს მანამდე არ იცნობდა.

ჭურჭლის და საკვების ლექსიკის განმტკიცება-გამეორების მიზნით, შეიძლება სამზარეულოს აპლიკაციის დამზადება სხვადასხვა ჭურჭლით და კვების პროდუქტებით (3.9.1. აპლიკაციის ანალოგიურად).

## თემა 5 წიკოს დაბადების დღე

**(კვირა 9/10)**

### 5.1. შესავალი: მოწესრიგება და სიმღერა

**მიზანი:** მოწესრიგება და მომზადება დღის აქტივობებისათვის.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“, „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და მისთ.), ლექსების ტექსტები თანდართული აუდიოდისკიდან (მაგ. „დამიკარი თავი“).
**დრო:** 20 წთ.

### 5.2. ძირითადი თემა

**მიზანი:** ხილის დასახელებების, მილოცვის ლექსიკის ათვისება.
**ლექსიკა:**
დაბადების დღე, საჩუქარი, ტორტი, სანთელი, გილოცავ(თ) დაბადების დღეს!
ვაშლი, მსხალი, ატამი, საზამთრო, ნესვი, ყურძენი
რამდენი წლის ხარ?
ხუთი წლის (ვარ)
დღეს წიკოს დაბადების დღეა

ცეკვავს, მღერის
ყველა
პატარა/დიდი
მჟავე/ტკბილი
**გამეორება:** პამიდორი, კიტრი, კომბოსტო, სტაფილო, კარტოფილი, ბადრიჯანი, წიგნი.
**პასიური ლექსიკა:** რა ლამაზი დღეა, რა ნათელი მზეა, რა კარგია, ხილის ბაღში, თეთრი სახლი, ბევრი; მოდი, ერთად ვიცეკვოთ და ვიმღეროთ.
**რესურსი:** ილუსტრაციები, თანდართული აუდიოდისკი.
**დრო:** 20 წთ.

## ილუსტრაცია 5.1.

**წარწერა:** დღეს წიკოს დაბადების დღეა.
**აღწერა:** წიკოს დაბადების დღე: ბოსტანში წიკოს ირგვლივ შეკრებილნი არიან მისი თანატოლები (მეორე თემის გამეორება), რომლებმაც დაბადების დღისთვის წიკოს ტორტი გაუკეთეს. სტუმრად მოსულები არიან: ვაშლი, მსხალი, საზამთრო, ატამი, ნესვი, ყურძენი. ისინი წიკოს ჩუქნიან წიგნს. ღობის მიღმა უკანა პლანზე ჩანს თეთრი სახლი.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 13):**

> წიკო, გილოცავ დაბადების დღეს!
> წიკო, გილოცავ დაბადების დღეს!
> გილოცავ, წიკო!
> წიკო, გილოცავთ დაბადების დღეს!
> წიკო, რამდენი წლის ხარ ახლა?
> წიკო: 5 წლის.

## ილუსტრაცია 5.2.

**წარწერა:** წიკო 5 წლის არის.
**აღწერა:** წიკო სულს უბერავს ტორტზე 5 სანთელს. მეგობრები წიკოს უმღერიან დაბადების დღის სიმღერას.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 14):**

> სიმღერა: რა ლამაზი დღეა, რა ნათელი მზეა, იმიტომ რომ დღეს წიკოს დაბადების დღეა.

**ილუსტრაცია 5.3.**

**აღწერა:** ყველა ერთად ცეკვავს და მღერის.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 15):**

ნენე: ვაშლი ცეკვავს!
დუდუ: მსხალი მღერის!
ნენე: საზამთრო ცეკვავს!
დუდუ: ატამი ცეკვავს!
ნენე: ნესვი მღერის!
დუდუ: ყურძენი ცეკვავს!
ნენე: წიკო ცეკვავს და მღერის!
წიკო: ნენე, დუდუ, მოდი, ერთად ვიცეკვოთ და ვიმღეროთ!
...
წამყვანი:
რა კარგია ხილის ბაღში,
ნე-ნე-ნე-ნე-ნე,
ვაშლი, მსხალი და ატამი,
ნე-ნე-ნე-ნე-ნე,
ბევრი საზამთრო და ნესვი,
დუ-დუ-დუ-დუ-დუ,
ბევრზე ბევრი ყურძენი,
დუ-დუ-დუ-დუ-დუ.

ახალი ლექსიკის და ფრაზების ათვისება:

**5.2.1. – 5.2.3.** აქტივობები ხორციელდება ისევე, როგორც აღწერილი 4.2.1. – 4.2.3. და წინა თავების ანალოგიურ აქტივობებში. აქტივობების თანმიმდევრობა ვარირებს აღმზრდელის შეხედულებისამებრ.

**5.2.4.** ხილის/ბოსტნეულის სახეობები + ზმნა: მაქვს.

**შენიშვნა:** ამ აქტივობისთვის სასურველი ატრიბუტია ცოცხალი ხილი და ბოსტნეული ან პლასტმასის სათამაშოები ხილის/ბოსტ-ნეულის გამოსახულებით (ძირითადად: ვაშლი, მსხალი, საზამთრო, ატამი, ნესვი, ყურძენი; კარტოფილი, ბადრიჯანი, პამიდორი, კიტრი, სტაფილო, კომბოსტო, ლობიო).

აღმზრდელი წინასწარ აღსაზრდელების მშობლიურ ენაზე ავალებს ბავშვებს მოიტანონ ხილის სხვადასხვა სახეობა. პირველ დღეს ასწავლის მხოლოდ ორ სიტყვას: „ვაშლი, მსხალი“ (ჯგუფის სიძლიერის მიხედვით შეუძლია დაამატოს „ყურძენიც“). აღ-საზრდელების მიერ მოტანილ ხილის სახეობებს ის არეულად ურიგებს აღსაზრდელებს.

შემდეგ იღებს ხელში შესაბამის ხილს და ამბობს: მე მაქვს ვაშლი/მსხალი და ა.შ. იმეორებს: „ვაშლი/მსხალი“ და ა.შ. შემდეგ ეკითხება ბავშვებს: „რომელი ხილი მაქვს მე?“

ვარიაცია: აღმზრდელს შეუძლია, ჯგუფის ათვისების უნარიდან გამომდინარე, დაამატოს შემდეგი ფრაზები:

- აქვს.
- არ მაქვს/არ აქვს.
- მინდა/არ მინდა.
- მიყვარს/არ მიყვარს.
- უყვარს/არ უყვარს.

ხილის არქონის შემთხვევაში, შეიძლება დავალებების შესრულება ბოსტნეულით ან პლასტმასის შესაბამისი სათამაშოებით (ხილი, ბოსტნეული).

**5.2.5.** ვარჯიში ზედსართავებზე: დიდი/პატარა.

**ა.** აღმზრდელი ადარებს სხვადასხვა ზომის ხილს ერთმანეთს და ამბობს. მაგ.; ეს ვაშლი დიდია. შემდეგ უთითებს პატარა ვაშლზე და ამბობს: ეს ვაშლი პატარაა. შემდეგ ანალოგიურად გააკეთებს სხვა საგნებზეც.

**ბ.** აღმზრდელს შეუძლია ფრაზა ეს ვაშლი დიდია ჩაანაცვლოს ფრაზით: ეს დიდი ვაშლია და ა.შ.

**გ.** აღმზრდელი სთხოვს აღსაზრდელებს, აჩვენონ დიდი ვაშლი, დიდი მსხალი, პატარა ვაშლი და ა. შ.

**დ.** შემდეგ აღსაზრდელები დამოუკიდებლად ასახელებენ: ეს არის დიდი ვაშლი, ეს არის პატარა მსხალი და ა. შ.

ვარიაცია: შესაძლებელია ფრაზების გართულება: დიდი ვაშლი მინდა, პატარა კიტრი მინდა და ა.შ.

**5.2.6.** ხილი/ბოსტნეული და ფერები.

აღსაზრდელები იხსენებენ ფერებს და ვარჯიშობენ მათ გამოყენებაზე სხვადასხვა ხილის სახეობასთან კომბინაციაში. მაგ.: წითელი ვაშლი, ყვითელი ვაშლი, მწვანე ვაშლი და სხვ.

**5.2.7.** ხილი/ბოსტნეული და გემო: ტკბილი/მჟავე.

**ა.** სასურველია, აღმზრდელს კლასში ჰქონდეს ტკბილი ყურძენი და მჟავე ვაშლი, რათა შედარების საშუალება ჰქონდეს. აღმზრდელი ჯერ შეჭამს ბავშვებთან ერთად ტკბილ ყურძენს (ან სხვა ტკბილ ხილს) და იტყვის: „ყურძენი ტკბილია“ (სახეზე გამოეხატება კმაყოფილება), შემდეგ გასინჯავს მჟავე ვაშლს (ან სხვა მჟავე ხილს) ბავშვებთან ერთად, უსიამოვნო სახეს მიიღებს და იტყვის: „ვაშლი მჟავეა“.

ანალოგიურად გააკეთებინებს თითოეულ აღსაზრდელს, იმისათვის, რომ სწავლის პროცესში გრძნობის ყველა ორგანო იყოს ჩართული და აღსაზრდელებმა უფრო კარ-

გად გაიგონ სიტყვების მნიშვნელობები. ამ სიტყვების მნიშვნელობის გაგების შემდეგ აღმზრდელი უთითებს ხან ერთ ხილზე, ხან – მეორეზე და ეკითხება აღსაზრდელებს: „ტკბილია? მჟავეა?“.

**ბ.** აღსაზრდელები სინჯავენ მათ ხელთ არსებულ ხილის სახეობებს და არკვევენ, ტკბილია თუ მჟავე ის ხილი, რომელსაც სინჯავენ.

**5.2.8.** რიცხვები 1-დან 5-მდე.

აღმზრდელი ავარჯიშებს აღსაზრდელებს 1-დან 5-მდე რიცხვების გამოყენებაზე, როგორც ეს აღწერილია აქტივობაში 3.3.11.

## 5.3. ლოგიკური დავალებები

**მიზანი:** ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება; მოტორიკის განვითარება, განვილი ლექსიკის განმტკიცება და თემის ახალი ლექსიკის ათვისება.
**ლექსიკა:** ლოგიკური დავალებები ძირითადად აგებულია თემის ლექსიკის ირგვლივ.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, სამაგიდო თამაშები, ორობანა, ლოტო და ა. შ.
**დრო:** 20 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა იმ საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**5.3.1.** დაუხატე ვაშლის ხეს ვაშლები:

ფურცელზე ხატია მხოლოდ ვაშლის ხის კონტური. ბავშვებმა უნდა დაუხატონ ხეს ვაშლები და გააფერადონ (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 5.3.1.).

**5.3.2.** აღსაზრდელები ახარისხებენ სხვადასხვა ხილს/ბოსტნეულს (ნამდვილს ან პლასტმასის სათამაშოებს) სხვადასხვა ჯამში აღმზრდელის მიერ მითითებული ნიშნის მიხედვით:

**ა.** ფერი (ანუ წითელი ხილი ერთად, ყვითელი ხილი ერთად და ა. შ.);

**ბ.** სახეობები (ანუ ვაშლები ერთად, მსხლები ერთად და ა.შ).

**5.3.3.** ვაშლი ხიდან ვარდება (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 5.3.3).

**5.3.4.** იპოვე ოთხი განსხვავება ორ ვაზს შორის (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქ-ტივობა 5.3.4.).

**5.3.5.** შეაერთე ხაზებით, სად რა იზრდება (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 5.3.5.).

**5.3.6.** ორობანას თამაში ხილის ბარათებით (ბარათები მზადდება აქტივობის 5.8.1. დროს, იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**5.3.7.** ვაგემოვნებინებთ აღსაზრდელებს სხვადასხვა ხილს/ბოსტნეულს და ვეკითხებით, რომელი უფრო ტკბილია – ვაშლი თუ მსხალი? რომელი უფრო მჟავეა და ა.შ.

**5.3.8.** ჩემი საყვარელი ხილი ან ბოსტნეული.

აღმზრდელი დაფაზე ხატავს გრაფას (იხ. ქვემოთ) და აღნიშნავს, ვის რომელი ხილი უყვარს ყველაზე მეტად. თითოეული ბავშვი ამბობს ფრაზას: „მე მიყვარს...“ , შემდეგ აღმზრდელი დაითვლის პლიუსების რაოდენობას თითოეულ გრაფაში, მაგ., ვაშლი უყვარს 3 ბავშვს, მსხალი უყვარს 1-ს და ა. შ. და გამოავლენს ყველაზე დიდ/პატარა ჯგუფს. ბავშვები ცდილობენ, დაითვალონ აღმზრდელთან ერთად.

**ნიმუში:**

| ბავშვის სახელი | ვაშლის გამოსახულება | მსხლის გამოსახულება | ყურძნის გამოსახულება | ატმის გამოსახულება | ნესვის გამოსახულება | საზამთროს გამოსახულება |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნინო | + | | | | + | |
| თამაზი | | + | | | | + |
| ლეილა | + | | | | | |
| გიორგი | + | | + | | | + |

ვარიაცია (ჯგუფის სიძლიერის მიხედვით): აღსაზრდელი ასახელებს იმ ხილს, რომელიც უყვარს (მე მიყვარს... ) და იმასაც, რომელიც არ უყვარს (მე არ მიყვარს...). შესაბამის გრაფაში აღმზრდელი ჩაწერს „+“ და „–“.

**ნიმუში:**

| ბავშვის სახელი | ვაშლი | მსხალი | ყურძენი | ფორთოხალი | ბანანი |
|---|---|---|---|---|---|
| ნინო | + | | – | | |
| თამაზი | | + | | | – |
| ლეილა | + | | | – | |
| გიორგი | | – | + | | |

**5.3.9.** ლოტოს თამაში ხილით (აქტივობის მსვლელობის აღწერა დაწვრილებით იხილეთ შესავალ აქტივობაში 0.3.).

**შენიშვნა:** გართულებული ვარიანტი: ლოტოს თამაში ბოსტნეულით და ხილით.

**5.3.10.** ორობანას თამაში ხილით და ბოსტნეულით. (აქტივობის მსვლელობის აღწერა დაწვრილებით იხილეთ აქტივობაში 1.3.1.).

## 5.4. მუშაობა მცირე ჯგუფებში

**მიზანი:** ახალი ლექსიკური მასალის ათვისება-გავარჯიშება თამაშით, შემოქმედებითი უნარის განვითარება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, სათამაშოები.
**დრო:** 30 წთ.

**5.4.1.** ხელოვნების წრე: შუაზე გაჭრილი ხილის ანაბეჭდების კოლაჟი.
ხილი გავჭრათ შუაზე, დავასველოთ საღებავში და თეთრ ფურცლებზე დავტოვოთ ხილის ანაბეჭდები.

**5.4.2.** დრამატული წრე: მაღაზიის მოწყობა და ხილის „ყიდვა-გაყიდვა“. რომელიმე თოჯინისთვის დაბადების დღის გადახდა, სუფრის გაწყობა, ხილის დესერტების მომზადება და გამასპინძლება.

**5.4.3.** სამაგიდო თამაშების წრე:

**ა.** ლოტო: ხილი

**ბ.** ლოტოს თამაში ახალი და ძველი ბარათებით.

**გ.** ორობანა ხილის თემაზე.

**დ.** ორობანას თამაში ახალი და ძველი ბარათებით.

**ე.** მოზაიკით ხილის აწყობა: აღსაზრდელები სათამაშო მოზაიკის დაფაზე ანაწილებენ ფერად მოზაიკებს ისე, რომ გამოვიდეს კონკრეტული ხილის ფორმა.

**5.4.4.** კუბურების წრე: „ხეხილის ბაღის“ ღობის აშენება, სათამაშო ხეების ჩადგმა; თამაში პატარა კაცუნებით და ტრანსპორტით.

## 5.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** ფიზიკური განტვირთვა და თამაშით სწავლა – ფიზიკური აქტივობების დროს ცალკეული სიტყვების, ფრაზების გავარჯიშება.
**რესურსი:** სათამაშოები, ხილი, თვალების ასახვევი ნაჭერი.
**დრო:** 20 წთ.

**5.5.1.** მოძრავი თამაში „მიგორავს ვაშლი“.
აღმზრდელის მოწოდებაზე აღსაზრდელები იწყებენ კოტრიალს ხალიჩაზე.

**5.5.2. ა.** ესტაფეტა „გადაეცი ვაშლი/მსხალი“.

მოთამაშეები იყოფიან ორ გუნდად: „ვაშლებად და მსხლებად“. ეს გუნდები ეჯიბრებიან ერთმანეთს სირბილში, კერძოდ, მირბიან ხილით ხელში გარკვეულ ადგილამდე, მორბიან უკან და აწვდიან თანაგუნდელს ამ ხილს. გამარჯვებულია ის გუნდი, რომლის ბოლო მოთამაშეც პირველი მივა ფინიშთან.

**ბ.** ესტაფეტა „გაავსე ტომარა/კალათი ვაშლით“.

მოთამაშეები იყოფიან ორ ჯგუფად. ჯერ ერთი ჯგუფი თამაშობს, შემდეგ მეორე. აღმზრდელი კი დროს ინიშნავს (მაგ., 5 წუთი). გარბენის დროს გუნდის წევრები ერთი ადგილიდან აიღებენ ხილს და ჩააგდებენ მეორე მხარეს მდგარ კალათში/ტომარაში. მოთამაშემ სწორად უნდა დაასახელოს ის ხილი, რომელსაც აგდებს კალათში/ტომარაში. თუ ის არასწორად იტყვის სიტყვას, მას ქულა არ ეთვლება და აღმზრდელი ამოიღებს ხილს კალათიდან/ტომრიდან. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც უფრო მეტს შეაგროვებს კალათაში/ტომარაში.

**5.5.3.** ხილის შეგროვება.

ჯგუფში დევს სხვადასხვა სახის ხილი ან ბარათები მათი გამოსახულებით. ბავშვები აგროვებენ ამ ხილს თავისთვის. აღმზრდელის ნიშანზე წყვეტენ შეგროვებას და ჩამოთვლიან, ვინ რა შეაგროვა. მოგებულია ის, ვისაც მეტი ხილი აქვს და სწორად ჩამოთვლის ყველას.

**5.5.4.** გამოიცანი, რას ჭამ.

თვალახვეულ ბავშვს ვასინჯებთ ნაჭრებად დაჭრილ ხილს. ბავშვმა უნდა გამოიცნოს და ქართულად თქვას, რა შეჭამა.

## 5.6. ლექსი, სიმღერა, ენის გასატეხი

**მიზანი:** ფონემატური სმენის განვითარება, სპეციფიკური ბგერების გამოთქმაზე ვარჯიში.
**რესურსი:** აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო/თანდართული აუდიოდისკი და სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები, ვაშლი/სხვა ხილი ან ბურთი/სხვა სათამაშო.
**დრო:** 20 წთ.

(აქტივობის მსვლელობა აღწერილია აქტივობაში 1.6.1.).

**5.6.1. ლექსი: „წითელი ვაშლი გაგორდა“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 60)**

წითელი ვაშლი გაგორდა,
/სახელი/ სკოლაში გარბოდა,
ხელში წიგნები ეჭირა,
ათიანებზე სწავლობდა.

(ხალხური)

აღმზრდელი სვამს ამ ლექსში რიგრიგობით ყველა ბავშვის სახელს და აღსაზრდელები ამბობენ ლექსს თავიანთი სახელის გამოყენებით.

**5.6.2. ლექსი: „კომში, კომში, კომარა“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 61)**

კომში,
კომში,
კომარა! –
მომეც დიდი ტომარა!
ბებოს მივურბენინებ,
ბებო არ მაწყენინებს.
გამომიტანს ჩურჩხელას
ამოდენას, ამხელას.
თავს მოვუკრავ ტომარას,
კომში,
კომში,
კომარა!
ზურგზე წამოვიკიდებ,
მომეც, ხომ არ ვიყიდე.
დიდ გზას გამოვატარებ,
დავურიგებ პატარებს –
ბევრს შენ მოგცემ
ბევრს მას მივცემ,
ბევრსაც მე დავიტოვებ.

(ავტორი: ნ. ჩაჩავა)

**5.6.3. „სიმღერა ფერებზე“**

მე დავხატავ ბალახს, შენ ფუნჯი მომიტანე,
რა ფერია ბალახი? რა ფერი და მწვანე,
მწვანე, მწვანე, რა ფერი და მწვანე. (2ჯერ)
მე დავხატავ ტალღას, მომაწოდე ფუნჯი,
რა ფერია ტალღა? რა ფერი და ლურჯი,
ლურჯი, ლურჯი, რა ფერი და ლურჯი. (2 ჯერ)
მე დავხატავ მზეს და შენ მზე გამომიჭერი,
აბა რა ფერია მზე? რა ფერი და ყვითელი,
ყვითელი, ყვითელი, რა ფერი და ყვითელი. (2ჯერ)

(ავტორი: მ. არაშიძე)

## 5.7. მუსიკა/მანდალა, მულტფილმი

**მიზანი:** პასიურ დონეზე ლექსიკის შემოტანა, რათა აღსაზრდელებმა ყური მიაჩვიონ ქართულ ბგერებს/სიტყვებს.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მულტფილმები, მშვიდი მელოდიები, ქართული სიმღერები ან აუდიოზღაპრები, მანდალები.
**დრო:** 20 წთ.

**5.7.1. ა.** მულტფილმი „საზამთრო";
**ბ.** ნებისმიერი მულტფილმი (სურვილისამებრ).

**5.7.2.** მანდალას გაფერადება ქართული საბავშვო სიმღერების ან რომელიმე მშვიდი მელოდიის თანხლებით.

**5.7.3.** აღმზრდელი უკითხავს ბავშვებს რომელიმე ზღაპარს კრებულიდან ილუსტრაციებზე დაყრდნობით.

**5.7.4.** ხატვა თავისუფალ თემაზე.

## 5.8. ხელგარჯილობა

**მიზანი:** ა. ფანტაზიის, მოტორიკის, კონცენტრაციის უნარის განვითარება.
ბ. ახალი მასალის გავარჯიშება-გამოყენება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, მაკრატელი, თივა/ბალახი, გოგრა, პლასტილინი, აკვარელის საღებავები.
**დრო:** 30 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა იმ საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**5.8.1.** ა და ბ ხილის ბარათების დამზადება ორობანასთვის (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 5.8.1. ა და ბ).

**5.8.2.** ა და ბ ხილის ლოტოს დამზადება (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 5.8.2. ა და ბ).

**5.8.3.** აპლიკაცია „ვაშლები კალათაში".
გამოვჭრათ ფერადი ყავისფერი ქაღალდისაგან დიდი ნახევარწრე, დავაწებოთ ქაღალდზე. წითელი ქაღალდისაგან გამოვჭრათ პატარა წრეები და დავაწებოთ ნახევარწრის ზემოთ.

**5.8.4.** ხილის გამოძერწვა.
წითელი ფერის პლასტილინის პატარა ნაწილს ვამრგვალებთ, ვაძლევთ ვაშლის ფორმას. ყვითელი ფერის პლასტილინს ვაძლევთ მოგრძო, მსხლის ფორმას და ა. შ.

**5.8.5.** ხილის ხატვა შერეული ტექნიკით.

ფურცელზე პასტელით ან სანთლით ვაკეთებთ ხილის კონტურებს და რამდენიმე სასურველ დეტალს. შემდეგ გადავუსვამთ აკვარელს ან გუაშის საღებავს და გავაშრობთ. გაშრობის შემდეგ კონტურები ფერს შეიცვლის.

## 5.9. შემაჯამებელი აქტივობები

**5.9.1.** „ხილის წიგნის“ დამზადება.

თითოეული ბავშვი აკეთებს თითო ხილის აპლიკაციას ფერადი ფურცლებით.

კვირის ბოლოს ამ ნამუშევრებს აკინძავენ სტეპლერით ან ძაფით და გაუკეთებენ ყდას მუყაოსგან. წიგნში შესაძლებელია ასევე ხეხილის ნახატების ჩართვაც. შესაძლოა, აღმზრდელმა გაუკეთოს ნახატებს ის წარწერები, რომელსაც ბავშვი უკარნახებს.

აქტივობა გრძელდება ერთი კვირის მანძილზე[1]. იგი შეიძლება შესრულდეს აქტივობა 5.8. ან სხვა აქტივობის დროს, აღმზრდელის შეხედულებისამებრ.

**5.9.2.** ხილის სალათის დამზადება.

სხვადასხვა ხილს გავთლით, დავჭრით, ერთმანეთში ავურევთ და მოვაყრით შაქრის ფხვნილს.

# თემა 6 ცეკვა-თამაში

**(კვირა 11/12)**

## 6.1. შესავალი: მოწესრიგება და სიმღერა

**მიზანი:** მოწესრიგება და მომზადება დღის აქტივობებისათვის.

**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“, „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და მისთ.), ლექსების ტექსტები თანდართული აუდიოდისკიდან (მაგ. „დამიკარი თავი“).

**დრო:** 20 წთ.

## 6.2. ძირითადი თემა

**მიზანი:** ტანსაცმლის დასახელებების, ფერების ათვისება.

**ახალი ლექსიკა:** კაბა, შარვალი, ფეხსაცმელი, ქუდი, ქურთუკი, ხელთათმანები, წინდები, კაშნე , მაისური, პერანგი, პალტო, სვიტრი
თეთრი, ყავისფერი

1. დროის განაწილება შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს აღმზრდელის შეხედულებისამებრ, ჯგუფის ათვისების უნარიდან გამომდინარე.

მეშინია!
ეს კაცი ვინ არის?
ეს ბოროტი წუმპოა
ნუ გეშინია!
წამო!
მაცვია
აი, მე რა კაბა მაქვს/მაცვია!
**გამეორება:** ბოსტნეულის და ხილის სახეობები, ფერები (წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე, სტაფილოსფერი, შავი), მაქვს.
**პასიური ლექსიკა:** ტანსაცმელი, ბოროტი.
**რესურსი:** ილუსტრაციები, თანდართული აუდიოდისკი.
**დრო:** 20 წთ.

**6.2.1.** ნაცნობი და უცნობი პერსონაჟების იდენტიფიცირება.

აღმზრდელი აცნობს აღსაზრდელებს მეექვსე თემის ილუსტრაციებს იმავე პრინციპით, როგორც წინა თემებში მოხდა.

**ილუსტრაცია 6.1.**

**წარწერა:** მეშინია! მეშინია! ეს ბოროტი წუმპოა!
**აღწერა:** (წინა თემის გაგრძლება) ხილის ბაღში დიდი თეთრი სახლის აივნიდან ჩანს პირქუში წუმპო, რომელსაც შავი ხელთათმანები და შავი კაშნე უკეთია, დაგლეჯილი გრძელი პალტო აცვია და გაბრაზებით უქნევს თითს და ემუქრება ხმაურიანი თავყრილობის წევრებს, რომლებიც შეშინებულები უყურებენ და აღარ მხიარულობენ, ზოგი გარბის კიდეც შეშინებული. წიკო მოუწოდებს მათ, შეიპარონ სახლში მეორე შესასვლელიდან.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 16):**

დუდუ: წიკო, ეს კაცი ვინ არის?
წიკო: ეს ბოროტი წუმპოა.
ნენე: მეშინია!
სხვები: მეშინია! მეშინია!
წიკო: ნუ გეშინია, ნენე, წამო! წამო!
წამყვანი: უი, წუმპო ბოროტია! მეშინია!

**ილუსტრაცია 6.2.**

**აღწერა:** ნენე, დუდუ, წიკო და სხვადასხვა ხილის სახეობები შეპარულები არიან თეთრ სახლში, ტანსაცმლის კარადიდან გამოაქვთ და სარკის წინ იზომებენ სხვადასხვა ფერის ტანსაცმელს. ზოგი ჩაცმულია, ზოგიც იცვამს (ვისაც უკვე აცვია, ის ამბობს „მაცვია“, ვისაც ჯერ არ აცვია, ამბობს „მაქვს“ (იხ. მოსასმენი ტექსტი). იქვე კარებიდან მოჩანს სხვა ოთახი, რომელშიც ტკბილეულით სავსე მაგიდასთან ზის შავხელთათმანებიანი წუმპო და ხელთათმანებითვე ჭამს ტკბილეულს დიდი ოდენობით.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 17):**

ნენე: აი, მე რა კაბა მაქვს.
დუდუ: აი, მე რა შარვალი მაცვია.
წიკო: აი, მე რა წინდები მაცვია.
კიკო: აი, მე რა ქუდი მაქვს.
პოპო: აი, მე რა მაისური მაცვია.
სტაფილო: აი, მე რა პერანგი მაცვია.
ვაშლი: აი, მე რა ბოტასები მაქვს.
საზამთრო: აი, მე რა ქურთუკი მაცვია.
ყურძენი: აი, მე რა ფეხსაცმელები მაქვს.
წიკო: აი, მე რა მაქვს – ხელთათმანები. (ამბობს წიკო და ხელში უჭირავს თეთრი ხელთათმანები, რომელსაც წუმპოს მიუტანს შემდეგ ილუსტრაციაში).

## ილუსტრაცია 6.3.

**წარწერა:** წუმპო კეთილია.
**აღწერა:** სხვადასხვა (საკარნავალო) ტანსაცმელში გამოწყობილი ნენე, დუდუ და მათი ამალა დიდ ოთახში მხიარულობს წუმპოსთან ერთად, რომელსაც მხიარული ფერის სვიტრი ჩააცვეს, თეთრი ხელთათმანები აცვია და მათთან ერთად მხიარულობს, უნაწილებს თავის ტკბილეულობას.
ზოგი ცეკვავს, ზოგიც უკრავს და მღერის.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 18):**

1. ნენე: წითელი კაბა.
2. წიკო: წითელი წინდები.
3. პამიდორი: წითელი მაისური.
4. ატამი: წითელი პერანგი.
5. დუდუ: მწვანე შარვალი.
6. ლობიო: მწვანე ფეხსაცმელი.
7. კიკო: მწვანე ქუდი.
8. საზამთრო: მწვანე ქურთუკი.
9. ბადრიჯანი: ლურჯი ქუდი.
10. ყურძენი: ლურჯი ფეხსაცმელები.
11. მსხალი: ყავისფერი კაბა.
12. კარტოფილი: ყავისფერი ქურთუკი.
13. ნესვი: ყვითელი შარვალი.
14. კომბოსტო: თეთრი ქურთუკი.
15. წუმპო: თეთრი ხელთათმანები.
16. სტაფილო: სტაფილოსფერი პერანგი.
17. ვაშლი: შავი ბოტასები.

**6.2.2.** ახალი ლექსიკის ათვისება, ნაცნობი ლექსიკის გახსენება.

აღსაზრდელები ახალ ილუსტრაციებზე ასახელებენ ნაცნობ საგნებს და პერსონაჟებს: კაბა, შარვალი, ფეხსაცმელი, ქუდი, ქურთუკი, ხელთათმანები, წინდები, კაშნე, მაისური, პერანგი, პალტო, სვიტრი.

აღმზრდელი ილუსტრაციების გამოყენებით აცნობს აღსაზრდელებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს.

აღმზრდელს დღეში შემოაქვს ორი ან სამი ახალი სიტყვა. მეექვსე თემის ლექსიკაზე მუშაობა ხდება ისევე, როგორც აღწერილია აქტივობაში 2.2.2., 3.2.1., 3.2.1., 3.2.3., 4.2.2.

ზმნის „მაცვია/აცვია“-ს ათვისება მოხდება ახალი ლექსიკასთან ერთად: აღმზრდელი მიუთითებს თავის ჩაცმულობაზე და ამბობს: მე მაცვია... და ა. შ. შემდეგ აღსაზრდელები აღმზრდელის დახმარებით ცდილობენ თქვან, რა აცვიათ მათ. ეს აქტივობა, სხვადასხვა ვარიაციით, სასურველია, თემის მსვლელობისას თითქმის ყველა გაკვეთილზე გამეორდეს.

ზმნის პირველი პირის („მაცვია“) ათვისების პარალელურად (ჯგუფის დონის გათვალისწინებით) შესაძლებელია დამუშავდეს მესამე პირის („აცვია“) ფორმა. აღმზრდელი მიუთითებს ილუსტრაციაზე და რამდენჯერმე გაიმეორებს: წუმპოს აცვია შავი ხელთათმანები/გრძელი პალტო და ა. შ. შემდეგ აღმზრდელი დასვამს შეკითხვას: რა აცვია წუმპოს? თავდაპირველად აღსაზრდელები პასუხობენ აღმზრდელის დახმარებით, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლადაც შეძლებენ დაახასიათონ წუმპოს ან სხვა რომელიმე პერსონაჟის ან თავიანთი კლასელის ჩაცმულობაც.

შემდეგ აღმზრდელი არასწორად მიუთითებს (წუმპოს აცვია კაბა), ბავშვებმა უნდა უპასუხონ, სწორია თუ არა.

აუცილებელია აღსაზრდელები ვავარჯიშოთ ამ მასალის განმტკიცებაზე. შესაძლებელია აღსაზრდელებს ვათამაშოთ თამაში: „ვის რა აცვია?“ თავდაპირველად აღმზრდელი ჩაიფიქრებს ერთ რომელიმე აღსაზრდელზე და დაახასიათებს მის ჩაცმულობას. მაგ.: მას აცვია წითელი მაისური, ლურჯი შარვალი და ა. შ. ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, ვის ჩაცმულობას აღწერს აღმზრდელი და სწორად უპასუხონ.

**6.2.3.** ახალი ფრაზები.

ახალი ფრაზების ათვისება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ეს წინა თემების აქტივობებშია აღწერილი.

კითხვითი წინადადების: „ეს კაცი ვინ არის?“ მნიშვნელობის გაგებასა და სწორად წარმოთქმაზე (ინტონაციაზე) ბავშვებს ვავარჯიშებთ მოსასმენი მასალის გამოყენებით (მოსასმენი 6.1.: დუდუ: – წიკო, ეს კაცი ვინ არის? წიკო: – ეს ბოროტი წუმპოა და ა. შ.) შემდეგნაირად:

**ა.** ბავშვებს რამდენჯერმე მოვასმენინებთ ჩანაწერს.

**ბ.** შემდეგ ვთხოვთ, ჩანაწერთან ერთად გაიმეორონ იგივე ფრაზა.

**გ.** მესამე ეტაპზე, ფრაზის ათვისების შემდეგ, შესაძლებელია სხვადასხვა ფრაზაზე ვარჯიში. მაგ.: ეს ბიჭი ვინ არის? ეს გოგო ვინ არის? და ა. შ.

ამ მასალას აღმზრდელი ანაწილებს ორი კვირაზე.

ქვეაქტივობების თანმიმდევრობას და სიხშირეს აღმზრდელი თავისი შეხედულებისამებრ ადგენს ჯგუფის ათვისების უნარის გათვალისწინებით.

**6.2.4. ა.** აღმზრდელს შემოაქვს სიტუაციური თამაში. ის ანაწილებს როლებს აღსარდელებს შორის: ურიგებს მათ ცალ-ცალკე წყვილ ბარათებს სხვადასხვა ტანსაცმლის გამოსახულებით (მაგ.: წინდის, კაბის გამოსახულებით). წყვილმა უნდა იპოვოს ერთმანეთი: მაგ., ვისაც კაბის სურათი აქვს, პოულობს მეორე მოთამაშეს ამავე ბარათით.

**ბ.** აღმზრდელი ახლად ათვისებული ლექსიკიდან ჩაიფიქრებს ერთ-ერთ სიტყვას და აღსაზრდელებმა კითხვების საშუალებით უნდა გამოიცნონ, რა სიტყვაა ჩაფიქრებული.

**6.2.5.** ფერები: წითელი, მწვანე, ყვითელი, ლურჯი, ყავისფერი, შავი, თეთრი + ტანსაცმელი.

აღსაზრდელები ასახელებენ ნაცნობ ფერებს სხვადასხვა ილუსტრაციაზე. აღმზრდელს შემოაქვს ორი ახალი ფერი: თეთრი და ყავისფერი. ნაცნობი და ახალი ფერების მეშვეობით ბავშვები აღწერენ ტანსაცმელს ილუსტრაციებზე. მაგ.: თეთრი მაისური, ლურჯი კაბა, მწვანე ხელთათმანი და ა. შ. ისინი უბრუნდებიან ასევე ილუსტრაციებს გავლილი თემებიდან და იქაც ეძებენ ამა თუ იმ ფერის ტანსაცმელს.

**შენიშვნა:** ეს აქტივობა კარგია განვილი მასალის გამეორებისთვის (ფერებთან ერთად სხვა ლექსიკაც), რაც აღმზრდელმა თავისი შეხედულებისამებრ უნდა დაგეგმოს.

## 6.3. ლოგიკური დავალებები

**მიზანი:** ახალი მასალის ათვისება-გავარჯიშება და ძველის გამეორება-განმტკიცება თამაშით, ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, მაკრატელი, ფანქრები, ლოტო, „ორობანა“.
**დრო:** 20 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა იმ საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**6.3.1.** ჩააცვი თოჯინას ტანსაცმელი.

ნახატზე გამოსახულია გოგონა და ბიჭი, იქვე – მათი ტანსაცმელი. ბავშვებმა უნდა გამოჭრან შესაბამისი ტანსაცმელი და დააწებონ გოგონას და ბიჭის სხეულებს. (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 6.3.1.).

**6.3.2.** თასმების გასაყრელის დამზადება.

აღსაზრდელებმა უნდა გამოჭრან დახატული ფეხსაცმელების ფორმები, დააწებონ მუყაოს ქაღალდზე. შემდეგ უნდა გახვრიტონ თასმის გასაყრელები და გააფერადონ ფეხსაცმელები. ფეხსაცმლის თასმების გამოყენებით მათ სწორად გაუყარონ და შეკრან თასმები (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 6.3.2.).

**6.3.3.** შემოხაზე ერთნაირი შარვლები (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 6.3.3.).

**6.3.4.** წინდისთვის წყვილის პოვნა და გაფერადება (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 6.3.4.).

**6.3.5.** დაუხატე კაბას კოპლები (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 6.3.5.).

**6.3.6.** იპოვე კაბა და გააფერადე (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 6.3.6.).

**6.3.7.** დაუხატე წინდას ზოლები (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 6.3.7.).

**6.3.8.** დაუხატე ფეხსაცმელს თასმები (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 6.3.8.).

## 6.4. მუშაობა მცირე ჯგუფებში

**მიზანი:** ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების გაგება და გამოყენება თამაშის სიტუაციაში.
**რესურსი:** მოზაიკა, ორობანას და ლოტოს ბარათები, ბავშვის სამუშაო რვეული, კუბურები.
**დრო:** 30 წთ.

**6.4.1.** ხელოვნების წრე:

ჩაცვი გოგონას ტანსაცმელი: გამოჭერი გოგონა და დააწებე მუყაოზე. გამოჭერი ტანსაცმელი და დააწებე გოგონას.

**6.4.2.** დრამატული წრე:

„ტანსაცმლის მაღაზიის“ მოწყობა, სხვადასხვა სეზონის ტანსაცმლის, ქუდებისა და ფეხსაცმელების შეტანა და გასინჯვა.

თოჯინების ტანსაცმლის გარეცხვა, გაუთოება და ჩაცმა.

**6.4.3.** სამაგიდო თამაშების წრე:

**ა.** ორობანა ტანსაცმლის თემაზე;

**ბ.** ლოტო ტანსაცმლის თემაზე;

**გ.** მოზაიკით ტანსაცმლის აწყობა;

**დ.** ღილების და დიდი მძივების აცმა თასმებზე.

**6.4.4.** კუბურების წრე: „ტანსაცმლის მაღაზიის“ აშენება და პატარა ფიგურებით თამაში.

## 6.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** ფიზიკური განტვირთვა და თამაშით სწავლა – ფიზიკური აქტივობების დროს ცალკეული სიტყვების, ფრაზების გავარჯიშება.

**ლექსიკა:** ტანსაცმლის დასახელებები და ფერები.

**რესურსი:** ბურთი (სტიკერი), ბარათები.

**დრო:** 20 წთ.

**6.5.1.** ბავშვები იყოფიან ორ ჯგუფად. აღმზრდელი ადგენს გარკვეულ დროის ლიმიტს (3 წთ. ან 5 წთ.). ფინიშთან აწყვია ბარათები (შეგვიძლია გამოვიყენოთ ორობანას და/ან ლოტოს ბარათები): კაბა, შარვალი, ქუდი, წინდები, ქურთუკი, ხელთათმანები, მაისური, პერანგი, ფეხსაცმელი, ბოტასები. თამაშს იწყებს პირველი გუნდი, რომლის ყოველი მონაწილეც მირბის ფინიშთან, მოაქვს ბარათი, სწორად ასახელებს მას და აძლევს აღმზრდელს. თუ ბავშვი არასწორად დაასახელებს აღნიშნულ საგანს, ბარათი ისევ უბრუნდება თავის ადგილს. დროის ლიმიტის გასვლის შემდეგ, მეორე გუნდი იწყებს თამაშს. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც დათქმულ დროში უფრო მეტ ბარათს დააგროვებს.

**6.5.2.** სხვადასხვა ტანსაცმლის მორგება და პოდიუმის მოწყობა.

## 6.6. ლექსი, სიმღერა, ენის გასატეხი

### 6.6.1. ლექსი: „როგორ მიხვდა ბებია?“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 62)

წელსაც გამომიგზავნა
ბებომ თბილი წინდები –
შარშანდელზე ფაფუკი,
შარშანდელზე დიდები.
როგორ მიხვდა ნეტავი
ჩემი კარგი ბებია,
რომ ის ძველი წინდები
დამპატარავებია?!

(ავტორი: ნ. თარგამაძე)

### 6.6.2. ლექსი: „ზღარბო, ზღარბო, ქაცვია“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 63)

ზღარბო, ზღარბო, ქაცვია,
ეს რა ქურქი გაცვია!
დამაკაწრეს თითები
მაგ ჩხუტუნა ნემსებმა.
ნეტავ შენი დედიკო
როგორ გეალერსება?!

(ავტორი: გ. ჭიჭინაძე)

**6.6.3. სიმღერა: „გზაზე მირბის კურდღელი“**

გზაზე მირბის კურდღელი – ცელქი, პრანჭია,
გზაზე მირბის კურდღელი – ცელქი, პრანჭია,
სკუპ, სკუპ, სკუპ, სკუპ, ცელქი პრანჭია,
სკუპ, სკუპ, სკუპ სკუპ, ცელქი, პრანჭია.
ჯერ შემოხვდა მელია: „გამარჯობა ბაჭია,
რა ლამაზი ქურთუკი გაცვია“.
შეეშინდა ბაჭიას, სოროსაკენ გასწია.
გაუკვირდა მელიას: „უი, რა უზრდელია!
რა ეწყინა, საკვირველია!
რა ეწყინა, საკვირველია!“

(ავტორი: მ. არაშიძე)

## 6.7. მუსიკა/მანდალა, მულტფილმი/ზღაპარი

**მიზანი:** აღსაზრდელები ყურს აჩვევენ ქართულ ბგერებს, მათ გამოთქმას და ასევე, წინადადების ინტონაციას, მელოდიას.
**ლექსიკა:** პასიური მარაგის ლექსიკა.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მულტფილმები, მშვიდი მელოდიები, ქართული სიმღერები ან აუდიოზღაპრები, მანდალები.
**დრო:** 20 წთ.

**6.7.1.** მანდალას გაფერადება ქართული საბავშვო სიმღერების ან ნებისმიერი მშვიდი მელოდიის თანხლებით.

**6.7.2.** მულტფილმის ყურება ბავშვების სურვილისამებრ.

**6.7.3.** აღმზრდელი უკითხავს ბავშვებს რომელიმე ზღაპარს კრებულიდან ილუსტრაციებზე დაყრდნობით.

**6.7.4.** ხატვა თავისუფალ თემაზე.

## 6.8. ხელგარჯილობა

**მიზანი:** ბავშვის სხეულის წვრილი კუნთების კონტროლი და კოორდინირებული მოქმედება, ფანტაზიის უნარის განვითარება, ახალი ლექსიკის ათვისება ვიზუალური ხატის მეშვეობით.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული: 1. ილუსტრაციების ფრაგმენტები, მაკრატელი, ფურცლები, ფანქრები. 2. მუყაო, გუაში. მაკრატელი. 3. გასაბერი ბუშტი, მოხარშული სახამებელი, ძველი გაზეთები ან ქაღალდი; გუაში, ფუნჯები.
**დრო:** 30 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**6.8.1.** ა და ბ „ორობანას“ ბარათების დამზადება (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 6.8.1 ა და ბ);

**6.8.2.** ა და ბ ლოტოს ბარათების დამზადება (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 6.8.2. ა და ბ);

**6.8.3.** პაპიე მაშეს ქუდების დამზადება და გაფორმება.

პაპიე მაშეს ტექნოლოგიით, საჰაერო ბუშტების გამოყენებით ბავშვები დაამზადებენ სხვადასხვა ფორმის ქუდებს და გააფორმებენ საღებავის, ფერადი ქაღალდის ან ქსოვილის გამოყენებით.

**პაპიე მაშეს ტექნოლოგია (ინსტრუქცია აღმზრდელისთვის):**

წაახალისეთ ბავშვები, დახიონ მეორადი ქაღალდი ან ძველი ჟურნალ-გაზეთები დაახლოებით 4 სმ-ის სიგრძის ზოლებად. წინასწარ მოამზადეთ პურის ფქვილის წებო.

მოამზადეთ შემდეგი ნარევი: 1/4 ჭიქა ფქვილი გახსენით ერთ ჭიქა ცივ წყალში, ცალკე ცეცხლზე დადგით და აადუღეთ 5 ჭიქა წყალი, რომელშიც ნელ-ნელა ჩაასხამთ ფქვილისა და ცივი წყლის ნარევს. ურიეთ ნელა, 2-3 წუთის განმავლობაში, ვიდრე არ მიიღებთ ბლანტ წებოვან მასას. მოხმარებამდე გააციეთ. ასეთი წებო შეგიძლიათ მოათავსოთ მინის ქილაში, შეინახოთ მაცივარში და მეორე დღესაც გამოიყენოთ. მიღებული წებო ჩაასხით პლასტმასის ჯამში და ჩაყარეთ დახეული გაზეთები, შემდეგ წებოში ამოვლებული გაზეთები დააწებეთ ბუშტზე ჯერ ერთი მიმართულებით, როცა მთლიანად დაფარავთ, გაზეთის ნაგლეჯებით კიდევ ერთი ფენა დააწებეთ სხვა მიმართულებით, დაგჭირდებათ დაახლოებით 3-4 ფენა (ფენების რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული მიღებული ნაკეთობის კედლის სისქე, ოღონდ ძალიან სქელის გაკეთება არ ღირს, კარგად არ გამოშრება და ნამუშევარს არასასიამოვნო სუნი აუვა). გაითვალისწინეთ, გაშრობას 12-დან 24 საათამდე დაჭირდება.

თუ მართკუთხა ფორმის მიღება გინდათ, ბუშტის ნაცვლად გამოიყენეთ მუყაოს ყუთი, ხოლო სხვადასხვა უსწორმასწორო ფორმის მისაღებად დაკუჭეთ გაზეთი სასურველ ფორმაზე და იმას დააწებეთ სახამებლიანი გაზეთის ნაგლეჯები.

**6.8.4.** ძველი შარვლების მოხატვა საღებავებით.

ძველ, გამოუსადეგარ ტანსაცმლს: შარვალს, მაისურს, პერანგს ბავშვები მოხატავენ, გაუკეთებენ აპლიკაციას სხვა ქსოვილებით, გააფორმებენ ღილებით ან სხვა მასალით.

**6.8.5.** ფერადი ქაღალდისაგან ტანსაცმლის აპლიკაციების შესრულება.

ფერად ქაღალდზე ბავშვები დახატავენ სხვადასხვა ტანსაცმელს: კაბას, შარვალს, მაისურს, გამოჭრიან და დააწებებენ ქაღალდზე.

**6.8.6.** წინდებისაგან თოჯინის ქუდების დამზადება და გაფორმება.

ძველ წინდებს ბავშვები გადაჭრიან ქუსლთან, მოარგებენ თოჯინებს და გააფორმებენ სხვადასხვა მოსართავების დაწებებით.

**6.8.7.** ქსოვილებისა და სხვადასხვა ფერისა და ფორმის ღილებისაგან კოლაჟის დამზადება.

ბავშვები შეარჩევენ სხვადასხვა ქსოვილის ნაკუწებს და ლამაზ მოსართავებს (ღილები, მძივები და სხვ.), გაანაწილებენ კომპოზიციას ფორმატზე ან თაბახის ფურცელზე და დააწებებენ.

### 6.9. შემაჯამებელი აქტივობები

პლასტმასის ბოთლების მოდელებად გამოყენება.

სხვადასხვა ქსოვილით აპლიკაციების საშუალებით ტანსაცმლის მოფიქრება და დამზადება, გაფორმება სხვადასხვა მასალით: მძივებით, ღილებით, თასმებით, ძაფებით.

გამოფენის მოწყობა.

## თემა 7 დამალობანა

**(კვირა 13/14)**

### 7.1. შესავალი: მოწესრიგება და სიმღერა

**მიზანი:** მოწესრიგება და მომზადება დღის აქტივობებისათვის.

**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“, „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და მისთ.), ლექსების ტექსტები თანდართული აუდიოდისკიდან (მაგ. „დამიკარი თავი“).

**დრო:** 20 წთ.

### 7.2. ძირითადი თემა: დამალობანა

**მიზანი:** ძველი ლექსიკის აქტივაცია, ახალი სიტყვების ათვისება და ადეკვატურად გამოყენება.

**ლექსიკა:** ბალი, მარწყვი, გოგრა, ბუხარი, კაკ-კუკ; კარადა/კარადაში; მაგიდა/მაგიდაზე; საწოლი/საწოლში; სკამი/სკამზე; ფანჯარა/ფანჯარაზე; კარი/კარზე.

რაოდენობითი რიცხვითი სახელები: ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი.

თანდებულები: -ში; -ზე.

ფრაზები: კარადაში საზამთროა?

აქ ვარ!

მოვდივარ!

**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, თანდართული აუდიოდისკი.

**დრო:** 20 წთ.

**7.2.1.** ნაცნობი და უცნობი პერსონაჟების იდენტიფიცირება.

აღმზრდელი აცნობს აღსაზრდელებს მეშვიდე თემის ილუსტრაციებს იმავე პრინციპით, როგორც უკვე ათვისებულ თემებში მოხდა. ახალი პერსონაჟები ამ თემაში არიან: გოგრა, მარწყვი, ბალი (იხ. მეშვიდე თემის ილუსტრაციები).

## ილუსტრაცია 7.1.

**წარწერა:** ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი.
**აღწერა:** წუმპო დგას ბუხართან, იხუჭება: ითვლის ათამდე და იძახის: მოვდივარ! ნენე, დუდუ და სახლის სტუმრები დამალვის პროცესში არიან, ეძებენ სამალავს.

**მოსამენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 19):**

წუმპო: – ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, მოვდივარ!
სხვადასხვა პერსონაჟის ჩურჩული (ხმამაღლა ფიქრი, სად დაიმალოს):
– კარადა? ...
– მაგიდა? ...
– საწოლი? ...
– სკამი? ...
– ფანჯარა? ...
– კარი? ...
....
ერთი, ორი, სამი,
ოთხი, ხუთი,
ექვსი, შვიდი,
რვა, ცხრა, ათი.(2-ჯერ)

## ილუსტრაცია 7.2.

**წარწერა:** მაგიდაზე ...? კარადაში ....?
**აღწერა:** წუმპო ეძებს დამალულებს. თან ფიქრობს ხმამაღლა: მაგიდაზე გოგრაა? საწოლში ...? სკამზე ...? ფანჯარაზე ...? კარზე ...? ყველა ადგილიდან ჩანს დამალულის მხოლოდ ერთი დეტალი. მაგ., ფეხსაცმელი, ქუდის ნაწილი, ტანსაცმლის ნაწილი (წინა თემის გამეორება). თვითონ დამალული პერსონაჟები არ ჩანან.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 20):**

1. ვაშლი კარადაში?
2. კიტრი მაგიდაზე?
3. საზამთრო საწოლში?
4. პამიდორი სკამზე?
5. მსხალი ფანჯარაზე?
6. კარტოფილი კარზე?

(დავალებებში აღსაზრდელები „ეხმარებიან“ წუმპოს დამალული პერსონაჟების პოვნაში, აღმზრდელი ჯერ არ უსწორებს აღსაზრდელებს, ვინ სად არის.)

**ილუსტრაცია 7.3.**

**წარწერა:** კაკ-კუკ! აქ ვარ!
**აღწერა:** ყველა გამოჩნდება თავისი ადგილიდან, წიკოს გარდა, რომელიც ჩუმად გამოყოფს გამურულ თავს ბუხრიდან, დააკაკუნებს ბუხარზე და ამბობს: კაკ-კუკ! აქ ვარ! წუმპო ოდნავ მოშორებით დგას და უხარია, რომ თითქმის ყველა იპოვა.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 21):**

1. ნესვი კარადაში
2. ყურძენი მაგიდაზე
3. ატამი საწოლში
4. ბადრიჯანი სკამზე
5. გოგრა ფანჯარაზე
6. მარწყვი კარზე
7. კიტრი მაგიდაზე
8. კომბოსტო კარადაში
9. ლობიო მაგიდაზე
10. სტაფილო საწოლში
11. ბალი სკამზე
12. პამიდორი სკამზე

....
წუმპო: -ჰი-ჰი-ჰი-ჰი-ჰი,
კარადაში ნესვი,
მაგიდაზე ყურძენი,
საწოლში სტაფილო,
სკამზე ბადრიჯანი,
ფანჯარაზე გოგრა,
კარზე მარწყვი,
კარადაში კომბოსტო,
სკამზე ბალი.

**7.2.2.** ახალი ლექსიკის ათვისება, ნაცნობი ლექსიკის გახსენება.

აღსაზრდელები ახალ ილუსტრაციებზე ასახელებენ ნაცნობ საგნებს და პერსონაჟებს: ვაშლი, მსხალი, საზამთრო, ატამი, ნესვი, ყურძენი, კიტრი, პამიდორი, სტაფილო, ლობიო, კომბოსტო, კარტოფილი, ბადრიჯანი.

აღმზრდელი ილუსტრაციების გამოყენებით აცნობს ბავშვებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს. ბოსტნეულის და ხილის გამეორების შემდეგ ამატებს: გოგრა, მარწყვი, ბალი. შემდეგ – კარადა, მაგიდა, საწოლი, სკამი, ფანჯარა, კარი.

აღმზრდელი ყოველ დღე ამატებს ორ ან სამ ახალ სიტყვას. მეშვიდე თემის ლექსიკაზე მუშაობა ხდება ისევე, როგორც აღწერილია აქტივობაში 2.2.2., 3.2.1., 3.2.3., 4.2.2. -ზე და -ში თანდებულების ათვისება მოხდება ახალი ლექსიკის ათვისების შემდეგ: აღმზრდელი მიუთითებს ილუსტრაციაზე და რამდენჯერმე გაიმეორებს: კიტრი მაგიდაზე (დევს), პამიდორი სკამზე (დევს). შემდეგ არასწორად მიუთითებს (კიტრი კარადაშია), ბავშვებმა უნდა უპასუხონ, სწორია თუ არა. ბოლოს აღმზრდელი დასვამს შეკითხვას: სად არის კიტრი? ბავშვები პასუხობენ. ანალოგიურად დამუშავდება-ში თანდებულიც.

შემდეგ აუცილებელია აღსაზრდელები ვავარჯიშოთ ამ მასალის განმტკიცებაზე. აღმზრდელი მოათავსებს სხვადასხვა საგანს სხვადასხვა ადგილას: ბავშვებმა უნდა გამოიცნონ და სწორად უპასუხონ.

აღმზრდელი ილუსტრაციებზე დაყრდნობით ეკითხება:

ვაშლი კარადაშია?
კიტრი მაგიდაზეა?
საზამთრო საწოლშია?
პამიდორი სკამზეა?
მსხალი ფანჯარაზეა?
კარტოფილი კარზეა?
ბავშვები პასუხობენ, სწორია თუ არა.

**7.2.3.** ახალი ფრაზები.

ახალი ფრაზების ათვისება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ეს წინა თემების აქტივობებშია აღწერილი. ამ მასალასაც აღმზრდელი ანაწილებს ორი კვირის მანძილზე. ქვეაქტივობების თანმიმდევრობას და სიხშირეს აღმზრდელი თავისი შეხედულებისამებრ ადგენს ჯგუფის ათვისების უნარის გათვალისწინებით.

**შენიშვნა:** ამ აქტივობისთვის ვიყენებთ მეშვიდე თემის აუდიოჩანაწერს (ჩანაწერის ტრანსკრიპტი იხ. ზემოთ).

**7.2.4. ა.** აღმზრდელს შემოაქვს სიტუაციური თამაში. ის ანაწილებს როლებს აღსაზრდელებს შორის: ურიგებს მათ ცალ-ცალკე ორობანას წყვილ ბარათებს სხვადასხვა საგნის (მაგ.: მაგიდის) გამოსახულებით. წყვილმა უნდა იპოვოს ერთმანეთი: მაგ., ვისაც მაგიდის გამოსახულება აქვს, პოულობს მეორე მოთამაშეს ამავე ბარათით.

**ბ.** აღმზრდელი ახლადათვისებული ლექსიკიდან ჩაიფიქრებს ერთ-ერთ სიტყვას და ბავშვებმა კითხვების საშუალებით უნდა გამოიცნონ, რა სიტყვა ჩაიფიქრა აღმზრდელმა.

**გ.** მინი-სპექტაკლი „დამალობანა“.

აღმზრდელი, თვლის სისტემის კარგად ათვისების მიზნით, ათამაშებს ბავშვებს დამალობანას.

**7.2.5.** რიცხვები ერთიდან ათამდე.

აღმზრდელი ავარჯიშებს აღსაზრდელებს რიცხვებზე, როგორც ეს აღწერილია აქტივობაში 2.2.4. და 4.2.9. აღსაზრდელები ითვლიან ერთგვარ საგნებს სხვადასხვა ილუსტრაციებზე. მაგ.: ითვლიან, მეშვიდე თემის პირველ ილუსტრაციაზე რამდენი ხილი და ბოსტნეული არის დახატული. აღმზრდელი დაათვლევინებს აღსაზრდელებს: რვეულებს, წიგნებს, ფანქრებს და ა. შ.

**7.2.6.** ახალი ფერები: თეთრი, ცისფერი + ტანსაცმელი.

აღსაზრდელები ასახელებენ ნაცნობ ფერებს სხვადასხვა ილუსტრაციაზე. აღმზრდელს შემოაქვს ორი ახალი ფერი: თეთრი და ცისფერი. ამ და ნაცნობი ფერების მეშვეობით აღსაზრდელები აღწერენ ტანსაცმელს ილუსტრაციებზე. მაგ., თეთრი მაისური, ცისფერი მაისური, მწვანე კიტრი და ა. შ. ისინი უბრუნდებიან ასევე ილუსტრაციებს გავლილი თემებიდან და იქაც ეძებენ ამა თუ იმ ფერის ტანსაცმელს.

## 7.3. ლოგიკური დავალებები

**მიზანი:** ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება, განვლილი ლექსიკის გამეორება და თემის ახალი ლექსიკის ათვისება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, ფანქრები.
**დრო:** 20 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**7.3.1.** რომელია ზედმეტი. აღსაზრდელებმა უნდა დაასახელონ ყველა საგანი (კარადა, მაგიდა, საწოლი, სკამი, ფანჯარა, კარი) და გადახაზონ ის საგანი (ბურთი), რომელიც ზედმეტია. დანარჩენი შეუძლიათ გააფერადონ. (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 7.3.1.).

**7.3.2.** იპოვე პატარა სკამი. სამუშაო რვეულში მოცემულია სხვადასხვა საგანი (კარადა, მაგიდა, საწოლი და პატარა სკამი). აღსაზრდელები ასახელებენ ავეჯს. მათ ნახატზე უნდა შემოხაზონ მხოლოდ პატარა სკამი (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 7.3.2.).

**7.3.3.** ნენეს საწოლი. აღსაზრდელებმა სიმეტრიულად უნდა მიუხატონ ნენეს საწოლს მეორე მხარე (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 7.3.3.).

**7.3.4.** გამოჭრილი გეომეტრიული ფორმებისაგან კარადის აწყობა (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 7.3.4.).

**7.3.5.** რომელია უფრო მეტი. ფურცელზე არეულადაა მოცემული 5 სკამი, 6 მაგიდა, 3 საწოლი, 7 კარადა, აღსაზრდელებმა უნდა იპოვონ ერთი სახეობის საგნები, გამოჭრან, დააჯგუფონ, დაასახელონ და დაითვალონ (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 7.3.5.).

**7.3.6.** სიუჟეტის ნახატების თანმიმდევრობის დადგენა.

აღსაზრდელებმა უნდა დაადგინონ არეულად მოცემული ილუსტრაციების თანამიმ-დევრობა და გააფერადონ (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 7.3.6.). შეიძლება აკინძონ რვეულად.

## 7.4. მუშაობა მცირე ჯგუფებში

**მიზანი:** ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების გაგება და გამოყენება თამაშის სიტუაციაში.
**რესურსი:** მოზაიკა, „ორობანას“ და ლოტოს ბარათები, ბავშვის სამუშაო რვეული, დიდი ფორმატის ქაღალდი, მაკრატელი, კუბურები.
**დრო:** 30 წთ.

**7.4.1.** დრამატული წრე.
სახლობანა:

**ა.** „საკუთარი სახლების“ დალაგება.

**ბ.** ჯგუფის საწოლების დალაგება.

**გ.** მაგიდების გადაწმენდა.

**7.4.2.** სამაგიდო თამაშების წრე.

**ა.** მოზაიკით მაგიდის აწყობა.

**ბ.** თამაში ავეჯის თემის გამოყენებით.

**გ.** „ორობანა“ ავეჯის ბარათებით (ბარათები მზადდება აქტივობის 7.8.1. დროს).

**დ.** ლოტო ავეჯის თემაზე (ბარათებო მზადდება აქტივობის 7.8.2. დროს).

**7.4.3.** ხელოვნების წრე.

**ა.** საკუთარი ან სასურველი ოთახის დახატვა.
ბავშვები ცდილობენ დამოუკიდებლად დახატონ ოთახები და დაუსახელონ აღმზრდელს, რომელი საგანი სად დგას, რა დევს ამა თუ იმ საგანზე ან საგანში და ა. შ.

**ბ.** მაგიდის დამზადება მუყაოს ყუთისა და ჯოხების გამოყენებით;

**გ.** ძერწვა: ბავშვებს შეუძლიათ გამოძერწონ მაგიდა, საწოლი, სკამი, კარადა.

**დ.** მუყაოს ყუთებისგან თოჯინების საწოლების დამზადება.

**ე.** აპლიკაცია: საწოლი (ბამბისა და ქსოვილის გამოყენებით).

**7.4.4.** კუბურების წრე.
მაგიდა: ოვალური ან ოთხკუთხედი ფორმის მაგიდის „აშენება“.

## 7.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** ფიზიკური განტვირთვა და ზოგიერთი ნაცნობი თუ ახალი ლექსიკური ერთეულის გამოყენება.
**რესურსი:** სკამი, ბურთი, მოედანი/ეზო.
**დრო:** 30 წთ.

**7.5.1.** სკამის ქვეშ გაძრომა: ჯგუფი გაიყოფა ორად და შეეჯიბრება ერთმანეთს.

ვარიანტი ა: შეირჩევა ორი საშუალო სიმაღლის სკამი – თითოეული ჯგუფისთვის თითო სკამი. ჯგუფის ყველა წევრი უნდა გაძვრეს სკამის ქვეშ. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომელიც უფრო მალე დაასრულებს თამაშს.

ვარიანტი ბ: ჯგუფის წევრები უნდა გაძვრენენ ერთმანეთის მიყოლებით მდგარი რამდენიმე სკამის ქვეშ. ის ჯგუფი, რომელიც პირველი დაასრულებს დავალებას, გამარჯვებულია.

ვარიანტი გ: პატარა სკამები ლაგდება მცირედი დაშორებით ერთმანეთის მიმდევრობით (იქმნება ორი ასეთი რიგი ორი ჯგუფისთვის). თითოეული ჯგუფის წევრები ზიგზაგით უვლიან გარს სკამებს და გადიან ბოლოში ისე, რომ არცერთი სკამი არ წაიქცეს. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომელიც პირველი დაამთავრებს დავალებას სკამების წაქცევის გარეშე.

**7.5.2.** დამალობანას თამაში.

**7.5.3.** ფეხბურთის თამაში.

## 7.6. ლექსი, სიმღერა, ენის გასატეხი

**მიზანი:** ავეჯის ლექსიკის გავარჯიშება.
**რესურსი:** აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო. თანდართული აუდიოდისკი და სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები.
**დრო:** 20 წთ.

**7.6.1. გათვლა (აუდიოდისკი, ჩანაწერი 64)**

ერთი, ერთი, ერთი,
ლუწია თუ კენტი?
ორი, ორი, ორი...
წიწილა და ქორი.
სამი,
სამი,
სამი...

მაგიდა და სკამი.
ოთხი,
ოთხი,
ოთხი...
ნიჩაბი და ფოცხი.
ხუთი,
ხუთი,
ხუთი...
ტოროლების გუნდი...

(ავტორი: ი. გოგოლაური)

**7.6.2.** რომელიმე ნაცნობი ლექსის, სიმღერის ან გასათვლელის გამოყენებით გასათვლელი თამაში.

## 7.7. მუსიკა/მანდალა, მულტფილმი/ზღაპარი

**მიზანი:** განტვირთვა, ქართული ბგერების და სიტყვების ინტონაციის მოსმენა.
**რესურსი:** მანდალები, ზღაპრების წიგნი, მულტფილმები.
**დრო:** 20 წთ.

**7.7.1.** მანდალას გაფერადება ქართული სიმღერების თანხლებით.

**7.7.2.** აღმზრდელი უკითხავს ბავშვებს რომელიმე ზღაპარს (მაგ.: „სამი დათვი“) და უჩვენებს ილუსტრაციებს.

**7.7.3.** მულტფილმის ჩვენება აღმზრდელის ან ბავშვების შეხედულებისამებრ.

**7.7.4.** ხატვა თავისუფალ თემაზე.

## 7.8. ხელგარჯილობა

**მიზანი:** ა. ფანტაზიის, მოტორიკის, კონცენტრაციის უნარის განვითარება.
ბ. ახალი მასალის გავარჯიშება-გამოყენება ვიზუალური ხატის მეშვეობით.
**რესურსი:** პლასტილინი, მაკრატელი, წებო, ბავშვის სამუშაო რვეული, ფერადი ქაღალდები ან ნაჭრები, ფანქრები.
**დრო:** 30 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**7.8.1.** ა და ბ „ორობანას“ ბარათების დამზადება ავეჯის ნივთებით (კარადა, მაგიდა, საწოლი, სკამი, ფანჯარა, კარი) (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 7.8.1. ა და ბ).

**7.8.2.** ა და ბ ლოტოს დიდი და პატარა ბარათების დამზადება (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 7.8.2. ა და ბ).

**7.8.3.** ბავშვები დიდი ფორმატის ქაღალდებზე ხატავენ ნასწავლ საგნებს. შემდეგ გამოჭრიან, გააფერადებენ და გააფორმებენ კონტურებს.

**7.8.4.** აღსაზრდელები პლასტილინისგან ძერწავენ მაგიდას, სკამს, კარადას და სხვადასხვა ფიგურას ავეჯის თემაზე.

### 7.9. შემაჯამებელი აქტივობები

**7.9.1.** „საკუთარი ოთახის“ გაკეთება.

აღსაზრდელები შეაგროვებენ აქტივობა 7.8.3.-ში გაკეთებულ ნამუშევრებს და მუშაობენ ერთი დიდი საერთო ოთახის საგნების გამოძერწვაზე პრეზენტაციისთვის. დასათვალიერებლად მოსულ მშობლებს ისინი აღუწერენ თავიანთ ნამუშევარს ნასწავლი ლექსიკის მეშვეობით. კომპოზიციას შეიძლება დაერქვას „ჩვენი ბაღის ჯგუფი“.

## თემა 8 აბაზანაში

**(სხეულის ნაწილები)**

**(კვირა 15/16)**

### 8.1. შესავალი: მოწესრიგება და სიმღერა

**მიზანი:** მოწესრიგება და მომზადება დღის აქტივობებისათვის.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“, „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და მისთ.), ლექსების ტექსტები თანდართული აუდიოდისკიდან (მაგ. „დამიკარი თავი“).
**დრო:** 20 წთ.

### 8.2. ძირითადი თემა

**მიზანი:** ძველი ლექსიკის აქტივაცია და ახლის მიმატება.
**ლექსიკა:** სახე, პირი, ცხვირი, ყურები, თვალები, ხელი, ფეხი, პირსახოცი, აბაზანა, საპონი, სავარცხელი, თმა.

სუფთა, ჭუჭყიანი,
დავიბანოთ, გავიმშრალოთ, გავიხეხოთ, მაჩვენე,
შენი,
ფუფ!
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, თანდართული აუდიოდისკი.
**დრო:** 20 წთ.

**8.2.1.** ახალი ლექსიკის ათვისება, ნაცნობი ლექსიკის გახსენება.

აღსაზრდელები ახალ ილუსტრაციებზე დაყრდნობით ასახელებენ ნაცნობ ფერებს და ვის როგორი ტანსაცმელი აცვია: აღმზრდელი ილუსტრაციების გამოყენებით აცნობს ბავშვებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს: სახე, პირი, ცხვირი, ყურები, თვალები, ხელი, ფეხი, სუფთა, ჭუჭყიანი, პირსახოცი, აბაზანა, საპონი, სავარცხელი. თითოეულ დღეს ვამატებთ ორ ან სამ ახალ სიტყვას. მეშვიდე თემის ლექსიკაზე მუშაობა ხდება ისევე, როგორც აღწერილია აქტივობაში 2.2.2., 3.2.1., 3.2.3., 4.2.2.

**8.2.2.** ახალი ფრაზები.

ახალი ფრაზების ათვისება ხდება იმავე პრინციპით, როგორც აღწერილია აქ-ტივობაში 3.2.3. ამ მასალასაც აღმზრდელი ორი კვირაზე ანაწილებს. ქვეაქტივობების თანმიმდევრობას და სიხშირეს აღმზრდელი თავისი შეხედულებისამებრ ადგენს ჯგუ-ფის ათვისების უნარის გათვალისწინებით.

**შენიშვნა:** ამ აქტივობისთვის ვიყენებთ მერვე თემის აუდიოჩანაწერს (ჩანაწერის ტრანსკრიპტი იხ. ქვემოთ).

**ილუსტრაცია 8.1.**

**წარწერა:** მე სუფთა ვარ (ამბობს წიკო); ჭუჭყიანო, ჭუჭყიანო (ეუბნებიან ნენე და დუდუ წიკოს).
**აღწერა:** ნენე, დუდუ და წიკო ეზოდან ამოდიან დასვრილები და შედიან აბაზანაში.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 22):**

ნენე: – ფუფ, დუდუ, რა ჭუჭყიანი ფეხები გაქვს!
დუდუ: – შენ კიდევ რა შავი ხელები გაქვს! ფუფ!
წიკო: – მე ყველაზე სუფთა ვარ! (წიკო ცალ ფეხზე დგას, მეორე ფეხს და ხელებს მალავს).
ნენე: – აბა, მაჩვენე შენი ხელები!
წიკო: – არ გაჩვენებ!
დუდუ: – ჭუჭყიანო, ჭუჭყიანო!
წიკო: – კარგი, კარგი, დავიბანოთ აბაზანაში!

....
წამყვანი:
ფუფ, რა ჭუჭყიანი ხელები გაქვს!
ფუფ, რა ჭუჭყიანი ფეხები გაქვს!
ფუფ, რა ჭუჭყიანი პირი გაქვს!
ფუფ, რა ჭუჭყიანი ყურები გაქვს!

## ილუსტრაცია 8.2.

**წარწერა:** – მოდი, პირი დავიბანოთ!
**აღწერა:** ნენე, დუდუ და წიკო ბანაობენ აბაზანაში და მღერიან.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 23):**

(ყველანი ერთად – ნენე, დუდუ და წიკო – მღერიან შემდეგ ფრაზებს)
– მოდი, პირი დავიბანოთ!
– მოდი, თვალები დავიბანოთ!
– მოდი, ხელები დავიბანოთ!
– მოდი, ფეხები დავიბანოთ!

## ილუსტრაცია 8.3.

**წარწერა:** წიკო რა სუფთაა! ნენე რა ლამაზია!
**აღწერა:** ნენე, დუდუ და წიკო ნაბანავებები არიან; ნენე თმას ივარცხნის, დუდუ – სახეს იმშრალებს, წიკო – კბილებს იხეხავს.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 24):**

დუდუ: – წიკო, ნახე, ნენე რა ლამაზია!
ნენე: – ჰმ, მადლობა. დუდუ, აი, ახლა სუფთა ფეხები გაქვს.
წიკო: – მე კიდევ სუფთა ხელები მაქვს.
ნენე: – აბა, წიკო, რა სუფთა ხარ ახლა!
წიკო: – ჰმ!
....
წამყვანი:
ვაა, რა სუფთა ხელები გაქვს!
ვაა, რა სუფთა ფეხები გაქვს!
ვაა, რა სუფთა პირი გაქვს!
ვაა, რა სუფთა ყურები გაქვს!

**8.2.3.** მინი-სპექტაკლი: დილა

აღმზრდელს შემოაქვს სიტუაციური თამაში დილის სხვადასხვა აქტივობებზე.

ერთი ბავშვი ამბობს რომელიმე ფრაზას, მეორემ უნდა განასახიეროს ეს ფრაზა, ან პირიქით, ერთი ბავშვი აკეთებს რომელიმე სიტუაციის იმიტაციას, მაგალითად, ვითომ კბილებს იხეხავს, მეორე ამბობს შესაბამის ფრაზას.

**8.2.4.** ფერები (გამეორება).

აღმზრდელს შემოაქვს ფერი: შავი, კერძოდ კი, ფრაზა: შავი თმები. ამ და ნაცნობი ფერების მეშვეობით ბავშვები აღწერენ ტანსაცმელს ილუსტრაციებზე.

## 8.3. ლოგიკური დავალებები

**მიზანი:** ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარებს, განვლილი ლექსიკის გამეორება და თემის ახალი ლექსიკის ათვისება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, ფანქრები.
**დრო:** 20 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**8.3.1.** რომელია ზედმეტი. ბავშვებმა უნდა დაასახელონ ყველა საგანი და გადახაზონ ის საგანი, რომელიც ზედმეტია (სახე, პირი, ცხვირი, ყურები, თვალები, ხელი, ფეხი და გოგრა). დანარჩენი შეუძლიათ გააფერადონ. (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 8.3.1.).

**8.3.2.** მოცემულია სხეულის ნაწილები (სახე, პირი, ცხვირი, ყურები, თვალები, ხელი, ფეხი), ბავშვებმა უნდა გამოჭრან და ააწყონ ადამიანის ფიგურა (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 8.3.2.).

**8.3.3.** რა რისთვის გვჭირდება?

ნახატზე არეულადაა გამოსახული სავარცხელი – თმა, საპონი – ხელები, ჯაგრისი – კბილები, სახე – პირსახოცი. აღსაზრდელმა ხაზებით უნდა დააკავშიროს ნივთები ერთმანეთს (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 8.3.3.).

**8.3.4.** მოქმედებათა თანმიმდევრობის დადგენა.

აღსაზრდელებმა უნდა გამოჭრან დღის მოქმედებები (რომლებიც არეულად არის დახატული) და სწორი თანმიმდევრობით დააწყონ (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 8.3.4.).

## 8.4. მუშაობა მცირე ჯგუფებში

**მიზანი:** ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების გაგება და გამოყენება თამაშის სიტუაციაში.

**რესურსი:** მოზაიკა, „ორობანას“ და ლოტოს ბარათები, თოჯინები, სათამაშოები, ბავშვის სამუშაო რვეული, საპნის ბუშტების გასაბერი, კუბურები.

**დრო:** 30 წთ.

**8.4.1.** დრამატული წრე: თოჯინების დილა.

სანიტარული დღის მოწყობა: თოჯინების დაბანა ან იმიტაცია, დავარცხნა, მათთვის ტანსაცმლის გარეცხვა, გაუთოება და თოჯინების გალამაზება.

**8.4.2.** სამაგიდო თამაშების წრე.

**ა.** მოზაიკით ადამიანის ფიგურის აწყობა.

**ბ.** „ორობანა“ სხეულის ნაწილებზე:
ბავშვები წრიულად სხდებიან ხალიჩაზე. შუაში აწყვია „ორობანას“ ბარათები სხეულის ნაწილების გამოსახულებით (მაგ.: ხელი, ფეხი, კბილი, ყური, თვალი. ბარათები მზადდება აქტივობის 8.8.1. დროს). ბავშვებმა ერთი წუთის განმავლობაში უნდა დაიმახსოვრონ ეს სურათები. შემდეგ აღმზრდელი ამოატრიალებს სურათებს, ერთად დაალაგებს და ბავშვებს სთხოვს, ჩამოთვალონ დამახსოვრებული სურათები. აღსაზრდელებმა მორიგეობით უნდა დაასახელონ თითო-თითო საგანი, თან აღმზრდელი თანმიმდევრობით აიღებს ამოტრიალებულ ნახატს. თუ ბავშვის მიერ დასახელებული სხეულის ნაწილი დაემთხვა აღმზრდელის მიერ აღებულ სურათს, მაშინ აღმზრდელი გადასცემს მას ამ ნახატს.

**გ.** ლოტო ჰიგიენის ნივთებზე.

**8.4.3.** ხელოვნების წრე.

**ა.** საპნის ბუშტების ანაბეჭდები:
წყალსა და საპონს შევურევთ რაიმე ფერის გუაშს ან აკვარელს. გავბერავთ ბუშტებს სპეციალური საბერით ან რაიმე წვრილი მილით (შეიძლება კოქტეილის ჩხირის გამოყენება) ისე, რომ ბუშტები დაეცეს თეთრ ფორმატზე. იმავეს გავიმეორებთ სხვადასხვა ფერებით. გავაშრობთ ფორმატს და მივიღებთ წრიული ფორმის ფერად ანაბეჭდებს.

**ბ.** ადამიანის ფიგურის ხატვა.
ბავშვები ცდილობენ დამოუკიდებლად დახატონ ადამიანის ფიგურა და დაუსახელონ აღმზრდელს სხეულის ნაწილები.

**8.4.4.** კუბურების წრე.
თავისუფალი თემა.
შესაძლო ვარიანტი: თოჯინისთვის აბაზანის „აშენება“.

## 8.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** ფიზიკური განტვირთვა და ზოგიერთი ნაცნობი თუ ახალი ლექსიკური ერთეულის გამოყენება.

**რესურსი:** მოედანი/ეზო, ჯამი წყლით, ღრუბელი, ქაღალდის/გაზეთის ფურცლები, ნაგვის ყუთი,

**დრო:** 30 წთ.

**8.5.1.** თამაში „გაავსე ჯამი".

ერთმანეთს ეჯიბრება ორი გუნდი. „სტარტთან" დგას ცარიელი, ხოლო „ფინიშთან" – წყლით სავსე ჯამი. თითოეული ბავშვი ჭურჭლის სარეცხი ან დაფის საწმენდი ღრუბლით ხელში მირბის სავსე ჯამთან, გაჟღენთს ღრუბელს წყლით, ბრუნდება უკან და გაწურავს მას ცარიელ ჯამში, ხოლო გაწურულ ღრუბელს გადასცემს შემდეგ მოთამაშეს. მოგებულია ის გუნდი, რომელიც მეტ წყალს დააგროვებს ჯამში.

**8.5.2.** თამაში „გადავყაროთ ნაგავი".

აღმზრდელი ოთახში სხვადასხვა ადგილას დამალავს ქაღალდის ან ნაჭრის ნარჩენებს, ასევე დაკუჭულ ქაღალდებს და სხვ. ბავშვებმა უნდა იპოვონ ასეთი „ნაგავი" და ჩააგდონ ნაგვის ყუთში.

**8.5.3.** დილის იმიტაცია: ბავშვები იმეორებენ აღმზრდელის მოძრაობებს.

**8.5.4.** თამაში ბურთით (აღმზრდელი ისვრის ბურთს და იძახის: ხელი (ან: ფეხი, თავი და ა. შ.). ბავშვმა უნდა მოიგერიოს ბურთი შესაბამისად ხელით, ფეხით, თავით და ა. შ.).

## 8.6. ლექსი, სიმღერა, ენის გასატეხი

**მიზანი:** ვარჯიში წარმოთქმაზე, ნაცნობი ლექსიკის განმტკიცება ჰიგიენის თემაზე.

**რესურსი:** აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო. თანდართული აუდიოდისკი.

**დრო:** 20 წთ.

**8.6.1. ლექსი: „ადამიანი" (აუდიოდისკი, ჩანაწერი 65)**

ბურთი ბურთზე დავასკუპე,
დაიწერა რვიანი,
თვალებიც რომ მივუხატე
გახდა ადამიანი.
ყურებს, ცხვირ-პირს კარგად ვხატავ,
გეგონებათ ნამდვილი,
ეს მხატვრობა, გენაცვალეთ,
ყოფილა სულ ადვილი!

(ავტორი: მ. ზაზიკაშვილი).

**შენიშვნა:** ამ ლექსის თქმის დროს ბავშვები ამავდროულად ხატავენ ადამიანის სახეს.

**8.6.2. სიმღერა: „ჭუპა-ჭუპა“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 66)**

ჭუპა-ჭუპა!
წყალი მალე!
თავი უკვე დავიბანე,
უჰ, იმდენი ქაფი დადგა,
შიგ ყელამდე დავიმალე!

თურმე ჩემი თოჯინა
ძლიერ დასაბინია.
დაბანა რომ არ უყვარს,
განა დასამალია?

როგორ მოთხუპნულია,
სად იარა, სად არა!
ბანაობა გაამოს,
სუქდი, სუქდი,
პატარავ!

(ავტორი: მ. მრევლიშვილი)

**შენიშვნა:** აღმზრდელს ნაწილ-ნაწილ შემოაქვს თამაშში ლექსის სხვდასხვა ფრაზა ჟესტიკულაციის თანხლებით. ბავშვებთან ერთად აკეთებს ლექსის ინსცენირებასაც.

## 8.7. მუსიკა/მანდალა, მულტფილმი/ზღაპარი

**მიზანი:** განტვირთვა, ქართული ბგერების და სიტყვების ინტონაციის მოსმენა.
**რესურსი:** მანდალები, ზღაპრების წიგნი, მულტფილმები.
**დრო:** 20 წთ.

**8.7.1.** მანდალას გაფერადება ქართული საბავშვო სიმღერების თანხლებით.

**8.7.2.** ზღაპრის წაკითხვა ილუსტრაციების დათვალიერებით (აღმზრდელი არჩევს ზღაპრების კრებულიდან რომელიმე ზღაპარს).

**8.7.3.** მულტფილმები: „ლურჯი მელია“, „თერძი ბესო“, „შაქრო და ზაქრო“ და სხვ.

## 8.8. ხელგარჯილობა

**მიზანი:** ა. ფანტაზიის, მოტორიკის, კონცენტრაციის უნარის განვითარება.
ბ. ახალი მასალის გავარჯიშება-გამოყენება ვიზუალური ხატის მეშვეობით.
**რესურსი:** პლასტილინი, მაკრატელი, წებო, ბავშვის სამუშაო რვეული, ფერადი ქაღალდები, ფანქრები.
**დრო:** 30 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**8.8.1.** ა და ბ „ორობანას“ ბარათების დამზადება (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 8.8.1ა და ბ).

**8.8.2.** ა და ბ ლოტოს ბარათების დამზადება (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 8.8.2. ა და ბ).

**8.8.3.** ბავშვები ხატავენ თავიანთ თავს დილის რომელიმე აქტივობის დროს (ნასწავლი აქტივობებიდან ირჩევენ რომელიმეს) და აღწერენ, თუ რას აკეთებენ ნახატზე, მაგ.: დილით ადრე ვდგები, პირს ვიბან, კბილებს ვიხეხავ და ა.შ.

**8.8.4.** ბავშვები ძერწავენ ჰიგიენის ნივთებს: საპონი, ჯაგრისი, კბილის პასტა, სავარცხელი, პირსახოცი ან ნაგვის ყუთი.

**8.8.5.** კბილის ჯაგრისით ხატვა:
ვიყენებთ კბილის ჯაგრისებს საღებავებით სახატავად.

**8.8.6.** სახეები:
ბავშვებს ვურიგებთ ქაღალდებისგან გამოჭრილ ორ წრეს. ბავშვებმა ერთზე უნდა დახატონ სუფთა სახე და მეორეზე – ჭუჭყიანი.

**8.8.7.** ხელები:
ბავშვს ქაღალდზე დავადებინებთ ხელს და შემოვავლებინებთ ფანქრით კონტურს. ბავშვმა უნდა გაუკეთოს კონტურს ფრჩხილები და გააფერადოს.

**8.8.8.** კბილები:
ქაღალდისაგან გამოვჭრათ დიდი ზომის (დაახლ. 15 სმ) გაღიმებული პირი,
ცალკე ფურცელზე ბავშვებმა უნდა დახატონ კბილები, გამოჭრან და დააწებონ პირზე.

**8.8.9.** ბავშვები დიდი ფორმატის ქაღალდებზე მოხაზავენ ერთმანეთის სხეულს (ერთი დაწვება დიდ ქაღალდზე, მეორე შემოავლებს კონტურს). შემდეგ ბავშვები გამოჭრიან, გააფერადებენ და გააფორმებენ თავიანთ კონტურებს.

## 8.9. შემაჯამებელი აქტივობები

**8.9.1.** წიგნის დამზადება ჰიგიენაზე აპლიკაციებით.

თითოეული ბავშვი ფერადი ქაღალდისაგან გამოჭრის და აკეთებს აპლიკაციას: მაგ.: საკარცხელი, საპონი, კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა, პირსახოცი და ა. შ. ასევე ასრულებენ ამ ნივთების გამოყენების წესების ნახატებს, აღმზრდელს კარნახობენ ტექსტს და აღმზრდელი უკეთებს ნამუშევრებს შესაბამის წარწერებს. შემდეგ აკინძავენ თანმიმდევრობით (ერთი აპლიკაცია/ერთი ნახატი). ბოლოს ბავშვები თავიანთ ნამუშევარს მუყაოსაგან სასურველი გამოსახულების ყდას უკეთებენ. ამ ნამუშევარს შეიძლება დავარქვათ „ჩემი წიგნი ჰიგიენაზე“ და გავიტანოთ გამოფენაზე, რომელსაც მშობლები დაათვალიერებენ.

**8.9.2.** გოგრის კაცუნას დამზადება აღმზრდელთან ერთად:

გოგრას ამოვაჭრათ ყუნწი და ამოვასუფთავოთ რბილობი. გამოვუჭრათ თვალები და პირი, ხოლო თმის ადგილას შეიძლება ჩავუდოთ თივა ან ბალახი.

**8.9.3.** ბავშვები შეაჯერებენ აქტივობის 8.8.9. დროს გაკეთებულ ნამუშევრებს, ერთმანეთს დაეხმარებიან ერთმანეთის მოდელების გაუმჯობესებაში და გამოფენისთვის გააკეთებენ თავიანთი მოდელების ერთ დიდ ჯგუფურ კომპოზიციას. კომპოზიციას შეიძლება დაერქვას „ჩვენი ბაღის ჯგუფი“.

**ამ თავით მთავრდება სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი (პირველი ნახევარი) და სასურველია, აღმზრდელმა რამდენიმე დღე ან თუნდაც მთელი კვირა დაუთმოს მთლიანი განვლილი მასალის გამეორებას, რისთვისაც შეუძლია არჩევითობის პრინციპით გამოიყენოს ნებისმიერი დავალება განვლილი თავებიდან.**

# მეორე ნაწილი

# თემა 9 სტუმრად ბებიასთან

**(კვირა 17/18)**

## 9.1. შესავალი: მოწესრიგება და სიმღერა

**მიზანი:** მოწესრიგება და მომზადება დღის აქტივობებისათვის.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“, „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და მისთ.), ლექსების ტექსტები თანდართული აუდიოდისკიდან (მაგ. „დამიკარი თავი“).
**დრო:** 20 წთ.

## 9.2. ძირითადი თემა

**მიზანი:** ძველი ლექსიკის აქტივაცია და ახლის დამატება.
ახალი ლექსიკური ერთეულები: ძაღლი, კატა, თაგვი, მამალი, ცხვარი, ქათამი, ვირი, ძროხა, ცხენი, ღორი, ყეფს, კნავის, წრიპინებს, ყივის, კაკანებს, ყროყინებს, ბღავის, ჭიხვინებს, ღრუტუნებს, ბილეთი, ადგილი, გალია, წიწილა, რას აკეთებ? 6 საათზე, საათი.
**რესურსი:** ილუსტრაციები, თანდართული აუდიოდისკი.
**დრო:** 20 წთ.

**9.2.1.** ნაცნობი ლექსიკის და პერსონაჟების ამოცნობა და გამეორება.

**9.2.2.** ახალი ლექსიკის ათვისება, ნაცნობი ლექსიკის გახსენება.
აღმზრდელი ილუსტრაციების გამოყენებით აცნობს აღსაზრდელებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს. თემის ლექსიკაზე მუშაობა ხდება ისევე, როგორც აღწერილია აქტივობაში 2.2.2., 3.2.1., 3.2.3., 4.2.2.

**9.2.3.** ახალი ფრაზები.
ახალი ფრაზების ათვისება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ეს აღწერილია აქტივობაში 3.2.3. ამ მასალასაც აღმზრდელი ანაწილებს ორი კვირის მანძილზე. ქვეაქტივობების თანმიმდევრობას და სიხშირეს აღმზრდელი თავისი შეხედულებისამებრ ადგენს ჯგუფის ათვისების უნარის გათვალისწინებით.

**9.2.4.** მინი-სცენების გათამაშება ილუსტრაციების და თანდართული აუდიოდისკის მიხედვით.

შესაძლებელია ვარიაციები საკუთარი ფანტაზიის და ცოდნის გამოყენებით.

## ილუსტრაცია 9.1.

**წარწერა:** 5 ბილეთი – 10 ლარი.
**აღწერა:** მოქმედება ხდება ავტობუსში – წიკო ზის ფანჯარასთან ბედნიერი და კმაყოფილი სახით, ნენე კი ეხვეწება, დამსვიო. დედა უთითებს ნენეს სხვა ადგილზე, ასევე ფანჯარასთან. მამა აძლევს დუდუს ათლარიანს. მძღოლს ხელში უჭირავს 5 ბილეთი.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 25):**

წიკო: რა კარგია ფანჯარასთან!
ნენე: წიკო, ფანჯარასთან მე მინდა, რა!
წიკო: არა, ეს ჩემი ადგილია!
დედა: ნენე, შენ სხვა ფანჯარასთან დაჯექი.
დუდუ: მამა, მამა, მე ავიღებ ბილეთს, რა!
მძღოლი: რამდენი ბილეთი გინდათ?
მამა: ხუთი ბილეთი გვინდა. რა ღირს ბილეთი?
მძღოლი: 2 ლარი. 5 ბილეთი – 10 ლარი.

## ილუსტრაცია 9.2.

**წარწერა:** ძაღლი, კატა, თაგვი, მამალი, ცხვარი.
**აღწერა:** ეზოს შესასვლელში: მამა ხელს ართმევს ბაბუას, დედა ეხვევა ბებიას. იქვე დევს ჩანთები (ბარგი). შორიახლოს დგას გალია, რომელშიც ბაბუა მამალს ჩასვამს შემდეგ ილუსტრაციაში. წიკო მისდევს ძაღლს, ძაღლი მისდევს კატას, ხოლო კატა – თაგვს. ნენე ცხვარს ეფერება. დუდუს მამალი მოსდევს.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 26):**

ბებია: თქვენ შემოგევლეთ! როგორ მომენატრეთ!
მამა: როგორ ხართ?
ბაბუა: არა გვიშავს! მოგვენატრეთ ძალიან!
წიკო: ჰი-ჰი-ჰი, ძაღლი შევაშინე!
ნენე: ვაიმე, მამა, დუდუს მამალი მისდევს!
დუდუ: მიშველეთ!
ბაბუა: ჰაიტ, შე ოხერო! მოიცა, ჩაგსვა გალიაში!
დედა: ნენე, ხელი დაიბანე კარგად. ცხვარი ჭუჭყიანია.
....
წამყვანი: ძაღლი ყეფს. (ისმის ყეფა).
წამყვანი: მამალი ყივის. (ისმის ყივილი).
წამყვანი: კატა კნავის. (ისმის კნავილი).
წამყვანი: თაგვი წრიპინებს. (ისმის წრიპინი).
წამყვანი: ცხვარი ბღავის. (ისმის ბღავილი).

**ილუსტრაცია 9.3.**

**წარწერა:** ქათამი, ვირი, ძროხა, ცხენი, ღორი.
**აღწერა:** ბაბუას ცხენი მიჰყავს თავლაში. ცხენი ჭიხვინებს. ბებია ძროხას წველის, მეორე ძროხა იქვე დგას და ბღავის. შორიახლოს ცხვრები ბალახს ძოვენ. დედა ქათმებს და წიწილებს აპურებს, ნენე წიწილებს დასდევს დასაჭერად. ერთი ქათამი თავის ბუდესთან დგას და კაკანებს. ბუდეში ერთი კვერცხი დევს. წიკოც იქვე დგას და კისერწაგრძელებული ჩასჩერებია კვერცხს. მამალი გალიაში ზის. დუდუ ვირთან დგას და თავის მაჯის საათს უყურებს, რომელზეც მამა აჭმევს ღორებს.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 27):**

წიკო: ვაა, ქათმის კვერცხი!
ნენე: წიპ-წიპ-წიპ, პატარა წიწილები! ბებო, რას აკეთებ?
ბებო: ძროხას ვწველი. რძე გინდა?
ნენე: კი, მინდა რძე.
დუდუ: ბაბუ, ჩვენი ვირი ყროყინებს!
ბაბუა (სიცილით): ჰო, ბაბუ, ჩვენი ვირი ყოველთვის ექვს საათზე ყროყინებს.
....
წამყვანი: ქათამი კაკანებს. (ისმის კაკანი).
წამყვანი: ძროხა ბღავის. (ისმის ბღავილი).
წამყვანი: ღორი ღრუტუნებს. (ისმის ღრუტუნი).
წამყვანი: ცხენი ჭიხვინებს. (ისმის ჭიხვინი).
წამყვანი: ვირი ყროყინებს. (ისმის ყროყინი).

## 9.3. ლოგიკური დავალებები

**მიზანი:** ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება, თემის ახალი ლექსიკის ათვისება-გავარჯიშება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, ფანქრები.
**დრო:** 20 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**9.3.1.** „ორობანას“ თამაში ძველი და ახალი ბარათებით (ახალი ბარათები მზადდება აქტივობის 9.8.1. დროს).

**9.3.2.** ლოტოს თამაში ძველი და ახალი ბარათებით (ახალი ბარათები მზადდება აქტივობის 9.8.2. დროს).

**9.3.3.** ფაზლის აწყობა ძველი და ახალი ბარათებით (ახალი ფაზლი მზადდება აქტივობის 9.8.3. დროს).

**9.3.4.** მიუხატე მეორე ნახევარი შინაურ ცხოველებს: ძაღლი, კატა, მამალი, ძროხა, ცხვარი, ღორი. (იხ. სამუშაო რვეული, აქტივობა 9.3.4.).

**9.3.5.** დაითვალე წიწილები (იხ. სამუშაო რვეული, აქტივობა 9.3.5.).
დათვალე, რამდენი წიწილაა და დახატე იმდენივე ბურთულა.

**9.3.6.** გამოჭერი და ერთად დააწყვე წრეებში ჩახატული შინაური ცხოველები: ქათამი, მამალი, ვირი, ძროხა, ცხენი (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 9.3.6.).

**9.3.7.** ვისი ფეხია?
დახატულია ძაღლის, მამლის, ღორის, ცხენის ფეხები და შესაბამისი ცხოველის უფეხებო სხეული. აღსაზრდელებმა უნდა იპოვონ ცხოველების შესაბამისი ფეხები, გამოჭრან და დააწებონ (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 9.3.7.).

**9.3.8.** დაუკავშირე ერთმანეთს: ძროხა – რძე, ცხვარი – წინდა, ქათამი – კვერცხი (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**9.3.9.** დიდი და პატარა ცხოველების დაკავშირება ერთმანეთთან (იხ. სამუშაო რვეული).

**9.3.10.** რომელია ზედმეტი. გამოარჩიე შინაური ცხოველებიდან ერთი გარეული (იხ. სამუშაო რვეული).

## 9.4. მუშაობა მცირე ჯგუფებში

**მიზანი:** ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების გაგება და გამოყენება თამაშის სიტუაციაში.
**რესურსი:** მოზაიკა, „ორობანას“ ბარათები, ბავშვის სამუშაო რვეული.
**დრო:** 30 წთ.

**9.4.1.** დრამატული წრე.
მიმდინარე თემის ლექსიკის გასააქტიურებლად შესაძლებელია ბავშვებს გავათამაშებინოთ ილუსტრაციებზე მოცემული სიუჟეტი.
აღმზრდელი ბავშვებთან ერთად მოაწყობს დრამატულ კუთხეს ფერმასავით, გამოჭრის და გააკრავს ცხოველების გამოსახულებებს. დაყრის ცოტა თივას ან ქაღალდის ბურბუშელას, დააწყობს შინაური ცხოველების რბილ სათამაშოებს. შეიტანს სხვა საჭირო ატრიბუტებს. სათამაშო ფოცხი, ვედრო, ნიჩაბი.

აღმზრდელი მცირე ჯგუფებში ათამაშებინებს აღსაზრდელებს სცენებს და რიგრიგობით ეხმარება მათ. ბავშვები თვითონ ირჩევენ, რომელ პერსონაჟს განასახიერებენ.

**9.4.2.** სამაგიდო თამაშების წრე:

**ა.** მოზაიკით ავტობუსის აწყობა.

**ბ.** „ორობანას“ თამაში.

**გ.** ლოტოს თამაში.

**დ.** ფაზლის აწყობა საკუთარი არჩევანით.

**9.4.3.** ხელოვნების წრე:

**ა.** ხატვა: რომელიმე შინაური ცხოველის დახატვა ან თავისუფალი ხატვა.

**ბ.** ძერწვა: საყვარელი ცხოველის გამოძერწვა.

**გ.** აპლიკაცია: რომელიმე ცხოველის აპლიკაციის გაკეთება.

**დ.** აღმზრდელი ფანქრით შემოახაზინებს ბავშვებს ხელის ანაბეჭდებს, დაეხმარება გამოჭრაში. ბავშვები გამოჭრილ ხელის გულებზე დააწებებენ ბამბის ან მატყლის ქულას. ცერა თითზე კი დაუხატავენ ცხვრის სახეს.



**ე.** პაპიე-მაშეს ტექნოლოგიით აღმზრდელი დაამზადებინებს ბავშვებს გოჭებს.

**ვ.** თაბახის ფურცელზე ბავშვები დახატავენ დიდი ზომის ქათამს. დაჭმუჭნიან ფერადი ქაღალდის ნაკუწებს და დააწებებენ ნახატზე.

**9.4.4.** კუბურები.

ბებიის სახლის აშენება.

ბავშვები „ააშენებენ“ სოფელს, ადამიანების და ცხოველების სახლებს, შინაური ცხოველების პატარა ფიგურებით ითამაშებენ აშენებულ „კონსტრუქციებში“. შეუძლიათ ასევე გამოიყენონ თივა ან ბურბუშელა, ყავისფერი პლასტილინით კი გააკეთონ ტალახი, სათამაშო ავტობუსით იმოძრაონ სოფელში და ა.შ.

## 9.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** ფიზიკური განტვირთვა და ზოგიერთი ნაცნობი თუ ახალი ლექსიკური ერთეულის გამოყენება.
**რესურსი:** სკამი.
**დრო:** 30 წთ.

**9.5.1.** თამაში „სოფელი“.

ბავშვები დგანან წრეში. ერთ მოთამაშეს უჭირავს ბურთი, ასახელებს რომელიმე ცხოველს და გადასცემს ბურთს თავის გვერდით მდგომ მოთამაშეს, რომელმაც უნდა განასახიეროს ეს ცხოველი (გამოსცეს შესაბამისი ხმა). თუ ის სწორად გააკეთებს ამას, თავადაც ასახელებს რომელიმე ცხოველს და გადასცემს ბურთს გვერდით მდგომ მოთამაშეს. ის მოთამაშე, რომელიც არასწორად განასახიერებს ცხოველს ან ვერ დაასახელებს, არასწორად გამოთქვამს ცხოველის სახელწოდებას, გავარდება თამაშიდან.

**9.5.2.** დაჭერობანას თამაში მგლის და ცხვრების მონაწილეობით.

მგელი დასდევს დასაჭერად „ცხვრებს“, ხოლო ისინი აჯავრებენ მას შეძახილით: „მგელო, მგელო, პირდაუბანელო“.

## 9.6. ლექსი, სიმღერა, ენის გასატეხი

**მიზანი:** ვარჯიში წარმოთქმაზე, ქართული ბგერების წარმოთქმის დახვეწა, აქცენტი კეთდება ბგერებზე; ნაცნობი ლექსიკის ცნობა/განმტკიცება.
**რესურსი:** აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო. ვაშლი/სხვა ხილი ან ბურთი/სხვა სათამაშო. /თანდართული აუდიოდისკი და სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები.
**დრო:** 20 წთ.

(აქტივობის მსვლელობის აღწერილობა იხ. აქტივობაში 0.9.).

**შენიშვნა:** მოცემული ტექსტებიდან საკმარისია ერთი რომელიმეს შერჩევა ან თუნდაც ერთი ნაწყვეტით „თამაში“.

**9.6.1. ლექსი: „სათვალე“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 67)**

ბები, როგორ დავიჯერო,
რომ სათვალე კარგია,
იმ დღეს ვცადე, გავიკეთე,
არაფრად არ მარგია.
ველარც ფისო დავინახე,
ველარც ჩვენი თემური,

სათვალეა ხელს რომ გიშლის,
შენ კი თვალებს ემდური.
გახსოვს, გუშინ, საყვარელო,
მთელი დღე რომ მაწვალე?
თურმე ცხვირზე გეკეთა და
მაძებნინე სათვალე.

(ავტორი: ნ. დუმბაძე)

**9.6.2. ლექსი: „როგორ მიხვდა ბებია?“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 68)**

წელსაც გამომიგზავნა
ბებომ თბილი წინდები –
შარშანდელზე ფაფუკი,
შარშანდელზე დიდები.
როგორ მიხვდა ნეტავი
ჩემი კარგი ბებია,
რომ ის ძველი წინდები
დამპატარავებია?!

(ავტორი: ნ. თარგამაძე)

**9.6.3. ლექსი: „მამალი“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 69)**

როცა ავად ვიყავი,
ვსვი და ვყლაპე წამალი
და დედიკომ საჩუქრად
მომიყვანა მამალი.
ერთხელ ძია გვესტუმრა,
ბაბუამ თქვა: – რა ვქნათო? –
ბებიამ თქვა: – სასწრაფოდ
მამლაყინწა დავკლათო.
ჰოდა, ეს რომ გავიგე,
მამალს ხელი დავავლე
და ბებიას უჩუმრად
კარადაში დავმალე.
მერე იცით, რა მოხდა?
ბებომ შიშით იკივლა...
იმ სულელმა მამალმა
კარადაში იყივლა.

(ავტორი: ნ. დუმბაძე)

**9.6.4. ლექსი: „მეგობრობა არ იცის“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 70)**

არ ჰქონია ჩვენს ღორს გული,
ღორია და რა ვუყო?! –
ძაღლმა სთხოვა ლუკმა პური,
ძაღლს ლუკმა არ გაუყო.
შეცბა პეპი, განზე გადგა,
დაეკარგა ხალისი,
მხოლოდ ეს თქვა: ღორმა ალბათ
მეგობრობა არ იცის!

(ავტორი: მ. ფოცხიშვილი)

**9.6.5. სიმღერა „საქათმეში შეპარულა მელა“** თამუნა ამონაშვილის შესრულებით.

## 9.7. მუსიკა/მანდალა/თავისუფალი ხატვა, მულტფილმი/ზღაპარი

**მიზანი:** ფონემატური სმენის განვითარება.
**ლექსიკა:** პასიური ლექსიკა.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მულტფილმები, მშვიდი მელოდიები, ქართული სიმღერები ან აუდიოზღაპრები, მანდალები.
**დრო:** 20 წთ.

**9.7.1.** თავისუფალი ხატვა, რომლის დროს აღმზრდელი ავარჯიშებს აღსაზრდელებს ფერებისა და ფორმების გამოყენებაზე.

**9.7.2.** აღმზრდელი აჩვენებს აღსაზრდელებს რომელიმე მულტფილმს. აღსაზრდელები სურვილისამებრ აყვებიან უკვე ნაცნობ სიმღერას; ასევე, შეუძლიათ დაასახელონ ნაცნობი ცხოველები.

**შენიშვნა:** აღმზრდელს შეუძლია ესა თუ ის მულტფილმი განმეორებით აჩვენოს რამდენიმე დღის განმავლობაში.

**9.7.3.** მანდალას გაფერადება მუსიკის თანხლებით.

**9.7.4.** რომელიმე წიგნის/ილუსტრირებული ზღაპრის დათვალიერება აღმზრდელთან ერთად და პერსონაჟების ამოცნობა. აღმზრდელს შეუძლია მოუყვეს ბავშვებს მაქსიმალურად გამარტივებული ზღაპრის სიუჟეტი.

## 9.8. ხელგარჯილობა

**მიზანი:** ა. ფანტაზიის, მოტორიკის, კონცენტრაციის უნარის განვითარება.
ბ. ახალი მასალის გავარჯიშება-გამოყენება.

**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული – ამოსაჭრელი კვადრატები და დასაწებებელი ბარათები; მაკრატელი, წებო, მუყაო.
**დრო:** 30 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**9.8.1.** ა და ბ „ორობანას“ ბარათების დამზადება: ქათამი, მამალი, თაგვი, ცხვარი, ვირი, ცხენი, ძაღლი, კატა, ღორი, ძროხა. (იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 9.8.1. ა და ბ).

**9.8.2.** ა და ბ აღსაზრდელების მიერ აღმზრდელის დახმარებით თვითნაკეთი ლოტოს დიდი ბარათების დამზადება შემდეგი გამოსახულებებით:

**ა.** ქათამი, მამალი, თაგვი, კატა, ძაღლი.

**ბ.** ძროხა, ვირი, ცხენი, ცხვარი, ღორი.

შესაბამისი პატარა უწარწერო ბარათები მზადდება აქტივობა 9.8.1.-ის დროს.
(იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 9.8.2.).

**9.8.3.** ფაზლის დამზადება: 8-ნაწილიანი ფაზლი ცხენის გამოსახულებით.
(იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 9.8.3.).

**9.8.4.** მუყაოსგან ცხოველების ნიღბების დამზადება: მუყაოსაგან ბავშვები გამოჭრიან სხვადასხვა ცხოველის სახეებს, შეღებავენ და გააფორმებენ ბეწვით ან ბუმბულებით. დაამაგრებენ რეზინის სამაგრებს.

**9.8.5.** ბამბისგან წიწილების გაკეთება და ყვითლად შეღებვა.

## 9.9. შემაჯამებელი პროექტი

დამზადებული ნიღბებით და აპლიკაციებით ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს ინსცენირება. შესაძლებელია ნასწავლი ლექსების და სიმღერების ჩართვაც.

შემაჯამებელი სიმღერა: „ბასტი-ბუბუს“ ან სხვა ქართული სიმღერების ნაკრები აღმზრდელის შერჩევით.

# თემა 10 ვითომ-ვითომ

**(კვირა 19/20)**

## 10.1. შესავალი: მოწესრიგება და სიმღერა

**მიზანი:** მოწესრიგება და მომზადება დღის აქტივობებისთვის.

**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“, „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და მისთ.), ლექსების ტექსტები თანდართული აუდიოდისკიდან (მაგ. „დამიკარი თავი“).

**დრო:** 20 წთ.

## 10.2. ძირითადი თემა

**მიზანი:** ძველი ლექსიკის აქტივაცია და ახლის ზედდაშენება.

**ლექსიკა:** ზღაპარი, ზღაპრების წიგნი, წითელქუდა, მგელი, მონადირე, თოფი, კალათა, წინსაფარი, ღვეზელი, ტყე, სათვალე, ჩექმები, საბანი, ბალიში, საწოლი. ნამდვილი, ვითომ, რატომ?

**ფრაზები:** იყო და არა იყო რა... ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა... არ გვინდა, მაგარია, ასეთი დიდი; იმიტომ, რომ, მოდი, წავიკითხოთ.

**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, ილუსტრაციები, თანდართული აუდიოდისკი.

**დრო:** 20 წთ.

**10.2.1.** ნაცნობი ლექსიკის და პერსონაჟების ამოცნობა და გამეორება.

**10.2.2.** ახალი ლექსიკის ათვისება.

აღსაზრდელები ახალ ილუსტრაციებზე ასახელებენ ნაცნობ ფერებსა და საგნებს. აღმზრდელი ილუსტრაციების გამოყენებით აცნობს აღსაზრდელებს ახალ ლექსიკურ მასალას. მეცხრე თემის ლექსიკაზე მუშაობა ხდება ისევე, როგორც აღწერილია აქტივობაში 2.2.2., 3.2.1., 3.2.3., 4.2.2.

**10.2.3.** ახალი ფრაზები.

ახალი ფრაზების ათვისება ხდება იმავე პრინციპით, როგორც აღწერილია აქტივობაში 3.2.3. ამ მასალასაც აღმზრდელი ორი კვირაზე ანაწილებს. ქვეაქტივობების თანმიმდევრობას და სიხშირეს აღმზრდელი თავისი შეხედულებისამებრ ადგენს ჯგუფის ათვისების უნარის გათვალისწინებით.

**შენიშვნა:** ამ აქტივობისთვის ვიყენებთ მეცხრე თემის აუდიოჩანაწერს (ჩანაწერის ტრანსკრიპტი იხ. ქვემოთ).

**10.2.4.** მინი-სპექტაკლი: „ვითომ-ვითომ“.

აღმზრდელს შემოაქვს სიტუაციური თამაში „წითელქუდას“ ზღაპრიდან.

ერთი აღსაზრდელი „ბებიაა“, მეორე – მგელი და ა. შ. აღსაზრდელები ამბობენ შესაბამის ფრაზას და განასახიერებენ თავიანთ პერსონაჟებს.

**შენიშვნა:** ზოგიერთი ლექსიკური ერთეული არ არის მოცემული აუდიო-ჩანაწერში და მისი გააქტიურება ხდება მხოლოდ ილუსტრაციის აღწერის საშუალებით, მაგ., წინსაფარი.

## ილუსტრაცია 10.1.

**წარწერა:** ვითომ-ვითომ. წარწერა გადაშლილ წიგნზე, რომელშიც ერთ-ერთი ზღაპარია – „წითელქუდა“. წიგნის ერთ გვერდზე წითელქუდას გამოსახულებაა.

**აღწერა:** ნენე, დუდუ და წიკო ნენეს და დუდუს საძინებელ ოთახში არიან. წიკოს მოაქვს წიგნი, რომელიც დაბადების დღეზე აჩუქეს. ბავშვები ლოგინში არიან მოკალათებულნი და წიკო იწყებს წიგნის კითხვას. ეს არის ზღაპარი „წითელქუდა“.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 28):**

ნენე: – წიკო, მოდი შენი წიგნი წავიკითხოთ.
წიკო: – ჩემი ზღაპრების წიგნი?
ნენე: – ჰო, ჰო, მოდი, წითელქუდა წავიკითხოთ.
... იყო და არა იყო რა, იყო ერთი პაწია გოგონა, რომელსაც მუდამ ბებიას მოქსოვილი წითელი ქუდი ეხურა და ამიტომ ყველა წითელქუდას ეძახდა...
დუდუ: არ გვინდა, ნენე, რა (წიგნის დახურვის ხმა). მოდი, ვითომ-ვითომ ვითამაშოთ.
წიკო: მაგარია! მე ვითომ მგელი ვარ.
დუდუ: ხო, ნენე ვითომ წითელქუდაა, მე ვითომ მონადირე ვარ.

## ილუსტრაცია 10.2.

**წარწერა:** მე ვითომ მგელი ვარ. მე ვითომ წითელქუდა ვარ. მე ვითომ მონადირე ვარ.

**აღწერა:** ბავშვებს ბებიის და ბაბუის ოთახიდან შემოაქვთ ტანსაცმელი, იცვამენ მონადირის და წითელქუდას ტანსაცმლის შესაფერისად. წიკოს უკეთია მგლის ნიღაბი, ახურავს ღამის ქუდი და უკეთია სათვალე. ნენეს წითელი ქუდი ახურავს და ხელში კალათი უჭირავს, ხოლო დუდუს ქურთუკი აცვია, ქუდი ახურავს, ხელში კი სათამაშო თოფი უჭირავს.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 29):**

ნენე: მე ვითომ წითელქუდა ვარ და კალათით და ღვეზელებით მივდივარ ტყეში ბებიასთან.
წიკო: მე ვითომ მგელი ვარ და ბებიას საწოლში ვწევარ, ბებიას სათვალე მიკეთია და ბებიას ქუდი მახურავს.
დუდუ: მე კი ვითომ მონადირე ვარ და თოფი მაქვს.
ნენე (წითელქუდა): ბებია, ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი თვალები?
წიკო (მგელი): იმიტომ, რომ კარგად დაგინახო!
ნენე (წითელქუდა): ბებია, ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი ყურები?
წიკო (მგელი): იმიტომ, რომ კარგად მოგისმინო!
ნენე (წითელქუდა): ბებია, ბებია, რატომ გაქვს ამხელა პირი?
წიკო (მგელი): იმიტომ, რომ კარგად ჩაგყლაპო.

## ილუსტრაცია 10.3.

**წარწერა:** ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.
**აღწერა:** დუდუ უმიზნებს თოფს წიკოს. წიკოს კი საწოლის ქვეშიდან გამოჰყავს ბებია (თოჯინა), რომელსაც ქუდი უკვე ახურავს და წიკო სათვალეს უკეთებს. ნენე იქვე დგას, იღიმის და ამბობს: ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 30):**

დუდუ: მოიცა, მოიცა, მე ხომ ვითომ მონადირე ვარ! (დაუმიზნებს თოფს წიკოს) შენ არ ხარ ნამდვილი ბებია! სად არის ნამდვილი ბებია?
წიკო: აი, ნამდვილი ბებია, აგერ არის!
ნენე: ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.

## 10.3. ლოგიკური დავალებები

**მიზანი:** ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება, თემის ახალი ლექსიკის ათვისება და გამტკიცება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, ფანქრები.
**დრო:** 20 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**10.3.1.** თამაში „ვინ ვინ არის?“:
ერთი ბავშვი ამბობს ერთ ფრაზას ზღაპრიდან ან სცენიდან, მეორემ უნდა გამოიცნოს, რომელი პერსონაჟი ამბობს ამ ფრაზას.

**10.3.2.** რომელია ზედმეტი: აღსაზრდელებმა უნდა დაასახელონ ყველა საგანი და გადახაზონ ის საგანი, რომელიც ზედმეტია (წითელქუდა, ბებია, მგელი და კიტრი). დანარჩენი შეუძლიათ გააფერადონ (იხ.ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 10.3.2.).

**10.3.3.** მოცემულია წითელქუდას ფიგურა არეულად, აღსაზრდელებმა უნდა გამოჭრან, სწორად ააწყონ და გააფერადონ ფიგურა (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 10.3.3.).

**10.3.4.** „ვისთვის რა გვჭირდება?“:
ნახატზე არეულადაა გამოსახული: წითელქუდა – კალათა, ბებია – სათვალე, მონადირე – თოფი. აღსაზრდელმა ხაზებით უნდა დააკავშიროს გამოსახულებები ერთმანეთთან (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 10.3.4.).

**10.3.5.** „ჩააცვი წითელქუდას და ბებიას შესაბამისი ტანსაცმელი“.
ერთ ნახატზე გამოსახულია წითელქუდა და მისი ტანსაცმელი, მეორეზე – ბებია და მისი ტანსაცმელი. ბავშვებმა უნდა გააფერადონ და გამოჭრან ეს გამოსახულებები, ხოლო შემდეგ დააწებონ შესაფერისი ტანსაცმელი წითელქუდასა და ბებიას (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 10.3.5.).

**10.3.6.** სიუჟეტის ნახატების თანმიმდევრობის დადგენა.
აღსაზრდელებმა უნდა დაადგინონ არეულად მოცემული ილუსტრაციების თანმიმდევრობა (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 10.3.6.).

**შენიშვნა:** შესაძლებელია ამ დავალების შესრულების შემდეგ საკუთარი რვეულიც აკინძონ.

**10.3.7.** „რომელია უფრო მეტი?“:
ფურცელზე არეულადაა მოცემული 7 ღვეზელი, 6 კალათა, 4 საწოლი, 7 წიგნი, აღსაზრდელებმა უნდა იპოვონ ერთი სახეობის საგნები, ამოჭრან და დააჯგუფონ, დაასახელონ და დაითვალონ (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 10.3.7.).

**10.3.8.** წითელქუდას კალათა:
ამოჭერი და ჩააწყვე წითელქუდას კალათაში შესაბამისი ნივთები (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 10.3.8.).

**10.3.9.** ლაბირინთი:
წითელქუდა მიდის ბებიასთან (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 10.3.9.).

**10.3.10.** სხეულის ნაწილების ხატვა აღმზრდელის მითითებით:
მაგ., დავხატოთ თვალი/თვალები, ყური/ყურები, ხელი/ხელები, კბილი/კბილები.

**მიზანი:** ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების გაგება და გამოყენება თამაშის სიტუაციაში.
**რესურსი:** მოზაიკა, „ორობანას“ და ლოტოს ბარათები, ლოტო, თოჯინები, სათამაშოები, ბავშვის სამუშაო რვეული, საპნის ბუშტების გასაბერი, კუბურები.
**დრო:** 30 წთ.

**10.4.1.** დრამატული წრე.

სპექტაკლ „წითელქუდას“ ინსცენირება (შეძლებისდაგვარად, სპეციალური კოსტიუმებით ან ქაღალდის ნიღბებით). აღმზრდელი მოაწყობს დრამატულ კუთხეს ზღაპრის შესაბამისად: შეიძლება ერთი ადგილი იყოს ტყე, მეორე კი – ბებიის სახლი, შეიტანენ საჭირო ატრიბუტებს: წითელ ქუდს, ბებიის ქუდს, სათვალეს, მონადირის ქუდს და ბოტებს, მგლის ნიღაბს, კალათას და აღმზრდელი წაახალისებს ბავშვებს, გაითამაშონ სცენები ზღაპრიდან.

**10.4.2.** სამაგიდო თამაშების წრე:

**ა.** მოზაიკით მგლის ფიგურის აწყობა.

**ბ.** თემატური „ორობანა“ (მზადდება აქტიობის 10.8.1. დროს).

**გ.** თემატური ლოტო (მზადდება აქტიობის 10.8.2. დროს).

**დ.** თემატური ფაზლი (მზადდება აქტივობის 10.8.3. დროს).

**ე.** ფაზლი თავისუფალ თემაზე (გამზადებული ფაზლები ან ფაზლიანი წიგნები).

**10.4.3.** ხელოვნების წრე.

**ა.** საპნის ბუშტების ანაბეჭდები:
წყალსა და საპონს შევურევთ რაიმე ფერის გუაშს ან აკვარელს. გავბერავთ ბუშტებს სპეციალური საბერით ან რაიმე წვრილი მილით (შეიძლება კოქტეილის ჩხირის გამოყენება) ისე, რომ ბუშტები დაეცეს თეთრ ფორმატზე. იმავეს გავიმეორებთ სხვადასხვა ფერებით. გავაშრობთ ფორმატს და მივიღებთ წრიული ფორმის ფერად ანაბეჭდებს.

**ბ.** წითელქუდას/ბებიას/მგლის/მონადირის ფიგურის დახატვა.
აღსაზრდელები ცდილობენ დამოუკიდებლად დახატონ პერსონაჟი და დაუსახელონ აღმზრდელს მისი სხეულის ნაწილები.

**10.4.4.** კუბურების წრე.

ბებიის სახლის „აშენება“.

ბავშვები კუბურებით „ააშენებენ“ ბებიას და წითელქუდას სახლებს, პატარა ფიგურებით გაითამაშებენ ზღაპრის სიუჟეტს.

## 10.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** ფიზიკური განტვირთვა და ზოგიერთი ნაცნობი თუ ახალი ლექსკური ერთეულის გამოყენება.
**რესურსი:** მოედანი/ეზო, კალათა, ვაშლი.
**დრო:** 30 წთ.

**10.5.1.** თამაში „გაავსე კალათა ვაშლებით".

ერთმანეთს ეჯიბრება ორი გუნდი. სტარტთან დგას ცარიელი კალათა, ფინიშთან – ვაშლები (შესაძლებელია, აღმზრდელმა გაფერადებული და გამოჭრილი ვაშლები გამოიყენოს). თითოეული აღსაზრდელი მირბის ვაშლებთან, იღებს ხელში, ბრუნდება უკან და აწყობს ცარიელ კალათში, შემდეგ მირბის მეორე მოთამაშე. მოგებულია ის გუნდი, რომელიც უფრო სწრაფად გაავსებს კალათას.

**10.5.2.** (გამეორება წინა თემიდან – სხეულის ნაწილები). თამაში ბურთით: აღმზრდელი ისვრის ბურთს და იძახის: ხელი (ფეხი, თავი და ა.შ.). აღსაზრდელმა უნდა მოიგერიოს ბურთი შესაბამისად ხელით/ფეხით/თავით).

**10.5.3.** დაჭერობანას თამაში „მგელი და წითელქუდა". აღსაზრდელები გათვლის შემდეგ (გათვლის მაგივრად შეუძლიათ გამოიყენონ რომელიმე ნაცნობი ლექსის ტექსტი) ამოარჩევენ „მგელს", რომელმაც უნდა დაიჭიროს „წითელქუდა". როგორც კი დაიჭერს ვინმეს, უნდა დაარქვას მას აუცილებლად „მგელი", რის შემდეგაც ახალი „მგელი" დასდევს სხვებს. დაძაბულ მომენტში მოთამაშეები ამხნევებენ ერთმანეთს შეძახილებით: „წითელქუდა, წითელქუდა"/ „მგელი მოდის".

## 10.6. ლექსი, სიმღერა, ენის გასატეხი

**მიზანი:** ვარჯიში წარმოთქმაზე, ქართული ბგერების წარმოთქმის დახვეწა, აქცენტი კეთდება ბგერებზე; ნაცნობი ლექსიკის ცნობა/განმტკიცება.
**რესურსი:** აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო. ვაშლი/სხვა ხილი ან ბურთი/ სხვა სათამაშო, თანდართული აუდიოდისკი და სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები.
**დრო:** 20 წთ.

აღმზრდელს გასათვლელ თამაშში ნაწილ-ნაწილ შემოაქვს სხვადასხვა ფრაზა ლექსიდან.

ვარიანტი ა: თავიდან აღმზრდელი ამბობს პირველ ფრაზას ან ფრაზის ნაწილს და წრეში მსხდომი აღსაზრდელები იმეორებენ რიგრიგობით (შეიძლება ამავდროულად ბურთის, რეზინის ან ნაჭრის სათამაშოს, ქაღალდის მიკროფონის ან მსგავსი საგნების გამოყენება, რომელსაც ყოველი მთქმელი გადააწვდის მომდევნო მთქმელს). ვინც სწორად ვერ გაიმეორებს ფრაზას, გავარდება თამაშიდან. სათქმელ ფრაზას ყოველდღე ემატება თითო ფრაზა ან ლექსის მომდევნო ნაწილი.

ვარიანტი ბ: აღსაზრდელები სხედან ან დგანან წრეში, გაშლილი აქვთ ხელები და გადმოტრიალებული აქვთ ხელისგულები. პირველი აღსაზრდელი ამბობს დღის ფრაზის პირველ ნაწილს (მაგ., თუ დღის ფრაზა არის „გამარჯობა, დათუნია, რა კარგი ხარ, ლამაზი,“, ის ამბობს მხოლოდ „გამარჯობას“) – „გამარჯობა“ და ამავდროულად თავის ხელისგულს ურტყამს გვერდით მყოფი ამხანაგის ხელისგულს. მეორე აგრძელებს ჯაჭვს, ამბობს „დათუნია“ და ურტყამს თავის ხელისგულს შემდეგი ბავშვის ხელისგულს. ვინც ვერ იხსენებს სათანადო სიტყვას ან არასწორად წარმოთქვამს ბგერებს (გ, კ, ქ, დ, თ, ტ და ა.შ.), გადის თამაშიდან/წრიდან.

**შენიშვნა 1:** ლექსებს ენის გასატეხი ფუნქცია აქვს, არ არის აუცილებელი აღსაზრდელს ესმოდეს ყველა სიტყვის მნიშვნელობა. მთავარია, შეაჩვიოს ყური ენის ჟღერადობას და ისწავლოს ბგერების სწორად წარმოთქმა.

**შენიშვნა 2:** აღმზრდელს შეუძლია წარმოთქმის ტემპი აკონტროლოს: ჯერ ნელა დააწყებინოს და ნელ-ნელა მოუმატოს ტემპს.

### 10.6.1. ლექსი: „საბას სიზმარი“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 71)

უარს ამბობს ძილზე
ცელქი ბიჭი საბა,
არ იკარებს ბალიშს,
არ იხურავს საბანს.
საბა, უნდა ინებო,
თუ არ დაიძინებო,
შენს ჯადოსნურ სიზმრებს,
ღამე სხვა ბიჭს მისცემს.
შეეშინდა საბას,
ჩაეხუტა საბანს,
ახლა სიზმრად ხედავს,
თეთრცხენიან მხედარს,
ფერად-ფერად წიგნებს,
ოცნებებს და ფიქრებს,
ჩვენც გვიამბე საბა,
რა გესიზმრა, აბა?

(ავტორი: ი. მალაციძე)

**10.6.2. (აუდიოდისკი, ჩანაწერი 72)**

დილით ბებომ მაიკოს
გამოუცხო ნამცხვარი,
რადგან ბაბუს მოუყვა
წითელქუდას ზღაპარი.

(ავტორი: ც. ფანჩვიძე)

## 10.7. მუსიკა/მანდალა, მულტფილმი/ზღაპარი

**მიზანი:** განტვირთვა, ქართული ბგერების და სიტყვების ინტონაციის მოსმენა, ფონემატური სმენის განვითარება.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მულტფილმები, მშვიდი მელოდიები, ქართული სიმღერები ან აუდიოზღაპრები, ზღაპრების წიგნი, მანდალები.
**დრო:** 20 წთ.

**10.7.1.** მანდალას გაფერადება ქართული საბავშვო სიმღერების თანხლებით: სიმღერა „წითელქუდას სიმღერა“: http://www.youtube.com/watch?v=ojXHX02Nla8

**10.7.2.** რომელიმე წიგნის/ილუსტრირებული ზღაპრის დათვალიერება აღმზრდელთან ერთად და პერსონაჟების ამოცნობა. აღმზრდელს შეუძლია მოუყვეს ბავშვებს ზღაპრის სიუჟეტი მაქსიმალურად მარტივად.

**10.7.3.** მულტფილმები: თავისუფალი არჩევანი.

**10.7.4.** ხატვა თავისუფალ თემაზე.

## 10.8. ხელგარჯილობა

**მიზანი:** ა. ფანტაზიის, მოტორიკის, კონცენტრაციის უნარის განვითარება.
ბ. ახალი მასალის გავარჯიშება-გამოყენება ვიზუალური ხატის მეშვეობით.
**რესურსი:** პლასტილინი, მაკრატელი, წებო, ბავშვის სამუშაო რვეული, ფერადი ქაღალდები, ფანქრები.
**დრო:** 30 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**10.8.1.** ა და ბ „ორობანას“ ბარათების დამზადება: წითელქუდა, მგელი, მონადირე, კალათა, წინსაფარი, ღვეზელი, სათვალე, საბანი, თოფი (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 10.8.1. ა და ბ).

**10.8.2.** ა და ბ ლოტოს ბარათების დამზადება:
წითელქუდა, მგელი, ბებია (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 10.8.2. ა და ბ).

**10.8.3.** რვანაწილიანი ფაზლის დამზადება: მონადირე (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**10.8.4.** სხვადასხვა პერსონაჟის ძერწვა აღმზრდელის მითითებებით: „გამოუძერწეთ წითელქუდას ხელები, ფეხები, თავი.“

**10.8.5.** მგლის პერსონაჟის დამზადება აპლიკაციით.

**10.8.6.** აღმზრდელი მოიმარაგებს წინდებს, ქსოვილებს, ღილებს და საქსოვ ძაფებს. მათი მეშვეობით ბავშვებთან ერთად დაამზადებენ „წითელქუდას“ პერსონაჟ თოჯინებს.

### 10.9. შემაჯამებელი აქტივობები

**10.9.1.** ზღაპრის წიგნის დამზადება.
აღმზრდელი დაახატინებს ბავშვებს პერსონაჟებს/სიუჟეტებს „წითელქუდას“ ზღაპრიდან, შემდეგ ისინი ერთობლივად აკინძავენ და დაამზადებენ წიგნს. შეიძლება აპლიკაციის გამოყენებაც.

**10.9.2.** აღმზრდელის დახმარებით ბავშვები შეისწავლიან, მოამზადებენ და წარმოადგენენ თოჯინურ სპექტაკლს დამზადებული თოჯინებით.

## თემა 11 ცაში ფრენა

**(კვირა 21/22)**

### 11.1. შესავალი: მოწესრიგება და სიმღერა

**მიზანი:** მოწესრიგება და მომზადება დღის აქტივობებისათვის.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“, „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და მისთ.), ლექსების ტექსტები თანდართული აუდიოდისკიდან (მაგ. „დამიკარი თავი“).
**დრო:** 20 წთ.

## 11.2. ძირითადი თემა

**მიზანი:** ძველი ლექსიკის აქტივაცია და ახლის დამატება.
**ლექსიკა:** გემი, თვითმფრინავი, მფრინავი თეფში, მფრინავი ხალიჩა, გუბე, თეფშით/ხალიჩით/გემით/თვითმფრინავით,
მიდის, მოდის, მოფრინავს, მაღლა, დაბლა.
**ფრაზები:** მოდი! ჩამოდი! დაჯექი! მოდი, გავფრინდეთ! ვის უნდა? ეზოში მივდივართ, სად მიფრინავ? წავედით! წავედით აფრიკაში.
**რესურსი:** ილუსტრაციები, თანდართული აუდიოდისკი.
**დრო:** 20 წთ.

**11.2.1.** ნაცნობი ლექსიკის და პერსონაჟების ამოცნობა და გამეორება.

**11.2.2.** ახალი ლექსიკის ათვისება.

აღმზრდელი ილუსტრაციების გამოყენებით აცნობს აღსაზრდელებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს.

თემის ლექსიკაზე მუშაობა ხდება ისევე, როგორც აღწერილია აქტივობაში 2.2.2., 3.2.1., 3.2.3., 4.2.2.

**11.2.3.** ახალი ფრაზები.

ახალი ფრაზების ათვისება ხდება იმავე პრინციპით, როგორც აღწერილია აქტივობაში 3.2.3. აღმზრდელი ამ მასალასაც ანაწილებს ორ კვირაზე. ქვეაქტივობების თანმიმდევრობას და სიხშირეს აღმზრდელი თავისი შეხედულებისამებრ ადგენს ჯგუფის ათვისების უნარის გათვალისწინებით.

**11.2.4.** მინი-სცენების გათამაშება.

აღმზრდელი გაათამაშებინებს აღსაზრდელებს სხვადასხვა დიალოგს თანდართული აუდიოდისკის და ილუსტრაციების მიხედვით. შესაძლებელია ვარიაციები საკუთარი ფანტაზიიდან და ცოდნიდან გამომდინარე, მაგ., მინი-სცენა: „მოდი, გავფრინდეთ“.

ვარიანტი 1: ერთი ბავშვი ვითომ მიფრინავს მფრინავი ხალიჩით, მეორე – მფრინავი თეფშით და ა. შ. ბავშვები ამბობენ შესაბამის ფრაზას („უყურე, რამილი მოფრინავს/ მიფრინავს მფრინავი ხალიჩით“ და ა. შ.) და შესაბამისად განაასახიერებენ სცენას.

ვარიანტი 2: ერთი ბავშვი ვითომ მიფრინავს მფრინავი ხალიჩით (შესაბამისად განასახიერებს), მეორემ უნდა გამოიცნოს, რით მიფრინავს მისი მეგობარი და დაასახელონ შესაბამისი ფრაზა: მაგ.: „ალი მოფრინავს ხალიჩით...“.

ამ მინი-სცენების დროს შეიძლება მიექცეს ყურადღება დამატებით გასავარჯიშებელ ფრაზებს.

**11.1.**-ში:
მოვდივარ(თ)/ მოვდივარ(თ) გემით/თვითმფრინავით.
**11.2.**-ში:
მოფრინავს/მიფრინავს
სად მიფრინავ? სად მიდიხარ?
მაღლა, დაბლა

მოდი წავიდეთ (ან გავფრინდეთ)
რით გავფრინდეთ?
ხალიჩით/თვითმფრინავით
რით წავიდეთ?
გემით/ მანქანით...
**11.3.**-ში:
მოდი, გავფრინდეთ აფრიკაში
მოდი, დაჯექი
ჩემთან მოდი.

**ილუსტრაცია 11.1.**

**წარწერა:** ჩემი გემი. ჩემი თვითმფრინავი.
**აღწერა:** ნენე, დუდუ და წიკო ეზოში ჩასასვლელად ემზადებიან. დუდუს გემი უჭირავს ხელში, წიკოს – თვითმფრინავი.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 31):**

ნენე: ეზოში მივდივართ, ვის უნდა?
დუდუ: მე მოვდივარ ჩემი გემით!
წიკო: მე კიდევ ჩემი თვითმფრინავით!
....
იაო-უაო, იაო-უაო,
ჩვენ ეზოში მივდივართ!
იაო-უაო, იაო-უაო,
ჩვენ ეზოში მივდივართ!

აბა, მითხარ, თვითმფრინავო,
საით უნდა გაგაფრინო?
ნენე, დუდუ, წიკო, პოპო,
ჩვენ ეზოში მივდივართ!

აბა, მითხარ, ჩემო გემო,
საით უნდა გაგაგელვო?
ნენე, დუდუ, წიკო, პოპო,
ჩვენ ეზოში მივდივართ!

**შენიშვნა:** სიმღერის მოცემული ვარიანტი არის ინოლა გურგულიას „აჩუ, ცხენო“-ს ინტერპრეტაცია. იხ. ორიგინალი ტექსტი:

**აჩუ, ცხენო**

იაო, უაო, იაო, უაო, ნახეთ, როგორ დიდი ვარ,
იაო, უაო, იაო, უაო, ბაღში ცხენით მივდივარ.
(მისამღერი):
აჩუ, აჩუ, ჩემო ცხენო, ჩქარა უნდა გაგაჭენო,
მეგობრები მიმელიან, ბაღში მივდივარ (2-ჯერ).

იაო, უაო, იაო, უაო, ჩვენთან ბაღში დარჩები,
იაო, უაო, იაო, უაო, მოგივლიან ბავშვები.
(მისამღერი):
აჩუ, აჩუ, ჩემო ცხენო, ჩქარა უნდა გაგაჭენო,
მეგობრები მიმელიან, ბაღში მივდივარ (2-ჯერ).

## ილუსტრაცია 11.2.

**წარწერა:** მფრინავი ხალიჩა! მფრინავი თეფში!
**აღწერა:** ნენე, დუდუ და წიკო ეზოში არიან: წიკოს უჭირავს თვითმფრინავი, ხოლო დუდუ გუბესთან არის ჩაცუცქული, გემს აცურებს და თან თავი მაღლა აქვს აწეული, უყურებს მფრინავ ხალიჩას. ნენე გუბესთან დგას და უყურებს მფრინავ თეფშს. ცაში მოჩანს კიკო, რომელიც მფრინავი ხალიჩით მოფრინავს და პოპო, რომელიც მფრინავ თეფშში ზის.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 32):**

დუდუ: უყურე, უყურე! კიკო მოფრინავს ხალიჩით!
ნენე: ჰიიიი! მფრინავი ხალიჩა!
წიკო: ჰი-ჰი! ეგერ, პოპო კიდევ მფრინავი თეფშით მოფრინავს!
ნენე: მეც მინდა მაღლა ფრენა!
დუდუ: კიკო, სად მიფრინავ? დაბლა ჩამოდი, ჩვენ აქ ვართ! ჩამოფრინდი ჩვენს ეზოში!
წიკო: პოპო, შენ სად მიფრინავ? შენც ჩამოდი შენი მფრინავი თეფშით!
....
გუბურაში გემი დაცურავს,
ცაში თვითმფრინავი დაფრინავს,
აგერ, კიკოც მფრინავი
ხალიჩით მოფრინავს.
აგერ პოპოც მფრინავი
თეფშით მოჩანს.

### ილუსტრაცია 11.3.

**აღწერა:** მფრინავი თეფში და მფრინავი ხალიჩა მიწაზე დაეშვა.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 33):**

დუდუ: მეც მინდა მფრინავ თეფშში!
ნენე: მე კიდევ მფრინავი ხალიჩა მინდაა!
პოპო: მოდი, დაჯექი, დუდუ!
კიკო: ნენე, შენ ჩემთან მოდი.
ნენე: და წიკო?
წიკო: მე ჩემი თვითმფრინავი მყავს. მოდი, ყველა ერთად გავფრინდეთ აფრიკაში.
ყველა ერთად: ჰო, ჰო, აფრიკაში, აფრიკაში! წავედით!!!

## 11.3. ლოგიკური დავალებები

**მიზანი:** ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება, თემის ახალი ლექსიკის ათვისება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, ფანქრები,
**დრო:** 20 წთ.

**11.3.1.** რომელია ზედმეტი. აღსაზრდელებმა უნდა დაასახელონ ყველა საგანი: გემი, თვითმფრინავი, მანქანა, კომბოსტო და გადახაზონ ის საგანი, რომელიც ზედმეტია. დანარჩენი შეუძლიათ გააფერადონ (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**11.3.2 .** „იპოვე გუბე“.
სამუშაო რვეულში მოცემულია სხვადასხვა საგანი: გემი, თვითმფრინავი, ხალიჩა და პატარა გუბე. აღსაზრდელეები ასახელებენ ნაცნობ საგნებს, უნდა შემოხაზონ მხოლოდ გუბე (აღმზრდელი რამდენჯერმე იმეორებს ამ სიტყვას, რომ გააქტიუროს დავალების დროს, რადგან მასალის პრეზენტაციის ფაზაში ამ სიტყვაზე არ არის გამახვილებული ყურადღება) (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**11.3.3.** „დუდუს გემი“.
აღსაზრდელებმა სიმეტრიულად უნდა მიუხატონ დუდუს გემს მეორე ნაწილი.

**11.3.4.** გამოჭრილი გეომეტრიული ფორმებისაგან თვითმფრინავის აწყობა (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**11.3.5.** სიუჟეტის ნახატების თანმიმდევრობის დადგენა.
აღსაზრდელებმა უნდა დაადგინონ არეულად მოცემული ილუსტრაციების თანმიმდევრობა და დააწერონ ნომრები (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**11.3.6.** „რომელია უფრო მეტი“.
ფურცელზე არეულადაა მოცემული 5 თვითმფრინავი, 6 გემი, 4 მანქანა, 7 თოჯინა, აღსაზრდელეებმა უნდა იპოვონ ერთი სახეობის საგნები, გამოჭრან, დააჯგუფონ, დაითვალონ და დაასახელონ, მაგ., „5 თვითმფრინავი“.

**11.3.7.** ლოტოს თამაში ძველი და ახალი ბარათებით (ახალი ბარათები მზადდება აქტივობის 11.8.2. დროს).

**11.3.8.** ლაბირინთი: მიიყვანე გემი აღნიშნულ კუნძულთან.

**11.3.9.** დაუხატე თვითმფრინავს კვალი (ფანქრის შემოტარება წერტილებზე დამოუკიდებლად) (იხ.ბავშვის სამუშაო რვეული).

**11.3.10.** ქაღალდის თვითმფრინავების დამზადება ორიგამის ტექნოლოგიით (იხ.ბავშვის სამუშაო რვეული).

**11.3.11.** ამოჭერი და ჩააკარი თვითმფრინავის ფანჯრებში პერსონაჟების თავები (იხ.ბავშვის სამუშაო რვეული).

**11.3.12.** გააფერადე ყველაზე დიდი გემი (იხ.ბავშვის სამუშაო რვეული).

## 11.4. მუშაობა მცირე ჯგუფებში

**მიზანი:** ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების გაგება და გამოყენება თამაშის სიტუაციაში.
**რესურსი:** მოზაიკა, „ორობანას“ ბარათები, ბავშვის სამუშაო რვეული, დიდი ფორმატის ქაღალდი, მაკრატელი, სათამაშოები: გემი, თვითმფრინავი, თოჯინა, მანქანა და ა.შ.
**დრო:** 30 წთ.

**11.4.1.** დრამატული წრე.

**ა.** თამაში „მოდი, გავფრინდეთ“ – სცენის გათამაშება ძველი და ახალი ლექსიკის მიხედვით: აღმზრდელი იმეორებს სიუჟეტურ ნახატებს და აქცენტს აკეთებს ფრაზებზე:

მოდი, წავიდეთ! (ან გავფრინდეთ)
რით გავფრინდეთ?
ხალიჩით/თვითმფრინავით
რით წავიდეთ?
გემით/ მანქანით/ მატარებლით

აღმზრდელი სამ-სამ ბავშვს გაათამაშებინებს ამ სცენას და რიგრიგობით ეხმარება მათ. ბავშვები თვითონ ირჩევენ სათამაშოებს: გემი, თვითმფრინავი, თოჯინა, მანქანა, მატარებელი და სხვ.
გართულება. შემოგვაქვს ფრაზა: „აფრიკაში გავფრინდეთ (ან ვუთითებთ რომელიმე ჯადოსნურ ან რეალურ ქვეყანას).

**ბ.** აღმზრდელი დრამატულ კუთხეში მოაწყობს „ზღვას“ ლურჯი ნაჭრების ან ქაღალდების და დიდი მუყაოს ყუთების გამოყენებით. აღმზრდელი წაახალისებს ბავშვებს, „იცურონ“ გემით.

**გ.** აღმზრდელი დრამატულ კუთხეში სკამებით მოაწყობს თვითმფრინავის სალონს, გაანაწილებს „მგზავრების“ და „პილოტის“ როლებს. წაახალისებს ბავშვებს, ითამაშონ მხიარულად.

**11.4.2.** სამაგიდო თამაშების წრე.

**ა.** მოზაიკით ხალიჩის აწყობა.

**ბ.** „ორობანას“ ბარათებით თამაში ტრანსპორტის თემის გამოყენებით (გემი, თვითმფრინავი, მანქანა).

**გ.** ბავშვები უყრიან თასმებს მუყაოსგან გამოჭრილ, გარშემო დახვრეტილ გემის ან თვითმფრინავის შაბლონს.

**დ.** ფაზლის აწყობა საკუთარი არჩევანით.

**11.4.3.** ხელოვნების წრე.

**ა.** საკუთარი ან სასურველი სათამაშოს დახატვა.

**ბ.** აღსაზრდელები ცდილობენ, დამოუკიდებლად დახატონ სათამაშოები და დაუსახელონ აღმზრდელს, რომელი საგანია.

**გ.** გემის/მანქანის/თვითმფრინავის დამზადება მუყაოს ან ჩვეულებრივი ქაღალდებისგან.

**დ.** ძერწვა: აღსაზრდელებს შეუძლიათ გამოძერწონ მანქანა, გემი, თვითმფრინავი და ა. შ.

**ე.** მუყაოს ყუთებისგან მანქანის დამზადება (გამეორება);

**ვ.** აპლიკაცია: ხალიჩა – ძველი ქსოვილის ნაჭრების დაწებება ქაღალდზე.

**ზ.** აღმზრდელი ბავშვებს აჩვენებს სხვადასხვაგვარი ხალიჩების ფოტოებს და წაახალისებს, დახატონ თავიანთი „ორნამენტული“ ხალიჩა გუაშის საღებავების გამოყენებით. გაშრობის შემდეგ შეუძლიათ დააჭრან ბოლოები და გაუკეთონ ფოჩები.

**თ.** სამუშაო რვეულში დახატული გემის მიხედვით აღსაზრდელები წინასწარ გამოჭრიან მუყაოსგან გემის ფორმას. მაკრატლით დაუხვრეტენ ნაპირებს და გააფერადებენ. სამაგიდო წრეში ბავშვები გაუყრიან თასმებს ნახვრეტებში.

**11.4.4.** კუბურების წრე.

**ა.** ხალიჩა: ოვალური ან ოთხკუთხედი ფორმის ხალიჩის გაკეთება.

**ბ.** მანქანა: სათამაშო მანქანის გაკეთება.

**გ.** ბავშვები კუბურებით „ააშენებენ“ მანქანების სამოძრაო გზებსა და გემების საცურაო „არხებს“. პატარა ზომის ტრანსპორტის სათამაშოების გამოყენებით თამაშობენ აშენებულ კონსტრუქციებში.

## 11.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** ფიზიკური განტვირთვა და ზოგიერთი ნაცნობი თუ ახალი ლექსიკური ერთეულის გამოყენება.
**რესურსი:** ბარათები, ბურთი, მოედანი/ეზო.
**დრო:** 30 წთ.

**11.5.1.** ბავშვები იყოფიან ორ ჯგუფად. აღმზრდელი ადგენს გარკვეული დროის ლიმიტს (3 ან 5 წთ.). ფინიშთან აწყვია ბარათები (შეგვიძლია გამოვიყენოთ ორობანას და/ან ლოტოს ბარათები): გემი, თვითმფრინავი, ხალიჩა, მანქანა, თოჯინა, ბურთი, კუბურები, თეფში და ა. შ. თამაშს იწყებს პირველი გუნდი, რომლის ყოველი მონაწილეც მირბის ფინიშთან, მოაქვს ბარათი, სწორად ასახელებს მას და აძლევს აღმზრდელს. თუ მოთამაშე არასწორად დაასახელებს აღნიშნულ საგანს, ბარათი ისევ უბრუნდება თავის ადგილს. დროის ლიმიტის გასვლის შემდეგ, მეორე გუნდი იწყებს თამაშს. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც დათქმულ დროში უფრო მეტ ბარათს დააგროვებს თავის მფლობელობაში.

**11.5.2.** დამალობანას თამაში.

**11.5.3.** ფეხბურთის თამაში.

**11.5.4.** ნავის იმიტაცია:
ფიზიკური აქტივობის დროს აღმზრდელი წაახალისებს ბავშვებს, დადგნენ მწკრივში წყვილებად და ბუქნებთან ერთად გააკეთონ ნიჩბების მოსმის იმიტაცია. თან დაითვალონ რიტმში.

**11.5.5.** ფრენის იმიტაცია:
აღმზრდელი სთხოვს ბავშვებს, გაშალონ ხელები და იარონ ჯერ ძალიან ნელა, შემდეგ კი მოუმატონ სისწრაფეს და გააკეთონ ფრენის იმიტაცია, თან გაახმოვანონ. აღმზრდელი ამბობს: „მივფრინავთ!“ – ბავშვები იწყებენ მოძრაობას, აღმზრდელი ამბობს: „ვეშვებით!“ – ბავშვები უკლებენ სისწრაფეს და ჩერდებიან.

## 11.6. ლექსი, სიმღერა, ენის გასატეხი

**მიზანი:** ვარჯიში წარმოთქმაზე, ნაცნობი ლექსიკის განმტკიცება.
**რესურსი:** აღმზრდელის წიგნი, თანდართული აუდიოდისკი და სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები.
**დრო:** 20 წთ.

აქტივობის მსვლელობის აღწერილობა იხ. აქტივობაში 0.6. და 10.6.
შესაძლებელია ტექსტების შემოკლება საკუთარი შეხედულებისამებრ.

### 11.6.1. ლექსი: „ავტომანქანა“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 73)

ჩემი ავტომანქანა
დავქოქე და გაქანდა.
პი-პი! მიჰქრის გზაზე
ასჯერ სწრაფად სხვაზე.
ეშინია ბარბის:
– რა გიჟივით გარბის!
გადაკვეთა ქუჩა,
მოედანი, სკვერი,
გადააგდო გზიდან
ურიკა და ცხენი.
მუხრუჭები არ აქვს,
გარბის, ჰერი, ჰერი!
აადინა მტვერი
კუთხესა და კუნჭულს,
ფრთა მოტეხა ლამის
ბატის ყვითელ ჭუჭულს.
შუქნიშანი ბრაზობს:
– რად არ იცავ წესრიგს?
წითელს ვანთებ
– სდექ, სდექ,
შენ მაინც არ გესმის.
ქვეითი და მგზავრი,
შეაშინა ყველა,
ბარბი ისევ ყვირის
– ნელა, ნელა, ნელა!
დავუძახოთ პატრულს,
გააჩერებს ხელად!
დათუნია ბღავის:
ვაი, თავი, თავი!
დაეჯახა ვაგონს. –
პასუხი ვინ აგოს?
– ვინ და მძღოლმა!
– ბრაზობს დამსხვრეული ავტო:
აღარ ვეთამაშები
უწესრიგო პატრონს.

(ავტორი: მ. წიკლაური)

**11.6.2. ლექსი: „კოსმონავტი“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 74)**

კოსმონავტი უნდა გავხდე,
ზეცა უნდა დავსერო,
რომ რაკეტით დავფრინავდე
პლანეტების გარშემო,
რამოდენა ცოდნა გინდა
თედომ ზაზას გახედა
რომ მიწიდან აფრენილმა
მარსზე დასვა რაკეტა.

(ავტორი: შ. შუბლაძე)

## 11.7 მუსიკა/მანდალა/თავისუფალი ხატვა, მულტფილმი/ზღაპარი

**მიზანი:** განტვირთვა, ქართული ბგერების და სიტყვების ინტონაციის მოსმენა, ფონემატური სმენის განვითარება.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მულტფილმები, მშვიდი მელოდიები, ქართული სიმღერები ან აუდიოზღაპრები, ზღაპრების წიგნი, მანდალები.
**დრო:** 20 წთ.

**11.7.1.** თავისუფალი ხატვა, რომლის დროსაც აღმზრდელი ავარჯიშებს ბავშვებს ფერების გამოყენებაზე: ბავშვი ხატავს საგანს და აღწერს, რა ფერისაა ის.

**11.7.2.** აღმზრდელი აჩვენებს აღსაზრდელებს რომელიმე მულტფილმს მათი შეხედულებისამებრ.

**შენიშვნა:** აღმზრდელს შეუძლია ესა თუ ის მულტფილმი განმეორებით აჩვენოს რამდენიმე დღის განმავლობაში.

**11.7.3.** რომელიმე წიგნის/ილუსტრირებული ზღაპრის დათვალიერება აღმზრდელთან ერთად და პერსონაჟების ამოცნობა. აღმზრდელს შეუძლია მოუყვეს ბავშვებს ზღაპრის სიუჟეტი მაქსიმალურად გამარტივებულად.

**11.7.4.** მანდალას გაფერადება ნებისმიერი სიმღერის ან მელოდიის თანხლებით.

## 11.8. ხელგარჯილობა

**მიზანი:** ა. ფანტაზიის, მოტორიკის, კონცენტრაციის უნარის განვითარება.
ბ. ახალი მასალის გავარჯიშება-გამოყენება.

**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, ამოსაჭრელი კვადრატები და დასაწებებელი ბარათები; მაკრატელი, წებო, მუყაო.
**დრო:** 30 წთ.

**11.8.1.** ა და ბ „ორობანას“ ბარათების დამზადება: გემი, თვითმფრინავი, მფრინავი თეფში, მფრინავი ხალიჩა (იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 11.8.1. ა და ბ).

**11.8.2.** ა და ბ ბავშვების მიერ აღმზრდელის დახმარებით თვითნაკეთი ლოტოს ბარათების დამზადება. კერძოდ, ამოსაჭრელი კვადრატების და დასაწებებელი ბარათების დამზადება შემდეგი გამოსახულებებით (განსხვავებული ფორმატი – ოთხსურათიანი ლოტო):

გემი, თვითმფრინავი, მფრინავი ხალიჩა, მფრინავი თეფში.
მანქანა, სატვირთო მანქანა, ამწე, ტრაქტორი.
(იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 11.8.2. ა და ბ).

**11.8.3.** ხატვა გუაშის საღებავების შემდეგი ფერების გამოყენებით: წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი ნივთების ხატვა.

**11.8.4.** მუყაოს სათამაშოების დამზადება (გამოჭრა და გაფერადება):

**ა.** პირველ დღეს აღსაზრდელები გამოჭრიან სათამაშოების (გემი, თვითმფრინავი, მფრინავი თეფში, მფრინავი ხალიჩა) ფორმებს.

**ბ.** მეორე დღეს ეს სათამაშოები მოიხატება გუაშის საღებავებით.

**შენიშვნა:** აღმზრდელს შეუძლია გამოსაჭრელ ნიმუშად ფაზლის ქსეროასლები გამოიყენოს.

**11.8.5.** ბავშვები წინასწარ შეაზელენ ლურჯ პლასტილინს მუყაოს. კაკლის შუაზე გატეხილ ნაჭუჭს ამოავსებენ პლასტილინით, პატარა ხის ჯოხზე აცვამენ გაზეთიდან ამოჭრილ პატარა აფრას და ჩაარჭობენ ნაჭუჭში. პატარა გემებს დაამაგრებენ მუყაოზე.

**11.8.6.** აღმზრდელი წინასწარ მოიმარაგებს სხვადასხვა ფაქტურის და ფერის ნაჭრებს. სთხოვს ბავშვებს, დახატონ აფრიანი გემები სხვადასხვა ნაჭერზე, შემდეგ გამოჭრან და დააწებონ სქელ ქაღალდზე. ანძებისთვის შეიძლება გამოიყენონ წვრილი ჯოხები.

## 11.9. შემაჯამებელი პროექტი

ავტოფარეხის დამზადება სატრანსპორტო საშუალებებისთვის.

სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებების დამზადება მუყაოსგან (იხ. აქტივობა 11.8.4.), დამზადებული მუყაოს მანქანების გამოყენება, ახლის დამზადება და მათთვის „ფარეხის“ მოწყობა (შემოღობილი სივრცე მონიშნული ადგილებით).

# თემა 12 ლომის ბოკვერი

**(კვირა 23/24)**

## 12.1. შესავალი: მოწესრიგება და სიმღერა

**მიზანი:** მოწესრიგება და მომზადება დღის აქტივობებისთვის.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“, „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგიმარ-ჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და მისთ.), ლექსების ტექსტები თანდართული აუდიოდისკიდან (მაგ. „დამიკარი თავი“).
**დრო:** 20 წთ.

## 12.2. ძირითადი თემა

**მიზანი:** ძველი ლექსიკის აქტივაცია და ახლის დამატება.
**ლექსიკა:** ლომი, ბოკვერი, სპილო, ზებრა, კუ, ჟირაფი, ვეფხვი, ნიანგი, ჯუნგლები.
ნამდვილი,
მარჯვნივ, მარცხნივ, პირდაპირ, დავიკარგე.
ფრაზები: ნახვამდის, რატომ ტირი? სად ცხოვრობ? ლომის სახლი სად არის? არ ვიცი, სახლში მინდა! ვიპოვით შენს სახლს! ბებია-კუს ჰკითხეთ, აქ ცხოვრობს/აქ არ ცხოव-რობს; შენ ჩემთან მოდი, მარცხნივ გაუხვიე.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, თანდართული აუდიოდისკი.
**დრო:** 20 წთ.

**12.2.1.** ნაცნობი ლექსიკის და პერსონაჟების ამოცნობა და გამეორება.

**12.2.2.** ახალი ლექსიკის ათვისება.

აღმზრდელი ილუსტრაციების გამოყენებით აცნობს აღსაზრდელებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს.

თემის ლექსიკაზე მუშაობა ხდება ისევე, როგორც აღწერილია აქტივობაში 2.2.2., 3.2.1., 3.2.3., 4.2.2.

**12.2.3.** ახალი ფრაზები.

ახალი ფრაზების ათვისება ხდება იმავე პრინციპით, როგორც აღწერილია აქტივობაში 3.2.3. ამ მასალასაც აღმზრდელი ანაწილებს ორ კვირაზე. ქვეაქტივობების თანმიმდევრობას და სიხშირეს აღმზრდელი თავისი შეხედულებისამებრ ადგენს ჯგუფის ათვისების უნარის გათვალისწინებით.

**12.2.4.** მინი-სცენების გათამაშება.

აღმზრდელი გაათამაშებინებს აღსაზრდელებს სხვადასხვა დიალოგს თანდართული აუდიოდისკის და ილუსტრაციების მიხედვით. შესაძლებელია ვარიაციები საკუთარი ფანტაზიით.

## ილუსტრაცია 12.1.

**წარწერა:** ნუ ტირი!

**აღწერა:** წიკო, ნენე, დუდუ, პოპო და კიკო თავიანთი ტრანსპორტით (ხალიჩა, თვითმფრინავი, თეფში) ჩამოვიდნენ ჯუნგლებში და ნახეს მტირალი ლომის ბოკვერი. ბავშვები გაოგნებულები უყურებენ მას და ეკითხებიან, რატომ ტირის. კიკო ამშვიდებს და ეუბნება, რომ აპოვნინებენ სახლს.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 34):**

დუდუ: ნახე, ნამდვილი ლომი!
ნენე: ლომი კი არა, ლომის ბოკვერი! ნამდვილი ბოკვერი. რატომ ტირის?
წიკო: ეი, შენ, რატომ ტირი?
ბოკვერი: სახლში მინდა! დავიკარგე!
პოპო: სად ცხოვრობ?
ბოკვერი: არ ვიცი!
კიკო: კაი, ნუ ტირი! ვიპოვით შენს სახლს!
....
ნუ ტირი, პატარა ბოკვერო,
ვიპოვით შენს სახლს, ვიპოვით.
ვიპოვით შენს სახლს, ვიპოვით შენს სახლს,
ვიპოვით შენს სახლს, ბოკვერო.

## ილუსტრაცია 12.2.

**წარწერა:** ლომის სახლი სად არის?

**აღწერა:** დახატულია ჯუნგლების ხედი ზემოდან შესაბამისი ცხოველების სახლებით და თვით ცხოველებით: სპილო – თავის სახლთან, ზებრა – თავისი სახლის სიახლოვეს, ბებია-კუ – თავისი სახლის წინ, ჟირაფის სახლი და ჟირაფი, ჟირაფის სახლთან გზა უხვევს მარჯვნივ და იქ არის ვეფხვის სახლი. იქვე მარცხნივ უხვევს გზა და მიდის ნიანგის სახლთან, იქიდან მარჯვნივ მოჩანს ლომის სახლი.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 35):**

კიკო: გამარჯობა, ბატონო სპილო, ლომის სახლი სად არის?
სპილო: არ ვიცი, აქ არ ცხოვრობს. აბა, ზებრას ჰკითხე.
კიკო: მადლობა.
ყველა ერთად: ნახვამდის.
წიკო: გამარჯობა, ბატონო ზებრა. ლომის სახლი სად არის?
ზებრა: არ ვიცი, აქ არ ცხოვრობს. აბა, ბებია-კუს ჰკითხე.
ყველა: მადლობა. კარგად იყავით.
პოპო: გამარჯობა, ქალბატონო კუ, ლომის სახლი სად არის?

კუ: ლომის სახლი. ჰოო... პირდაპირ წადით და ჟირაფის სახლთან მარჯვნივ გაუხვიეთ. შემდეგ ვეფხვის სახლთან მარცხნივ გაუხვიეთ და ნიანგის სახლთან ისევ მარჯვნივ. იქ არის ლომის სახლი.

**ილუსტრაცია 12.3.**

**წარწერა:** მარჯვნივ, მარცხნივ, მარჯვნივ.
**აღწერა:** ჟირაფი დგას თავის სახლთან: ჟირაფის სახლთან გზა უხვევს მარჯვნივ და იქ დგას ვეფხვი თავის სახლთან. იქვე მარცხნივ უხვევს გზა და მიდის ნიანგის სახლთან (ნიანგი იქვე ეზოში მდინარეში წევს), იქიდან მარჯვნივ მოჩანს ლომის სახლი. რომლის ეზოს შესასვლელში დგას დედა-ლომი (ხელგაწვდილია და ბოკვერის ჩასახუტებლად ემზადება). დანარჩენები შორიახლოს დგანან.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 36):**

წიკო: აგერ ჟირაფი. ახლა მარჯვნივ მივდივართ.
დუდუ: აგერ ვეფხვი. აქ მარცხნივ მივდივართ.
ნენე: აგერ ნიანგი, აქ – მარჯვნივ.
ბოკვერი: აი, ჩემი სახლი!
დედა-ლომი: ჩემი ბოკვერი!

## 12.3. ლოგიკური დავალებები

**მიზანი:** ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება, თემის ახალი ლექსიკის ათვისება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, ფანქრები.
**დრო:** 20 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**12.3.1.** რომელია ზედმეტი. აღსაზრდელებმა უნდა დაასახელონ ყველა ცხოველი: ლომი, ბოკვერი, სპილო, ზებრა, კუ, ჟირაფი, ვეფხვი, ნიანგი და გადახაზონ ის (ვაშლი), რომელიც ზედმეტია. დანარჩენი შეუძლიათ გააფერადონ (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**12.3.2.** ვისი სახლია?

სამუშაო რვეულში მოცემულია სხვადასხვა ცხოველი: ლომის ბოკვერი, სპილო, ზებრა, კუ, ჟირაფი, ვეფხვი, ნიანგი და ლომის ბოკვერის სახლი. აღსაზრდელებმა უნდა იპოვონ სახლის პატრონი, შეართონ ხაზით ბოკვერი თავის სახლთან.

**12.3.3.** ჩვენი ზებრა.

აღსაზრდელებმა უნდა დაუხატონ ზებრას ზოლები (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**12.3.4.** გამოჭრილი გეომეტრიული ფორმებისაგან კუს აწყობა (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**12.3.5.** სიუჟეტის ნახატების თანმიმდევრობის დადგენა.

აღსაზრდელებმა უნდა დაადგინონ არეულად მოცემული ილუსტრაციების თანმიმდევრობა და დააწერონ ნომრები (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**12.3.6.** რომელია უფრო მეტი?

ფურცელზე არეულადაა მოცემული 4 სპილო, 6 ჟირაფი, 4 ნიანგი, 6 ჟირაფი, ბავშვებმა უნდა იპოვონ ერთნაირი ცხოველები, ამოჭრან, ერთად დააჯგუფონ, დაითვალონ და დაასახელონ, მაგ., „აქ 4 სპილოა“/„4 სპილო“.

**12.3.7.** ბილიკით მიიყვანე ლომის ბოკვერი თავის სახლში.

მოცემულია ნახატი ცხოველების სახლებით და ბოკვერის სახლით, ერთ ბოლოში დგას ბოკვერი, მეორე ბოლოში მისი სახლია და ბავშვმა უნდა გაავლოს ბოკვერს და მის სახლს შორის ფანქრით ხაზი (გზის ტრაექტორია) (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**12.3.8.** ვისი სახლია?

დახატულია ცხოველები: სპილო, ზებრა, კუ, ჟირაფი, ვეფხვი, ნიანგი და მათი სახლები არეულად, აღსაზრდელებმა უნდა დააკავშირონ, რომელი ცხოველის სახლი რომლისაა (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**12.3.9.** დაითვალე ცხოველები და შემოხაზე იმდენივე ბურთულა, რამდენიც ცხოველია (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**12.3.10.** იპოვე ცხოველების ჩრდილები (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**12.3.11.** ამოჭერი ცხოველები და დასვი თავიანთ სახლებთან (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**12.3.12.** შეართე დედა და შვილი ცხოველები ერთმანეთთან (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

## 12.4. მუშაობა მცირე ჯგუფებში

**მიზანი:** ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების გაგება და გამოყენება თამაშის სიტუაციაში.

**რესურსი:** მოზაიკა, „ორობანას“ ბარათები, ბავშვის სამუშაო რვეული, დიდი ფორმატის ქაღალდი, მაკრატელი, პლასტმასის სათამაშოები ცხოველების გამოსახულებით.

**დრო:** 30 წთ.

**12.4.1.** დრამატული წრე.

თამაში: „სად არის შენი სახლი?“:

ერთ-ერთი მოთამაშე არის ბოკვერი (ან სხვა რომელიმე პერსონაჟი), ხოლო დანარჩენები ეძებენ მის სახლს (ილუსტრირებული ისტორიის სიუჟეტის მიხედვით). აღსაზრდელები თვითონ ირჩევენ, რომელ ცხოველს განასახიერებენ.

აღმზრდელი მოაწყობს დრამატულ კუთხეში აფრიკის უდაბნოს იმიტაციას. შეიტანს ცხოველების ნიღბებსა და სხადასხვა ფერის (ცხოველების შეფერილობის) მქონე ქსოვილებს ან მოუხატავს ბავშვებს სახეებს. გაანაწილებს როლებს და შესთავაზებს ბავშვებს, გაითამაშონ ცხოველების როლები.

**12.4.2.** სამაგიდო თამაშების წრე:

**ა.** მოზაიკით ჯუნგლების სახლების აწყობა.

**ბ.** ორობანას თამაში ძველი და ახალი ბარათებით (მზადდება12.8.1. აქტივობის დროს).

**გ.** ლოტოს თამაში (მზადდება 12.8.2. აქტივობის დროს).

**დ.** ფაზლის აწყობა საკუთარი არჩევანით (ახალი ფაზლი მზადდება 12.8.3. აქტივობის დროს).

**ე.** მძივების აცმა.

**12.4.3.** ხელოვნების წრე.

**ა.** საყვარელი ცხოველის დახატვა:
აღსაზრდელები ცდილობენ დამოუკიდებლად დახატონ ცხოველები და დაუსახელონ აღმზრდელს, რომელი ცხოველია.

**ბ.** ჯუნგლების სახლების დამზადება მუყაოს ან ჩვეულებრივი ქაღალდებისგან, ხის ტოტებისგან, ფოთლებისგან და სხვ.

**გ.** ძერწვა: აღსაზრდელებს შეუძლიათ გამოძერწონ ცხოველები.

**დ.** მუყაოს ყუთებისგან კუს გაკეთება: მუყაოს დიდი ზომის ყუთს ბავშვები დაუმაგრებენ პატარა ზომის ყუთს და მოხატავენ კუსავით. დიდი ყუთი ტანი და ბაკანია, პატარა – თავი.

**ე.** აპლიკაცია: ლომის ნიღბის დამზადება (ქსოვილისა და სხვა მასალის გამოყენებით).

**ვ.** ჯუნგლების ხატვა გუაშის საღებავებით.

**ზ.** ხელის ანაბეჭდებით სპილოს დახატვა. ბავშვები ხელის გულს დაისველებენ საღებავით და ანაბეჭდს დატოვებენ ფურცელზე, გაშრობის შემდეგ შავი ფლომასტერით დაუხატავენ თვალებს, ყურებს და კუდს.

**თ.** აფრიკული მძივების დამზადება თიხით და შელებვა. თიხის ან მარილიანი ცომის გამოყენებით ბავშვები დაამზადებენ ბურთულებს და გაუკეთებენ გასაყრელებს ასანთის ჯოხებით, გაშრობის შემდეგ შელებავენ ჭრელი გეომეტ-რიული ნახატებით (ზოლები, ოთხკუთხედები, წრეები და ა.შ.)

**ი.** პლასტილინით სხვადასხვა ცხოველის დამზადება.

**12.4.4.** კუბურების წრე.

ცხოველების „სახლების“ აშენება, მაგ., ლომის, ზებრას სახლის აშენება.

ბავშვები ააწყობენ ცხოველების სახლებს და ითამაშებენ შესაბამისი ცხოველების პატარა ფიგურებით.

## 12.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** ფიზიკური განტვირთვა და ზოგიერთი ნაცნობი თუ ახალი ლექსკური ერ-თეულის გამოყენება.
**რესურსი:** სკამი, ბურთი, მოედანი/ეზო.
**დრო:** 30 წთ.

**12.5.1.** აღსაზრდელები იყოფიან ორ ჯგუფად. აღმზრდელი ადგენს გარკვეული დროის ლიმიტს (3 ან 5 წთ.). ფინიშთან აწყვია ბარათები (შეგვიძლია გამოვიყენოთ ორობანას და/ან ლოტოს ბარათები): ცხოველები – ლომი, ბოკვერი, სპილო, ზებრა, კუ, ჟირაფი, ვეფხვი, ნიანგი და ა. შ. თამაშს იწყებს პირველი გუნდი, რომლის ყოველი მონაწილეც მირბის ფინიშთან, მოაქვს ბარათი, სწორად ასახელებს მას და აძლევს აღმზრდელს. თუ მოთამაშე არასწორად დაასახელებს აღნიშნულ ცხოველს, ბარათი ისევ უბრუნდება თავის ადგილს. დროის ლიმიტის გასვლის შემდეგ, მეორე გუნდი იწყებს თამაშს. გამარ-ჯვებულია ის გუნდი, რომელიც დათქმულ დროში უფრო მეტ ბარათს დააგროვებს.

**12.5.2.** თამაში „მასწავლე გზა“.

აღმზრდელი ოთახში არეულად დააწყობს სკამებს/მაგიდებს. აღსაზრდელები იყოფი-ან ორ ჯგუფად. აღმზრდელი ერთი ჯგუფის წევრებს მორიგეობით აუხვევს თვალებს

და ოთახის ბოლოს დააყენებს. მეორე ჯგუფის პირველი წევრი თვალახვეულ ბავშვს გზას ასწავლის ისე, რომ იგი სკამებს და მაგიდებს არ დაეჯახოს და მეგობრამდე მივიდეს: „მარჯვნივ/მარცხნივ/პირდაპირ...“ შემდეგ მეორე წყვილი ერთვება თამაშში და ა.შ.

**12.5.3.** თამაში „დამალობანა“.

**12.5.4.** აღმზრდელი აჩვენებს ბავშვებს აფრიკის ცხოველების ვიდეოს. აღმზრდელი დაასახელებს ცხოველს და წაახალისებს ბავშვებს გააკეთონ ცხოველების მოძრაობის იმიტაცია, გამოსცენ მსგავსი ხმები.

**12.5.5.** ერთი ბავშვი ჩასჩურჩულებს მეორეს რომელიმე ცხოველის სახელს, ბავშვმა უნდა განასახიეროს ეს ცხოველი. დანარჩენები უნდა მიხვდნენ და ხელის აწევით წარმოთქვან გამოცნობილი ცხოველის სახელი. ვინც გამოიცნობს, შემდეგი ის განასახიერებს ცხოველს. ვინც განასახიერებდა, ის ჩასჩურჩულებს სხვას ახალი ცხოველის სახელს.

**12.5.6.** აღმზრდელი წაახალისებს ბავშვებს შეეჯიბრონ ერთმანეთს და მოაწყონ ესტაფეტა ჯერ სპილოსავით ბაჯბჯში, შემდეგ ლომივით სირბილსა და ხტომაში, შემდეგ ნიანგივით და კუსავით სიარულში.

## 12.6. ლექსი, სიმღერა, ენის გასატეხი

**მიზანი:** ვარჯიში წარმოთქმაზე, ქართული ბგერების წარმოთქმის დახვეწა, აქცენტი კეთდება ბგერებზე; ნაცნობი ლექსიკის ცნობა/განმტკიცება.
**რესურსი:** აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო, ვაშლი/სხვა ხილი ან ბურთი/სხვა სათამაშო, /თანდართული აუდიოდისკი და სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები.
**დრო:** 20 წთ.

აქტივობის მსვლელობის აღწერილობა იხ. აქტივობაში 0.6. და 10.6.
შესაძლებელია ტექსტების შემოკლება საკუთარი შეხედულებისამებრ.

### 12.6.1. ლექსი: „წერილი“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 75)

ძლიერ წუხდნენ ზღარბები...
– რატომ წუხდნენ?
– ვაშლი ჰქონდათ საკრეფი...
– რა ჰქნეს მერე?
– ჟირაფს წერილი მისწერეს...
– რა მისწერეს?
– აგრემც უფრო გაგეზრდება
ეგ ლამაზი კისერიო,
აფრიკიდან ჩამოდი და
გვიხსენიო.

(ავტორი: გ. ჭიჭინაძე)

**12.6.2. ლექსი: „ზოოპარკში“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 76)**

აქ ლომი წევს გალიაში,
იქ შველს სძინავს
კორდის ძირას.
ეს სპილო კი სულ ფეხზე დგას,
როდის წევს და როდის სძინავს.

(ავტორი: გ. წერეთელი)

**12.6.3. ლექსი: „ლომი“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 77)**

ლომი იყო ნამდვილი,
ბუხუნებდა ლომივით:
ყველა მომერიდოსო,
თუ სიბრაზე მომივლის.
თვალებს აბრიალებდა, აჩაღებდა ნაღვერდალს,
ალაყაფის კარივით
ხახას ფართოდ აღებდა.
ისე დაიღრიალა,
შეგვაშინა ბავშვები,
ავდექი და წავშალე
ჩემი დიდი საშლელით.

(ავტორი: გ. გეგეჭკორი)

## 12.7. მუსიკა/მანდალა/თავისუფალი ხატვა, მულტფილმი/ზღაპარი

**მიზანი:** განტვირთვა, ქართული ბგერების და სიტყვების ინტონაციის მოსმენა, ფონემატური სმენის განვითარება.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მულტფილმები, მშვიდი მელოდიები, ქართული სიმღერები ან აუდიოზღაპრები, მანდალები, ზღაპრების წიგნი.
**დრო:** 20 წთ.

**12.7.1.** თავისუფალი ხატვა, რომლის დროსაც აღმზრდელი ავარჯიშებს აღსაზრდელებს ფერებისა და ფორმების გამოყენებაზე. მაგ.: როცა ბავშვი ხატავს ლომს, ვეფხვს და ა. შ. აღმზრდელი ამბობს: „ყვითელი ლომი“, „აქვს დიდი ყურები“... შემდეგ ბავშვები ასახელებენ, რას ხატავენ.

**12.7.2.** ბავშვები უყურებენ მულტფილმს: თავისუფალი არჩევანი.

**შენიშვნა:** აღმზრდელს შეუძლია ესა თუ ის მულტფილმი განმეორებით აჩვენოს რამდენიმე დღის განმავლობაში.

**12.7.3.** რომელიმე წიგნის/ილუსტრირებული ზღაპრის დათვალიერება აღმზრდელთან ერთად და პერსონაჟების ამოცნობა. აღმზრდელს შეუძლია მოუყვეს ბავშვებს ზღაპრის სიუჟეტი მაქსიმალურად გამარტივებულად.

**12.7.4.** მანდალას გაფერადება ნებისმიერი სიმღერის ან მელოდიის თანხლებით.

## 12.8. ხელგარჯილობა

**მიზანი:** ა. ფანტაზიის, მოტორიკის, კონცენტრაციის უნარის განვითარება.
ბ. ახალი მასალის გავარჯიშება-გამოყენება.
**ლექსიკა:** ლომი, ბოკვერი, სპილო, ზებრა, კუ, ჟირაფი, ვეფხვი, ნიანგი და . ა.შ.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული: ამოსაჭრელი კვადრატები და დასაწებებელი ბარათები; მაკრატელი, წებო, მუყაო.
**დრო:** 30 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**12.8.1.** ა და ბ „ორობანას“ ბარათების დამზადება: ლომი, სპილო, ზებრა, ჟირაფი, ვეფხვი, ნიანგი (იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 12.8.1. ა და ბ).

**12.8.2.** ა და ბ აღსაზრდელების მიერ აღმზრდელის დახმარებით თვითნაკეთი ლოტოს ბარათების დამზადება. კერძოდ, ამოსაჭრელი კვადრატების და დასაწებებელი ბარათების დამზადება შემდეგი გამოსახულებებით.

**ა.** ლომი, სპილო, ზებრა.

**ბ.** ჟირაფი, ვეფხვი, ნიანგი.

(იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 12.8.2. ა და ბ).

**12.8.3.** ფაზლის დამზადება:
ჟირაფი (იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 12.8.3.).

**12.8.4.** ხატვა გუაშის საღებავებით შემდეგი ფერების გამოყენებით: წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, მწვანე, ყავისფერი, თეთრი, შავი.

**12.8.5.** აპლიკაციების დამზადება ფერადი ფურცლებისგან (გამოჭრა და გაფერადება).

**ა.** პირველ დღეს აღსაზრდელები გამოჭრიან ცხოველების გამოსახულების (ლომი, სპილო, ზებრა, ჟირაფი, ვეფხვი, ნიანგი) ფორმებს.

**ბ.** მეორე დღეს ეს ცხოველები მოიხატება გუაშის საღებავებით.

**12.8.6.** შაბლონის მიხედვით გადაიხატავენ მუყაოზე ცხოველების სახეებს. ამოჭრიან და გააფერადებენ. გაუკეთებენ გასაყრელებს თოკისგან ან რეზინისგან. დაამზადებენ ცხოველების ნიღბებს.

**12.8.7.** აღმზრდელი კაკლის ნაჭუჭებისა და პლასტილინის დახმარებით დაამზადებინებს ბავშვებს კუს.



## 12.9. შემაჯამებელი პროექტი

**„ჯუნგლები“**

აღსაზრდელები მუყაოზე ვერტიკალურად აწებებენ ხეების, ბუჩქების ფიგურებს ისე, რომ სამგანზომილებიანი ეფექტი მივიღოთ. შემდეგ ამ „ჯუნგლებში“ ჩააწებებენ 12.8.5. აქტივობის დროს დამზადებული ცხოველების ფიგურებს ან ჩასვამენ პლასტმასის სათამაშოებს ცხოველების გამოსახულებით.

აღმზრდელის დახმარებით ბავშვები დაამზადებენ აფრიკის მაკეტს. მუყაოს მოზრდილ ნაჭერზე ერთ ნაწილს წაუსვამენ წებო-ემულსიას და დააყრიან ყვითელ ქვიშას, მეორე ნაწილზე დააწებებენ ლურჯ პრიალა ქსოვილს, მესამე ნაწილზე კი შეაზელენ ყავისფერ პლასტილინს. პატარა ტოტებით შეიძლება დამზადდეს ხეები და ცხოველების სახლები, პლასტილინისაგან დამზადებული ცხოველების ფიგურებს გაანაწილებენ მაკეტზე.

# თემა 13 თამაში ბოკვერთან

**(კვირა 25/26)**

## 13.1. შესავალი: მოწესრიგება და სიმღერა

**მიზანი:** მოწესრიგება და მომზადება დღის აქტივობებისათვის.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“, „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და მისთ.), ლექსების ტექსტები თანდართული აუდიოდისკიდან (მაგ. „დამიკარი თავი“).
**დრო:** 20 წთ.

## 13.2. ძირითადი თემა

**მიზანი:** ძველი ლექსიკის აქტივაცია და ახლის დამატება.
**ახალი ლექსიკა:** აუზი, ბეჰემოთი, აქლემი, ხორთუმი, დათვი, ბუ, თუთიყუში, ყვავი, არწივი, წერო.

**ფრაზები:** მოდი, ვიცურაოთ! პირველი მე ვარ! მოდი, ამოძვერი! ნუ გეშინია! კეთილი მგზავრობა! კარგად იყავით! მომკიდე ხელები!
**რესურსი:** ილუსტრაციები, თანდართული აუდიოდისკი.
**დრო:** 20 წთ.

**13.2.1.** ნაცნობი ლექსიკის და პერსონაჟების ამოცნობა და გამეორება.

**13.2.2.** ახალი ლექსიკის ათვისება.
აღმზრდელი ილუსტრაციების გამოყენებით აცნობს აღსაზრდელებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს.
თემის ლექსიკაზე მუშაობა ხდება ისევე, როგორც აღწერილია აქტივობაში 2.2.2., 3.2.1., 3.2.3., 4.2.2.

**13.2.3.** ახალი ფრაზები.
ახალი ფრაზების ათვისება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ეს არის აღწერილი აქტივობა-ში 3.2.3. ამ მასალასაც აღმზრდელი ანაწილებს საშუალოდ ორ კვირაზე, ჯგუფის ათვისების უნარიდან გამომდინარე. ქვეაქტივობების თანმიმდევრობას და სიხშირეს აღმზრდელი თავისი შეხედულებისამებრ ადგენს ასევე ჯგუფის ათვისების უნარის გათვალისწინებით.

**13.2.4.** მინი-სცენების გათამაშება.
აღმზრდელი გაათამაშებინებს აღსაზრდელებს სხვადასხვა დიალოგს თანდართული აუდიოდისკის და ილუსტრაციების მიხედვით. შესაძლებელია ვარიაციები საკუთარი ფანტა-ზიიდან და ცოდნიდან გამომდინარე.

## ილუსტრაცია 13.1.

**წარწერა:** სასრიალოზე ვის უნდა?
**აღწერა:** ლომის სახლის ეზოში არის აუზი. აუზში ჭყუმპალაობენ: ბეჰემოთი და ნიანგი. ბოკვერი ხტება წყალში. სპილო და აქლემი დგანან აუზთან და წყალში ჩასასრიალებლად სპილოს ხორთუმი უდევს მიწაზე, ხოლო აქლემი დაჩოქილია წინა ფეხებით და თავი აქვს დახრილი. სპილოს ხორთუმზე სრიალებს წიკო, ხოლო აქლემის ზურგზე ცოცდება ნენე. დუდუ უკვე ჩასრიალდა წყალში. პოპო და კიკო ახტებიან დათვს, რომელიც იქვე აუზთან დგას.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 37):**

ბოკვერი: მოდი, ვიცურაოთ!
სპილო: აბა, სასრიალოზე ვის უნდა?
წიკო: პირველი მე ვარ!
ნენე: მეც მინდაااა!
აქლემი: ჩემთან მოდი, ნენე! მოდი, მოდი, ამოძვერი! ნუ გეშინია, აი, დუდუ უკვე ჩასრიალდა.

....
რა კარგია აფრიკაში ლომის ბოკვერთან,
დათვის ზურგი არის ჩვენი სახტომელა,
ხოლო სპილოს ხორთუმი და აქლემის კუზი
ჩვენი სასრიალო არის ყველაზე კარგი.
მოდი, ერთად ვიცურაოთ ამ დიდ აუზში,
სპილოს ხორთუმიდან ჩავსრიალდეთ წყალში,
დათვის ზურგიდან კი ჩავხტეთ ერთად აუზში,
აქლემის კუზიდანაც კი ჩავალთ წყალში.

## ილუსტრაცია 13.2.

**წარწერა:** სახლში მინდა!
**აღწერა:** გვიანი საღამოა. თითქმის ბნელა. ბეჰემოთს და ნიანგს აუზში ჩასძინებიათ. დათვი კედელზეა მიყრდნობილი და დაღლილი სახით ზის. ნენე წუწუნებს, სახლში უნდა.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 38):**

დუდუ: უი, უკვე საღამოა!
ნენე: სახლში მინდა! დედიკო მინდა!
პოპო: დავიღალე! მეც სახლში მინდა!
კიკო: მეძინება!
წიკო: აბა, წავედით. მაგრამ ჩვენი მფრინავი თეფში სადაა?
ნენე: ვაიმე, სახლში როგორ წავიდეთ?
ბოკვერი: ნუ გეშინიათ, მე აქ არა ვარ? ახლავე დავუძახებ ჩემს მეგობრებს და მიგიყვანენ თქვენს მფრინავ თეფშთან და ხალიჩასთან.
(სტვენა)

## ილუსტრაცია 13.3.

**წარწერა:** კეთილი მგზავრობა!
**აღწერა:** ნენე უკვე წეროზე ზის და ბოკვერს ხელს უქნევს. დანარჩენები ცოცდებიან შესაბამის ფრინველებზე: დუდუ – ბუზე, პოპო – თუთიყუშზე, კიკო – ყვავზე, წიკო – არწივზე.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 39):**

ბოკვერი: აბა, ნენე, შენ წერო წაგიყვანს. დაჯექი.
წერო: მოდი, ნენე, დაჯექი და კარგად მომკიდე ხელები.
ბოკვერი: დუდუ, შენ ბუ წაგიყვანს.

ბუ: დუდუ, აბა დაჯექი და კარგად მომკიდე ხელები.
ბოკვერი: პოპო, შენ თუთიყუში წაგიყვანს.
თუთიყუში: პოპო, დაჯექი და კარგად მომკიდე ხელები.
ბოკვერი: კიკო, შენ ყვავი წაგიყვანს.
ყვავი: კიკო, დაჯექი და კარგად მომკიდე ხელები.
ბოკვერი: წიკო, შენ არწივი წაგიყვანს.
არწივი: წიკო, აბა დაჯექი. მზად ხართ ყველანი? გავფრინდეთ?
ყველა: გავფრინდეთ!
ბოკვერი და სხვები: კარგად იყავით! კეთილი მგზავრობა!

## 13.3. ლოგიკური დავალებები

**მიზანი:** ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება, თემის ახალი ლექსიკის ათვისება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, ფანქრები.
**დრო:** 20 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**13.3.1.** რომელია ზედმეტი. აღსაზრდელებმა უნდა დაასახელონ ყველა ცხოველი: ზებრა, ბეჰემოთი, აქლემი, დათვი, და გადახაზონ ის, რომელიც ზედმეტია. დანარჩენი შეუძლიათ გააფერადონ (იხ. სამუშაო რვეული).

**13.3.2.** აღსაზრდელებმა უნდა დაასახელონ ყველა ფრინველი: თუთიყუში, ყვავი, არწივი, წერო და გადახაზონ ის, რომელიც ზედმეტია. დანარჩენი შეუძლიათ გააფერადონ (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**13.3.3.** ჩვენი აქლემი.
მიუხატე აქლემს კუზი (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**13.3.4.** გამოჭრილი გეომეტრიული ფორმებისაგან დათვის აწყობა (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული). სასურველია, ასეთი აქტივობის შესრულების დროს აღმზრდელმა ბავშვებს ყურადღება მიაქცევინოს გეომეტრიული ფიგურების დასახელებებზე.

**13.3.5.** სიუჟეტის ნახატების თანმიმდევრობის დადგენა.
აღსაზრდელებმა უნდა დაადგინონ არეულად მოცემული ილუსტრაციების თანმიმდევრობა და დააწერონ ნომრები (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**13.3.6.** რომელია უფრო მეტი?

ფურცელზე არეულადაა მოცემული 2 აქლემი, 3 ჟირაფი, 1 თუთიყუში, 4 წერო, აღსაზრდელებმა უნდა იპოვონ ერთნაირი ცხოველები ან ფრინველები, გამოჭრან, დააჯგუფონ, დაითვალონ და დაასახელონ (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**13.3.7.** დაუკავშირე ერთმანეთს.

დახატულია ცხოველები: ბეჰემოთი, აქლემი, სპილო და დათვი, ასევე ხორთუმი, დათვის თათი, აქლემის კუდი, ბეჰემოთის თავი. აღსაზრდელებმა უნდა დაუკავშირონ ცხოველის შესაბამისი ნაწილი ცხოველს (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**13.3.8.** დაუკავშირე ერთმანეთს.

მოცემულია სხვადასხვა საგანი და პერსონაჟები ილუსტრაციებიდან. ბავშვმა ნაცნობი სიუჟეტიდან, ილუსტრაციიდან გამომდინარე, უნდა დაუკავშიროს ისინი ხაზებით ერთმანეთს:

ბეჰემოთი, ნიანგი და ბოკვერი – აუზს;
წიკო – სპილოს;
ნენე და დუდუ – აქლემს;
პოპო და კიკო – დათვს.

(იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**13.3.9.** ლოტოს თამაში ძველი და ახალი ბარათებით (ახალი ბარათები მზადდება აქტივობის 13.8.2. დროს).

**13.3.10.** იპოვე და გააფერადე ორკუზიანი აქლემი (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**13.3.11.** ამოჭერი კბილები და დააწებე ნიანგზე (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**13.3.12.** დაუხატე ბუს ფრთა (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

## 13.4. მუშაობა მცირე ჯგუფებში

**მიზანი:** ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების გაგება და გამოყენება თამაშის სიტუაციაში.

**რესურსი:** მოზაიკა, „ორობანას“ ბარათები, ბავშვის სამუშაო რვეული, დიდი ფორმატის ქაღალდი, მაკრატელი, პლასტმასის სათამაშოები ცხოველების გამოსახულებით.

**დრო:** 30 წთ.

**13.4.1.** დრამატული წრე:

**ა.** თემის ლექსიკის გასააქტიურებლად შესაძლებელია გავათამაშებინოთ ილუსტრაციებზე მოცემული სიუჟეტი.

**ბ.** აღმზრდელი ბავშვებთან ერთად მოაწყობს საცურაო აუზს დრამატულ კუთხეში, გაანაწილებს როლებს და წაახალისებს ბავშვებს ითამაშონ. ბავშვებს შეუძლიათ გამოიყენონ ცხოველების ნიღბები.

**13.4.2.** სამაგიდო თამაშების წრე:

**ა.** მოზაიკით აუზის აწყობა.

**ბ.** „ორობანას“ ბარათებით თამაში ცხოველების თემის გამოყენებით (ბარათები მზადდება აქტივობის 13.8.1. დროს).

**გ.** ფაზლის აწყობა საკუთარი არჩევანით (ახალი ფაზლები მზადდება აქტივობის 13.8.3. დროს).

**13.4.3.** ხელოვნების წრე:

**ა.** საყვარელი ცხოველის ან ფრინველის დახატვა.
აღსაზრდელები ცდილობენ დამოუკიდებლად დახატონ ცხოველები და დაასახელონ რომელი ცხოველი/ფრინველი/მწერია.

**ბ.** აუზის გაკეთება მუყაოს ან ჩვეულებრივი ქაღალდებისგან.

**გ.** ძერწვა: აღსაზრდელებს შეუძლიათ გამოძერწონ ფრინველები ან ცხოველები.

**დ.** აპლიკაცია: დათვის ნიღბის დამზადება (ქსოვილისა და სხვა მასალის გამოყენებით).

**ე.** მუქი ფერის ქაღალდზე ფრინველების ხატვა გუაშის საღებავის გამოყენებით. აღმზრდელი წაახალისებს ბავშვებს ხატვის დროს გამოიყენონ ბუმბულების ანაბეჭდები.

**ვ.** ბეჰემოთი.
იისფერ ან ნაცრისფერ გადაკეცილ ფურცელზე აღმზრდელი დაუხატავს ბავშვებს ბეჰემოთის თავს, ბავშვები გამოჭრიან თავს ისე, რომ გამოვიდეს ორი ნაწილი და დააწებებენ ერთმანეთს (როგორც ნაჩვენებია ფოტოზე). ერთ ნაწილზე შავი ფანქრით ან ფლომასტერით დაახატავენ თვალებს და ნესტოებს. მეორეზე კი დააწებებენ ვარდისფერი ქაღალდისგან გამოჭრილ პირს. თეთრი პლასტილინისგან გამოძერწავენ და დააწებებენ კბილებს.

**ზ.** აღმზრდელი მწვანე ქაღალდზე გადაიტანს ნიანგის კონტურს შაბლონის მიხედვით. ბავშვები გამოჭრიან და გადაკეცავენ შუაზე, შემდეგ ჩაჭრიან ხერხემალზე და გადაუკეცავენ. დააწებებენ ან დაუხატავენ თვალებს და პირს.

**13.4.4.** კუბურების წრე.
ცხოველების „სახლების“ აშენება, მაგ., დათვის ბუნაგი, წეროს ბუდე.

## 13.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** ფიზიკური განტვირთვა და ზოგიერთი ნაცნობი თუ ახალი ლექსკური ერთეულის გამოყენება.
**რესურსი:** სკამი, ბურთი, მოედანი/ეზო; პლასტმასის სათამაშო ცხოველები/ფრინველები.
**დრო:** 30 წთ.

**13.5.1.** აღსაზრდელები იყოფიან ორ ჯგუფად. აღმზრდელი ადგენს გარკვეული დროის ლიმიტს (3 ან 5 წთ.). ფინიშთან აწყვია ბარათები (შეგვიძლია გამოვიყენოთ ორობანას და/ან ლოტოს ბარათები) ცხოველების/ფრინველების გამოსახულებით: (ბეჰემოთი, აქლემი, დათვი, თუთიყუში, ყვავი, არწივი, წერო და ა. შ.). თამაშს იწყებს პირველი გუნდი, რომლის ყოველი მონაწილეც მირბის ფინიშთან, მოაქვს ბარათი, სწორად ასახელებს მას და აძლევს აღმზრდელს. თუ მოთამაშე არასწორად დაასახელებს აღნიშნულ ცხოველს, ბარათი ისევ უბრუნდება თავის ადგილს. დროის ლიმიტის გასვლის შემდეგ, მეორე გუნდი იწყებს თამაშს. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც დათქმულ დროში უფრო მეტ ბარათს დააგროვებს თავის მფლობელობაში.

**13.5.2.** დამალობანას თამაში.

**13.5.3.** ფეხბურთის თამაში.

**13.5.4. ა.** აღმზრდელი იატაკზე ცარცით შემოხაზავს ან თოკით შემოსაზღვრავს წრეს და შექმნის წყლის იმიტაციას. ის დაუდგამს ბავშვებს წინ დაბალ, მყარ სკამს და წაახალისებს მათ, ავიდნენ სკამზე და გადახტნენ წრეში.

**ბ.** იგივე დავალება შეიძლება შესრულდეს დაბალი სკამის გარეშე, ბავშვები გამოიქცევიან და წრის საზღვრიდან გადახტებიან წრეში.

**13.5.6.** აღმზრდელი სთხოვს ბავშვებს, წარმოიდგინონ, ვითომ წყალში ცურავენ და ხელის მოძრაობებით გააკეთონ სხვადასხვაგვარი ცურვის იმიტაცია.

## 13.6. ლექსი, სიმღერა, ენის გასატეხი

**მიზანი:** ვარჯიში წარმოთქმაზე, ქართული ბგერების წარმოთქმის დახვეწა, აქცენტი კეთ-დება ბგერებზე; ნაცნობი ლექსიკის ცნობა/განმტკიცება.
**რესურსი:** აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო. ვაშლი/სხვა ხილი ან ბურთი/სხვა სათამაშო, თანდართული აუდიოდისკი და სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები.
**დრო:** 20 წთ.

აქტივობის მსვლელობის აღწერილობა იხ. აქტივობაში 0.9. და 10.6.
შესაძლებელია ტექსტების შემოკლება საკუთარი შეხედულებისამებრ.

### 13.6.1. ლექსი: „კოკალია“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 78)

კოკალია-კალია
პაწაწინა ქალია.
ბუზ-ბუილამ დააფრთხო,
შეაშინა ძალიან.
დაიმალა ბალახში,
აღარ უნდა თამაში.

(ავტორი: მ. წიკლაური)

### 13.6.2. ლექსი: „სამი ყვავი“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 79)

ხის ტოტზე ზის ერთი ყვავი,
ერთია და მაინც ჩხავის.
ხის ტოტზე ზის ორი ყვავი,
ახლა ორი ყვავი ჩხავის.
ორს მესამე შეუერთდა,
ერთად მოჰყვნენ ფრთების ქავილს.
ორმა ყვავმა ხომ იჩხავლა,
ახლა სამი ყვავი ჩხავის.
მგონი ჯერაც არვინ იცის,
ბულბულს რატომ სტკივა თავი.

(ავტორი: მ. ფოცხიშვილი)

### 13.6.3. ლექსი: „ნიანგი სანიანგოში“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 80)

ნიანგი სანიანგოში
ამეცადინებს ხვლიკებს:
„თუ კუდი არ მოიქნიე,
კოღო ზედ კუდზე გიკბენს.“

„ჩხიკვი მოგიწყობს ხრიკებს და
ვირი დაგაყრის ტლინკებს,
მერე იწექი ჭაობში
სველი ლაქაში ტლიკე.“
ნიანგი სანიანგოში
ამეცადინებს ხვლიკებს.
არ უჯერებენ ხვლიკები
არ კითხულობენ წიგნებს.
იღლება და ძილს ეძლევა,
ძალას სიზმარში იკრებს.
იღვიძებს ზარს აწკარუნებს.
ტუქსავს და მოძღვრავს ბრიყვებს.
„თუ კუდი არ მოიქნიე,
კოღო ზედ კუდზე გიკბენს.“

(ავტორი: მ. ფოცხიშვილი)

**13.6.4. ლექსი „ბუ“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 81)**

დღისით წიგნებს კითხულობს,
არ შორდება ფუღუროს.
ღამით გარეთ დაფრინავს,
ვარსკვლავებს რომ უყუროს.
რჩევას ვინც ეკითხება,
არ ისტუმრებს უარით...
ყველაფერი სცოდნია,
მართლა ბრძენი ბუ არის!

(ავტორი: ვ. გულეური)

## 13.7. მუსიკა/მანდალა/თავისუფალი ხატვა, მულტფილმი/ზღაპარი

**მიზანი:** განტვირთვა, ქართული ბგერების და სიტყვების ინტონაციის მოსმენა, ფონემატური სმენის განვითარება.
**ლექსიკა:** პასიური ლექსიკა.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მულტფილმები, მშვიდი მელოდიები, ქართული სიმღერები ან აუდიოზღაპრები, მანდალები, ზღაპრების წიგნი.
**დრო:** 20 წთ.

**13.7.1.** თავისუფალი ხატვა, რომლის დროს აღმზრდელი ავარჯიშებს აღსაზრდელებს ფერებისა და ფორმების გამოყენებაზე ბუნებრივ კონტექსტში და ასახელებინებს დახატულ ან დასახატ საგნებს.

**13.7.2.** აღმზრდელი აჩვენებს აღსაზრდელებს რომელიმე მულტფილმს. აღსაზრდელები, სურვილისამებრ, აყვებიან უკვე ნაცნობ სიმღერას; ასევე, შეუძლიათ დაასახელონ ნაცნობი ცხოველები.

> **შენიშვნა:** აღმზრდელს შეუძლია ესა თუ ის მულტფილმი განმეორებით აჩვენოს რამდენიმე დღის განმავლობაში.

**13.7.3.** რომელიმე წიგნის/ილუსტრირებული ზღაპრის დათვალიერება აღმზრდელთან ერთად და პერსონაჟების ამოცნობა. აღმზრდელს შეუძლია მოუყვეს ბავშვებს ზღაპრის სიუჟეტი მაქსიმალურად გამარტივებულად.

**13.7.4.** მანდალას გაფერადება ნებისმიერი სიმღერის ან მელოდიის თანხლებით.

## 13.8 ხელგარჯილობა

**მიზანი:** ა. ფანტაზიის, მოტორიკის, კონცენტრაციის უნარის განვითარება.
ბ. ახალი მასალის გავარჯიშება-გამოყენება.

**ლექსიკა:** აუზი, ბეჰემოთი, აქლემი, ხორთუმი, დათვი, ბუზი, თუთიყუში, ყვავი, არწივი, წერო და ა.შ.

**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული: ამოსაჭრელი კვადრატები და დასაწებებელი ბარათები; მაკრატელი, წებო, მუყაო.

**დრო:** 30 წთ.

> **შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**13.8.1.** ა და ბ „ორობანას“ ბარათების დამზადება: ბეჰემოთი, აქლემი, დათვი, თუთიყუში, არწივი, წერო, ბუ, ყვავი (იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 13.8.1. ა და ბ).

**13.8.2.** ა და ბ აღსაზრდელების მიერ აღმზრდელის დახმარებით თვითნაკეთი ლოტოს ბარათების დამზადება. კერძოდ, ამოსაჭრელი კვადრატების და დასაწებებელი ბარათების დამზადება შემდეგი გამოსახულებებით (ამჯერად მზადდება 5-ნაწილიანი ლოტოს ბარათები).

ბეჰემოთი, აქლემი, დათვი, კუ, ბოკვერი.

თუთიყუში, არწივი, წერო, ბუ, ყვავი.

(იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 13.8.2. ა და ბ).

**13.8.3.** ფაზლების დამზადება საკუთარი არჩევანით (ფრაგმენტები ილუსტრაციიდან 13.1.):

**ა.** ბეჰემოთი და ნიანგი აუზში;

**ბ.** ბოკვერი ხტება წყალში;

**გ.** სპილო და წიკო;

**დ.** აქლემი და ნენე, იქვე – დუდუ.

**ე.** პოპო და კიკო დათვთან ერთად.

(იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 13.8.3.).

**შენიშვნა:** საკმარისია თითოეულმა ბავშვმა თითო ფაზლი დაამზადოს საკუთარი არჩევანით.

**13.8.4.** ხატვა გუაშის საღებავების ფერების გამოყენებით: თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, მწვანე, ყავისფერი, ნაცრისფერი, ჭრელი და ა. შ.

**13.8.5.** აპლიკაციების დამზადება ფერადი ფურცლებისგან (გამოჭრა და გაფერადება):

**ა.** პირველ დღეს აღსაზრდელები გამოჭრიან ცხოველების/ფრინველების გამოსახულების (ბეჰემოთი, აქლემი, დათვი, ბუ, თუთიყუში, ყვავი, არწივი, წერო) ფორმებს.

**ბ.** მეორე დღეს ეს ცხოველები მოიხატება გუაშის საღებავებით.

**13.8.6.** აღმზრდელი წინასწარ მუყაოსგან გამოჭრის ცხოველების შაბლონებს. ბავშვები გადაიტანენ ამ შაბლონებს სხვადასხვა ქსოვილზე, გამოჭრიან, წაუსვამენ წებოემულსიას და დააწებებენ მუყაოზე ორივე მხრიდან. შემდეგ ჩასვამენ ერთმანეთში და ააწყობენ ცხოველებს.



**13.8.7.** აღმზრდელი აჩვენებს ბავშვებს ბუს ფოტოს და წაახალისებს, დახატონ მუყაოზე თავიანთი ბუ. შემდეგ გააფერადებენ და დააწებებენ წინასწარ დაკუწულ, შესაბამისი ფერის ქაღალდზე, გამოჭრიან ნისკარტს და თვალებს და დააწებებენ სახეზე.

**13.8.8.** აღმზრდელი წინასწარ მუყაოს ცილინდრებს და იმარაგებს ნამდვილ ბუმბულს. ბავშვები გამოჭრიან ნისკარტს და თვალებს და დააწებებენ მუყაოს, შემდეგ წაუსვამენ წებო-ემულსიას და დააწებებენ ბუმბულს, ფრთებს და კუდს.

### 13.9. შემაჯამებელი პროექტი

**13.9.1.** 13.8.5. აქტივობის დროს დამზადებული ცხოველების „სახლების“ (ბუდეები ან ბუნაგები) აშენება: ჭრელი ქაღალდები უნდა დაიჭრას ზოლებად და ბადისებურად გატარდეს ერთმანეთში (ისე, რომ ბადე გამოვიდეს). რამდენიმე ასეთი ქაღალდის შეწებებით შეიძლება გაკეთდეს ბუდე ან ბუნაგი.

**13.9.2.** მინი-სპექტაკლი ნაცნობი სიმღერების და შექმნილი ნიღბების გამოყენებით.

## თემა 14 მოგზაურობა მფრინავი თეფშით[1]

**(კვირა 27/28)**

### 14.1. შესავალი: მოწესრიგება და სიმღერა

**მიზანი:** მოწესრიგება და მომზადება დღის აქტივობებისთვის.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“, „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და მისთ.), ლექსების ტექსტები თანდართული აუდიოდისკიდან (მაგ. „დამიკარი თავი“).
**დრო:** 20 წთ.

1. სასურველია, ამ თემის დამუშავებისას მასწავლებელს ჰქონდეს გლობუსი ან რუკა და გლობუსზე ან  რუკაზე აჩვენოს აღსაზრდელებს აფრიკა, ანტარქტიდა და იაპონია.

## 14.2. ძირითადი თემა

**მიზანი:** ძველი ლექსიკის აქტივაცია და ახლის დამატება.

**ლექსიკა:** ყინულის ქვეყანა – ანტარქტიდა, აფრიკა, ალუბლის ქვეყანა, თბილისი, მთაწმინდის პარკი, ზამთარი, ზაფხული, გაზაფხული, შემოდგომა; თოვლი, თოვლის ბაბუა, თოვლის გუნდა, პინგვინები, გავიყინე, ცივა/ცხელა, ქვემოთ, ჩანს, წყარო, მდინარე, ზღვა, ოკეანე, ნილოსი, ვიცი, ხე, ყვავილი/ყვავილები, ალუბლის ხე, ყვავის; დავიღალე, შევისვენოთ, წავიდეთ.

**ფრაზები:** რა თეთრია ყველაფერი! რამხელა თოვლია! მე შენ გიჩვენებ სეირს! მოდი, ვიგუნდაოთ! ესეც შენ! მოიცა! ... რა არის? ცოტა მოიცადეთ, მალე ...-ში ვიქნებით.

**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, თანდართული აუდიოდისკი.

**დრო:** 20 წთ.

**14.2.1.** ნაცნობი ლექსიკის და პერსონაჟების ამოცნობა და გამეორება.

**14.2.2.** ახალი ლექსიკის ათვისება.

აღმზრდელი ილუსტრაციების გამოყენებით აცნობს აღსაზრდელებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს. თემის ლექსიკაზე მუშაობა ხდება ისევე, როგორც აღწერილია აქტივობაში 2.2.2., 3.2.1., 3.2.3., 4.2.2.

**14.2.3.** ახალი ფრაზები.

ახალი ფრაზების ათვისება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ეს არის აღწერილი აქტივობაში 3.2.3. ამ მასალასაც აღმზრდელი საშუალოდ ორ კვირაზე ანაწილებს. ქვეაქტივობების თანმიმდევრობას და სიხშირეს აღმზრდელი თავისი შეხედულებისამებრ ადგენს ჯგუფის ათვისების უნარის გათვალისწინებით.

**14.2.4**. მინი-სცენები.

მინი-სცენების გათამაშება ილუსტრაციების და თანდართული აუდიოდისკის მიხედვით.

შესაძლებელია ვარიაციები აღმზრდელის შეხედულებისამებრ.

**14.2.5.** წელიწადის დროები.

**ახალი ლექსიკური ერთეულები:** შემოდგომა, ყვითელი ფოთლები, წვიმა.

## ილუსტრაცია 14.1.

**წარწერა:** მოდი, ვიგუნდაოთ!

**აღწერა:** თეფშით ჩაფრენილები არიან ყინულის ქვეყანა – ანტარქტიდაში[1]. იქ ზამთარია. ნენე თეფშთან ახლოს დგას და აღფრთოვანებულია თოვლით: ხელები აქვს გაშლილი აღფრთოვანების ნიშნად.

დუდუ და წიკო პინგვინებთან გუნდაობენ. წიკოს გუნდა მოხვდა ერთი პინგვინისგან,

1. აღმზრდელი ბავშვებს უხსნის, რომ ანტარქტიდა ყინულის ცივი ქვეყანაა.

რომელიც შორიახლოს დგას და ხითხითებს. სხვა პინგვინები ერთმანეთშიც გუნდაობენ. წიკო ხუმრობით უბრაზდება პინგვინს და გუნდას ამზადებს სასროლად. დუდუც იმავეს აკეთებს. პოპო და კიკო შორიახლოს დგანან თავიანთი გაკეთებული თოვლის ბაბუის გვერდით.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 40):**

ნენე: ეს არის ანტარქტიდა?! რა თეთრია ყველაფერი! რამხელა თოვლია!
რა კარგია!
დუდუ: აქ სულ ზამთარია, ხო? ნენე, ნახე, ნახე, პინგვინები!
(პინგვინი გუნდას ესვრის წიკოს და ეშმაკურად იღიმის).
წიკო: ვაა, გუნდა მესროლე? მოიცა, მოიცა, მე შენ გიჩვენებ სეირს! (თვითონაც ესვრის გუნდას).
დუდუ: ნენე, მოდი, ვიგუნდაოთ პინგვინებთან! ესეც შენ! (გუნდას ესვრის პინგვინს).
კიკო: გეყოფათ გუნდაობა, ნახეთ, რამხელა თოვლის ბაბუა გავაკეთეთ მე და პოპომ!
დუდუ: თოვლის ბაბუა, რა მაგარია!
....
დიდი თოვლი მოსულაო, ზამთარია!
აღარ ცხელა, უხარიათ პინგვინებს,
აგერ, თქვენი ნაძვის ხე,
მორთეთ კანფეტებით,
ქვეშ დავმალავ საჩუქრებს, –
იღიმება თოვლის ბაბუა,
იღიმება თოვლის ბაბუა.

## ილუსტრაცია 14.2.

**წარწერა:** აფრიკაში როგორ ცხელა!
**აღწერა:** დუდუ, ნენე, წიკო, პოპო და კიკო სხედან მფრინავ თეფშში. წიკო პილოტია. ყველანი იყურებიან ქვემოთ. იქ აფრიკა[1] მოჩანს. ნენეს სცივა. დანარჩენები გართულები არიან თვალიერებით, ზოგს კისერი აქვს წაგრძელებული, ზოგს ცხვირი და ზოგსაც შუბლი აქვს მიდებული მფრინავი თეფშის შუშაზე/ფანჯარაზე. კიკოს თითი აქვს გაშვერილი და უთითებს ქვემოთ მდინარეებზე.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 41):**

ნენე: გავიყინე! ძალიან ცივა ანტარქტიდაზე!
წიკო: ნახე, ნახე, ქვემოთ აფრიკა ჩანს! აფრიკაში როგორ ცხელა!
დუდუ: ცხელა, აბა რა! იქ სულ ზაფხულია! ეგერ, ჩვენი ბოკვერი! ნიანგიც ჩანს!

1. აღმზრდელი ბავშვებს უხსნის, რომ აფრიკა ცხელი ქვეყანაა და შეადარებს წინა 14.1. ილუსტრაციაზე ნასწავლ ყინულის ცივ ქვეყანას.

პოპო: ეგერ, წერო, ჩვენი წერო!
კიკო: ეგერ, მდინარე!
წიკო: ეგ მდინარე ნილოსია!
ნენე: მარჯვნივ რა არის?
წიკო: ეს როგორ არ იცით?! ეს ოკეანეა!
კიკო: ოკეანე რა არის?
დუდუ: მე ვიცი, მე ვიცი: პატარა წყალი არის წყარო, უფრო დიდი – მდინარე, კიდევ უფრო დიდი – ზღვა და ძალიან დიდი – ოკეანე.
კიკო: გავიგე: ეგერ – მდინარე, ეგერ – ზღვა და ესეც ოკეანე.

### ილუსტრაცია 14.3.

**წარწერა:** თბილისი.
**აღწერა:** ყველანი მფრინავ თეფშში არიან კვლავინდებურად. ქვემოთ უყურებენ იაპონიას[1] და ალუბლის აყვავებულ ხეებს. წიკო პილოტია. ღრუბელში ჩანს თბილისი: ანძა, მტკვარი და მთაწმინდა.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 42):**

წიკო: ვაა, ეს ხომ იაპონიაა!
ნენე: ნახეთ, იაპონიაში გაზაფხულია. ალუბლის ხეები რა ლამაზად ყვავის!
კიკო: რამდენი ყვავილია!
პოპო: რა დროს ყვავილებია, დავიღალე ამდენი ფრენით. მოდი, სადმე შევისვენოთ!
წიკო: ცოტა მოიცადეთ, მალე თბილისში ვიქნებით!
დუდუ: თბილისში რა გვინდა?
წიკო: მთაწმინდის პარკში წავიდეთ!

## 14.3. ლოგიკური დავალებები

**მიზანი:** ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარებს, თემის ახალი ლექსიკის ათვისება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, ფანქრები.
**დრო:** 20 წთ.

1. აღმზრდელი ბავშვებს უხსნის, რომ იაპონია არის „ალუბლის ხეების“ ქვეყანა.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**14.3.1.** „ორობანას“ თამაში ძველი და ახალი ბარათებით (ახალი ბარათები მზადდება აქტივობის 14.8.1. დროს).

**14.3.2.** ლოტოს თამაში ძველი და ახალი ბარათებით (ახალი ბარათები მზადდება აქტივობის 14.8.2. დროს).

**14.3.3.** ფაზლის აწყობა ძველი და ახალი ბარათებით (ახალი ბარათები მზადდება აქტივობის 14.8.3. დროს).

**14.3.4.** ილუსტრაციების თანმიმდევრობის დადგენა (წელიწადის დროები) და გაფერადება (იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 14.3.4.).

**14.3.5.** პინგვინები და თოვლის ბაბუა. ერთნაირი საგნების გამოჭრა და დაჯგუფება:
სამი პინგვინი და ოთხი თოვლის ბაბუა (იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 14.3.5.) აღსაზრდელები გამოჭრიან, გააფერადებენ და ცალკე დააჯგუფებენ პინგვინებს, ცალკე – თოვლის ბაბუებს.

**14.3.6.** ყვავილები: გავაკეთოთ ყვავილები (იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 14.3.6.).
სამუშაო რვეულში მოცემულია სამი ყვავილის ღერო და სხვადასხვა ფორმის ყვავილის ფურცლები. აღსაზრდელებმა უნდა გააფერადონ და გამოჭრან ღეროები და ყვავილის ფურცლები. სხვადასხვა ფორმის ყვავილის ფურცლებისგან სამ სხვადასხვა ყვავილს აკეთებენ.

**14.3.7.** რუკების აწყობა.
აღსაზრდელები ბავშვის სამუშაო რვეულიდან გამოჭრიან მსოფლიოს (დედამიწა) და საქართველოს კონტურების ნახევარ-ნახევარს; აღსაზრდელებმა სწორად უნდა იპოვონ შესაბამისი ორი ნახევარი (იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 14.3.7.).

## 14.4. მუშაობა მცირე ჯგუფებში

**მიზანი:** ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების გაგება და გამოყენება თამაშის სიტუაციაში.
**რესურსი:** მოზაიკა, „ორობანას“ ბარათები, ბავშვის სამუშაო რვეული.
**დრო:** 30 წთ.

**14.4.1.** დრამატული წრე.
თემის ლექსიკის გასააქტიურებლად შესაძლებელია აღსაზრდელებს გავათამაშებინოთ ილუსტრაციებზე მოცემული სიუჟეტი. აღმზრდელი დრამატულ კუთხეს მოაწყობს ყინულის ქვეყნის იმიტაციისთვის დიდი თეთრი ქსოვილების მეშვეობით. შეიძლება გამოიყენონ პენოპლასტის

ნაჭრები ან ბამბის ქულებიც. აღმზრდელი მცირე ჯგუფებად ათამაშებინებს აღსაზრდელებს სცენებს და რიგრიგობით ეხმარება მათ. ბავშვები თვითონ ირჩევენ, რომელ პერსონაჟს განასახიერებენ. შესაძლოა თავისუფალი თამაშიც მოგზაურობის თემაზე.

**14.4.2.** სამაგიდო თამაშების წრე:

**ა.** მოზაიკით მფრინავი ხალიჩის, მფრინავი თეფშის და/ან თვითმფრინავის, ყვავილები, ხეების, ფოთლების, თოვლის ბაბუის აწყობა.

**ბ.** „ორობანას“ თამაში.

**14.4.3.** ხელოვნების წრე (შესაძლებელია დასამზადებელი საგნების შეცვლა საკუთარი შეხედულებისამებრ):

**ა.** ხატვა: მფრინავი თეფშის დახატვა ან თავისუფალი ხატვა.

**ბ.** ძერწვა: პინგვინის გამოძერწვა.

**გ.** აპლიკაცია: ყვავილებიანი ხალიჩის გაკეთება.

**დ.** მუყაოსგან თვითმფრინავის დამზადება.

**ე.** აღმზრდელი შესთავაზებს ბავშვებს, თეთრი გუაშის საღებავების გამოყენებით ანტარქტიდის დახატვას.

**ვ.** აღმზრდელი გამოაძერწინებს ბავშვებს თოვლის ბაბუებს თეთრი პლასტილინისგან.

**ზ.** აღმზრდელი ორიგამის ტექნოლოგიით დაამზადებინებს ბავშვებს პეპლებს, შემდეგ გააფორმებენ ნახატებით (იხ. სამუშაო რვეული).

**თ.** ბავშვები შავი ფანქრით ან ფლომასტერით დახატავენ სასურველი ფორმის ხის მარტივ სილუეტს, შემდეგ ვარდისფერი საღებავით თითებით დასვამენ წერტილებს ხეზე.

**14.4.4.** კუბურების წრე.

მფრინავი თეფშის და მისთ. აშენება.

კუბურების ცენტრში აღმზრდელი შეიტანს ბამბის ქულებს და სთხოვს ბავშვებს, ააშენონ „დათოვლილი“ შენობები.

## 14.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** ფიზიკური განტვირთვა და ზოგიერთი ნაცნობი თუ ახალი ლექსკური ერთეულის გამოყენება.
**რესურსი:** ქაღალდი, ბურთი, მოედანი/ეზო;
**დრო:** 30 წთ.

**14.5.1.** აღმზრდელი ოთახის სხვადასხვა კუთხეში დამალავს 14.3.5. აქტივობის დროს გამოჭრილ პინგვინებს და თოვლის ბაბუებს. შემდეგ ორ ჯგუფად ჰყოფს აღსაზ-

რდელებს. პირველმა ჯგუფმა უნდა იპოვოს პინგვინები, მეორემ – თოვლის ბაბუები. გამარ-ჯვებულია ის ჯგუფი, რომელიც უფრო მეტ პინგვინს/თოვლის ბაბუას იპოვის დროის განსაზ-ღვრულ მონაკვეთში (3-5 წთ.).

**14.5.2.** გუნდაობა პატარა ბურთებით ან დაჭმუჭნული ქაღალდებით.

**14.5.3.** მუსიკის ფონზე ბავშვები აკეთებენ გუნდაობის იმიტაციას. მუსიკის შეწყვეტის შემ-დეგ ბავშვები შეშდებიან და ცდილობენ წონასწორობის შენარჩუნებას.

## 14.6. ლექსი, სიმღერა, ენის გასატეხი

**მიზანი:** ვარჯიში წარმოთქმაზე, ქართული ბგერების წარმოთქმის დახვეწა, აქცენტი კეთ-დება ბგერებზე; ნაცნობი ლექსიკის ცნობა/განმტკიცება.
**რესურსი:** აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო. ვაშლი/სხვა ხილი ან ბურთი/სხვა სათამაშო., ზოგ შემთხვევაში თანდართული აუდიოდისკი.
**დრო:** 20 წთ.

(აქტივობის მსვლელობის აღწერილობა იხ. აქტივობაში 0.9. და 10.6.). მოცემული ტექსტე-ბიდან საკმარისია ერთი რომელიმეს შერჩევა ან თუნდაც ერთი ნაწყვეტით „თამაში“.

### 14.6.1. ლექსი: „ტურისტი“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 82)

აერია პინგვინს გზები,
მოდის საქართველოში,
ანტარქტიდის ყინული
წამოიღო თერმოსით.
– თერმოსით რას გეყოფა,
თბილისში ხომ იწვიან?
– ნუ იდარდებთ, ჩემოდანშიც
ლოლუები მიწყვია.

(ავტორი: თ. თოფურია)

### 14.6.2. ლექსი: „ზამთარი“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 83)

ჰა, რამდენი ფიფქია,
დაუთვლელი, ულევი,
თოვლში სწრაფად მიქრიან
ჩვენი თხილამურები.
გავქანდით და გავკარით,
გავასწარით მურიას,
რა კარგია ზამთარი,
მართლაც საამურია!

(ავტორი: თ. ჭილაძე)

**14.6.3. ლექსი: „რა ახარებთ პინგვინებს“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 84)**

არსად ია არ ჩანს მაცნედ
და არც მოლი ბიბინებს.
თოვლის ქალებს, თოვლის კაცებს
რა ახარებთ პინგვინებს?
ცხრათვალა მზე იღიმება,
ნიავქარი ღიღინებს.
გაზაფხული პინგვინებმა
მიულოცეს პინგვინებს.
ყინულეთის მოედანზე
ისრიალეს, ირბინეს.
ვის წაართვეს ოქროს თასი
პინგვინებმა? პინგვინებს!
მერე როცა ლხინის შემდეგ
შუშხუნებმა იგრგვინეს,
საცეკვაოდ ვის იწვევდნენ
პინგვინები? პინგვინებს!
ერთად უყვართ ცურვა, ცეკვა,
სიხარულიც ერთი აქვთ.
მათ ჰგონიათ, რომ ამ ქვეყნად
მხოლოდ პინგვინეთია.

(ავტორი: გ. ჭიჭინაძე)

**14.6.4. სიმღერა „გარეთ თოვდა, თოვდა, თოვდა“** ნუკრი კაპანაძის შესრულებით.

## 14.7. მუსიკა/მანდალა/თავისუფალი ხატვა, მულტფილმი/ზღაპარი

**მიზანი:** ფონემატური სმენის განვითარება.
**ლექსიკა:** პასიური ლექსიკა.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მულტფილმები, მშვიდი მელოდიები, ქართული სიმღერები ან აუდიოზღაპრები, ზღაპრების წიგნი, მანდალები.
**დრო:** 20 წთ.

**14.7.1.** თავისუფალი ხატვა, რომლის დროს აღმზრდელი ავარჯიშებს აღსაზრდელებს ფერებისა და ფორმების გამოყენებაზე ბუნებრივ კონტექსტში ან ნაცნობი საგნების დასახელებაზე.

**14.7.2.** აღმზრდელი აჩვენებს აღსაზრდელებს რომელიმე მულტფილმს. ბავშვები, სურვილისამებრ, აყვებიან უკვე ნაცნობ სიმღერას; ასევე, შეუძლიათ დაასახელონ ნაცნობი ცხოველები/პერსონაჟები.

**შენიშვნა:** აღმზრდელს შეუძლია ესა თუ ის მულტფილმი განმეორებით აჩვენოს რამდენიმე დღის განმავლობაში.

**14.7.3.** მანდალას გაფერადება მუსიკის თანხლებით.

**14.7.4.** რომელიმე წიგნის/ილუსტრირებული ზღაპრის დათვალიერება აღმზრდელთან ერთად და პერსონაჟების ამოცნობა. აღმზრდელს შეუძლია მოუყვეს ბავშვებს ზღაპრის სიუჟეტი მაქსიმალურად გამარტივებულად.

## 14.8. ხელგარჯილობა

**მიზანი:** ა. ფანტაზიის, მოტორიკის, კონცენტრაციის უნარის განვითარება.
ბ. ახალი მასალის გავარჯიშება-გამოყენება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული: ამოსაჭრელი კვადრატები და დასაწებებელი ბარათები; მაკრატელი, წებო, მუყაო.
**დრო:** 30 წთ.

**14.8.1.** ა და ბ. „ორობანას“ ბარათების დამზადება: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი (იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 14.8.1. ა და ბ).

**14.8.2.** ა, ბ და გ. აღსაზრდელების მიერ აღმზრდელის დახმარებით თვითნაკეთი ლოტოს ბარათების დამზადება. კერძოდ, ამოსაჭრელი კვადრატების და დასაწებებელი ბარათების დამზადება შემდეგი გამოსახულებებით (ამჯერად ლოტოში ახალი სიტყვებიც შემოდის):

**ა.** ყინულის ქვეყანა – ანტარქტიდა, თოვლი, თობლის ბაბუა, პინგვინი, ლოლუა.

**ბ.** ყვავილი, (ალუბლის) ხე, ბუჩქი, ბალახი, პეპელა.

**გ.** წყარო, მდინარე, ტბა, ზღვა, ოკეანე.

(იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 14.8.2. ა, ბ და გ).

**14.8.3.** ფაზლების დამზადება (დამატებითი ილუსტრაცია 14.4.).

**14.8.4.** თავისუფალი ხატვა გუაშის საღებავების ფერების გამოყენებით: თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, მწვანე, ყავისფერი, ნაცრისფერი, ჭრელი და ა. შ. წელიწადის დროების კონტექსტში.

**14.8.5.** აპლიკაციების დამზადება ფერადი ფურცლებისგან (გამოჭრა და გაფერადება):

**ა.** პირველ დღეს აღსაზრდელები გამოჭრიან ყვავილებს, ფოთლებს, ხეებს, ბალახს, პეპლებს, თოვლის ბაბუას, ლოლუებს, თოვლს დაამზადებენ ბამბისაგან და ა.შ. (მზადება საბოლოო პროექტისთვის წელიწადის დროებზე).

**ბ.** მეორე დღეს ეს ფიგურები მოიხატება გუაშის საღებავებით.

**14.8.6.** ბოთლის პინგვინები. პლასტმასის პატარა ბოთლებს ბავშვები შემოახვევენ და დააწებებენ შავი ქაღალდის ტანსა და ფრთებს, ასევე ნისკარტსა და თავს, დარჩენილ ადგილებს შეღებავენ გუაშის საღებავით.

### 14.9. შემაჯამებელი პროექტი

აპლიკაცია „წელიწადის დროები“.

აღსაზრდელები 14.8.5. აქტივობის დროს დამზადებული ფიგურებით აკეთებენ აპლიკაციებს წელიწადის დროების თემაზე; გარდა ამისა, თაბახის ფურცლებზე წინასწარ დახატავენ ხის ტოტებს და გააფორმებენ აპლიკაციებით.

გაზაფხული – თეთრი და ვარდისფერი დაჭმუჭნული ქაღალდის ნაკუწები.

ზაფხული – მწვანე ფერის დაჭმუჭნული ფურცლები ან გამოჭრილი ფოთლები.

შემოდგომა – შეგროვებული და გამხმარი წითელ-ყვითელი ფოთლები ან ფერადი ფურცლისგან გამოჭრილი ფოთლები.

ზამთარი – ბამბის ქულები და პატარა გამოჭრილი ფიფქები.

## თემა 15 მთაწმინდის პარკში

**(კვირა 29/30)**

### 15.1. შესავალი: მოწესრიგება და სიმღერა

**მიზანი:** მოწესრიგება და მომზადება დღის აქტივობებისათვის.

**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“, „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და მისთ.), ლექსების ტექსტები თანდართული აუდიოდისკიდან (მაგ. „დამიკარი თავი“).

**დრო:** 20 წთ.

### 15.2. ძირითადი თემა

**მიზანი:** ძველი ლექსიკის აქტივაცია და ახლის დამატება.

**ახალი ლექსიკური ერთეულები:** ეშმაკის ბორბალია, უცხოპლანეტელები, ბატიბუტი, ბამბის ნაყინი, ლიმონათი, შოკოლადი, ბოთლი, რა ღირს, ყველას გვინდა, ახლავე, ავიდეთ, ფული, აიღეთ, მომეცით; მატარებელი, მოედანი/მოედანზე, კარუსელი, საქანელები, სად ჩერდება? მოვიდა; გეომეტრიული ფიგურები: სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე.

**რესურსი:** ილუსტრაციები, თანდართული აუდიოდისკი.

**დრო:** 20 წთ.

**15.2.1.** ნაცნობი ლექსიკის და პერსონაჟების ამოცნობა და გამეორება.

**15.2.2.** ახალი ლექსიკის ათვისება, ნაცნობი ლექსიკის გახსენება.

აღმზრდელი ილუსტრაციების გამოყენებით აცნობს აღსაზრდელებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს. თემის ლექსიკაზე მუშაობა ხდება იმავე პრინციპით, როგორც აღწერილია აქტივობაში 2.2.2., 3.2.1., 3.2.3., 4.2.2.

**15.2.3.** ახალი ფრაზები.

ახალი ფრაზების ათვისება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ეს აღწერილია აქტივობაში 3.2.3. ამ მასალასაც აღმზრდელი საშუალოდ ორი კვირაზე ანაწილებს. ქვეაქტივობების თანმიმდევრობას და სიხშირეს აღმზრდელი თავისი შეხედულებისამებრ ადგენს ჯგუფის ათვისების უნარის გათვალისწინებით.

**15.2.4.** მინი-სცენები.

მინი-სცენების გათამაშება ილუსტრაციების და თანდართული აუდიოდისკის მიხედვით.

შესაძლებელია ვარიაციები საკუთარი ფანტაზიის და ცოდნის გამოყენებით.

## ილუსტრაცია 15.1.

**წარწერა:** მთაწმინდის პარკი.

**აღწერა:** მფრინავი თეფში დგას „მთაწმინდის პარკში“. უცხო ბავშვები შემოხვეულები არიან ირგვლივ და გაოცებული სახეებით უყურებენ ჩვენს გმირებს. იქვე ჩანს „ეშმაკის ბორბალი“.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 43):**

ბავშვები: მფრინავი თეფში! უცხოპლანეტელები ჩამოვიდნენ მფრინავი თეფშით! შენ რა გქვია? (ეკითხებიან წიკოს).
წიკო: წიკო. შენ რა გქვია?
ბავშვი: ლელა.
სხვა ბავშვი: შენ ვინ ხარ? (ეკითხება პოპოს).
პოპოს: მე – პოპო. ეს კიკოა, ჩემი მეგობარი. ეს კიდევ – ნენე და დუდუ.
ბავშვი: თქვენ და-ძმა ხართ? (ეკითხებიან ნენეს და დუდუს).
ნენე: კი, დუდუ ჩემი ძმაა.
პოპო: ეს რა არის? ესეც მფრინავი თეფშია?
ბავშვი: არა, ეს „ეშმაკის ბორბალია“. გინდათ, ავიდეთ?
ყველანი: კი, მოდით, „ეშმაკის ბორბალზე“ ავიდეთ!

## ილუსტრაცია 15.2.

**წარწერები:** ბატიბუტი, ბამბის ნაყინი.
**აღწერა:** ნენე, დუდუ, წიკო, პოპო, კიკო და რამდენიმე სხვა ბავშვი „ეშმაკის ბორ-ბლიდან“ ჩამოვიდნენ და ტკბილეულობის დახლთან მიდიან. დახლის უკან დგას გამყიდველი ქალი.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 44):**

ლელა: ბატიბუტი ვის უნდა?
პოპო: მე მინდა!
სხვა ბავშვი: მე ბამბის ნაყინი მინდა!
ნენე: მეც მინდა ბამბის ნაყინი!
დუდუ: გამარჯობა, ბამბის ნაყინი რა ღირს?
გამყიდველი: გამარჯობა, ბამბის ნაყინი ერთი ლარი ღირს.
დუდუ: აი, აიღეთ ხუთი ლარი და ხუთი ბამბის ნაყინი მომეცით.
გამყიდველი: აიღეთ, ბავშვებო.
პოპო: ბატიბუტიც გვინდა! ათი ჭიქა ბატიბუტი!
გამყიდველი: აი, ბატიბუტიც, გამომართვით.
წიკო: მე ლიმონათი მინდა. ლიმონათი და შოკოლადი ვის უნდა?
ყველა: ყველას გვინდა!
წიკო: თუ შეიძლება, ათი ბოთლი ლიმონათი და ბევრი შოკოლადი მოგვეცით. აი, ფული აიღეთ.
გამყიდველი: ახლავე, ახლავე.
წიკო: გმადლობთ! უჰ, რამდენიაااა!

## ილუსტრაცია 15.3.

**წარწერა:** მატარებელი, მხიარული კარუსელი.
**აღწერა:** „მთაწმინდის პარკის“ მოედანი. მატარებელი იქვეა გაჩერებული და წიკო ეძახის ჟესტებით ბავშვებს, რომ ავიდნენ მატარებელში. კიკო უკვე ზის კარუსე-ლის ცხენზე, ხოლო პოპო მიდის კარუსელისკენ.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 45):**

კიკო: ახლა რა გავაკეთოთ?
დუდუ: ნახეთ, ნახეთ, მატარებელი! მოდი, ავიდეთ!
ნენე: სად ჩერდება ეს მატარებელი?
სხვა ბავშვი: აგერ, მოედანზე. აი, მოვიდა!
წიკო: წამოდით, ავიდეთ!
კიკო: მე არ მინდა მატარებელი. საქანელებზე მინდა!
პოპო: მეც. მოდი, კარუსელებზე ავიდეთ!
კიკო: მხიარული კარუსელი! მხიარული კარუსელი!

## 15.3. ლოგიკური დავალებები

**მიზანი:** ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება, თემის ახალი ლექსიკის ათვისება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, ფანქრები.
**დრო:** 20 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება. ზოგიერთი აქტივობის შესრულებისას აღმზრდელი ასწავლის ბავშვებს გეომეტრიულ ფიგურებს და მათ დასახელებებს: სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე.

**15.3.1.** „ორობანას“ თამაში ძველი და ახალი ბარათებით (ახალი ბარათები მზადდება აქტივობის 15.8.1. დროს).

**15.3.2.** ლოტოს თამაში ძველი და ახალი ბარათებით (ახალი ბარათები მზადდება აქტივობის 15.8.2. დროს).

**15.3.3.** ფაზლის აწყობა ძველი და ახალი ბარათებით (ახალი ბარათები მზადდება აქტივობის 15.8.3. დროს).

**15.3.4.** მატარებელი: დაასრულე მატარებლის ვაგონების ხატვა, მიუხატე ელმავალს ვაგონები (იხ. სამუშაო რვეული, აქტივობა 15.3.4.; აღმზრდელი ყურადღებას აქცევს ენობრივ მასალას და ასწავლის ბავშვებს გეომეტრიულ ფორმებს და მათს დასახელებებს: სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე).

**15.3.5.** დაუკავშირე ერთმანეთს:
კიკო, პოპო – მხიარული კარუსელი;
წიკო, ნენე, დუდუ – მატარებელი (იხ. სამუშაო რვეული, აქტივობა 15.3.5.).

**15.3.6.** ლაბირინთი: მიიყვანე ბავშვები ეშმაკის ბორბალთან (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული).

**15.3.7.** გამოჭრილი გეომეტრიული ფორმებისგან (წრეები და კონუსი) ნაყინის აწყობა (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 15.3.7., ენობრივი მასალა – გეომეტრიული ფორმები).

**15.3.8.** მიუხატე მეორე ნახევარი „ეშმაკის ბორბალს“ (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 15.3.8.).

## 15.4. მუშაობა მცირე ჯგუფებში

**მიზანი:** ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების გაგება და გამოყენება თამაშის სიტუაციაში.

**რესურსი:** მოზაიკა, „ორობანას“ ბარათები, ბავშვის სამუშაო რვეული.
**დრო:** 30 წთ.

**15.4.1.** დრამატული წრე.

თემის ლექსიკის გასააქტიურებლად შესაძლებელია გავათამაშებინოთ ილუსტრაციებზე მოცემული სიუჟეტი.

აღმზრდელი ბავშვებთან ერთად ან წინასწარ მოაწყობს დრამატულ ცენტრში მაღაზიის ან სანაყინის დახლს. შეიტანს ხელოვნების კუთხეში დამზადებულ ატრიბუტებს: ფულს, ნაყინს, ბამბის ნაყინს და სხვა მასალას. წაახალისებს ბავშვებს, გაითამაშონ ყიდვის სცენები.

აღმზრდელი მცირე ჯგუფებად გაათამაშებინებს აღსაზრდელებს სცენებს და რიგრიგობით ეხმარება მათ. ბავშვები თვითონ ირჩევენ, რომელ პერსონაჟს განასახიერებენ.

**15.4.2.** სამაგიდო თამაშების წრე:

**ა.** მოზაიკით „ეშმაკის ბორბლის“ აწყობა.

**ბ.** „ორობანას“ თამაში.

**გ.** ლოტოს თამაში.

**დ.** ფაზლის აწყობა საკუთარი არჩევანით.

15.4.3. ხელოვნების წრე:

**ა.** ხატვა: საქანელების დახატვა ან თავისუფალი ხატვა.

**ბ.** აპლიკაცია: მატარებლის დამზადება. აღმზრდელი ფერად ფურცლებზე წინასწარ დაახატინებს ბავშვებს მატარებლის ვაგონებს, ბორბლებს, ფანჯრებს და სხვა სასურველ დეტალებს. ბავშვები გამოჭრიან საკუთარ ნახატებს, ააწყობენ და დააწებებენ ფურცლებზე მატარებლებს (პარალელურად სასურველია ყურადღების გამახვილება გეომეტრიულ ფორმებზე).

**გ.** მუყაოსგან და ბამბისგან „ბამბის ნაყინის“ დამზადება (პარალელურად სასურველია ყურადღების გამახვილება გეომეტრიულ ფორმებზე).

აღმზრდელი აუხსნის ბავშებს, როგორ დაახვიონ და დააწებონ თაბახის ფურცლები ისე, რომ წვრილი ჯოხები გამოვიდეს, მატყლი ან ბამბა შემოახვიონ და მიამაგრონ წებო-ემულსიის ან „სკოჩის“ დახმარებით. (აღმზრდელები განსაკუთრებით ყურადღებით უნდა იყვნენ, რომ ბამბა ან მატყლი ბავშვებმა პირში არ ჩაიდონ/არ მოხვდეს სასუნთქ გზებში).

**დ.** ნაყინის დამზადება. აღმზრდელები და ბავშვები მარილიან ცომს შეაფერადებენ საკვები საღებავით და კარგად შეაზელენ. მოათავსებენ პატარა ჯამებში ან პლასტმასის ერთჯერად კონტეინერებში. მუყაოსგან დაამზადებენ კონუსებს, შეიძლება შეკრან წებოს ან სტეპლერის დახმარებით. მარილიანი ცომის მასას ბავშვები კოვზით გაანაწილებენ კონუსებში.

**ე.** „სალარო აპარატის“ დამზადება. მუყაოს პატარა ყუთს აღმზრდელები და ბავშვები შეღებავენ რომელიმე ფერით და გაუკეთებენ ციფრების ღილაკების აპლიკაციას. ყუთს ასევე შეიძლება გაუკეთდეს გამოსაღები უჯრა და პატარა ყუთი, რომელსაც გამოიყენებენ „ფულის“ ჩასადებად.

**ვ.** „ფულის“ დამზადება. აღმზრდელი რაიმე მრგვალი ფორმის ნივთის გამოყენებით (მაგ., პლასტმასის ბოთლის თავსახური) შემოახაზინებს ბავშვებს წრეებს სქელ მუყაოზე, ბავშვები ამოჭრიან და დააწერენ ციფრებს 1, 2, 5, 10 აღმზრდელის დახმარებით, გააფერადებენ ან გააკეთებენ ფერადი ქაღალდით აპლიკაციას. ქაღალდის ფულის დასამზადებლად შეიძლება გამოიყენონ ძველი გაზეთებიდან ან ჟურნალებიდან ამოჭრილი მართკუთხედები, რომლებზეც ასევე აღმზრდელის დახმარებით დააწერენ შესაბამის ციფრებს.

**15.4.4.** კუბურების წრე.

მატარებლის, საქანელების და სხვ. აშენება.

კუბურების მეშვეობით ბავშვები ააწყობენ გასართობ პარკს ან მაღაზიას, პატარა ფიგურებით გაითამაშებენ სცენებს.

## 15.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** ფიზიკური განტვირთვა და ზოგიერთი ნაცნობი თუ ახალი ლექსკური ერთეულის გამოყენება.
**რესურსი:** სკამი, ბურთი, ძაფი, ქაღალდი.
**დრო:** 30 წთ.

**15.5.1.** მატარებლობანას თამაში.

ოთახში აღმზრდელი გაჭიმავს ძაფს და წვრილად დაჭრილ ქაღალდებს დადებს ლიანდაგის ფორმით. ბავშვებმა უნდა იარონ ლიანდაგებზე, ვისაც ფეხი გადაუცდება ლიანდაგიდან, გავარდება თამაშიდან.

**15.5.2.** კარუსელი – თამაში სკამებით.

სკამები იდგმება წრეში. სკამების რაოდენობა ერთით ნაკლებია ბავშვების რაოდენობაზე, რომლებიც სკამების ირგვლივ წრეში დარბიან. აღმზრდელის შეძახილზე ყველამ უნდა მოასწროს სკამზე დაჯდომა. ვინც ვერ მოასწრებს, გავარდება თამაშიდან.

**15.5.3.** ბავშვები დგებიან წრეზე და მუსიკის ხმაზე აკეთებენ კარუსელის ცხენებზე ჯირითის იმიტაციას, თან მოძრაობენ წრეზე. აღმზრდელის ტაშის მიხედვით ხან აჩქარებენ, ხან ანელებენ სვლას ტემპში.

**15.5.4.** ბავშვები დგებიან ერთმანეთის უკან რიგში, მატარებელივით, ორი ბავშვი დგება ერთმანეთზე მიდებული და აწეული ხელებით და ქმნის „გვირაბს“. მატარებელი დადის ოთახში და პერიოდულად გაივლის „გვირაბში“. მასში გავლისას გვირაბი დაიჭერს რომელიმე ორ ბავშვს რიგრიგობით და დაჭერილი ბავშვები აგრძელებენ გვირაბის სიგრძეს. თამაში გრძელდება მანამდე, სანამ ყველა არ გაივლის გვირაბში.

## 15.6. ლექსი, სიმღერა, ენის გასატეხი

**მიზანი:** ვარჯიში წარმოთქმაზე, ქართული ბგერების წარმოთქმის დახვეწა, აქცენტი კეთდება ბგერებზე; ნაცნობი ლექსიკის ცნობა/განმტკიცება.
**რესურსი:** აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო. ვაშლი/სხვა ხილი ან ბურთი/სხვა სათამაშო, ზოგ შემთხვევაში თანდართული აუდიოდისკი.
**დრო:** 20 წთ.

(აქტივობის მსვლელობის აღწერილობა იხ. აქტივობაში 0.9. და 10.6.). მოცემული ტექსტებიდან საკმარისია ერთი რომელიმეს შერჩევა ან თუნდაც ერთი ნაწყვეტით „თამაში“).

**15.6.1. ლექსი: „ბატიბუტი“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 85)**

გზაზე მიდის თეთრი ბატი,
უკეთია თეთრი ბანტი.
ბატიბუტი დააქვს ყუთით,
შეისვენა ერთი წუთით.
ეუბნება ფისოს კნუტი
– დე, მიყიდე ბატიბუტი!
გადმოკვეთა ბატმა ქუჩა,
ფისოს მისცა ორი მუჭა.
– ბატო, ბატო, თეთრო ბატო,
ცოტაც უნდა დაგვიმატო.
არ ჩაყარო, ოღონდ, კუტი,
აღარ შეჭამს ჩემი კნუტი!

(ავტორი: ვ. გულეური)

**15.6.2. სიმღერა: „მატარებელო“ .**

**15.6.3. სიმღერა: „მხიარული კარუსელი“.**

## 15.7 მუსიკა/მანდალა/თავისუფალი ხატვა, მულტფილმი/ზღაპარი

**მიზანი:** ფონემატური სმენის განვითარება.
**ლექსიკა:** პასიური ლექსიკა.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მულტფილმები, მშვიდი მელოდიები, ქართული სიმღერები ან აუდიოზღაპრები, ზღაპრების წიგნი, მანდალები.
**დრო:** 20 წთ.

**15.7.1.** თავისუფალი ხატვა, რომლის დროს აღმზრდელი ავარჯიშებს აღსაზრდელებს ფერებისა და ფორმების გამოყენებაზე, ასევე ნაცნობი საგნების დასახელებაზე.

**15.7.2.** აღმზრდელი აჩვენებს აღსაზრდელებს რომელიმე მულტფილმს. აღსაზრდელები, სურვილისამებრ, აყვებიან უკვე ნაცნობ სიმღერას; ასევე, შეუძლიათ დაასახელონ ნაცნობი ცხოველები.

**15.7.3**. მანდალას გაფერადება მუსიკის თანხლებით.

**15.7.4.** რომელიმე წიგნის/ილუსტრირებული ზღაპრის დათვალიერება აღმზრდელთან ერთად და პერსონაჟების ამოცნობა. აღმზრდელს შეუძლია მოუყვეს ბავშვებს ზღაპრის სიუჟეტი მაქსიმალურად გამარტივებულად.

## 15.8. ხელგარჯილობა

**მიზანი:** ა. ფანტაზიის, მოტორიკის, კონცენტრაციის უნარის განვითარება.
ბ. ახალი მასალის გავარჯიშება-გამოყენება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული: ამოსაჭრელი კვადრატები და დასაწებებელი ბარათები; მაკრატელი, წებო, მუყაო.
**დრო:** 30 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**15.8.1.** ა და ბ „ორობანას“ ბარათების დამზადება: ბატიბუტი, შოკოლადი, ლიმონათი, ბამბის ნაყინი, ნაყინი. (იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 15.8.1.).

**15.8.2.** ა და ბ აღსაზრდელების მიერ აღმზრდელის დახმარებით თვითნაკეთი ლოტოს ბარათების დამზადება. კერძოდ, ამოსაჭრელი კვადრატების და დასაწებებელი ბარათების დამზადება შემდეგი გამოსახულებებით: ბატიბუტი, შოკოლადი, ლიმონათი, ბამბის ნაყინი, ნაყინი (იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 15.8.2.).

**15.8.3.** ფაზლების დამზადება („ეშმაკის ბორბალი“, მატარებელი, კარუსელი).

**შენიშვნა:** საკმარისია, თითოეულმა ბავშვმა მხოლოდ ერთი ფაზლი დაამზადოს (იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 15.8.3.).

**15.8.4.** საყვარელი ტკბილეულის დახატვა.

**15.8.5.** მუყაოსგან სამგანზომილებიანი საქანელების, პატარა მატარებლის, ყვავილების, პეპლების და ა.შ. მომზადება შემაჯამებელი პროექტისთვის.

### 15.9. შემაჯამებელი პროექტი

„მთაწმინდის პარკი“: აღსაზრდელები ამზადებენ „მთაწმინდის პარკის“ აპლიკაციას და აღწერენ, სად რა არის, როგორია და ა.შ.

## თემა 16 ექიმთან – „წიკოს მუცელი სტკივა“

**(კვირა 31/32)**

### 16.1. შესავალი: მოწესრიგება და სიმღერა

**მიზანი:** მოწესრიგება და მომზადება დღის აქტივობებისათვის.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული სიმღერები (მაგ., „თუ-თუ-თუ“, „გზაზე მიდის კურდღელი“, „აჩუ-აჩუ, ცხენო“, „ჩვენი ფერმა“, სიმღერა „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ დუეტ „ჯორჯიას“ შესრულებით და მისთ.), ლექსების ტექსტები თანდართული აუდიოდისკიდან (მაგ. „დამიკარი თავი“).
**დრო:** 20 წთ.

### 16.2. ძირითადი თემა

**მიზანი:** ძველი ლექსიკის აქტივაცია და ახლის დამატება.
**ახალი ლექსიკა:** მტკივა. რატომ? მუცელი; იმდენი, ჭამა; ექიმი, სამედიცინო, წამალი, წამოდი! არაფერი, უამრავი, რატომ არ მღერი? მოწყენილი რატომ ხარ? რა მოგივიდა? რამე ხომ არ გტკივა? კარგი რა; დამანებე თავი, რა! აბა, რა იქნება! რა ვქნათ? ექიმთან უნდა წახვიდეთ! აქ უნდა ჩახვიდეთ! ექიმი მოგარჩენს. ექიმის მეშინია! ნუ გეშინია! მართალია! დაუჯერე მეგობრებს! ექიმი მოგარჩენს, მუცელი აღარ გეტკინება! რა მოხდა? წავედით სახლში! დაწექი, გაგსინჯავ! არ გეტკინება! მართლა? დალიე! გასინჯე! (კიდევ) შეიძლება?
(არ არის აუცილებელი ყველა ფრაზის აქტიურ ლექსიკურ მარაგად სწავლა, აღმზრდელი მოქმედებს ჯგუფის სიძლიერის მიხედვით)
**რესურსი:** ილუსტრაციები, თანდართული აუდიოდისკი.
**დრო:** 20 წთ.

**16.2.1.** ნაცნობი ლექსიკის და პერსონაჟების ამოცნობა და გამეორება.

**16.2.2.** ახალი ლექსიკის ათვისება, ნაცნობი ლექსიკის გახსენება.

აღმზრდელი ილუსტრაციების გამოყენებით აცნობს აღსაზრდელებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს, თემის ლექსიკაზე მუშაობა ხდება ისევე, როგორც აღწერილია აქტივობაში 2.2.2., 3.2.1., 3.2.3., 4.2.2.

**16.2.3.** ახალი ფრაზები. ახალი ფრაზების ათვისება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ეს არის აღწერილი აქტივობაში 3.2.3. ამ მასალასაც აღმზრდელი ანაწილებს საშუალოდ ორი კვირის მანძილზე. ქვეაქტივობების თანმიმდევრობას და სიხშირეს აღმზრდელი თავისი შეხედულებისამებრ ადგენს ჯგუფის ათვისების უნარის გათვალისწინებით.

**16.2.4.** მინი-სცენების გათამაშება ილუსტრაციების და თანდართული აუდიოდისკის მიხედვით.

შესაძლებელია ვარიაციები: მაგ.: ყელი მტკივა, თავი მტკივა; იმდენი ნაყინი და ბატიბუტი ჭამა და ა.შ.

მინი-სცენა მტკივა/არ მტკივა.

აღმზრდელი ანაწილებს როლებს აღსაზრდელებს შორის: ურიგებს მათ ბარათებს სხეულის სხვადასხვა ნაწილების გამოსახულებით. წყვილმა უნდა იპოვოს ერთმანეთი: მაგ., ვისაც ხელის გამოსახულება აქვს, პოულობს მეორე მოთამაშეს ამავე ბარათით. შემდეგ ერთმა უნდა მოაჩვენოს თავი მეორეს, ვითომ ხელი სტკივა. მეორე თამაშობს ექიმის როლს, რომელიც ვითომ მოურჩენს ხელს ან მისცემს წამალს და ეუბნება: დალიე წამალი და ხელი აღარ გეტკინება. პირველი მოთამაშე იღიმის და ამბობს: აღარ მტკივა ხელი! და ა.შ.

## ილუსტრაცია 16.1.

**წარწერა:** ლიმონათი, შოკოლადი.

**აღწერა:** ნენე, დუდუ, წიკო და სხვა ბავშვები მატარებელში სხედან. ნაწილი მხიარულ სიმღერას მღერის. წიკო არ მღერის, მოწყენილია, მიყუჟულა კუთხეში და მუცელზე უკიდია ხელები. ნენე, დუდუ და ორი სხვა ბავშვი შეამჩნევენ მის მოწყენილობას და ეკითხებიან, რა სჭირს. წიკო ბუზღუნებს, რადგან მუცელი სტკივა. იქვე, გვერდით კუთხეში, ერთი შუახნის კაცი ჩანს, რომელიც შვილთან ერთად მატარებლით სეირნობს.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 46):**

ჩემო პატარა გუგულო,
პატარა მატარებელო,
მთელი ბორჯომის ხეობის გულის გამხარებელო (2–ჯერ).
....
ნენე: წიკო, შენ რატომ არ მღერი?
ერთ-ერთი ბავშვი: წიკო, მოწყენილი რატომ ხარ?
ერთ-ერთი ბავშვი: წიკო, რა მოგივიდა?
დუდუ: წიკო, რამე ხომ არ გტკივა?
წიკო: მუცელი მტკივა.
ერთ-ერთი ბავშვი: რატომ?
ნენე: იმდენი შოკოლადი ჭამა და მერე კიდევ იმდენი ლიმონათი დააყოლა, აბა რა იქნება!
წიკო: კარგი ნენე, რა! დამანებე თავი, რა! ძალიან მტკივა მუცელი!
ნენე: კარგი, კარგი, რა ვქნათ?

## ილუსტრაცია 16.2.

**წარწერა:** ექიმი

**აღწერა:** მატარებლიდან ჩასვლის სცენა. წიკო უკან იქაჩება, არ უნდა ჩასვლა. დანარჩენები არწმუნებენ, რომ ექიმი კარგია. იქვე, გარეთ ჩანს შენობა ექიმის კაბინეტით და თეთრხალათიანი ექიმით.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 47):**

უცნობი კაცი: ექიმთან უნდა წახვიდეთ! აი, ეგერ არის სამედიცინო პუნქტი. აქ უნდა ჩახვიდეთ.
ნენე: უი, რა კარგია, ექიმი ახლავე მოგარჩენს!
წიკო: არ მინდა ექიმი! ექიმის მეშინია!
დუდუ: ექიმი კარგია! წამალს დაგალევინებს და მუცელი აღარ გეტკინება.
ნენე: ნუ გეშინია, წიკო. წამოდი, ჩვენც შენთან ერთად მოვდივართ.
უცნობი კაცი: მართალია, მართალია. დაუჯერე მეგობრებს, ექიმი მოგარჩენს და მუცელი აღარ გეტკინება.

## ილუსტრაცია 16.3.

**წარწერა:** წამალი.

**აღწერა:** წიკო და მისი მეგობრები ექიმის ოთახში არიან. ექიმი აწვდის წიკოს წამალს, წიკო კი იჭყანება. დანარჩენები სხედან და უყურებენ.

**მოსასმენი (აუდიოდისკი, ჩანაწერი 48):**

პოპო: ვაიმე, წიკო რა მოგივიდა?
კიკო: რა მოხდა?
ექიმი: გამარჯობა! აბა, მითხარით, რა მოხდა?
წიკო: არაფერი, არაფერი! წავედით სახლში.
ნენე: როგორ არაფერი! მუცელი სტკივა: ბევრი ლიმონათი დალია და უამრავი შოკოლადი ჭამა კიდევ.
ექიმი: ჰოო, არ ყოფილა საქმე კარგად. რა გქვია, მითხარი?
წიკო: (ჯუჯღუნით) წიკო!
ექიმი: წიკო, აბა დაწექი, გაგსინჯავ. ნუ გეშინია, არ გეტკინება!
წიკო: მართლა?
ექიმი: კი, მართლა, წიკო.
წიკო: კარგი! (ჯუჯღუნით)
ექიმი: ყველაფერი გასაგებია. აი, ეს წამალი დალიე ახლა.
წიკო: არ მინდა წამალი!
ექიმი: კარგი, ნუ იჭყანები. ეს წამალი არ არის მწარე, პირიქით, ტკბლია. აი, შენ თვითონ გასინჯე – მოგეწონება.
წიკო: ვაა, რა გემრიელია! კიდევ შეიძლება?
ნენე: ჰმ, ჩვენი ღორმუცელა წიკო!

## 16.3. ლოგიკური დავალებები

**მიზანი:** ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარებს, თემის ახალი ლექსიკის ათვისება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული, ფანქრები,
**დრო:** 20 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**16.3.1.** „ორობანას“ თამაში ძველი და ახალი ბარათებით (ახალი ბარათები მზადდება აქტივობის 16.8.1. დროს).

**16.3.2.** ლოტოს თამაში ძველი და ახალი ბარათებით (ახალი ბარათები მზადდება აქტივობის 16.8.2. დროს).

**16.3.3.** ფაზლის აწყობა ძველი და ახალი ბარათებით (ახალი ბარათები მზადდება აქტივობის 16.8.3. დროს).

**16.3.4.** რომელია ზედმეტი. აღსაზრდელებმა უნდა დაასახელონ ყველა გამოსახულება (ექიმი, წამალი, სამედიცინო პუნქტი) და გადახაზონ ზედმეტი (ლიმონათი), დანარჩენი კი შეუძლიათ გააფერადონ (იხ. სამუშაო რვეული, აქტივობა 16.3.4.).

**16.3.5.** „დაუკავშირე ერთმანეთს“.
წიკოს მხიარული სახე – ლიმონათი/შოკოლადი;
წიკოს მოწყენილი სახე – წამალი (იხ. სამუშაო რვეული, აქტივობა 16.3.5.).

**16.3.6.** გამოჭრილი გეომეტრიული ფორმებისაგან მატარებლის აწყობა (იხ. ბავშვის სამუშაო რვეული, აქტივობა 16.3.6., ენობრივი მასალა – გეომეტრიული ფორმების გამეორება).

**16.3.7.** ლაბირინთი: მიიყვანე წიკო ექიმთან (იხ. სამუშაო რვეული, აქტივობა 16.3.7.).

## 16.4. მუშაობა მცირე ჯგუფებში

**მიზანი:** ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების გამოყენების გაგება და გამოყენება თამაშის სიტუაციაში.
**რესურსი:** მოზაიკა, „ორობანას“ ბარათები, ბავშვის სამუშაო რვეული.
**დრო:** 30 წთ.

**16.4.1.** დრამატული წრე.
თემის ლექსიკის გასააქტიურებლად შესაძლებელია ბავშვებს გავათამაშებინოთ ილუსტრაციებზე მოცემული სიუჟეტი. აღმზრდელი დრამატულ კუთხეს ბავშვებთან ერთად მოაწყობს ექიმის

მისალებივით. შეიტანს საჭირო ატრიბუტებს და ხელოვნების კუთხეში დამზადებულ შესაბამის მასალას; ის წაახალისებს ბავშვებს, „ექიმთან“ „მიიყვანონ“ თოჯინები და მიიღონ შესაბამისი დახმარება, „ექიმებმა“ კი ვითომ-ვითომ გამოუწერონ წამლის რეცეპტები.

აღმზრდელი მცირე ჯგუფებად ათამაშებინებს აღსაზრდელებს სცენებს და რიგრიგობით ეხმარება მათ. ბავშვები თვითონ ირჩევენ, რომელ პერსონაჟს განასახიერებენ.

**16.4.2**. სამაგიდო თამაშების წრე:

**ა.** მოზაიკით მატარებლის აწყობა.

**ბ.** „ორობანას“ თამაში.

**გ.** ლოტოს თამაში.

**დ.** ფაზლის აწყობა საკუთარი არჩევანით.

**16.4.3.** ხელოვნების წრე:

**ა.** ხატვა: მატარებლის დახატვა ან თავისუფალი ხატვა.

**ბ.** ძერწვა: მატარებლის გამოძერწვა.

**გ.** აპლიკაცია: საქანელების გაკეთება.

**დ.** აპლიკაცია: ექიმი (შაბლონი).

**ე.** მუყაოსგან მატარებლის დამზადება (მანქანის მსგავსად).

**ვ.** საექიმო ჩანთა: ბავშვები გამოჭრიან ექიმის ჩანთის ორმაგ ფორმას ფორმატის ქაღალდისგან. შიგნიდან დაუწებებენ ჯიბეებს, ცალკე მუყაოსგან გამოჭრიან და დახატავენ თერმომეტრს, წამლის ბოთლებს და ფონენდოსკოპს. ჩააწყობენ ჩანთის ჯიბეებში, ბამბიან ჩხირებთან, პლასტირსა და ბამბასთან ერთად. ზემოდან დააწებებენ წითელ ჯვარს.

**ზ.** თეთრი ფურცლების გადაწებებით, ბავშვები დაამზადებენ ექიმის ქუდს. წინ დააწებებენ ან დაახატავენ წითელ ჯვარს.

**16.4.4.** კუბურების წრე. სამედიცინო პუნქტის, საქანელების და ა.შ. აშენება.

## 16.5. ფიზიკური აქტივობა

**მიზანი:** ფიზიკური განტვირთვა და ზოგიერთი ნაცნობი თუ ახალი ლექსკური ერთეულის გამოყენება.
**რესურსი:** სკამი.
**დრო:** 30 წთ.

**16.5.1.** მატარებლობანას თამაში.

აღსაზრდელები მცირე ჯგუფებად იყოფიან და „სამ-ოთხ ვაგონიან“ „მატარებლებად“ ერთმანეთის უკან დგებიან. აღმზრდელის შეძახილზე – „მწვანე“, „მატარებლე-

ბი“ იწყებენ მოძრაობას სხვადასხვა მიმართულებით. აღმზრდელის შეძახილზე – „წითელი“, „მატარებლები“ ჩერდებიან.

**16.5.2.** სთხოვეთ თამაშის მონაწილეებს, რომ ლაღად იმოძრაონ ოთახის გარშემო, თავისუფლად ამოძრაონ ხელები, თავი და კისერი. ცოტა ხნის შემდეგ აღმზრდელი წამოიძახებს სხეულის ნაწილის აღმნიშვნელ სიტყვას, მაგ.: თავი, ხელი, ფეხი. ჯგუფი უნდა გაშეშდეს ქანდაკებასავით და ხელი დაიდოს სხეულის შესაბამის ნაწილზე (თავი, ხელი, ფეხი). ეს სავარჯიშო გაიმეორეთ რამდენჯერმე. აღსაზრდელი, რომელსაც შეეშლება, გავარდება თამაშიდან.

ვარიაცია: აღმზრდელი დაძახებასთან ერთად თვითონაც იდებს ხელს სხეულის ნაწილზე, ჯერ სწორად, შემდეგ კი განზრახ შეცდომით.

**16.5.3.** ბავშვები დგანან წრეში. თავდაპირველად აღმზრდელი ასახელებს სხეულის ერთ-ერთ ნაწილს (მაგალითად, აღმზრდელი ამბობს: „თავი“), ხოლო მიუთითებს სხვა ნაწილზე (მიუთითებს „ფეხზე“). ბავშვებმა სწორად უნდა დაასახელონ სხეულის ის ნაწილი, რომელიც აღმზრდელმა მიუთითა. აღმზრდელის შემდეგ ბავშვები თანმიმდევრობით გააკეთებენ ამ აქტივობას. გამარჯვებულია ის ბავშვი, ვინც ყველაზე მეტ სწორ პასუხს გასცემს.

## 16.6. ლექსი, სიმღერა, ენის გასატეხი

**მიზანი:** ვარჯიში წარმოთქმაზე, ქართული ბგერების წარმოთქმის დახვეწა, აქცენტი კეთდება ბგერებზე; ნაცნობი ლექსიკის ცნობა/განმტკიცება.
**რესურსი:** აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო. ვაშლი/სხვა ხილი ან ბურთი/სხვა სათამაშო., ზოგ შემთხვევაში თანდართული აუდიოდისკი.
**დრო:** 20 წთ.

(აქტივობის მსვლელობის აღწერილობა იხ. აქტივობაში 0.9. და 10.6.). მოცემული ტექსტებიდან საკმარისია რომელიმეს შერჩევა ან თუნდაც ერთი ნაწყვეტით „თამაში“.

### 16.6.1. ლექსი: „საწყალი კურდღელი“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 86)

ეს საწყალი კურდღელი
ძლიერ ავად გაგვიხდა;
არც სტაფილო ეამა,
ჩამოდნა და გაგვიხდა.
მოვიწვიეთ ექიმად
არჩილი და ხათუნა:
ოფლი მოადინეთო,
– დაარიგეს დათუნა.
შუბლზე ტილო დავადეთ,
ამოვუგეთ საბანი,
კოვზით გადავაყლაპეთ
უებარი წამალი.

– ახლა მალე მორჩები,
არ გაინძრე საბანში,
გელოდებით, უშენოდ
სულ არ გვინდა თამაში.

(ავტორი: მ. მრევლიშვილი)

**16.6.4. ლექსი: „ექიმი“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 87)**

მოვიდა და გაგვსინჯა
ერთად მე და ბებია,
მერე უთხრა დედიკოს;
– ბავშვი გაგცივებიათ. –
მე კი სულ არ მციოდა,
თბილად მეცვა ზემოდან,
გიზგიზებდა ბუხარი
და ძალიან მცხელოდა.
ავად სულაც არა ვარ,
ან მცივანა როდი ვარ,
ძია ექიმს ეშლება –
მე ბებია ვგონივარ.

(ავტორი: ნ. დუმბაძე)

**16.6.5. ლექსი: „მანანა და ლალი“ (აუდიოდისკი, ჩანაწერი 88)**

მანანა – ლალი, ლალი, ჩემო ლალი!
ლალი – რაო, ჩემო მანანა?
მანანა – ეგ თოჯინა დედაშენმა ჩემთან გამოგატანა?
ლალი – რასა ბრძანებ, ქალბატონო!
არ გათხოვებ არასდროს,
გინდა ისევ გააცივო,
ისევ სურდო დამართო?
მანანა – რადგან ასე მეუბნები,
რადგან ასე მაჯავრებ,
დამიბრუნე ჩემი ვაშლი,
მე რომ გუშინ გაჭამე.
ლალი – არაფერიც, არაფერიც,
არაფერსაც არ მოგცემ,
იმ ვაშლისთვის, აღარ გახსოვს,
ლოყაზე რომ გაკოცე?
მანანა – მე რომ წიგნი მოგიტანე
კარგი წასაკითხავი?..
ლალი – მერე მე რომ მოგარჩინე,
ექიმი რომ ვიყავი?

მანანა – ჰო-ჰო-ჰო-ჰო, დიდი საქმე
სულ არ იცი თამაში
გახსოვს, მე რომ მოგეხმარე
კანფეტების ჭამაში?
ლალი – მერე მე რომ შენს თოჯინას
გავუკეთე ნემსები?
მანანა – მერე მე რომ წაგიკითხე
დიდი, გრძელი ლექსები?!
ლალი – როგორც ვხედავ, ქალბატონო,
უმადური ბრძანდები,
დაგავიწყდა, გუშინწინ რომ
გამომართვი ბაფთები?
მანანა – არც თოჯინა მინდა შენი,
აღარც შენი ვაშლები,
ბუტე, ბუტე, გაგებუტე,
აღარ გეთამაშები.

(ავტორი: ნ. დუმბაძე)

## 16.7. მუსიკა/მანდალა/თავისუფალი ხატვა, მულტფილმი/ზღაპარი

**მიზანი:** ფონემატური სმენის განვითარება.
**ლექსიკა:** პასიური ლექსიკა.
**რესურსი:** სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული მულტფილმები, მშვიდი მელოდიები, ქართული სიმღერები ან აუდიოზღაპრები, ზღაპრების წიგნი, მანდალები.
**დრო:** 20 წთ.

**16.7.1.** თავისუფალი ხატვა, რომლის დროს აღმზრდელი ავარჯიშებს აღსაზრდელებს ფერებისა და ფორმების, ასევე, ნაცნობი საგნების გამოყენებაზე.

**16.7.2.** აღმზრდელი აჩვენებს აღსაზრდელებს რომელიმე მულტფილმს. აღსაზრდელები სურვილისამებრ აყვებიან უკვე ნაცნობ სიმღერას; ასევე, შეუძ;ლიათ დაასახელონ ნაცნობი ცხოველები.

**16.7.3.** მანდალას გაფერადება მუსიკის თანხლებით.

**16.7.4.** რომელიმე წიგნის/ილუსტრირებული ზღაპრის დათვალიერება აღმზრდელთან ერთად და პერსონაჟების ამოცნობა. აღმზრდელს შეუძლია მოუყვეს ბავშვებს ზღაპრის სიუჟეტი მაქსიმალურად გამარტივებულად.

## 16.8. ხელგარჯილობა

**მიზანი:** ა. ფანტაზიის, მოტორიკის, კონცენტრაციის უნარის განვითარება.
ბ. ახალი მასალის გავარჯიშება-გამოყენება.
**რესურსი:** ბავშვის სამუშაო რვეული: ამოსაჭრელი კვადრატები და დასაწებებელი ბარათები; მაკრატელი, წებო, მუყაო.
**დრო:** 30 წთ.

**შენიშვნა:** ამ აქტივობების დროს აუცილებელია ენობრივ მასალაზე ვარჯიში, კერძოდ, აღსაზრდელების მიერ ყველა საგნის დასახელება, რომელსაც ხატავენ, ძერწავენ, ჭრიან და ა.შ. ასევე აუცილებელია ფერების დასახელება.

**16.8.1.** ა და ბ. „ორობანას“ ბარათების დამზადება (ექიმი, წამალი, სამედიცინო პუნქტი) (იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 16.8.1. ა და ბ).

**16.8.2.** აღმზრდელის დახმარებით აღსაზრდელების მიერ თვითნაკეთი ლოტოს დიდი ბარათების დამზადება შემდეგი გამოსახულებებით: ექიმი, სამედიცინო პუნქტი, წამალი (იხ. სამუშაო რვეულში აქტივობა 16.8.2.). პატარა ბარათების გამოყენება შეიძლება ორობანადან (მზადდება აქტივობა 16.8.1. ა დროს).

**16.8.3.** ფაზლების დამზადება: მატარებელში – წიკოს მუცელი სტკივა (ილუსტრაცია 16.1.), ექიმთან – ილუსტრაცია 16.3.).

**16.8.4.** ბალახებისგან, ფქვილისგან, კენჭებისგან „წამლების“ დამზადება და სხვადასხვა ყუთში მოთავსება. ნაჭრებისგან სახვევების დამზადება.

**16.8.5.** ნაჭრის ან მუყაოს „ავადმყოფების“ დამზადება (შესაძლებელია თოჯინების გამოყენებაც).

**16.8.6.** მუყაოსგან „სამედიცინო პუნქტის“ აშენება.

## 16.9. შემაჯამებელი პროექტი

სამედიცინო პუნქტი.

აღსაზრდელები იყენებენ 16.8.4., 16.8.5. და 16.8.6. აქტივობების დროს დამზადებულ ნივთებს. სამედიცინო პუნქტში მოათავსებენ „ავადმყოფებს“, მკურნალობენ მათ, უხვევენ ხელს/ფეხს, ასმევენ „წამლებს“ და მშობლებს უხსნიან, რა ხდება სამედიცინო პუნქტში.

# დანართი

ქაღალდის ნავი

მანდალები